K 23525 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეები სამამაცონი

ქართული საბრძოლო ხელოვნება



თბილისი
2004

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ

მარცხნიდან მარჯვნივ: კობა ჭუმბურიძე, ცოტნე ჭუმბურიძე, კახაბერ ზარნაძე და ლევან კიკალიშვილი.

K 23725

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეგ-2000
შემოწმებულია

F 6371
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასწლოვანი მატეკარნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

შესავალი - 2

თავი I - 2

უძველესი წყაროებიდან - 5
ვისი გორისანი ვართ - 10
ნაცნობი სტრიქონები - 15
წინაპრის შემონთვალი - 31
მებრძოლი სული - 36
სიტყვის კონა - 43

თავი II - 45

სახეობათა აღწერა - 45
ზნენი სამმაცონი - 45
ცურვის ხერხები - 50
მშვილდოსნობა - 51
ცხენოსნობა - 51
ნაოსნობა - 60
თამაშობანი - 63
ბერიკაობა-ყეენობა - 65
გუნდური თამაშობანი - 69

თავი III - 72

შერკინებანი - 72
მსაჯობა-დგინება - 72
ჭიდაობა - 73
კრივი - 80
ხით რკინება - 90
ხანჯლაობა - 92
ფარიკაობა - 93
ხმალაობა - 95

თავი IV - 96

იარაღი - 96
ხის იარაღი - 96
სათითენი - 98
საცემნი - 99
საჩეხნი - 100
საზეპელნი - 101
საძგერებელნი - 102
სამკვეთლონი - 103
ფარი - 107
მშვილდ-ისარი - 109
სატყორცნი - 111
ცეცხლსასროლნი - 113
საჭურველი - 114

თავი V - 116

სწავლება - 116
მენაკნი - 117
სეფური - 117
სხეული - 121
სამოსი-აღკაზმულობა - 123
ხელოსნობა - 126
მკურნალობა - 134
გარისობა - 139

თავი VI - 151

დამხმარე მასალა - 151
ფერი, ანდაზი - 151
ხმა და ჰანგი - 154
საკრავნი - 156
ეტლი, საზიდარი - 159
ნაგებობანი - 160
ხასიათი - 162
ვინაობა-სამსახური - 164
ქმედება - 166
ნაირობა - 168
დამატება - 169

ბოლოთქმა - 170
წყაროები - 172

სასარგებლოდ ერთმემამულეთა ჩვენთათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძმანო, ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი
თქვენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირითა
თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენს თანა არს“

თამარ მეფე

ეს წიგნი თავისებური საწმისია, რომელიც თხუთმეტიოდე წლის წინ ჩავდგით ინფორმაციის შემორჩენილ ნაკადში და ჩვენდა გასაოცრად, უამრავი ბაჯაღლო მარცვალი მოვიმეკეთ. სახელდახელოდ მოწესრიგებული ამ მარცვლებით კი მოზაიკასავით აეწყო საოცრად ფერადოვანი სურათი მრავალწახნაგა და თვითმყოფადი ქართული საბრძოლო ხელოვნებისა.

წიგნის თავფურცელზე მოთავსებული ფოტოზე აღბეჭდილია გურული მატეკარნი, ჯაჯანლითითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე, საუკუნეს გადაცილებული ორი მოხუცი. ალბათ მთელს დედამიწაზე ვერ იპოვნი კუთხეს, სადაც მსგავსი რამის ნახვა იქნება შესაძლებელი.

ეს ასი საუკუნის შუბისპირი კი სადღაც იქვე, გუბაზოულის ხეობაში ნაწარმოები გათხრების დროსაა ნაპოვნი. მასთან ერთად ნაპოვნია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების იარაღი და ხელსაფქვავიც კი, რაც იმის დასტურია, რომ ათი ათასი წლის წინ ჩვენი წინაპარი, გარდა ნადირობისა, უკვე მიწათმოქმედებასაც მისდევდა და ამ არეშარის მკვიდრი მოსახლე იყო.

მეორე ათასწლეულის მიწურულს კოლხეთი უკვე წერილობით წყაროში მოიხსენიება ქვეყნად. მას აქეთ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ სამი ათასი წლის გამოცდას გაუძლო. ამ ხნის განმავლობაში მრავალი დიდი ცივილიზაცია აღიგავა პირისაგან მიწისა, მუზეუმებსღა შემორჩა არაერთი ბრწყინვალე კულტურა.

საქართველო კი გადარჩა და მისი გადარჩენის უმთავრესი პირობა საბრძოლო ხელოვნების საარაკო ცოდნა გახლდათ.

უკანასკნელი დამპყრობი, რუსეთის იმპერია ძალაუფლების გასამყარებლად, გარდა იდეოლოგიური წნეხისა, არ მორიდებია არაერთი აჯანყების სისხლში ჩახრჩობას, უსასტიკეს რეპრესიებს, ერისთვის თავდადებულ მამულიშვილთა კვლასა და გადასახლებას, ეროვნულ ტრადიციათა ამოძირკვას, ბრძოლას ქართული ენისა და დედა ეკლესიის წინააღმდეგ...

მისი ერთ-ერთი ყველაზე ვერაგული ძალისხმევა მიმართული იყო ქართველში მებრძოლი სულის მისაძინებლად, საშხედრო აღზრდის ტრადიციის მოსაშლელად და, სანაცვლოდ, გაუკუღმართებულ „ტრადიციათა“ დასამკვიდრებლად. ზვიად გამსახურდიას თქმით – „ეს იმის გამო ხდებოდა, რომ სურდათ ქართველი ერისთვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი“. ეს ძალისხმევა, უნდა ვაღიაროთ, საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა, იმდენად შედეგიანი, რომ დღეს საქართველოში ძალზე ცოტამ თუ იცის, რა განძის პატრონნი ვართ ამ თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძოლო ხელოვნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ფუნდების ერთობლიობა, არამედ ქვეყნის მოწყობა, ყოფიერებაში დამკვიდრებული პრიორიტეტები, იდეოლოგია, აღზრდის სისტემა და სხვა მისთანანი. ჩვენებური ცეკვა, სიმღერა და სახიობაც ასევე უშჯიდროდ კავშირშია სამხედრო აღზრდასთან.

ქართველთა საბრძოლო სული და გაწაფულობა საუკეთესოთა შორის გამორჩეული გახლდათ და, ბუნებრივია, რომ ამ ცოდნის წაშლა თუ საქართველოდან გატანა იმპერიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მიწურულს აიკრძალა მუშტი-ერივი, ამას მოჰყვა „ყვენობის" აკრძალვა, რადგან ამ თამაშობის პატრიოტული სულისკვეთება აშინებდა იმპერიის მსახურთ. აკრძალვის მოტივიც ფრიად „მამაშვილური" გახლდათ - ქართველი ხალხის ჯანმრთელობაზე „ზრუნვა"...

უმოწყალო ძარცვის ნიმუშად ქართული ჭიდაობის თავგადასავალიც ქმარა. საბაბი აქაც ჭიდაობის ტრავმატულობა იყო და ქვეშევრდომებზე ფარისევლური ზრუნვა, ხოლო მიზანი - ქართული ჭიდაობის ძირითადი საბრძოლო არსენალის გადაქცევა სახელდახელოდ შეთხზულ სამბოში, რომელიც დღეს მსოფლიო პოპულარობით სარგებლობს, გაძარცული ქართული ჭიდაობა კი ერთეულ ქომაგთა მინდომებითღა სულდგმულობს (უფრო ვრცლად ამ საკითხს შესაბამის თავში შეეხებით).

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიისთანავე ბოლშევიკური იმპერიის ერთ-ერთი პირველი სამიზნე გახდა სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომელიც პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდა და გასაბჭოებიდან ლიკვიდაციამდე, წლისა და ცხრა თვის განმავლობაში განაგრძობდა ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ.

საზოგადოების ქუთაისის ფილიალის ჟურნალ „შევარდენში" (1920 წლის №1) ვკითხულობთ: „ტანვარჯოშს გარდა „შევარდენი" მიზნად ისახავს დანერგოს სამხედრო ვარჯიშობაც. მას სურს მთავრობის დახმარებით მოაწყოს თავისი წევრებისთვის სამხედრო იარაღის სწავლება, მას სურს ხელი შეუწყოს ისეთი არმიის შექმნას, რომელიც მომზადების, შეგნებული დისციპლინის, ამტანობისა და ბრძოლის უნარიანობის მხრივ შეუდარებელი უნდა იყვეს და რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაში არსებობს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი სატანვარჯოშო საზოგადოებანი მძლავრ სამხედრო ძალას შექმნიან და შეუდარებლად შეამცირებენ იმ ხარჯებს, რომლებიც რესპუბლიკას მძიმე ტვირთად აწევს". ჩვენი აზრით, ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

ამდენად, გასაგებია, თუ რითაა განპირობებული ამ მიმართულებით წარსულში წარმოებულ გამოკვლევათა სიმწირე და მით უფრო დასაფასებელია ამ მეცნიერთა ღვაწლი, რომელნიც, მოუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და დევნისა (გაიხსენეთ - სკოლაში საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა), შეეცადნენ ჩვენამდე მოეტანათ ცოდნა ქართული ყოფიერების იმ უნიკალური წახნაგის შესახებ, რასაც ქართული საბრძოლო ხელოვნება ჰქვია. ჩვენს თაობას კი არავითარი გამართლება არ ექნება, თუ დროულად არ მიგხედეთ ამ საქმეს და სამუდამოდ დავკარგეთ კიდევ ერთი განძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს „ოთხავ კუთხით“ მძარცველ-წამდღვრეტი გვაკლდეს, რომ ჩვენი უნიათობაც ზედ არ დავურთოთ.

როდესაც ენთუზიასტ მკვლევართა მცირე ჯგუფი კახაბერ ზარნაძისა და ლევან კიკალიშვილის თაოსნობით ჯერ კიდევ 1985 წელს შეუდგა გადარჩენილი ცოდნის მოკრებას, მაშინ ცოტას თუ სჯეროდა, რომ ეს მცდელობა რაიმე ნაყოფს გამოიღებდა, მაგრამ არც დრო ითმენდა. თავად განსაჯეთ – იმ მოხუცებულთაგან, რომელთაც მრავალი ხერხი, ვარჯიში თუ დასახელება მოგვაწოდეს, უმეტესობა დღეს ცოცხალი აღარ არის.

გარდა კულტურული და სამეცნიერო ღირებულებისა, ქართული საბრძოლო ხელოვნება მომავალი თაობის ფიზიკური და ზნეობრივი წრთობის უნიკალური საშუალებაა. ამასთან, ალბათ ნათელია, თუ რაოდენ აუცილებელია ჩვენი მომავალი თაობისათვის იმის გაცნობიერება, რომ იგი მემკვიდრეა ისეთი კულტურისა, რომლის ჩანაცვლებაც ქართული ხასიათისთვის უცხო აღმოსავლურ-დასავლური სისტემებით არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

ვიმედოვნებთ, ეს წიგნი გარკვეულ წარმოდგენას შექმნის კვლევის საგანზე და როგორც კი ჩვენს ქვეყანაში გაჩნდება სათანადო პირობები, ამ საქმესაც მოვევლება. ჩვენს მოვალეობად გვესახება მხოლოდ საკითხის წამოწევა, პირველი საყრდენის შექმნა, მოკრება იმისა, რაც იმ დრომდე შესაძლოა დაიკარგოს და აგრეთვე, თუ გნებავთ, მკვლევართა „წაქეზება“ ამ მიმართულებით.

საამწუხაროდ, მასალის გადმოცემა ხშირად სამეცნიერო თვალსაზრისით არასრულფასოვანია (აღწერა, წყაროს ზუსტი მითითება და სხვა), რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი შეკრება დაწყებულია მეხალისე მკვლევართა მიერ, სათანადო გამოცდილებისა და სამეცნიერო მეთვალყურეობის გარეშე. ამდენად, ინფორმაციის ერთი ნაწილი განმეორებით დამუშავებას მოითხოვს, რისი შესაძლებლობაც, საამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ნაშრომის წიგნად გამოცემის შემთხვევაში, დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდებიან და საგრძნობლად გაამდიდრებენ უკვე მოკვლეულ მასალას, რაც მხოლოდ მცირე ნაწილია ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ცოდნისა. საამწუხაროდ, ამ ეტაპზე კვლევის გაგრძელების ეს გზა (მოხალისე მკვლევართა წრის გაფართოება) ერთადერთად გვესახება.

ნაშრომი ძნიშნელოვან სამსახურს გაუწევს აგრეთვე იმ მწვრთნელებს, რომელთაც სურთ მუშაობა ამ მიმართულებით, უკვე გახსნილი აქვთ, ან აპირებენ გახსნან ქართული საბრძოლო ხელოვნების შემსწავლელი კლუბები თუ წრეები.

მომავალში კი, ვიმედოვნებთ, რომ ამ სისტემის გარკვეული ნაწილი სასკოლო პროგრამაშიაც დაინერგება, რაც თავის წვლილს შეიტანს ჩვენი მომავალი თაობის ჯანსაღი სულიერი და ფიზიკური აღზრდის საქმეში.

თავი I

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველესი წყაროებიდან, ვისი გორისანი ვართ, ნაცნობი სტრიქონები, წინაპრის შემინათვალდეს მებრძოლი სული, სიტყვის კონა

უძველესი წყაროებიდან

„ჰალიძონთა სპას მოუძღვებოდნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი,
ვერცხლის უშრეტი საბადოებით სახელგანთქმული ალიბეს მხრიდან“
ილიადა

უძველეს ისტორიულ წყაროებში მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება ჩვენი ერის შესახებ. კიდევ ერთხელ გადავაველოთ თვალი იმ ფრაგმენტებს, რომლებიც საბრძოლო ხელოვნების თვალსაზრისითაა საინტერესო:

დავიწყოთ იმით, რომ, ჩვენი მიწა ერთ-ერთი პირველი კერა ყოფილა ადამიანის მოდგმისა. ამის დასტურია დმანისში ნაპოვნი უძველესი ევროპელი ჰომინიდი, რომელიც აქ 1,8 მილიონი წლის წინ სახლობდა. იქნებ სწორედ მისი შთამომავალი გამრავლდა და განეფინა ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთის ყურემდე, ხოლო მოგვიანებით, მცირეოდენ აჭრელებული, რიგ მიზეზთა გამო, ისევ საწყის წერტილში შეიკუმშა და ქართულ ეთნოსად იწყო დადგინება.

ბიბლიაში, თავში „პირველი ნეშტთა“, პატრიარქ ნოეს ახლო შთამომავალთა შორის მოიხსენიებიან:
- ნოეს ძის, იაფეთის ვაჟები – თუბალი და მეშეკი.
- ნოეს ძის, ქამის შვილიშვილი – ხეთი
- ნოეს ძის, სემის ვაჟი – ასევე მეშეკი
- ლამეკის ძე – თუბალ-კაინი
- ციბყონის ძე – აია
- სემისა – ელამი

ეს სახელები იმიტომ გამოვყავით, რომ ისინი წინარექართულ, ან მათ მონათესავე ტომთა დასახელებებს ემთხვევიან.

ქასქები, პონტოს მთებში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტომი, პირველად მოიხსენიება ძვ. წ. XVII საუკუნის ხეთურ წყაროებში. ეს ტომი პროტოხეთების, ანუ ხეთთა წინამორბედი კულტურის შემოქმედი ხათის ტომის მონათესავეა. პროტოხეთურად მთვარეს „ქაშქუ“ ერქვა(!) (ინდოევროპული მოდგმის ხეთები ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწლეულში გამოჩნდნენ და ხათის კულტურის გავლენის ქვეშ განავითარეს საკუთარი). ძვ. წ. XV საუკუნეში ქასქებს ხეთთა დედაქალაქი ხათუსა დაურბევიათ. საუკუნის შემდეგ ამ ტომს ხეთთა სახელოვანი მეფის, სუფილულუმას ძე – მურსილი II შებრძოლებია. საინტერესოა, რომ თვით სუფილულუმა ხელშეკრულებებში მოიხსენიება გამოთქმით „ჩემი მზე“ (შეადარე ჩვენებური გამოთქმა „ჩემმა მზემ“).

ქასქების საზოგადოება სამხედრო დემოკრატიის პრინციპით ყოფილა მოწყობილი.

ლეგენდარული ქალაქის ტროას სახელი გადმოცემით ფრიგიის მეფის, ერითრონოსის ძის ტროსის სახელს უკავშირდება. ფრიგია კი, როგორც ცნობილია, მუშქებით იყო

www.nplg.gov.ge

დასახლებული. იქნებ ამით აიხსნება, რომ ტროას ომში ქართველ ტომთა ერთი ნაწილი ტროელთა მხარეს იბრძოდა (ჰომეროსი პირდაპირ მიუთითებს ჰალიბინებს (ხალიბებს), რომელთაც ოდიოსი და ეპიხტროფოსი სარდლობდნენ). გარდა იმისა, რომ ხალიბები ვერცხლის მოპოვებით იყვნენ ცნობილნი, ანტიკური სამყარო მათ რკინის პირველდაუფლებასაც მიაწერს.

ზოგი ბერძნული მითის თანახმად ლითონის დამუშავება ტროას მახლობლად, იდას მთაგრეხილთან მოსახლე დაქტილებმა დაიწყეს. ამ არემარეში მცხოვრები დარდანოსთა ტომი კი რომაელთა წინაპრად ითვლება, რადგან მათი მეფე იყო ანქიზე, ტროას მეფის, ილოსის შვილიშვილი და ენეევის მამა. ამ ვერსიით ფრიგიის ათლეტიკურ თამაშებზე გამარჯვებულ ილოსს ზევსის ნებით დაუარსებია ქალაქი, რომელსაც მისი სახელის მიხედვით ილიონი (ტროას მეორე სახელი) ეწოდა. ამდენად, ფრიგიული ათლეტური თამაშები უნდა გამართულიყო დაახლოებით XIV საუკუნეში, ანუ ბერძნული ოლიმპიური თამაშების დაწესებამდე ექვსი საუკუნით ადრე.

მითის მიხედვით ილოსის წინაპარი დარდანი ჰესპერიაში (დღევანდელი იტალია) დაბადებულა. შემდეგ გადმოსახლდა ფრიგიაში, სადაც ადგილობრივმა მეფემ სამეფო უბოძა და ქალიშვილი მაათხოვა. ილოსის შვილთაშვილი ენეევსი, ტროას ომის გმირი, ქალაქის დაცემის შემდეგ, ზევსის ნებით თავის ამალასთან ერთად ძველ სამშობლოში - იტალიაში (ლაციუმში) გადასახლდა, სადაც მას გულთბილად დახვდნენ ადრე ჩასული არკადიელები (პელაზგნი) და მის მხარეზეც იბრძოლეს რუტულთა წინააღმდეგ. ამის შემდგომ (ასევე ზევსის ნებით) ენეევსის შთამომავლებმა დააარსეს რომი. ცნობილია, რომ იულიუს კეისარი და მოეელი მისი გვარი ენეადთა შთამომავლობით ამაყობდა.

გადმოცემის თანახმად იტალიის სახელი აქ გადმოსახლებული სიკულების (სიცილიელთა) მეფის, ოდისევსისა და კირკეს (აეტის დის) შვილიშვილის, იტალოსის სახელის მიხედვით ეწოდა.

როდესაც ასურეთის მბრძანებელი ტიგლატ-ფალასარი თავის წარწერაში (1100 წ.ძ.წ.) პირველად მოიხსენიებს მუშქებს, ეს უკანასკნელნი იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ასურეთის სამფლობელოთა დაპყრობას ლამობდნენ. მუშქთა ქვეყანა რამდენიმე სამეფოსაგან შედგებოდა, მაგრამ, როგორც წარწერიდან ჩანს, საჭიროებისას ისინი ერთობლივად მოქმედებდნენ.

ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებულია ქართული ტომები, რომელთა წინაღმდეგაც ასურეთი ძველი წელთაღრიცხვის XI-დან VIII-ე საუკუნემდე აწარმოებდა ბრძოლას. მუშქებთან ერთად ესენი გახლავან თუბალები და ქასქები.

ურარტუ ასურული დასახელებაა და ამ ენაზე სრულქმნილ ხალხს ნიშნავს. თავად ურარტელნი თავის ქვეყანას ბიაინას ეძახდნენ. სარგონ II-ის წყაროებით ურარტუს ჯარს ჰყავდა ყველაზე უკეთ გაწვრთნილი ცხენები, რომლებიც „შეტევაში, ეტლში, უკანდახევაში თუ საბრძოლოდ განლაგებაში არასდროს ხდებიანო უმართავნი“.

ადრეული ურარტუ ნაირის ტომთა ერთობლიობა იყო და ცენტრალიზებული გახდა ძ.წ. 900 წელს. დედაქალაქი იყო თუშფა, მდინარეს კი გუგუნა ერქვა (მთის ხმაურიანი მდინარე თუ იყო?). აშენებდნენ ფანჯრებიან და აივნებიან ხახლებს. ვაჭრობდნენ საკმაოდ დიდ მანძილზე. ურარტული ხარისთავა კარდალა იტალიაშია ნაპოვნი. სხვათა შორის, სომხები ჩვენ გვეძახიან ურაცის. პროფესორ ერზენის თვალსაზრისით ურარტული აგლუტინაციური, ანუ არაინდოევროპული ენაა.

აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული ერთი მასალის თანახმად (სტატიის ავტორი ბ. პიოტროვსკი) ურარტუს დაცემის შემდეგ ამ ტერიტორიაზე, დაახლოებით ძ.წ. VI საუკუნეში, დასავლეთიდან მოვიდნენ პროტოსომხები და შეერივნენ ადგილობრივ ტომს (HURRIANS). თუ ეს ხურიანი თავის თავს ქალდეას ეძახდნენ,

შესაძლოა მათ ნათესაური კავშირი ჰქონდეთ სემიტურ ტომ ქალდუსთან, რომელიც არამეულ ენაზე მეტყველებდა. ბერძენ-რომაელნი ბაბილონელ ქურუმებსაც [illegible] ამბავი განსაკუთრებული ცოდნა-უნარის გამო, ამ დაწინაურებული ტომის – მიხედვით ქალდეველებს ეძახდენ.

ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ურარტული სიტყვები : არწიბი – არწივი ; ათიბი – ათი ათასი ; ათუ – შეჭმა, განადგურება (ჩვენში ბავშვს, ლუკმის გადაყლაპვის მერე, აჩვენებენ ცარიელ კოვზს და ეტყვიან – ათუ). ასევე საინტერესოა ურარტული გამოთქმები „იერი ალალე“ (უფალო ალალე), „თარი ალალე“ (ძლიერო ალალე), „არი ალალე“ (მომეც ალალე)

ურარტუს დამბობის შემდეგ სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა ჩრდილოეთით გადინაცვლეს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორი ქართული სახელმწიფო – იბერია და კოლხეთი.

ძველ ალთქმაში მე-6 საუკუნეში მცხოვრები ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე აღწერს მუშქეთა და თუბალთ: „დიდებულად შემოსილი უშქარი კრებული, თოროსანნი და ფარისმპყრობელნი, მახვილიანნი..., ყველანი ცხენზე ამხედრებულნი“.

ამ პერიოდში კოლხები ქმნიან ძლიერ სამეფოს, რომელიც ურარტულ ლურსმულ წარწერებში კულხა/კოლხას სახელით იხსენიება. სტრაბონი შემდეგ ცნობას გვაწვდის კოლხეთის შესახებ: „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ამას მოწმობს მითები იაზონის ლაშქრობაზე, ხოლო მასზე ადრე ფრიქსეს [ლაშქრობაზე]... ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით იყო ნამდვილი მიზეზი ამ ლაშქრობებისა“.

კოლხთა მეფე აიეტი მოხსენიებული ჰყავს ჰესიოდეს (VIII ს. ძვ. წ.), ხოლო არგონავტების მითის უძველესი ვარიანტი მოყვანილია ევმელოს როდოსელის „კორინთიკაში“ (VIII ს. ძვ. წ.). ევმელოსის აზრით კოლხთა მეფე აიეტი კორინთოდან იყო წარმოშობილი. მითის თანახმად კი მას მემკვიდრეობით ერგო კორინთო, მაგრამ კოლხეთი ირჩია. ამ მოსაზრებაში წინარექართულ ტომთა ხმელთაშუა ზღვიდან აღმოსავლეთით მიგრაციის ცოდნა იკითხება.

ჰეროდოტეს (480-426 წ.ძ.წ.) ცნობით - „მოსხები ატარებდნენ ხის ჩაჩქანს, ფარსა და მოკლე შუბებს, რომელთაც გრძელი რკინა ჰქონდათ. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები სალაშქროდ მოსხთა მსგავსი შეიარაღითა გამოდიოდნენ“.

- „ხალიბებს თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები, მუზარადებზე იყო სპილენძისგან ნაკეთები ხარის ყურები და რქები“.

- „მარები ატარებდნენ ადგილობრივ მოქსოვილ მუზარადებს და შეიარაღებულნი იყვნენ ტყავის პატარა ფარებითა და ხელშუბებით.

კოლხები ატარებდნენ ხის ჩაჩქნებს, ხარის გამოუქნელი ტყავის პატარა ფარებს, მოკლე შუბებსა და საბრძოლო დანებს“.

ქსენოფონტე (431-354 წ.ძ.წ.) ხალიბთა შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „ეს იყო უმამაცესი ხალხი მათ შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავისი ლაშქრობის დროს. ეს ყველაზე უკეთ მათ იგრძნეს, ვინც მათთან ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობდა. ხალიბები ატარებდნენ სელის ჯაჯაშნს. ამ ჯაჯშნის ქვედა ნაწილი შედგებოდა სქლად ნაქსოვი ზონრებისაგან. მათ ჰქონდათ აგრეთვე ანქერი და მუზარადი, ქამრებზე კი ეკიდათ ხმლები დაახლოებით სპარტულ მახვილთა ზომისა. ამ ხმლებით ისინი ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი მოიხელთებდნენ. ისინი თავებსაც კვეთდნენ და მიაჭონდათ წინ, ცეკვითა და სიმღერით, მტრის დასანახად. მათი შუბების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგრძე 15 ბერძნულ არშინს აღწევდა და ერთ მხარეზე გამახვილებული რკინა ჰქონდა. ისინი თავიანთ ადგილებზე ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც ელინები მახლობლად გაივლიდნენ, დაედევნებოდნენ და ებრძოდნენ".

დრილები, ქსენოფონტეს ცნობით - „ცხოვრობენ ძნელად მისაგდომ მთებში და პონტას ყველაზე უფრო მეომარ ხალხს წარმოადგენენ".

„ტაოხები ქვეყანაში ელინთა ჯარის შესვლის დროს მთელი ხალხი დადგა ფეზზე. ქალები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ. ტაოხები თავისუფლების დაკარგვას სიკვდილს ამჯობინებდნენ და მტერს ტყვედ არ ნებდებოდნენ."

კარდუხები კი „საუცხოო მშვილდოსნები იყვნენ; მათი მშვილდები სიგრძით თითქმის სამ არშინს აღწევდა, ხოლო ისრები ორ არშინზე მეტი იყო. სროლის დროს, საბელის მოჭიმვისას, მარცხენა ფეხს მშვილდის ქვედა ბოლოს ადგამდნენ. მათი ისრები ფარსა და ჯაჯმანს ხვრეტდა".

ევსტათის კომენტარებში დიონისე პერიეგეტის შესახებ ვხვდებით შემდეგ ცნობას: „დიონისე ლაპარაკობს, რომ იქ ცხოვრობენ კადუსიანები, რომელთა ქვეყანა მთაგორიანია; ისინი მარდად დაძვრებიან მთებზე, სტრაბონის თქმით, საუცხოოდ ტყორცნიან შუბს და კლდოვან ადგილებში წარმატებით იბრძვიან ქვეითად ცხენოსანთა წინააღმდეგ".

ტიბარენები თამაშობათა მოყვარულნი ყოფილან. ეფორონის მე-5 წიგნში ნათქვამია – ტიბარენები ხალისით თამაშობენ და მხიარულობენ და დროის ამგვარი გატარება დიდ ბედნიერებად მიაჩნიათო. აპოლონ როდოსელის სქოლასტი კი აღნიშნავს – ტიბარენები ყველაზე უფრო სამართლიანნი არიან. ისინი არასოდეს ჩაებმებიან ბრძოლაში, სანამ არ დაადგენენ ბრძოლის დღეს, ადგილსა და დროსო.

სტრაბონი გვიამბობს: „სოანები... თავის სიმამაცითა და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხებზე უფრო სახელოვანნი არიან. ისინი ცხოვრობენ კავკასიის მაღლობებზე, დიოსკურიის ზემოთ და მართავენ ყველა გარშემორტყმულ ხალხებს".

არიანე (100-160 წ.ა.წ.) სანთა (ჭანთა) შესახებ წერს: „ხალხები, რომელთა ქვეყნები ჩვენ გავიარეთ, შემდეგია: ტრაპეზონდელების მოსაზღვრე – კოლხები, როგორც ამბობს ქსენოფონტე; მეორე ხალხს კი, მეტად მეომარსა და ტრაპეზონდელთა მიმართ მტრულად განწყობილს, ქსენოფონტე დრილებს უწოდებს. მე კი მგონია ეს სანებია, რადგან ისინი დღემდისაც მეტად მეომარი და ტრაპეზონდელებისადმი ძლიერ მტრულად განწყობილნი არიან. ეს ხალხი მიუდგომელ ადგილებში სახლობს და მეფეები არა ჰყავს".

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათი სქოლასტიკოსი ლაზთა შესახებ: „ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ხელმძღვანელობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანოქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ზასიათის სილამაზითა და სიცქვიტით".

აგათი სქოლასტიკოსს მოხსენიებული ჰყავს ტომით ქართველი რომაელთა სარდალი თეოდორე, რომელსაც „რომაელ სამხედრო მეთაურებს შორის პირველი ადგილი ეკავა". მისივე თქმით, ლაზები ფრიად დაწელოვნებული ზღვაოსნები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკაპი სარდოსელი მოიხსენიებს რომაელ შუბოსანთა მეთაურს, ფარნაველ სუბარმარხს (ეს სახელი ძველი ქართულით შესაძლოა მარჯვე, ღონიერი, გამბრძოლ სუბარს ნიშნავდეს).

რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი კი ასე აღწერს ფარსმან მეფის ძე რადამისტს - „მშვენიერი ტანადი, არაჩვეულებრივი ძალის მქონე, ყოველგვარ საერო ვარჯიშობაში დახელოვნებული და ყველა მეზობელ ერებში სახელგანქმული“.

ძველი წელთაღრიცხვის მიწურულს საქართველოში ოთხი წოდებრივი ფენა გამოიკვეთა: სამეფო, ქურუმთა, თავისუფალი ხალხი და მდაბიონი. ამ პერიოდში იყვნენ აგრეთვე მონებიც, მაგრამ ისინი საზოგადოების წევრებად არ ითვლებოდნენ.

ძველი აღმოსავლური ტიპის ფიზიკური აღზრდა ძირითადად სამხედრო არისტოკრატიისათვის იყო ხელმისაწვდომი და უმთავრესად სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ უდავოა, რომ საქართველოში მესამე ფენასაც მიუწვდებოდა ხელი ამ სისტემაზე. მეფის ჯარში ქვეითები და მკვირცხლთა გუნდები სწორედ მესამე ფენით იყო წარმოდგენილი. მეოთხე ფენას, ანუ მმიმე ფიზიკური შრომით დატვირთულ ხალხს, მხოლოდ დღესასწაულებზე ეძლეოდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ გარკვეული სახის ფიზიკურ თამაშობებში (ჭიდაობა, რბენა, ხტომა, ჯილდაობა, მოძრავი თამაშობანი, ცეკვა და მისთანანი).

ბერძენი მწერალი ტიმონაკისი კოლხური ქალაქის ეას აღწერისას სავარჯიშო სკოლებს (გიმნასიებსა და დისკოსებს) მოიხსენიებს, ხოლო პროკოფი კესარიელი ქალაქ აფსარუს შესახებ ასე მოგვითხრობს - „ამას გარს უვლიდა მრავალი კედელი და იგი შემკული იყო თეატრითა და ჰიპოდრომითო.“

„მეფეთა ცხოვრების“ თანახმად მეფე ფარნავაზმა, რომელიც გახლდათ „კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მეომარი ხელოვანი“, თავისი სამეფო დაჰყო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – საერისთავოებად. იმჟამად ქართლი 7 საერისთავოს მოიცავდა: 1. მარგვის; 2. კახეთის; 3. ხუნანის; 4. სამშვილდის; 5. წუნდის; 6. ოძრხის; 7. კლარჯეთის. ეგრისის სამთავრო კი (ქუჯის საფლობელო) საგანგებო პირობით იყო მერვე საერისთავოდ შემოსული მეფის ქვეშევრდომობაში.

იგივე მოწყობითაა წარმოდგენილი ვახტანგ გორგასლის მემატიანის მიერ მე-5 საუკუნის ქართლიც: ისევ დაყოფილია საერისთავოებად, რომელთა სათავეშიც დგანან მემკვიდრეობითი ერისთავები და ახორციელებენ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ხელისუფლებას. ერისთავის უპირველესი მოვალეობა სამართავად გამწესებული კუთხიდან შესატყვისი ლაშქრის გამოყვანა და სარდლობა იყო, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მოწყობაში სამხედრო-ორგანიზაციული პრინციპი ბატონობდა.

აქ ალბათ უნდა შევწყვიტოთ ისტორიული წიაღსვლანი, რადგან ახალი წელთაღრიცხვის ისტორიული, ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები იმდენად დიდ მასალას მოიცავს, რომ ცალკე წიგნის თემად გვესახება. ასეთი წიგნი დიდ სამსახურს გაუწევედა ქართული სპორტული ხელოვნების კლუბებს, რადგან, ჩვენი აზრით, სავარჯიშო დარბაზიდან პატარა აღსაზრდელებმა მარტო ფიზიკური უნარ-ჩვევები კი არ უნდა გაიტანონ, არამედ გაიღრმავონ ეროვნული ცნობიერება და ცოდნა საქართველოს ისტორიისა. მით უმეტეს ახლა, როცა ყველანი მოწმენი ვართ ფსევდოკულტურათა ფრიად არასასურველი გავლენისა ჩვენს ახალგაზრდობაზე.

ᲕᲘᲡᲘ ᲒᲠᲝᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაე გვარი თქვენი იყოს ერთიანი, ვითარცა ბგერანი!“
ხეთთა მეფის ხათუსილის მიმართვიდან ქვეშევრდომთადმი

ეს მცირე მონათხრობი მცდელობაა ორიათასწლოვან ნაკვალევს გადევნებისა წინარეკართულ კულტურასთან აშკარად შეხებაში მყოფ ხეთთა მეფე-ქურუმ ლაბარნადან (ძ. წ. XVII ს.) ვიდრე ქრისტეანული საქართველოს პირველ მეფე მირიანამდე.

ოდნავ გავუსწროთ მოვლენებს და გავიხსენოთ კარიელთა ქვეყანა. ჰეროდოტეს (480-426 წ.ძ.წ.) ცნობით - „კარიელთა ტომი ყველა სხვა ტომზე სახელოვანი იყო და დიადაც ბევრად უფრო მეტად. მან ეკუთვნის სამი აღმოჩენა, რაც ელინებმაც გამოიყენეს; მუზარადებზე ჯიღის მიმაგრება კარიელებმა შემოიღეს, ფარებზე ნიშნის გაკეთება მათი გამოგონებაა და ესენი პირველები იყვნენ, რომლებმაც ფარების ტარები გაუკეთეს“.

კარიელთა უძველესი რელიგიური ცენტრი იყო ქალაქი ლაბარნდა. აქ ნაპოვნია ხარისა და ორმაგი ცულის ემბლემები. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს სიმბოლოები კარიიდან გადავიდა კრეტაზე. ორმაგი ცულის (ლაბრას) გამოსახულებანი მინოსის სასახლის გბატონებულ დეკორს წარმოადგენს.

აქ გავიხსენთ ხათის მეფეთა საგანგებო ტიტული – ლაბარნა (თაბარნა). შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ მეფე ლაბარნას ძალაუფლების ატრიბუტად ორპირი ცული – ლაბარ (თაბარ) ეპყრა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ორპირი ცული იმდროინდელ ხეთურ ბარელიეფზე გამოსახულ მავანსაც უპყრია ხელთ. ამორძალთა მთავარი იარაღიც ორპირა ცული იყო. გაადვენეთ თვალი მწკრივს : ლაბარნა (თაბარნა) – ლაბრანდა – ლაბრა (ტაბარ, ტაპორ). რაკიღა აღიარებულია, რომ ხეთებმა ხათის ხალხისგან აიღეს წოდებანი (ამ შემთხვევაში – ლაბარნა), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთჩამოთვლილი სიტყვები ხათის ენიდან ხეთების მეშვეობით შევიდა ინდოევროპულში. არსებობს მოსაზრება, რომ სიტყვა „ლაბირინთიც“ ამ საკულტო იარაღის დასახელებიდან მოდის, აფხაზეთში კი დღესაც არსებობს სოფელი ლაბრა.

თვით ცული ერთ-ერთი უძველესი საკულტო იარაღია. ზემოდან ქვემოთ მიმართული მისი მჭრელი პირი და მოძრაობის მიმართულება ციდან მოვლენილ სასჯელს იყო შედარებული. ამ ლოგიკით თუ ვივლით, ორპირა ცული, რომელიც მეფე-ქურუმს უპყრია ხელთ, ორივე მხარეს (ვთქვათ – აღმოსავლეთ-დასავლეთით) მიმართული რისხვაა. ამავე დროს სახელი ლაბარნა გვაგონებს ლაბას (თეორშუბლა ხარი) და ფარნას (ფარნა ძველქართულად თეთრი ხარია). როდესაც ასეთი თეთრი ხარი მინოსმა არ დაუკლა პოსეიდონს, ზღვის მეუფემ მას სასჯელად მინოტავრი მოუვლინა.

შესაძლოა სწორედ ეს ორპირა ცული გადაიზარდა ორთავიან არწივში და გადაჰყვა აღმოსავლეთ-დასავლეთზე ბატონობის სიმბოლური მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ ორთავიანი არწივი სწორედ ამ პერიოდის ხეთური კულტურის პროდუქტია.

რა კავშირია ორპირა ცულს, ზღვასა და ხარს შორის? ორპირა ცული მოხაზულობით მთავარეს ჰგავს და აშკარად ჩანს, რომ კრეტაზე იგი მთავარი საკულტო იარაღია, ხოლო მინოსი ერთდროულად მეფეც არის და ქურუმიც. ამავე დროს, როგორც ჩანს, კრეტაზე მთავარის სტიქიონი ზღვაა და საკულტო ცხოველი – ხარი. ძალაუნებურად გვახსენდება არმაზის მიერ ზღვის მოქცევა ითრუჯანის ციცხლის დასაჭრობად :

„ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე არმაზ ყოველადვე მტერ არიან. ამან მას ზედა ზღვა მოაქცია და შური იძია“. – გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“. ამ ნაწყვეტში, გარდა იმისა, რომ ციცხლის სტიქია წყლის სტიქიითაა დაირგუნული, ჟურადღებას იქცევს ასტრონომიული ცოდნა - ზღვის მოქცევის დაკავშირება მთვარესთან, რაც თავისთავად საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს გავიხსენოთ, რომ არმა ხეთურად მთვარეა (ხოლო ფარნა – თეთრი ხარი, მთვარის ერთ-ერთი სიმბოლოა და შესაძლოა ამიტომ არის [illegible] ფარნავაზმა არმაზი თავის სახელად აღმართაო). ხათური ბოლოსართები ძლიერ [illegible] ქართულს (მეფის სახელი ხათუსილი ჩვენებურად ხათუსელს ნიშნავს, ანუ ხათუსას მკვიდრს). აქედან გამომდინარე იქნება არმაზი არმას კერპია და არა თავად არმა. იქნებ არეაც ნათესაობითი ბრუნვის მეშვეობით გახდა არესი (ვთქვათ - არეას ველი), ისევე, როგორც არმა – არმასი. ამ მხრივ საინტერესოა პაუზანიუსის „ელადის აღწერაში“ მოტანილი ცნობაც: - „სპარტაში ყველაზე უძველესი სიწმინდე არის საკურთხეველი არეასი, რომლის ქანდაკება დიოსკურებს გადმოუტანიათ კოლხეთიდან“.).

ისიც შესაძლებელია, რომ არმა შერწყმული იყოს მთვარის შუმერულ ღვთაება ზუენასთან, ოგივე სინთან – არმა-სინი (სინი – დიდი ბრჭყვიალა დისკო?). ახალბაბილონური სამეფოს უკანასკნელი მეფე ნაბონიდი (VI ს.ძ.წ.) სწორედ ამ სინს ცემდა თაყვანს.

ამ ვარაუდს ამაგრებს ის ფაქტიც, რომ ჩრდილო შუამდინარეთის ტერიტორიაზე არსებულ კარდუხთა უძველეს სახელმწიფოში დასტურდება ციხის სახელი „ჰარმაზი“. ეს ხათური სახელი შესაძლოა კარდუხთა და მუშქთა აქაურ სახელმწიფოებში - ხუბუშქიასა და შუბრიაშიც ღვთაებას აღნიშნავდა და ჩვენს წყაროებში მითითებული არმაზის არეან-ქართლეთ შემოსვლაც ამას აღნიშნავს. თან, არ დაგვავიწყდეს, რომ წყარო ხაზს უსვამს – კერპი ნასესხები კი არ არის, არამედ „რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეთ მამათა (ანუ უმუალო წინაპრებს) თქუენთა არიან ქართლეთ“. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ერთ ნაწილს კარდუხთა და მუშქთა წინარექართული კუთვნილება დღემდე სადაოდ მიაჩნიათ.

ამ საკითხზე მსჯელობისას ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზურში ამრა მზეა და ამზა – მთვარე.

ორმაგი ცული თავიდან მთვარეს შესაძლოა არც გამოსახავდა. აქ უფრო მთავარია ის აზრი, რომ თუ ცული ზემოდან ქვემოთ მომართული სასჯელი იყო, ორმაგი ცული ქვემოდან ზემოთ მიმართული ხომ ვერ იქნებოდა და ამიტომ იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მბრძანებელსა და ინსიგნაციით ღმერთთან გატოლებულს უნდა გამოხატავდეს. ამდენად, ისიც დასაშვებია, რომ ორპირა ცული ორ ნახევარმთვარეს (ანუ რაღაც ციკლის დაწყება-დასრულებას) სულაც კრეტაზე მიება.

ასევე შესაძლოა, რომ ეს წიაღსვლაა პასუხი კითხვაზე, თუ საიდან წარმოდგება გამოცანად ქცეული სახელი რომაული ინსიგნიისა – ლაბარუმი.

* * *

წმინდა ნინო ასე აღწერს არმაზის კერპს: - „ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაი: და ტანსა მასსა ეცუა ჯაჭვი ოქროისა: და ჩაფხუტი ოქროისა: და სამხარნი ესხნეს: ფრცხილი და ბივრიტი და ხელსა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული: რომელნი ბრწყინვიდა და იქცევოდა ხელსა შინა რეცა თუ: რომელნი შეეხებიან თავი თვისი სიკვდიდ განიწიოროს... და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროისა, და სახელი მისი გაცი: და მარცხლ მისა კერპი ვერცხლისაი: და სახელი მისი: გა: რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეთ მამათა თქუენთა არიან ქართლეთ“.

ეს აღწერა ძალზედ ჩამოჰგავს ტაძრის ინვენტარის, ამ შემთხვევაში – კერპების აღწერის ხეთურ წესს. გარდა ამისა, კაცის სახოვნებით, შეიარაღებით, მასალით, სამფიგურანი კომპოზიციით – არმაზის სალოცავი ასევე ხეთურ-ხურიტული ტრადიციის ჩარჩოებშია, რაც ამ ორი კულტურის რაღაც უწყვეტ კავშირზე მეტყველებს (გაითვალისწინეთ, რომ მათ შორის თითქმის ათასი წელია).

ასევე გავიხსენოთ, რომ როდესაც ხეთებმა შეითვისეს ხურიტული ღვთაება თეშუბი, მას აქეთ-იქით ორი კერპი დაუდგეს – ხაცი და ნამნი (შეადარე – გაცი და გაიმი).

ARCHIVE.GE

რაც შეეხება იმას, რომ მთავარი ფიგურა სპილენძისაა, მსახურები კი ოქრო-ვერცხლისა, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს სპილენძის წითელი ფერი, რაც სიმბოლურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლითონის ფასი, რადგან, მართალია მახვილისანი არმაზი ფორმალურად ჯერ კიდევ მთავრის სახელობისაა, მისი მნათობი უკვე არესია, იგივე მარსი, წითელი ცდომილი. თუ მართალია მოსაზრება, რომ არმაზს ერთი თვალი მწვანე ჰქონდა, მეორე კი წითელი, ეს უკვე არესთან დანათესავების ღია ნაზგასმა უნდა იყოს. აქვე უნდა ითქვას, რომ არმაზი სპილენძისა კი არა, შესაძლოა ოქროსა და სპილენძის შენადნობისა ყოფილიყო, რათა მალიმალ არ დაჟანგულიყო.

არესი კი კოლხთა ღვთაებაა. იქნებ არმაზი განზრახ შეერწყა არესს ეგრისთან ქართლის სწრაფი რელიგიური დაახლოება-დანათესავების მიზნით, იმ ეგრისთან, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

ამგვარი გაორება თუ შერწყმა ადრეც გვხვდება და, ჩანს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად – ამირანი მეგრულ თქმულებაში არამ-ხუტუდ იხსენება. ხუტუინ მიწის ღვთაებაა ურარტუში, ხოლო არამე – ურარტელი მეფის სახელი, რომელიც შესაძლოა ხათური არმას ანარეკლია. ამრიგად, მეგრული ამირანი ერთდროულად გამოდის მეომარი და ვეგეტატიური ღვთაება. ამასვე ადასტურებს მერან მიქელაძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ამირანს დაენათლა მგლის მუხლი და თორმეტი უღელი ხარკამეჩის ძალა, რაც ნიშნავს, რომ იგი მებრძოლი მგელისა და მშვიდობიანი კამეჩის ბუნებათა მატარებელია და შესაძლოა ენათესავება ვილგამეშს (ზოგ კავკასიურ დიალექტში გიალ მგელია და გომეშ – კამეჩი), მით უმეტეს, რომ ამ ეპოსის ნაწყვეტი ხურიტულ და ხეთურ ენებზეც არის ნაპოვნი.

არმაზის კერპის გვერდით არც ადგილობრივი ღვთაებანი – მზე და მთვარეა დაჩაგრული. წონასწორობა შენარჩუნებულია ოქროსა და ვერცხლის (მზისა და მთვარის ლითონები) გაცითა და გაიმით.

გაცის და გაიმის (მეორე ვერსიით გაც და გა) ვინაობის შესახებ დასაშვებია შემდეგი ვარაუდიც: – გა სვანურად მიწის ღვთაებაა, გაიმ – თავად მიწა. გაჩ სვანურად დიდი დანაა. თუ დავუშვებთ, რომ გაც და სვანური გაჩ ნათესაური მნიშვნელობებია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაჩ დიდი ხნის წინ, როცა აკინაკის ტიპის მახვილი იყო გაბატონებული, ფალოსის ფორმისა იყო (ანუ ყელე), ანუ მამრული ნიშანი. აქედან კი ახლოა ვარაუდი, რომ გაც (გაჩ) და გა მამრი და მდედრი კერპები იყვნენ. ეს ვარაუდი მით უფრო საინტერესოა, თუ გავიხსენებთ, რომ ვანის არქეოლოგიურ მასალაში, ერთ სარიტუალო სივრცეში, ნაპოვნია მდედრ და მამრ ღვთაებათა ბრინჯაოს მცირე ქანდაკებანი.

მდედრი და მამრი ღვთაებებია ერთ რიტუალში ოსირისი და ისიდა, ურანოსი და გეა, გიორგი და სამზევარი, აპოლო და არტემი, შუმერთა ანქიც ხომ ცისა (ან) და მიწის (ქი), მამრისა და მდედრის შეყრაა. იქნებ გაცი და გაიმიც ასევე ცისა და მიწის ღვთაებრივი შეყრის მისტერიას განასახიერებდა.



ბრინჯაოს ცულზე ხშირადაა გამოსახული ზღაპრული არსება – გველში გარდამავალი მგელი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად ცული, როგორც სარიტუალო იარაღი, განასახიერებდა ბასრი პირით და მისთვის დამახასიათებელი ტრაექტორიით ზემოდან ქვემოთ მიმართულ ძალას. ხომ არ შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ მგელი, ამ შემთხვევაში მთავრის ცხოველი, ერწყმის გველს, მიწის ცხოველს, ანუ - ისევ ცისა და მიწის კავშირი, შესაძლოა ციდან წვიმის, გინდა სითბოსა და სინათლის სახით მოვლენილი ნაყოფიერების სიმბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ არმაზს. თუ მისი ეს ფერისცვალება ქუჯისა და ფარნავაზის, ასევე მათი თანამოაზრე ქურუმების ერთობლივი განსჯის შედეგია, ხამს კიდევ ერთხელ მივიხაროთ ქედი მათი სიბრძნის წინაშე.

წმინდა ნინოს მიერ „არიან ქართლის“ მითითება კი შესაძლოა იმას ნიშნავს, რომ ეს კერპი აზიის სიღრმიდან მოსდევს ჩვენს წინაპარს (არიან ქართლი – არიანთ ქართლი – არეა-ქალდი, არიელები, ინდოევროპული შენაკადი იბერიულ-კავკასიურში).

მთვარის ღვთაებას - თეთრ გიორგის სვანური წარმოდგენით მგლები დასდევდნენ. სვანური სიტყვა მამბერ მგელთა მეუფეს ნიშნავს. სვანები ახლაც იტყვიან – მგლები წმინდა გიორგის ძაღლებიაო. აპოლონის ერთ-ერთი სახეც მგელია. ამ მრავალმხრივ საინტერესო ღვთაებას სხვა კავშირიც მოეძებება ქართულ მითოსთან. მაგალითისთვის ავიღოთ „ხთისკრობა“ (ღვთის კარობა) – ხევსურული დღესასწაული. ღვთის კარს, ანუ ზემოთკენ გახსნილ კარს ნიშნავს კარატის ხატიც – კარი+ტე (შუქერული „ტა“ და ჩეჩნური „ტე“ - „ზე“ თანდებულია). ახლა გავიხსენოთ, რომ ღვთის კარი არის სახელ „აპოლონის“ სავარაუდო მნიშვნელობაც. შესაძლოა წინაპარს სწორედ მთვარე ჰყავდა წარმოდგენილი ხილულის მიღმა სამყაროში გამავალ კარიბჭედ.

მეცნიერთა აზრით გეორგიან სპარსული გურგანიდან (გურგ - მგელი) მოდის. ამდენად, შესაძლოა, რომ სპარსულს იბერთა თვითდასახელება აქვს ნათარგმნი. სხვა წყაროებშიც იკითხება, რომ მაშინდელ წინაპარს თავი მთვარის ღვთაების რჩეულად თუ მსახურად მიაჩნდა და მის ამ პრეტენზიას მეტ-ნაკლებად მეზობლებიც იზიარებდნენ. ამ რწმენის ანარეკლი უნდა იყოს ვახტანგ გორგასლის მგლისსახიანი მუზარადი და სპარსელთაგან შერქმეული ეს მეტსახელიც.

* * *

ფარნავაზიდან მირიანამდე, თითქმის ექვსი საუკუნე იდგა არმაზის კერპი. ამ ხნის განმავლობაში არაერთი დრამატული მოვლენა განვითარდა ამ არემარეში, შეიცვალა არაერთი დინასტია, არმაზი კი შეურყეველად იდგა.

იქნებ იმიტომ, რომ ის იყო ქვეყნის ერთიანობის უმთავრესი სიმბოლო და გარანტი, და კიდევ იმიტომ, რომ მისი კულტის მსახურთა ინსტიტუტი იმთავითვე სწორ ნიადაგზე აღმოცენდა.

დაქუცმაცებულობით განცდილი მრავალი მარცხისა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადგომის გამო მომწიფდა აზრი ნათესავთა ერთ ქვეყნად გაერთიანებისა. ორი დიდი ტომის – კოლხებისა და იბერების, ორი დიდი მთავრის – ქუჯისა და ფარნავაზის ბრძნული განსჯვერეტით დაიწყო ეს პროცესი. ჯერ ენითა და სისხლით ნათესაობა გახდა პირველსაფუძველი, მოგვიანებით კი ქრისტიანობა წამოეშველა და მივიღეთ ქვეყანა ქართველთა, რომელთაც, მეტი ერთობის გრძნობა რომ გასჩენოდათ, სულ სხვა საზღვრებს მოირგებდნენ, მაგრამ იმდენი კი შესძლეს, რომ ისტორიის ქარტეხილებს გადაურჩნენ.

გაერთიანების პროცესში ალბათ აქტიურად მონაწილეობდა ქურუმთა დაწინაურებული ფენაც. არმაზი მკაცრი, მეომარი კერპი იყო და სავარაუდოა, რომ მისი მსახურნიც გარკვეულწილად მის ნიშანთვისებებს ატარებდნენ, ანუ მკაცრი და მტკიცე ხელით მართავდნენ ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს. ათეულობით ტომისაგან ერთი ერის შეკვრა გარკვეულ მსხვერპლსაც მოითხოვდა და წინაპარმა, არცთუ იოლად, მაგრამ ეს არჩევანიც გაკეთა. ასეთი მსხვერპლთაგანი იყო ოდინდელ წესჩვეულებებზე, სალოცავებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმა, ხან კი მათი გულმოდგინედ წაშლა-განადგურება. ამიტომაა, რომ წარმართული კულტურა ჩვენს მითუბში გვიანდელი დანაშრევებით საგულდაგულოდ არის გადაფარული.

მრავალთაგან განსხვავებით, საქართველო სწრაფად და განსაკუთრებულ დაბრკოლებათა გარეშე გაქრისტეანდა, რაც ნიშნავს, რომ იგი სულიერად შემზადებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და ამის მთავარი შემოქმედი სწორედ ქურუმთა დაწინაურებული ფენა უნდა ყოფილიყო, რომელიც, შესაძლოა, თავადვე გახდა ქრისტიანობის პირველი მსახური. ... თავადვე ითავა ბარბაროსულ წესჩვეულებათა კვალის დაფარვაც.

იქნებ რაღაც ნაწილი ვერც გაიმეტა გასანადგურებლად, მაგრამ ისე გულმოდგინედ გადამალა, რომ ვეღარ მიგვიგნია. ამ საგანძურის მისამართი თუ გასაღები ერის მარადიულ თანამგზავრში უნდა იყოს კოდირებული, რათა, თუ ერი გადარჩა, ადრე თუ გვიან, ვინძლო გამჭრიახიც გამოჩნდეს ვინმე და ჩაწვდეს ამ საიდუმლოს. ასეთი საიმედო თანამგზავრი ერისა დედა ენაა. რამაზ პატარიძის „ქართული ასოთმთავრული" ამ მხრივ მართლაც საოცარ, ათასი ფიქრის აღმძვრელ სამყაროს ხსნის ჩვენს წინაშე. თვით დიდი იოანე ზოსიმეც ხომ აგერ ათასი წელია ამას გვიკიჟინებს.

არც ის დავგავიწყდეს, რომ მთავარი არქეოლოგიური აღმოჩენები (მათ შორის ჩვენს მიწაზე) ჯერ კიდევ წინ არის და უახლოეს მომავალში ალბათ ყირაზე დადგება დღეს გაბატონებული არაერთი შეხედულება.

* * *

მოგვთა თაყვანისცემა სახარებაში მინიშნებაა იმაზე, რომ უფალმა ქურუმებს პირველთ მისცა ნიშანი და აგრეთვე უფლება იყვნენ ქრისტიანობის პირველი მსახურნი. ეს იყო ყველაზე სწრაფი და უკოფლექტო გზა ქრისტიანობის გავრცელებისა. აქ თვალნათლივ ჩანს მოციქულთა და მახარობელთა სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა.

როდესაც ანდრია პირველწოდებული საქართველოს ეწვია, იგი პირველ რიგში, უეჭველია, გაეცნო ამ ქვეყნის სულიერ მზაობას და შეხედა ადგილობრივ კულტმსახურთ. სავარაუდოა, რომ სწორედ მათი თანადგომით დაისახა ქვეყნის თანდისთანობით გაქრისტიანების გზა, რომელიც დასრულა წმინდა ნინომ.

ისიც სავარაუდოა, რომ ანდრია მოციქულის შემოსვლიდან ოფიციალური გაქრისტიანების დღემდე კულტმსახურებში მიმდინარეობდა უწყვეტი რეფორმა და მზადდებოდა ნიადაგი ისევ ქურუმთა მიერ. ასე რომ არ ყოფილიყო, განზე დატოვებული ქურუმთა კასტა, რომელიც საკმაოდ გავლენიანი და ძლიერი უნდა ყოფილიყო, იოლად არ დათმობდა პოზიციებს და ეს კონფლიქტი წყაროებშიც ასახებოდა. ამას ადასტურებს ცალკეულ ქრისტეანულ თემთა არსებობაც წმინდა ნინოს შემოსვლამდე.

ასევე სავარაუდოა, რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვაც ადრევე იყო უარყოფილი, თორემ ქრისტეანული წყაროები ფარნავაზის მიმართ ასეთი კეთილგანწყობილნი არ იქნებოდნენ. რეგ მართლის მიერ აკრძალვის შემდგომ კი მსხვერპლშეწირვა ალბათ პერიფერიებშიღა თუ ხორციელდებოდა, ისიც დფარულად.

მთლად ზუსტი არ უნდა იყოს მროველის ცნობა – რევ მართალს ქრისტეს მოძღვრების შესახებ გაგონილი ჰქონდაო. სავარაუდოა, რომ საკმაოდ კარგად იცნობდა, რადგან მის სამეფოში ქრისტიანული თემების არსებობა შეუძლებელია მისი ყურადღების მიღმა დარჩენილიყო, მით უმეტეს ისეთ საფრთხილო ვითარებაში, როგორიც იმწანად უდგა ჩვენს ქვეყანას.

325 წელს, პირველ მსოფლიო კრებაზე ფაზისის ეპისკოპოსის მონაწილეობაც იმის დასტურია, რომ ამ დროისათვის დედა ეკლესია საკმაოდ მაღალორგანიზებული იყო.

* * *

ქვემოთ, ყოველგვარი ეპოქალური და ნათესაური დალაგების გარეშე, ანბანური რიგით, ჩამოთვლილია იმ ტომთა დასახელებანი, რომელთაგან ნაწილი დადასტურებით, ხოლო ნაწილი სავარაუდოდ, ჩვენი წინაპარია ან ახლო ნათესავი. ეს ჩამონთვალი ქართული საბრძოლო ხელოვნების მოყვარულებს შესაძლოა გამოადგეს კლუბის დასახელებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაზა	დიაოხი	კორაქსი	სანი	შავში
აბაზგი	დიდო	კორიბანტი	სანიგი	შაფსუღი
აბაში	დოლეიონი	კოხი	საპირი	შკვითინი
აბაძეხი	დრილი	კულხი	სასპერი	ჩაჩანი (ჩეჩენი)
აბგა	ეგრი	კუნი	სედოხეზი	ჩერქეზი
აბეშლა	ენეტი	ლაზი	სვანი	ჩხუმი
აგული	ვიტერუნი	ლაკი	სინდი	ძაბახი
ადიღე	ზაბახი	ლასხი	სინტია	ძიდრიტი
ავარი	ზანი	ლბინი	სკვითინი	წანარი
ალბანი	ზიგი	ლეგი	სკვიმი	წახური
ანდი	ზიხი	ლეზგი	სოანი	წენი
არჩი (არქი?)	თაბალი	ლელეგი	სუბარი	წოვა
აფშილი	თაბასარანი	მაკრონი	სუჯი	წუქი
აფხაზი	თალი	მანაელი	ტაოხი	ჭანი
ახვახი	თინდი	მარგვი	ტიბარენი	ჭემგუე
ბაგულალი	თუბალი	მარი	უალი	ჭილბი
ბათი	თუსქი	მატიენი	უდი	ხათი
ბალთუხი	თუში	მახელონი	უჟიკი	ხალდი
ბაცბი	იბერი	მედოზვი	ფასიანი	ხალიბი
ბეჟთა	ინგუში	მეოტი	ფეაკი	ხვარში
ბექირი	კაბირი	მესხი	ფილირი	ხინალუგი
ბიძერი	კადუსიანი	მეშექი	ფსესი	ხუნძი
ბოთლიხი	კალარჯა	მირმიდონი	ქათარზა	ხური
ბეედული	კარატა	მისიმიანი	ქალდი	ჯავახი
ბუდუხი	კარდუხი	მოსინიკი	ქამალალი	ჯიქი
გარგარი	კარიელი	მოსოხი	ქარდუ	ჰალიძონი
გელი	კასპი	მოსხი	ქართი	ჰენიოხი
გოდობერი	კახი	მუშქი	ქასქი	ჰერი
გუგარი	კერკეტი	ოძრახე	ქაშაგი	ჰინუხი
გუთია	კილხი	პელასგი	ქისტი	
დაიაენი	კლარჯი	რანი	ქრიზი	
დარგანი	კოიტი	რუტული	ღალღა	
დარდანი	კოლი	სავი	ღილღი	
დვალი	კოლხი	საია	ღლიღვი	

ნაცნობი სტრიქონები

„რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი სიმაგრე, მისი ფარ–ხმალი. ვაჭკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!..“

ილია

დღეს დედამიწაზე პატარა კუნძულადღა შემორჩენილა იბერიულ-კავკასიური ენის ხალხთა შთამომავალი რამდენიმე მცირერიცხოვანი ერი, რომელთა წინაპრებმა არაერთ უდიდეს ცივილიზაციას და, მათ შორის, როგორც ირკვევა, თანამედროვე ევროპულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივილიზაციასაც მისცეს დასაბამი. ამიტომ, ამ ხალხების ყოფა და ეთნოგრაფიული მასალა თანამედროვე მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ მიზეზთა გამო საქართველოს ზოგი კუთხე ცოცხალი ეროვნული დასტურად გავიხსენოთ ახლახან პროფესორ ი. კვიციანის მიერ სვანეთში ჩაწერილი წყველა: გამწყრალ ბებიას მიუთახვია შვილიშვილისთვის – შენ წადი კიმირებშიო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კუთხის მეხსიერებაში ცოცხალივით თანაარსებობს თითქმის სამი ათასი წლის წინ გადაშენებული ხალხი – კიმერიელნი.

ზღვა მასალა, რაც ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლოა საინტერესო იყოს, დღეს ყველასთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით. სწორედ ამიტომ ინტერნეტში განთავსებული მასალის გაცნობა და მის შექმნაში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა საგანგებო პოლიტიკის საგანი უნდა გახდეს. საბედნიეროდ, ჩვენი ჩარევის გარეშეც, არაერთი მოუკერძოებელი უცხოელი მკვლევარი განამტკიცებს და ანვითარებს ქართველ მეცნიერთა საუკუნის წინანდელ განჭვრეტას, რომ სწორედ წინარექართველნი იდგნენ ევროპული ცივილიზაციის სათავეებთან. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ამ არემარეებს ბევრად გვიან მოვლენილ ხალხთა წუწკი შთამომავლები შესაშური სიბეჯითითა და სიმარჯვით ცდილობენ ყველაფერი თავად მიიწერონ. ასეთიც განუცხადებიათ – ჩვენმა წინაპრებმა მისცეს მსოფლიოს ბორბალი, მეტალურგია და ვაზის კულტურაო!

რაც დრო გადის, მეცნიერები სულ უფრო თამამად აცხადებენ, რომ სწორედ კავკასიელი ხალხია ევროპული ცივილიზაციის მთავარი მესაძირკვლე. გარდა არქეოლოგიური მასალისა, ამ საკითხზე მსჯელობისას ყველაზე სანდო ალბათ ისევ ბერძნული მითებია, რადგან ელინები იყვნენ ის პირველი ევროპელები, რომელთაც ღრუბელსასვით შეისრუტეს ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის ხალხთა კულტურული მონაპოვარი. თვალი გავადევნოთ რამდენიმე მითს:

მითი ევროპეს მოტაცებაზე შესაძლოა ასეც წავიკითხოთ: რაკიღა მომავალმა ევროპელებმა თავად ვერ მიაგნეს ევროპას, ახალ სამყაროში დასამკვიდრებლად მომწოფებულმა ზეკმა გაიტაცა იგი და აშობინა შუალედური რგოლი – მინოსი, რომელსაც შორეული, საოცნებო კოლხეთიც შემოუერთდა აიეტის დის, პასიფაეს სახით. მითის სიმბოლიკა ასე ყოერს - კოლხურმა ღვთაებამ წინაარიული კულტურა გაიტანა ევროპაში.

თეზევსის მითში კი უნდა იგულისხმებოდეს, რომ ბერძნებს, ისეთი რთული კულტურის ლაბირინთში, როგორიც იყო მინოსური კულტურა, დამოუკიდებლად გზის გაგნება უჭირდათ. თეზევსს მინოსის ქალიშვილი არიადნა ეხმარება. მისი ძაფის გორგალი უცხო სამყაროში გზამკვლევის სიმბოლოა (მით უმეტეს, რომ ერთი ვერსიით ეს გორგალი თვით ლაბირინთის ამგებს, ბრძენ დედალოსს მოუცია არიადნასთვის, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ ეს რაღაც ცოდნის გასაღებია და არა უბრალო ძაფის გორგალი). ხარის კულტის ირგვლივ აგებული ირაციონალური სამყაროს მთავარი სიმბოლოს - მინოტავრის დამარცხება ახალი ეპოქის დასაწყისს უნდა მოასწავებდეს. ამ ორი მსოფლაღქმის შეჯახება, მათი კონფლიქტური ბუნება და ერთის მიერ მეორის უარყოფა კაცობრობის შემდგომი წინსვლის დიალეტიკური პირობაა.

მინოსური სამყარო, პირთვნების დაფასებით და თანასწორობის იდეით, ძალიან ჰგავს შუმერულს. ეს მსგავსება იმ ეპოქისთვის უმაგალითოა. მეფეს შუმერებიც სხვათა ტოლი ზომით გამოხატავდნენ. ღმერთების საკრებულიც პარლამენტს წაგავს და მეფე კი დედამიწაზე მათი მოხელესავითაა.



კრეტელი მეომრები

მინოსის სასახლეში 4 ათასი წლის წინანდელი ევროპული სულის ჩანასახია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ფრესკებზე გამოხატული ადამიანები. ერთი მათგანი მერიქიფეა, მაგრამ თვალში გეცემთ მისი ღირსების გრძნობით აღსავსე იერი. ასევე საინტერესოა წინა პლანზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრეტული საოცრებანი

თაბისუფლების მეორეული სული
35 საუკუნის კრეტულ ფრესკაში

გაუშიფრავი
„ფესტოს ფირფიტა“

მინოსის სასახლის ფრესკები
„მეფე ჟურუმი“ და „პარიზელი ქალი“

იგივე გამოსახულებანი მესტიაში ნაპოვნ „მედალიონზე“

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინოსური კულტურა

ხარზე ხტომა

ხარზე მხტომის
ბრინჯაოს ფიგურა

კრეტული მცირე ქანდაკებანი

ეგვიპტური ბარელიეფი კრეტელი ელჩების გამოსახულებით

www.nplg.gov.ge

გამოტანილი, ხარზე ხტომის მომზირალი მზიარული ქალები, რომელთაც, აღმოსავლური ფრესკებისგან განსხვავებით, არაფერი სცნიათ მამაკაცთა მონური მორჩილებანი.

შეეჯახების მეორე ობიექტი კოლხიდაა. აიეტი მინოსის ცოლის ძმაა, ანუ ორთ სამყაროს წარმოადგენენ. არგონავტთა მითშიც მსგავსი ღერძია გატარებული - ბერძენნი უძღურნი არიან აიეტის მიერ დასახული ამოცანების წინაშე და ისევ ამ კულტურის წარმომადგენელის, მედეას დახმარებით აღწევენ მიზნას.

არგონავტებში არაბერძნებიც ერიენენ, რაც შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ საწმისად სახელდებული ცოდნა, ტექნოლოგია თუ კულტურა ხმელთაშუა ზღვისპირეთში იშვა და წინარექართველთა მიგრირებულმა ნაწილმა კოლხეთში წამოიღო, რასაც პელოპონესში დარჩენილნი არ შეურიგდნენ და უკან დაბრუნება სცადეს (გავიხსენოთ, რომ მითის თანახმად ჰელიოსის ძეს აიეტს მემკვიდრეობით კორინთო ერგო, მაგრამ მან კოლხიდა ირჩია).

ეს ორივე მითი ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ორივე ერთად – მოუბეზრებელ ზღაპარს კონკიზე: - როდესაც გმირი დიდი კულტურული თუ სოციალური უფსკრულის წინაშე დგება, ერთადერთი გზა მისი გადალახვისა არის ბუნების ის კანონი, რომელიც კაცთა მიერ დაწესებულ კანონებს არად დაგიდევს, ანუ სიყვარული.

ამბის ასეთ განვითარებაში კიდევ ერთი რამაა საინტერესო – ამ გზით ეს ორი სამყარო ნათესავდება და ძველი ახალში განაგრძობს არსებობას...

და კიდევ – ორივე მითში ბერძნები უგულოდ მიატოვებენ ქალებს. არც მადლიერების გრძნობა აქვთ და არც სიყვარული. ამით თითქოს მათი სუსხიანი რაციონალიზმია ზაზგასმული, თორემ საკუთარი თავისთვის ასეთი უმადურობა რატომ უნდა დაებრალებინათ.

* * *

ამ ამბებიდან მალე, ორიოდე თაობის შემდეგ, ბერძნები ტროაზეც გაილაშქრებენ, რომელიც ამავე, წინარექართველთა მიერ შექმნილი სამყაროს ნაწილია, მისი ერთ-ერთი უკანასკნელი სიმაგრე. ასე, რომ ბრძოლა ფართო ფრონტზეა გაშლილი...

ტროა დასაცემადაა განწირული. ღმერთებმაც კი პირი შეკრეს მის წინააღმდეგ - ქუუმი ლაკოონი, რომელიც აფრთხილებდა თანამოქალაქეებს – არ შეეტანათ ქალაქში დანაღმულად მიძღვნილი ხის ცხენი - დაბრმავეს, მისი ვაჟები კი დიდ გველებს დაახრჩობინეს. ლაოკოონის შვილების მიმართ ასეთი უსამართლობაც არ უნდა იყოს შემთხვევითი და რაღაც საოჯახო ცოდნის, კასტის ან მსოფლმხედველობის ამოძირკვას უნდა გულისხმობდეს.

ომის ღმერთი არესიც კი ვერას შველის ტროელთ, შველის კი არა, თავადაც დაიჭრა ბრძოლის ველზე.

თვით აქილევსი, თითქმის უკვდავი გმირი და ტროელთა ნათესავთაგანი, იბრძვის ბერძენთა მხარეს და უმისოდ ამ ბრძოლას ბერძენთათვის კარგი პირი არ უჩანს. აქ ალბათ ისიც იკითხება, რომ ძველი სამყარო უკვე დაქსაქსულია და ნათესავი ტომები – ურთიერთგაუცხოებული (ენევსიც ხომ მხოლოდ მას მერე ერთვება ბრძოლაში, რაც აქილევსმა მისი ქონება ხელჰყო).

მაგრამ ტროელებმა იციან ბრძოლა. ასი ათასი ბერძენი უტევს ქალაქის ათჯერ ნაკლებ მეცხოვნეთ და ათი წელია ომს ბოლო არ უჩანს. ღმერთებისა და აქილევსის მხარდაჭერაც არაა საკმარისი და ისევ ნაცადი ხერხი – მოტყუება, რაშიც ბერძნებს რატომღაც ყოველთვის უმართლებთ. ახლაც, რაციონალურმა ბერძნებმა ირაციონალურ ტროელებს ზუსტი გასაღები მოუძებნეს – ცხენი. აქაურებს ხომ განსაკუთრებულად უყვარო ცხენი: - გაიხსენეთ მეფე პრიამოსი, რომელსაც ჭაბუკობისას მონახულებული ფრიგია ფიცხელი რაშებით დამახსოვრდა; - გაიხსენეთ ტიგლატფილესარი – თაბალს ხარკად მისი განთქმული მაღალი ცხენები დაუწესეთო; - გაიხსენეთ კაპადოკია, რაც სპარსულად ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს; გაიხსენეთ თოთხმეტი ათასი წლის

K 23525

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ზრამის პეტროგლიფი, რომელზედაც ბადეში გაბვეული ცხენია გამოსახული, რაც ამ ცხოველის დაუფლებას ნიშნავს. ამ სამყაროს ესოდენ დაწინაურებულ სწორედ ცხენის ადრე მოშინაურებამ განაპირობა და ამიტომ იგი ერთ-ერთი დიდი ტოტემია.

ძველ ბერძენთათვის, ჩანს, იმდენად უცხო იყო მედეას მოდგმის ირაციონალური ბუნება, რომ ევრიპიდემ უყოყმანოდ მიაწერა მას ქმარზე შურისძიების მიზნით საკუთარი შვილების დახოცვა. მით უმეტეს, რომ მითის თანახმად მედეამ სიყვარულს ძმის სიცოცხლეც უყოყმანოდ შესწირა. ამგვარი პიპერბოლებით ძველი ბერძნები თითქოს თავისი უპირატესობის (განსჯა განცდაზე წინ) ხაზგასმას ცდილობენ.

ამ საკითხზე ლეანდროც ამახვილებს ყურადღებას „ლაკოონში", როცა ჰომეროსის მიერ აღწერილ ემოციურ ტროელებსა და გაწონასწორებულ ბერძნებს ადარებს. მისი აზრით ჰომეროსი ამ ხერხით ხაზს უსვამს წინააზიელთა ბარბაროსობას.

ჰომერესს მართლა ასე რომ ეფიქრა, მაშინ ასეთ დიდ განცდას ვერ ჩაგებდა ჰეკტორის ცხედრის გამოსახსნელად აქილევსთან მისული მოხუცი მამის შემზარავ ვედრებაში. თუ ეს განცდა ბარბაროსულია, მაშინ რა უნდა დაერქვას ზღვის ღელვით შშინებული ბერძენთა წინამძღოლის, აგამემნონის მიერ საკუთარი ქალიშვილის, იფიგენიას მსხვერპლად შეწირვას. ამიტომ, ალბათ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰომეროსი ტროელთა სხვაგვარობას ასახავს ამ ხერხით, და არა ბარბაროსობას.

ისტორიისთვის ცნობილია ასეთი ფაქტიც – სოლონს, რომელიც ზომიერების მომხრე ყოფილა, ხმამაღალი გოდებითა და თავპირის ხოკვით ვლოვა აუკრძალავს. რაკიღა ძველი ბერძნები ესოდენ ნაკლებემოციურნი არიან, იქნებ ეს აკრძალვა პელოპონესზე შემორჩენილი, მათთვის უცხო და უჩვეულო კულტურის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მოგვიანებით, დელფოში, ბერძნებმა წინააზიელი აპოლონი გონების ღმერთად აქციეს, მაგრამ სცადეს მისი მორიგება გრძნობის ღმერთ დიონისესთან – აპოლონს არდადგების მაგვარი რამ შეუთხზეს და ამ პერიოდში დიონისეს ეთაყვანებოდნენ. ეს შესაძლოა ბერძენური მიზეზრა იყო, შესაძლოა ამ ღვთაებათა სამშობლოს გამოცდილება – რომ საზოგადოების განვითარება ევოლუციური გზით უმჯობესია. ცივილიზაციის ფაზა ოდითგან მონაცვლეობს კულტურის ფაზასთან. იცვლება მოდა, იცვლება წესწყობილებანი. ამით საზოგადოება თითქოს დამყავებას გაურბის და ყოფიერებას იფერადებს. თუ ამ სპირალურ განვითარებაში ხელოვნურად დამუხრუჭდა რომელიმე ფაზა, დრო რევოლუციური გარღვევით ნაზღაურდება. რბილი, ევოლუციური გადასვლის მაგალითია შუმერთა დამკვიდრება პროტოშუმერულ კულტურაზე, ასევე ხათის ქვეყანა, სადაც ხეთური ეთნოსის შესვლა, დამკვიდრება და ხათის კულტურასთან შერწყმა უმტკივნეულოდ მოხდა.

ნიცშესა და შპენგლერის ქადაგებანი ფასეულობათა გადაფასების ჟამის დადგომის შესახებ ტექნიკური რევოლუციით განპირობებული სწრაფი ცვლილებების წინათგრძნობა იყო. მსგავსი დრამატიზმი იკითხება წინაანიურ და ბერძნულ ცნობიერებათა შეჯახების ეპოქაშიც. მსოფლმხედველობათა ამ ჭიდილში არსად ჩანს რასიზმისა და ქსენოფობიის კვალი – ეთიოპთა მეფე მემნონი ტროელთა დასახმარებლად იბრძვის, პელაზგი აქილევსი - ნათესავთა წინააღმდეგ. პროცესი კი რაღაც მიზეზთა გამო კონფლიქტურად წარიმართება – ან წინააზიელნი აჯანჯღლებენ, ან ბერძნები ჩქარობენ.

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ პელოპონესსა და წინა აზიაში ცვლილებათა დრო ბერძნებთან ერთად და ბერძნების სახით მოვიდა.

მოგვიანებით, წინა აზიის ტერიტორიაზე, ამ ორი დაპირისპირებული ხალხის მიერ შეიქმნება დიდი სახელმწიფოები და მათ განსამტკიცებლად არა მარტო მხარდამხარ იბრძოლებენ გუშინდელი მტრები, არამედ შესანიშნავ კულტურასაც შექმნიან. თითქოს ამის წინაპირობაა დანგრეული ტროადან ლტოლვილი, ჯერ კიდევ ჯავრგამოუნელებელი

ენევსის საქციელი, როცა მან კიკლოპთაგან იხსნა ოდისევსის რაზმს ჩამორჩენილი გუშინდელი მოსისხლე მტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაცილო პანთეონი

ზემოთთქმულ მოსაზრებათა გასამყარებლად მცირე ხნით კიდევ უფრო ღრმა წარსულში გადავინაცვლოთ.

პირველ მიწათმოქმედთათვის მიწის ღვთაება ერთი უმთავრესი სალოცავი იყო, რადგან მის კეთილგანწყობაზე მნიშვნელოვნად გახლდათ დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლე და კეთილდღეობა. სადღეისოდ ნაპოვნია მრავალი კერპი დიდმკერდიანი და ფაშვიანი დედაკაცის გამოსახულებით. მისი კულტი იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე იკითხება ცეკვა-სიმღერასა თუ რიტუალებში. ამ თიხის თოჯინებს ალბათ დედა უფალი ერქვა და შესაძლოა სიტყვა „დედოფალაც“ აქედან მოდის. მუსიკის მკვლევარებს თუ ვერწმუნებით, მიწის ღვთაებას ჯერ კიდევ ნეოლითელი წინაპარი უმღერდა „ნანას“.

ნიადგ მიწის მნიჩჩნელი და ტალაზში მოგუნგრავე ტახი კი, უმწეო ადამიანს ალბათ ამ ღვთაებასთან საუკეთესო მეკავშირედ ეჩვენებოდა. სხვათა შორის, ჩვენში დღემდე შემონახულ ქიზიყურ „ღორულ“ ჭიდაობასაც აშკარად სარიტუალო ელფერი დაჰკრავს და, შესაძლოა უძველესიცაა არსებულ რიტუალთა შორის.

რაკიღა პალეოპონესზე ახლადშეჭრილ მომთაბარე ბერძენთათვის გაუგებარი და უცხოა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რიტუალები, ტახის კულტი აღმოსავლეთით დარჩულ ადგილობრივ ტომებს წამოჰყვება და თითქმის სამი ათასი წლის განმავლობაში შემონახება მათ კულტურაში (გავიხსენოთ სამეგრელოს სამთავროს გერბი), ბერძნებს კი ამ კულტის მკრთალი ანარეკლი შემორჩებათ მითში ანთეოსზე, რომელიც მიწასთან შეხებით იკრებს ძალას, რადგან გეას, მიწის ქალღვთაების პირმშოა.

მოგვიანებით, ახალ მიწებზე დამკვიდრებული ბერძნები, რომლებიც უკვე თავად მისდევენ მიწათმოქმედებას, ტახის მიმართ ოდინდელი მტრობის ახსნას დროის შესატყვისი მიზეზით ცდილობენ („კალედონიური ნადირობა“) – არტემიდეს მიერ მოქსეული ტახი მათ ყანებს ანადგურებს.

ფრიგიაში კი, სადაც არტემიდეს კულტს განსაკუთრებული ფესვი აქვს, უომრად შემოჭონილი ბერძნები უფრო ღრმად ექცევიან ადგილობრივ ხალხთა (მუშქთა, თუბალთა) კულტურულ ტყვეობაში და მათთან ერთად აგებენ ქალღმერთის განთქმულ ტაძარს.

ბერძენთა მითოლოგია მოკლებულია გრძნეულებას. ფრაზა „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“ - ოლიმპიელ ღმერთებზეა ზედგამოჭრილი. ისინი ჩვენსავით განიცდიან, ეშმაკობენ, ტყუვდებიან, წყვილდებიან, ადამიანებთან ტოლებივით ქიმპობენ და ახე შემდეგ. იქნებ ბერძნული მითოლოგიის მომხიბლაობის საიდუმლო სწორედ იმაშია, რომ მათ წინამორბედი ცივილიზაციის ქუფრი, იდუმალი სამყარო გაამარტივეს, გაადვილეს და „საპნის ოპერასავით“ ყველასათვის გასაგები გახადეს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც კომედიოგრაფ არისტოფანეს პიესა „ფრინველები“.

ვცადოთ და წარმოსახვის მეშვეობით წუთით გადავინაცვლოთ ანტიკურ საბერძნეთში, ამ პიესის პრემიერაზე.

ჰომერულ ხარხარს მოუცავს მაყურებლით გადაჭედილი დარბაზი. სასაცილო კი ის არის, რომ წუწკი ფრინველები ღმერთებისთვის განკუთვნილ სამსხვერპლოს წასჩვენიან და დამშეულ ღმერთებს მუცლის გვრემა ასტეხიათ.

თითო „გამოჩენილი“ ათეისტი შესაძლოა ყველა თაობასა ჰყავდეს, მაგრამ ასეთი მასობრივი ათეიზმი, თან იმ ეპოქაში, ყოვლად არაბუნებრივი და დაუჯერებელია, განსაკუთრებით ისეთი სულიერების ხალხისგან, რომელიც დღემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ბურჯია. ისიც ჩანს, რომ იმდროინდელ ბერძნებს საკმაო შიში და რიდი აქვთ იმ ღვთაებებისა და რიტუალებისა, რომელიც ან თავისია, ან თავისას მიამსგავსეს (მაგ. დელფოს სამისნო).

ზემოთთქმული და კიდევ ის, რომ მითების თანახმად მიწისქვეშეთის სამივე მსაჯული არაბერძენია, ან თუნდაც ის, რომ ამ პანთეონის ომის ღმერთი – არესი ბერძენ გმირთან ორთაბრძოლაში მარცხდება, ან თუნდაც ის, რომ აპოლონი მალიმალ იცვლის ფუნქციას, ხოლო ოლიმპოს იერარქიით მეორე პირი – ჰერა სრულიად უფუნქციოა და ეჭვიანობისა და წვრილმანი ინტრიგების ხლართვის გარდა არაფერი ეხერხება – განა იმაზე არ მეტყველებს, რომ ბერძნული მითოლოგია სინამდვილეში ზედაპირულად წაკითხული უცხო კულტურაა, რომელიც ბერძნებმა ამ კულტურის შემქმნელ დამხვდურ ხალხთან ერთად შეისრუტეს.

აქ კი კვლავ გავიხსენოთ სახელგანთქმული კალედონიური ნადირობა, რომელიც ტახის, როგორც ტოტემის და შესაბამისად, მისი კულტურის დამარცხებასა და შთანთქმას უნდა ნიშნავდეს, თორემ ამხელა ეპოპეა, ყველა ბერძენი გმირის მონაწილეობით, ერთი ღორის მოკვლას ხომ არ მიეძღვნებოდა. ეს ტახი წინაარიული ღვთაების, არტემიდას გამოგზავნილია. დავსვათ კითხვა: რატომ უნდა დაედგა ბერძენს ამგვარი უცხო და მტრული ღვთაებისთვის ყველაზე საოცარი ტაძარი?

შემდეგი კითხვა – ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რამდენად დასაჯერებელია, რომ არტემიდა ეფესელის ტაძარი ადგილობრივ ხალხთა ძლიერი კულტურული მუტის გავლენითა და ამ ხალხთა აქტიური მონაწილეობით არის შექმნილი?

ასეთი კითხვა იბადება ასკლეპიოსის ტაძართან, ჰელიოსის კოლოსთან, ჰალიკარნასის მაგზოლეუმთან და ამ ეპოქის მრავალ სხვა საოცრებასთან დაკავშირებით. წინა კულტურის გავლენა ამ ტერიტორიებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ უკვე გაბერძნულებული ფრიგიის მეფეს, მიდასს ასირიელნი ინერციით კვლავ მუშქის ეძახდნენ.

ასევე გაცხარებით ებრძვიან საუკეთესო ბერძენი გმირები ხარს და ამას მხოლოდ მაშინ ეძლევა აზრი, თუ დავუშვებთ, რომ ეს ბრძოლა დამხვდური ცივილიზაციის კულტთანაა გაჩაღებული: ჰერაკლე კრეტის ხარს ებრძვის, თეზევსი – მარათონის ხარს და მინოტავრს, იასონი – აიეტის სპილენძისჩლიქიან ხარებს.

ქართულ მასალაში კი ხარის მიმართ სრულიად სხვა დამოკიდებულება იკითხება. გავიხსენოთ თუნდაც ზღაპარი „წიქარა", ან მეგრული ჭიდება „კურული".

ნუთუ ვინმეს გულწრფელად სჯერა, რომ ასეთი სიმღერისა და ცეკვის შემოქმედ ერს, ამასთან, დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე სრულქმნილი ენის პატრონს, ორი ათასი წლის წინ ქვის გათლა არ შეეძლო და ეს ნიჭი მხოლოდ შუა საუკუნეებში გაგვეფურჩქნა. უფრო თამამად უნდა ვეძიოთ ჩვენი წილი ანტიკურ ხელოვნებაში და არა მხოლოდ საქართველოს მიწაში. ჩვენი ძველი კულტურის უმეტესი ნაწილი ხომ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზეა მიმოფანტული. როცა ეს საოცარი სამყარო აღმოაჩინეს და თარეებზე გადაანაწილეს, ჩვენ მაშინ პრეტენზიების გასაცხადებლად მზად არ ვიყავით. იმპერიამ კი ისე მოგვიწყო საქმე, რომ ეროვნული ამბიცია კი არა, ქართველობის შეგრძნებაც კი წაგვშლოდა და ამ მიზნით, აგერ ახლახან, ენის ამოძირკვაც კი სცადა. ამის შედეგია დღემდე გამოყოლილი ჩვენი მორცხვობა, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ამირანი პრომეთეად გვგონია ნასესხები. ჩვენდა საბედნიეროდ, ისევ უცხოეთში მწიფს აზრი დამკვიდრებულ შეხედულებათა გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. თუ ამ საქმეში წინმძღოლობას ვერ შევძლებთ, დავეხმართ მაინც.

ხოლო თუკი ვინმეს ზემოთმოყვანილი მსჯელობა ოდენ აულაგმავი ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია, გულდასმით ჩაიკითხოს ეს ნაწყვეტი: - „იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა..." - რას უნდა ნიშნავდეს დონ ქრისტოფორო კასტელის მიერ XVII საუკუნეში საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართ თქმული ეს სიტყვები? შედარება იმდენად კონკრეტულია, რომ აშკარად არ ჰგავს ემოციურ წამოძახილს. სავარაუდოა, რომ მან, ჩვენსკენ გამომგზავრებამდე, როგორც მისიონერმა და ემისარმა, შესაბამის არქივებში გულდასმით შეისწავლა საქართველოს შესახებ არსებული მასალა და რაღაც ჩვენთვის უცნობი წყარო აქვს მხედველობაში. ეს მასალა ალბათ ახლაც იქ იმყოფება და დედუქციური ალღოთი დაჯილდოებულ ქართველ მკვლევარს ელის.

მეცნიერთა მიერ უკვე მოძიებული და გაანალიზებული მასალა საჭიროებს საბრძოლო ხელოვნების თავისებურებებში ჩახედულ მკვლევართა მიერ თავიდან გადაჩხრეკას, რაც საშუალებას მოგვცემს ამ მასალაში მიგაკვლიოთ დღემდე უცნობ და გაუშიფრავ შრეებს.

ამ მიმართულებით კვლევა რთულდება იმითაც, რომ სასურველი შედეგის მისაღებად საჭიროა ისეთ განსხვავებულ დარგთა ზედდება, როგორებიცაა - ისტორია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, მუსიკა, ქორეოგრაფია, მხატვრობა, მეტალურგია, მედიცინა, სპორტი, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, სამხედრო ხელოვნება და სხვანი. სიახლის პოვნა ხშირად მხოლოდ მათ გადაკვეთაზეა შესაძლებელი, რაშიც თავადაც არაერთხელ დავრწმუნებულვარო.

მაგალითისთვის იკმარებდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ცნობილი სტრიქონი: „აღარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა“. აკადემიკოსმა ავთანდილ ციბაძემ, რუსთველოლოგიისა და სპორტის ისტორიის პარალელური ანალიზით შეძლო დადგენა, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ სამხედრო ორჭიდთან - ნადირობა, შემდგომ ბურთაობა. როგორც ჩანს, ეს იყო საკმაოდ მკაცრი წესი, რომლის დარღვევას მეფეც კი ერიდებოდა. გაეიხსენოთ კიდევ ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“: „უცხო მოყმის მიერ მონების დახოცვითა და გაუჩინარებით გამწყრალი როსტევანი ნადირობის შეწყვეტას ბრძანებს, რის გამოც „ზოგი, ღმერთო, უზრახვიდა.“ ამ ტრადიციის გვიანდელ ანარეკლს მომდევნო თავში კვლავ შეხვდება მკითხველი.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ოქრის ლომი, ძვ.წ. III ათასწლეული

1. ლომის ხატი ჩვენში იმდროინდელი უნდა იყოს, როცა წინარექართული ტომები სამხრეთით ბინადრობდნენ და ლომებსა და ვეფხვებს მხოლოდ ჟურმოკვრით არ იცნობდნენ (ლომზე შემდგარი მეომარი - ხალდი ურარტუს მთავარი ღვთაება იყო).

2. ამ ხეთურ ბარელიეფზე გამოსახულია ღვთაება, რომელსაც ხელთ შუბი უპყრია. მკვლევართა საერთო აზრით ხეთემმა, რომლებიც 5 ათასი წლის წინ მოვიდნენ წინა აზიაში, ადგილობრივი ხათის ხალხისგან უცვლელად მიიღეს ტოპონიმები, მეფეთა სახელები და ღვთაებები. ეს სიტყვები ჩვენი ჟურნისთვის არც თუ უცხოდ ყღერს: მთა – ცივნა; ქვეყნები და ქალაქები - ხათილი, არცავა, ქიცუვათნა, ხათუსა, სამალი; დასახლებანი – ცანცისნა და ლაფანა; მეფეები - თუთხალია, ლაბარნა, ზუცია, მურსილი, ამუნა, ციდანთა. ტახტის მემკვიდრის დედა - თავნანა (მთავარი დედა?); ამინდის ღვთაებანი – სანთა, დათა, თარხუნი, ცისა და ნამნი; ქალღვთაებანი – ისხასხურა, იაია, ცახაფუნა, ნინათა. გადასახადს სახანი ერქვა, უმაღლეს სათათბიროს - თულია (გაიხსენეთ მესხური თულო-წრე).

ჭექა-ქუხილის ამ შუბოსან ღვთაებას კი თეშუბი(!) ჰქვია. ეს კი შესაძლოა ნიშნავდეს, რომ სულ ცოტა 5 ათასწლეულია ამ იარაღს შუბი ჰქვია და ქართულმა უშუალოდ წინაპარი თუ მონათესავე ხათის ენიდან მოიტანა დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. არც ლიდიელთა მეფის სახელი „გიგი“ არის ჩვენი სმენისთვის უცხო. ეგეოსი სიმდიდრით ლეგენდად ქცეული კროისოსის, იგივე კრეზის პაპის მამა. ... ბერძნული წყაროთი გიგიდ, ასურული წყაროთი გუგუდ მოიხსენიება). ეზეკიელი მას უნდა გულისხმობდეს, როცა მოიხსენებს მაგოგის ქვეყნის მთავარს გოგს (როშის, მეშექისა და თუბალის ტომთა მთავარს), აღწერს მის დიდ და კარგად აღჭურვილ ლაშქარს. ეზეკიელი ძვ. წ. VI საუკუნეში ცხოვრობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ლიდიაში ჯერ კიდევ ეს ქართული ტომები იყვნენ მთავარნი. აქვე გავიხსენოთ ჰორაციუსის მიმართვა მეცენატისადმი - ლიდიელთაგან ვერვინ შეგვდრებაო გვარის წარჩინებით (იგულისხმება ეტრუსკული წარმოშობა, რაც რომში სიამაყის საგანი იყო).

ლიკიის დედაქალაქს კი პატარა ერქვა (ურარტულად კარავთა ქალაქს ნიშნავს), ხოლო მთავარ მდინარეს - ქსანი. ლიკიელთ ჰქონდათ საკუთარი ენა და დამწერლობა. მათი გამორჩეული ღვთაება იყო პპოლონი. მისი ლირა ადგილობრივ მონეტაზეც კი იყო ამოტეიფრული. გადმოცემის თანახმად ისინი აქ კრეტიდან გადმოვიდნენ და თავის ქვეყანას უწოდეს მილიადა, ტომებს კი ერქვათ სოლიმები და თერმილები. აქაური ბელადები – სარპედონი და გლავკოსი ტროას მხარეზე იბრძოდნენ.

ამ მხრივ საინტერესო ტოპონიმებია სტაგირი, რომელიც არისტოტელეს მშობლიური ქალაქია მაკედონიაში და აგრეთვე პროვინცია ძველ კახეთში, ბერძნული ტოპონიმები კორინთო და კარალია (შეადარე – კორინთა და კარალეთი), ან თუნდაც ჩვენებური სოფლები ხეთა და ლაბრა.

სანგარია (ამჟამად საქარია) ერქვა დარდანელთან ახლოს შავ ზღვაში ჩამავალ მდინარეს.

ახლა გავიხსენოთ მცირეაზიური დასახელებანი: მდინარეებისა: გალისი და ენგუ-ჩაი, დასახლებათა: მესტია, ქობულათუს, თიანითის, ქუთაია (ფრიგიაში), კუტა (ურარტუში), სორა;

გავიხსენოთ თუნდაც შუმერული ღვთაებანი: იშხარა, ნანარი, აია, აგრეთვე ქალაქები ლარსი, კალხუ და ქუთა.

ასევე საინტერესოა სვანეთში რამდენიმე ათასწლეულის წინანდელი შუმერული ღვთაებებისა და ტოპონიმების არსებობა - ენგური, ლახამი, ლახამუღა, ლამარი და სხვანი (იხ. - „ENKI AND THE WORLD ORDER“, by Samuel Noah Kramer). სხვათა შორის თვით მესტიას აკამომდე სეთი ერქვა.

შეუძლებელია ამ შუმერულ სიტყვათა მსგავსება ქართულთან უბრალო დამთხვევას მიეწეროს: აგარ – მინდორი (აგარა); ბალ-ბალ – საუბარი (ბალ-ბალ – ჭიდობა (ჭან.)); ბარბარ – ვარვარი; ბარი – დაბლობი, ბარი; ბულბული – ბულბული; გა – გორა, გა (მეგრ.); განა – მინდორი (ანა); დერგ – დერგი; დუქ – თიხის ჭურჭელი (დოქი); ენემ – ენა; ერიმ – ხალხი (ერი); თუნირ – თორნე; იზი – ეზო; მა – მე; მარუნ – მარანი; ნუ – არა; ქაშ – ქერის ლუდი, ქაშქ (საბა); ქუშ – კენესა, ქუში, ქოშინი; ხარ – ხარი; ხუზულ – მთვარის ახლი ცაზე (ხუზულა) და სხვანი.

მცირე აზიასა და შუამდინარეთში გავრცელებული იყო ანათის (ეგვიპტური ნეით, ბერძნული ათენა) კულტი (ნათება-თენება?).

განა შეიძლება აქ არ გაგახსენდეს ივანე ჯავახიშვილის გაოცებით შეძახილი: „მცირე აზიის სხვადასხვა ადგილას, ხალხში უცნაური საკუთარი სახელები ყოფილა გავრცელებული და სწორედ ეს უცნაური სახელები ჩვეულებრივ ქართულ სახელებს საკვირველად ჰგვანან“.

4. ასევე საინტერესოა უძველესი სახელმწიფოს - ელამის პირველი პირის – სუქალ-მახისა და სვანი მონადირის სულკალმახის შედარება (სუქალ-მახი შუმერულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაეს მრჩველს ნიშნავს). გარდა სახელთა მსგავსებისა, იკვეთება საინტერესო პარალელები:

I) - სუქალ-მახი თვით მეფეზე მაღლა იდგა, რაკიღა უზენაესი მოცალეული იყო, ანუ ღმერთებთან ურთიერთობდა;

- ამირანის მითში სულკალმახიც ნადირობის ქალღმერთთან ურთიერთობს (დალი მას ანდობს საკუთარ პირმშოს).

II) – ელამთა სახელმწიფოში ტახტის მემკვიდრეობა დედის ხაზით გადადიოდა;

- სულკალმახის მიერ დარეჯანისთვის გასაზრდელად მიბარებულ ამირანს დარეჯანისძეს ეძახდნენ.

ამირანის მითში რამდენიმე ათასწლეულია დაჭირხნილი. ღმერთთან კავშირში მყოფი სულკალმახი მონადირეა, რაც შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ მითის ეს შრე 7-8 ათასი წლის წინანდელია, ანუ იმდროინდელი, როცა მონადირე „ქურუმს“ ჯერ მჭედელი „ქურუმი“ არ იყო ჩანაცვლებული (გავიხსენოთ მცირე ზრამის კლდის მხატვრობაც). მატრიარქატის ანარეკლიც ამ ხანას ადასტურებს. ქალის ძედ გმირის მოხსენიება იდუმალი ხიბლის გამო ყველა მომდევნო დანაშრევმა შეინარჩუნა, ხოლო დარეჯანი ამირანის დედობილს ცხადია მოგვიანებით დაერქვა.

ელამელნი თავის ქვეყანას ხათამთის ეძახდნენ, დედაქალაქს კი შუშენს (აქ იპოვნეს ჰამურაბის სტელა). უდიდესი კულტურის შემქმნელი ელამელნი უკვალოდ გადაშენდნენ. ჩვენს დრომდე მოტანებული მათ ენაზე შექმნილი ტექსტები არ იძლევა გადაჭრით რაიმეს მტკიცების საშუალებას. ელამურ ენას კავკასიურს, ხან კი დრავიდულსაც ამსგავსებენ. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით ასევე დასაშვებია იბერიულ-კავკასიურ ენებთან დრავიდულის უძველესი ნათესაობა. ნოსტრატულ ენათა თეორიის ერთ-ერთი ვერსიით კი დრავიდული ქართველური ენის განშტოებას წარმოადგენს.

ასეთივე დამთხვევები გვხვდება ქართულსა და ხურიტულში, ქართულსა და სუმიტურში. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თეორიის თანახმად კი წინარე ინდოევროპულ ენას ძე. წ. V ათასწლეულში შეხება უნდა ჰქონოდა წინარე ქართველურ ენასთან, რაც ასევე მრავალი ლექსიკური ერთეულით დასტურდება.

აქვე გავიხსენოთ, რომ იმ ეპოქაში, გამარჯვებული ქვეყანა, აჯანყების შიშით, დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობას ხშირად სხვა მხარეში ასახლებდა, რის გამოც ხდებოდა ძლიერი ასიმილაცია. ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ესეც იყო ზემოთჩამოთვლილ ენაზე მეტყველ ხალხთა შემოკიბვნისა ქართულ ეთნოსში. ბუნებრივია, მათ თან მოჰქონდათ საკუთარი ლექსიკური ერთეულები, მაგრამ თავად ენა ითრგუნებოდა უფრო განვითარებული ქართველური ენის მიერ.

5. პლატონის ხელთ არსებული წყაროების მიხედვით ატლანტიდა დაიღუპა 12 000 წლის წინ. თუ ბიბლიური წარღვნა ამ მოვლენას უკავშირდება, ეს ნიშნავს, რომ ამირან-პრომეთეს ძე - დეკალიონი (იგივე უთანაფიშთიმი, ანუ ბიბლიური ნოე) ამ დროინდელია, ანუ ამირანის ეპოსი ამ სიღრმიდან მოდის.

ამერიკელი გეოლოგების რაიანისა და პიტმენის ჰიპოთეზით შავი ზღვა 7500 წლის წინ შედარებით მომცრო ტბა იყო. დაობიის შედეგად აწეულმა წყალმა ანაზდად გაარღვია ბოსფორის ყელი და და მკვეთრად ასწია ტბის დონე. რა სისწრაფით აივსო ტბა ოკეანის დონემდე, ეს ჯერ კიდევ დავის საგანია, მაგრამ ერთში მეცნიერები თანხმდებიან: ადრებრინჯაოს ხანაში შავი ზღვის დღევანდელ ფსკერზე ხალხი სახლობდა.

ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს ცნობილი მკვლევარის, რობერტ ბალარდის რამდენიმე არქეოლოგიური აღმოჩენაც. მეცნიერის აზრით შესაძლოა სწორედ ეს მოვლენაა თანამედროვეთა მიერ წარღვნად მონათლული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ეს მოსაზრება სწორია, უნდა ვივარაუდოთ, რომ შავ ზღვაში გადადინებული მოცულობის აღდგენა ატლანტის ოკეანედან ჰიბრალტარის სრუტეში დიდი ნაკადის შემოჭრით უნდა მომხდარიყო, რამაც შესაძლოა ისეთი ტალღები გამოიწვიოს, რომ ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქები წალეკა. ან იქნებ სულაც ბოსფორი კი არა, ჰიბრალტარი გაარღვია ოკეანის წყალმა. ამდენად, შავი ზღვის ავსება კი არ უნდა ყოფილიყო წარღვნასთან გაიგივებული, არამედ ატლანტის ტალღები და მძლავრი დინება ხმელთაშუა ზღვაში. შესაძლოა ამიტომაც ფიგურირებს მითებში ატლანტიდა.

6. მითების თანახმად ტიტანები ღმერთების წინა თაობაა. ტიტანებმა გადაარჩინეს კაცთა მოდგმა, ასწავლეს შენება, ზღვაოსნობა, წერა, მკურნალობა.

კოლხთა მეფის, აეტის მამა – მზის ღვთაება ჰელიოსი ტიტან ჰიპერიონის შვილი იყო.

ამირანი-პრომეთეც ხომ ტიტანთაგანია, იაფეტისა და აზიას ძე, ატლანტის ძმა (ანუ აზია იაფეტიანთა სამშობლოა). იგი ღმერთს ებრძვის ადამიანთა დასაცავად. რაა ამ ქიშპობის საფუძველი? იქნებ ეს ტიტანები დალუპული ცივილიზაციის ნაშთები არიან, ანუ ატლანტიდელნი, რომელნიც ადამიანებს ცოდნას გადასცემენ ბუნებისგან თავის დასაცავად?

7. ერთი თქმულების თანახმად წმინდა გიორგი კოპალასა და იახსართან ერთად ლაშქრობს ქაჯავეთს და იქიდან მოაქვს თასი (ან მოჰყავთ დობილი სამძივარი). ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით ეს არის გრაალის თასი. მოვახდინოთ რამდენიმე შედარება:

- - გიორგი, კოპალა, იახსარი მიდიან ქაჯავეთს;
  - ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მიდიან ქაჯეთს.
- - ქაჯავეთიდან მოაქვთ თასი (ან მოჰყავთ სამძივარი);
  - ქაჯეთიდან მოჰყავთ ნესტანი (გრაალის თასის ერთ-ერთი სახე ქალწულია).
- - წმინდა გიორგის ერთ-ერთი გამოსახულება ებრძვის არა დრაკონს, არამედ ლომსა და ვეფხვს. აქ უნდა იგულისხმებოდეს ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ. წმინდა გიორგის გამოსახვისას ასეთი ალეგორია უჩვეულო არ არის. ერთგან დრაკონის ნაცვლად სულაც კეისარია გამოსახული;
  - ტარიელიც ასევე ებრძვის ლომსა და ვეფხვს.
- – ჯვაროსანთა (სხვადასხვაქვეყნელ რაინდთა) ერთობლივი ლაშქრობა სიწმინდეთა დასახსნელად. იმდროინდელი ევროპული მითის თანახმად აღმოსავლეთის მეფე-ხუცესი იოანე (სავარაუდოდ დავით აღმაშენებელი) გაჭირვების ჟამს მხსნელად უნდა მოვლენოდა ჯვაროსნებს;
  - ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის (სხვადასხვაქვეყნელ რაინდთა) ერთობლივი ლაშქრობა ქალწულის დასახსნელად.

რუსთველის განმარტებით ქაჯნი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ გრძნებით განთქმულნი, ანუ რაღაც საგანგებო, უჩვეულო და საკვირველ ცოდნას ფლობენ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების რომელიმე სკოლაზე, საიდანაც მეფე-ხუცესი იოანეს სპამ გრაალის თასი გამოიხსნა (თუმც აქვე გავიხსენოთ, რომ ქაჯთა ქალაქად მოიხსენიება არტანის ქალაქი ჭურიც).

ის, რომ აქ ცოდნაზეა ლაპარაკი და არა ჯადოქრობაზე, გამოსჭვივის ამ პატარა ნაწყვეტშიც - კოპალას დასახსნელად ქაჯეთს ჩასულმა თერგვაულმა უჩინარი მოსასხამი – შავი ბადე გადაიცვა. მითისთვის დამახასიათებელ გაზვიადებას (უჩინარი) ვერ წაუშლია რეალური სამსტოვრო შესანიღბი სამოსი (შავი ბადე).

8. სულხან-საბას ლექსიკონში „სამდგომის“ ერთ-ერთი განმარტებაა სამკაცა საბრძოლო ეტლი, სამთაგან ერთი ინიოხობს (ეტლს მართავს) ორი კი იბრძვიან. ზუსტად ასეთი იყო ძვ. წ. II ათასწლეულის ხეთთა საბრძოლო ეტლი (იხ. თავი „ცხენოსნობა“)

9. ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე მიმართავს ქალაქ ტვიროსს (ძველი აღთქმა, 27/10) - „სპარსი, ლუდი და ფუტი იყვნენ შენს ლაშქრაში ომის კაცები; ფარსა და მუზარადს შენთან ჰკიდებდნენ; ისინი გიქმნიდნენ დიდებას“. იერემია წინასწარმეტყველი ასევე მოიხსენიებს ფუტიელთ. „და გამოვიდნენ ქუში და ფუტი, ფარის მპყრობელნი“ - (თავი 46/9).

საინტერესოა, რა კავშირშია ამასთან ქართული ტოპონიმები ფუტიეთი, ფუთი (ძველ წყაროებში ხშირად ფოთიც ფუთად მოიხსენიება), აგრეთვე ხეთთა მეფის სახელი ფიუსტ და ბატონის, გინდა უფლის აღმნიშვნელი სვანური სიტყვა ფუსტ.

ნიმუშები ხალხური პოეზიიდან

ახლა ხალხურ საგმირო პოეზიას მივმართოთ და ვცადოთ გავერკვეთ - რას ნიშნავს საბრძოლო ხელოვნების ენაზე ქვემოთმოყვანილი ნაწყვეტები:

1. „ნუ ეხუმრებით მინდიას, მთების არწივის შვილსაო,
კაცია - გულად მამაცი, *ქვასაც კი ხელით სოლიისაო.* “

(ჩაგვიძეულ, ბერო მინდიავ)

ეს გამოთქმა, თუნდაც სალექსოდ გაზვიადებული, რაღაც საგანგებო ცოდნით გაოცების ნაყოფი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ალბათ იგულისხმება კიწანის (მტვენის გარე წიბო) დაკვრა.

2. „უბრძანა თავის საყმოთა, მთათ შამაველო თვალია,
წელში ეტანა მთარახი შვიდკეცა, შვიდი მხარია.“

(გარაის ლაშქრობა ქისტებზე)

გარდა საწესჩვეულებო დანიშნულებისა (რაზეც მისი შვიდკეცობაც მეტყველებს), მთარახი ანგარიშგასაწევი საბრძოლო იარაღი გახლდათ. ერთ ხალხურ ლექსში შხამში ამოვლებულ მთარახზეც კია მინიშნება (ამ თემაზე უფრო ვრცლად მოთხრობილია თავში „საზეპელი იარაღი“).

3. „ჩოთათა გოგოთურამა ქავი აავსო მკვდრითაო,
სანამდი სხონ გაიგებდის, *ერთ წინავ მაკლა ხითაო.*“

(შურის ძევა)

ხის იარაღის შესახებ ვრცელ მასალას შეხვდებით შესაბამის თავში. ეს ტაები კი დასტურია იმისა, რომ საბრძოლო მომზადების მაღალი დონე ჩვენს მებრძოლს საშუალებას აძლევდა პირველივე ხელომოხვედრილი საგნით მისტანებოდა მტერს, მით უმეტეს ხის იარაღით, რომლის ხმარებასაც იგი ადრეული ასაკიდან ეუფლებოდა. ამ შემთხვევაში კი გოგოთურს სულაც კუნძით მოუკლავს მომხდური.

4. „ჩამოდის როშკის ხორხშია ქუჩუმიანი ფარიო,
ციხეთ როშკის გორ ნადგომთა *ჩაიკვეს მიგრის ტყვიო.*“

(როშკას ჯარის მოსვლა)

მიგრის (ვიგრის) ტყავი ვახტანგ გორგასლის დროინდელ წყაროებშიც გვხვდება, როგორც ფარზე გადასაკრავი. სულხან-საბას განმარტებით ვიგრის ფარი – ვეფხის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის თევზის ან ხვითქის (ნიანგი) ტყავისაა. ამდენად საეჭვოა, რომ ასეთი ცხოველების ტყავი მთელს როშკას სცმოდა და აქ სხვა ახსნა უნდა მოიძებნოს.

5. „ხიდი ჩაუდეს შვინდეთელი, დიდი შვინდეთის წყლისაო,
მკედარძაღლებ შვინდეთელებსა ჰყვანდა მცურავებ წყლისაო.
ორმეტ შამუ წყალმია, მგზავრულსა გამოდისაო.“

(ნეიბი შვინდეთელათი)

თუ „მგზავრულა“ ცურვის ნაირსახეობაა, გასარკვევია, რას წარმოადგენს, რადგან არც წყაროებში შეგვხვედრია და არც მოქმელთაგან გვსმენია.

6. „არღუნის ჭალას ჩადიან, ხანია შუღამისაო,
ფეხზე ფოლადის წრიალი ჩქამობს მდინარის პირსაო.“

(ვაჟებმა შატილიენებმა)

თუ მდევარს წრიალი ეცვა, ბუნებრივია, შეტაკების წინ გაბდას ვერ მოასწრებდა და შერკინების დროსაც გამოიყენებდა (იხ. ილეთები: კოხი, ჩაძნეყვა და მისთანანი).

7. „ვაუგას, დუსხის ციხეო, თუშნი გარს მაგიელიანა,
აზვათ აუხდა ნანატრი, მკედარსა მარხილითი თრიანა,
შუბთა, ქუჯაის ნაკრავთა, ქისტნ ორნი ვერ დასწვდიანა.“

(დუსხის ციხე)

ეს ერთი იშვიათი შემთხვევათაგანია, როცა შუბის ხმარების ოსტატობაზეა ლაპარაკი (გვხვდება ასეთი სტრიქონიც - „ბეღელს აკერა მკედარია“).

8. „ისევ იზრდების მგლის ლეკვი არწივთა ნაბუდვარშია,
დედა მკლავთ უპოხს მალ-მალე დიდ-დილა თითმრის ჯამშია.“

(გაბურთ დალევა)

ზოგან ირმის ტვინია საპოხი, სხვაგან დათვის ქონი. ეს პროცედურა მომავალ მორკინალთ ადრეული ასაკიდან უტარდებოდათ. გამოცდილ ბებიაქალებს შეეძლოთ ახალშობილ ყრმაში ამოეცნოთ მისი ფიზიკური შესაძლებლობანი. თუ ბებიაქალი ჩათვლიდა, რომ ახალშობილისგან კარგი მეკობარი (მეკობრე) დადგებოდა, ამ ბავშვს განსაკუთრებულ რეჟიმში ზრდიდნენ. ამისათვის არსებობდა წვრთნის, კვების, მასაჟის, სხეულისთვის ფორმის მიცემის სისტემა და სამარჯვები (საგანგებო ქამრები და ვარჯიშები). კარგი მეკობარი თემისთვის სასარგებლო და საამაყო კაცად ითვლებოდა. „ვეფხისა და მოყმის“ ბალადის ერთ ვერსიაში მოყმე განთქმულ მეკობარად მოიხსენიება.

9. *„თან ჩაიყოლა მაცნენი, სამსამნი კი ბღაჯიანნი...“*

(ბადურა)

ბღაჯი განმარტებულია, როგორც ხელის მტევნის შიდა ზედაპირი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ არ იგულისხმება კლანჭებიანი თათმანი (ხელის წრიალპივით), რომელიც აღწერით ვიცით, სახელს კი ვერ მივაკვლიეთ.

10. „წითელათანა გაიგსა არხოტთ ნახოცი მკვდრითაო,
ბარაქალ, არხოტივნებო! ხელუკუღმ დაჩკვლენ ხმლითაო.“

(წითელათანა)

„ხელუკუღმ“ ისეა ხაზგასმული (და არა მარტო ამ ლექსში), რომ რაღაც საინტერესო ილეთი უნდა იგულისხმებოდეს. თუ გავიხსენებთ ლექსს „მაღლა მთას მოდგა“, სადაც ნათქვამია „ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა...“, აგრეთვე იმას, რომ კავკასიაში ხმალი ხშირად ყუის მხრიდანაც ილესებოდა, ცხადია, ეს არსებითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ფარიკაობის ტექნიკაზე და ტერმინი „ხელუკუღმა“ უფრო მკაფიო შინაარსს იძენს. თვით ცალპირნალეს ხმალსაც კი ნიღრის მხარეს ნესტრის სიახლოვეს აქვს გალესილი მცირე მონაკვეთი „საშარე“ („შაშარი“) და შესაძლოა ამ ილეთში მისი გამოყენება იგულისხმება.

11. „ოროლთა ზვიადის შვილთა *ისარ აქვ ჯორის-ცალია,*
ბუყეის ჩამეეწივნეს, ისარს აუცხეს სხამია.“

(ხახაბოს დალაშქვრა)

ან

„-ვინც შენ ეგ მოგცეს, თორღვაო, მამა წაუწყდეს მკვდარიო!
ამაიწვადა ჩოთამა ისარი მჭუარტლიანიო...“

(თორღვა)

აქ საინტერესოა ხალხის, თემის დამოკიდებულება გმირის მიმართ მშვიდობიანობის ჟამს. თორღვას, ბრძოლაში თავისი თემის მემეტეესა და იმედს, თემზე ხარკი ჰქონდა დაწესებული: ორიოდ ტომარა ნაკარი, რომ მოყინულ ბილიკზე მოეყარა და საისრე ორბის ფრთა, ანუ თბე. თუმც კი ამას ცოტა არ იყოს თავხედურად მოითხოვდა და ალბათ ამიტომ არის მისი მკვლელი ჩოთა შექებული.

რაც შეეხება ისრისთვის *სხამის* ასმას, ამ შემთხვევაში იგულისხმება მცენარე სხამა (შხამა, აბუტარატი), მაგრამ, ამოცანდან გამომდინარე, გვხვდება სხვა შხამებიც (მაგ. სტრაბონის მიერ აღწერილი სვანთა მიერ ხმარებული საოცარი შხამი, ან ზუზია, რომელიც სულხან-საბას განმარტებით არის „გესლი სწრაფმკვდინებელი“, აგრეთვე ტეტანუსის შემცველი ნაკელი, და სხვა). არდოტის ხეობის ჭინჭარაულებს კი, გველის შხამის მოპოვების გამო, „გველიწურიებს“ ეძახდნენ თურმე.

12. „შამოგეყრება თორღვაი ღვთისაგან ნაწილიანი,
მარჯვნისას ჩამაგიარა, მარცხნივ-კი მოგცა ზიანი.“

(თორღვა)

ლაპარაკია საკმაოდ რთულ ილეთზე. შესაძლოა, იგულისხმებოდეს შეტევისას დაღალატებით წონასწორობადაკარგული მეტოქის გატარება და ჭრილობის მიყენება უკან დარჩენილ მარცხენა მხარზე, ხელზე ან ფერდზე.

13. „ვაჟისძის გადამღებელო, თორღვავ, რა გქონდა ფარადა?
სამკლავენ უხმარებიან, დანა ხჭონიყო ხმალადა.“

(თორღვავ გიბარებს ბატონი)

სამკლავით (შეჭურვილი წინამხრით) ხმლის შეკავება უდავოდ საინტერესო და საკმაოდ რთული ილეთია. თუ აქვე გავიხსენებთ იმასაც, რომ სამკლავის იდაყვსუკან გამოჩრილი ნაწილი ხშირად ილესებოდა კიდეც, მჭიდრო შერკინების დროს ჯლიქვი და მუჯლუგანი უაღრესად ეფექტიანი ილეთები უნდა ყოფილიყო. ამ ლექსში საინტერესოა ისიც, რომ მანამდე ვაჟის-მეს (ალბათ ვაზუზიმ) თორღვას, თავისი დროის ერთ-ერთ უძლიერეს მებრძოლს, ხმალი წაართვა. ამის შემდეგ თორღვამ მოულოდნელი შეტევის წყალობით დანით მოკლა მეტოქე. მიუხედავად იმისა, რომ მალექსებელი თორღვას მიმართ დიდ სიმპათიას არ ამჟღავნებს და ღალატით გამარჯვებაში ამხელს, იმას მაინც არ უკარგავს, რომ მან თავისი პირით აღიარა ხმლის დათმობის ფაქტი და არც წარმოეული იარაღის უკან ართმევა იკადრა.

საჭურველის დიდი მნიშვნელობა ხაზგასმულია შემდეგ სტრიქონებშიც:

„ბაღათერაის დედამ თმანი დაიჭრა ძირითა:
- ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი, აწ გაძღას შენი ჭირითა!“

(ბაღათერა ჯაბუშანური)

„ადგა დემურ, შეიკაზმა, ტანთ ჩაიცვა საომარი:
„თუშნო, კარგად მოიხმარეთ სამკლავე და საფუხარი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა (დემური)

თორღვას სიკვდილზე გამოთქმულ ლექსში კი ხაზგასმულია, რომ ამ დროს მას არ სცმია თავისი განთქმული ჯაჭვის პერანგი, რომელსაც გრძნეულ თვისებებს მიაწერდნენ (ჯაჭვის რგოლები იმ ადგილზე იყრიდნენ თავს, სადაც იარაღი უნდა მოხვედროდაო).

14. „წყალს გახეითელ ვაჟებსა საომრად აწევდიანო,
მინდიას, თეთრაულისძეს ხელითაც არჩევდიანო.“

(მინდია თეთრაულისძე)

ხელით არჩევა თურმე საგანგებო მიწვევას გულისხმობს და ამ პატივს გამორჩეული მეომარი იმსახურებდა. ამდენად, აღნიშნული სტრიქონი საგანგებო ანალიზს მოითხოვს - რატომ იყო დადგენილი ომში მიპატიჟების ასეთი ფორმა.

15. „დათვიას, გუდამაყრელსა, ნიავ ეშლების მთისაო,
გულზე ნაკანჭარ აწუხებს ახურათ ყმაწვილისაო,
სცოდნია გუდამაყრელსა ხელუკულმ ცემა ხმლისაო.“

(გურონი ბაჩაყაური)

ნაკანჭარი ამ შემთხვევაში შესაძლოა ნაკეჭნს ნიშნავს. გულის არეში საშარით (ხმლის ნიღრის გალესილი ნაწილით) დაკეჭნა დიდი ოსტატობაზე მეტყველებს.

ა. ჭინჭარაულის აზრით კი გამოთქმა მეტაფორაა და არწივის მიერ კლანჭით დაკოდილს გულისხმობს, რადგან კეჭნობა ხევსურეთში არ სცოდნიყოთ.

ტრადიციის მიხედვით, ნაკეჭნსა და ჭრილობას შუა დიდი ზღვარია. თუ კეჭნობის (სავარჯიშო, სანახობრივი ან სადგური შერკინების) დროს მორკინე მეტოქეს კი არ დაკეჭნიდა, არამედ დაჭრიდა, შესაბამის ჯარიმასაც იხდიდა, როგორც მშიშარა და ნაკლები ოსტატი (ერთი დათქმული წესის მიხედვით ჭრილობის გასწვრივ ალაგებდნენ ქერის მარცვლებს ერთს სიგრძივ, მომდევნოს განივ და ასე მთელს სიგრძეზე. რამდენიც დაეტეოდა, იმდენი ძროხა უნდა გადაეხადა დამჭრელს დაზარალებულისთვის). ასეთი სიმკაცრე განპირობებული იყო არა მარტო ოსტატობის მაღალი დონის მოთხოვნით, არამედ არასაბრძოლო შერკინებებში სერიოზული ზიანის გამოსარიცხად და მოვარჯიშეთა შორის შუღლის ასაცილებლად.

16. „მოვიდნენ პირიქითელნი საომრად ბარაქიანი,
მოგვდევენ თუშის შვილები, *შვილდნი მოჰყფენ რქიანი.*“

(შაყრილან ფშაველის შვილები)

17. „*მუქუში მშვილდი აჭეზდა, გოზა-წითელი რქიანი,*
ისარნ ხოშარას მოვიდეს, თუშნ გორვენ ჩითაიანნი.“

(თუშების დაცემა ხოშარაზე)

შესაძლოა, 16-ე -17-ე ტაეპებში ნახსენებია რქის მშვილდები. სულხან-საბა ასევე მოიხსენიებს აჯის მშვილდს. ასეთი მშვილდი გამორჩეული იყო შორსმსროლელობით. ხაზგასმულია, რომ მუქუში ნასროლი ისარი ხოშარს უწევდა. რაც შეეხება გოზა-წითელს, ეს ტერმინი ქართული ხალხური პოეზიის IV ტომს დართულ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

გოზა - მშვილდის მარჯვენა და მარცხენა მხარე; „შშვილდის მწვერვალი“ (საბა); ადგილი მშვილდის სახელურიდან წვერამდე, მშვილდის ფეხი. “მშვილდი გავიტყდა ვაჟაო, მხართეთრი, გ ო ზ ა წითელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა შეღებილობა - თეთრი მხარი და წითელი გოზა (თუ გავიხსენებთ ფრაზას „ისარი მჭვარტლიანი“, ანუ შავი, სახეზეა ჩვენი ფოლკლორის ნაშთიც საკრალური ფერი).

18. „არშით აყრილან ყვარანნი, საძელეს ბუდობდიანო,
ხელს ლოცვენ ხევსურისასა: „მშიერნი დაგვაძღნიანო.“
საძელით ხევსურთ შვილები ბლო-ღელეს ბურთობდიანო.
ბარაქალ, ხევსურთ შვილებო! წინათაც ეგრე ქნიანო.“

(ხევსურების გალაშქრება არშასა და სნოს)

ეს ლექსი უაღრესად საინტერესოა. საბრძოლო შეტაკების შემდეგ, გამარჯვებული ხევსურები ბურთაობით იქცევენ თავს, რაც ამკარად ადასტურებს ა. ციბაძის მოსაზრებას ორჭიდის (ნადირობა-ბურთაობა) შესახებ, გამოთქმულს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონის „აღარ იბურთეს, დაშლა ქნეს თამაშობისა ორისა“-ს განმარტებისთვის.

იგივეს ადასტურებს როსტევანის ჩივილი: - „ანუცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა“, ან თუნდაც ტარიელის ნაამბობი - „მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან, მერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან“, აგრეთვე ნაწყვეტი არჩილ მეფის „გაბაასებიდან“: „ღილას შევსხდეთ, ვინად�, შუადღისას შემოვიქცით, აწ ბურთობას ხელი მივჰყავთ, მუნ საძილოდ არ გავიქცით“.

საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვმირთაგან განსხვავებით, რომელნიც ნადირობის შემდეგ აპირებენ ბურთაობას, ხევსურები ამ წესს საბრძოლო შეტაკების შემდეგ აღასრულებენ.

ამგვარი თამაშობა ბრძოლის ჩაშლის შემდეგაც კი შემდგარა. მემატიანის ცნობით ლაშა, ყარნუ-ქალაქის მიერ მორჩილების აღთქმის შემდეგ, „ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს“.

ნადირობისა და ბრძოლის (თუნდაც არშემდგარის) შემდეგ ამ წესის გარდაუვალი აღსრულება შესაძლოა შინ მობრუნებამდე დაძაბულობისაგან განმუხტვის (საბრძოლო მუხტის თამაშში გადაზავება-გაბარჯვის) აუცილებლობით იყო განპირობებული და წინაპრის დიდი საბრძოლო გამოცდილებით მიგნებული საშუალება გაზღდათ.

19. „ბეკმა თქვა, ბეკურაულმა - ხმალმა ვერ შამაშინაო,
გიგაურაის ფრანგულმა კოჭუკულმ გამაფრინაო,
დაგლიჯა ფარის რგოლები, ბორბალა დამარბინაო!“

(ბეკი და გიგაური)

საინტერესოა აღწერილის რეკონსტრუქცია. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ბეკურაულმა დარტყმისგან უკუმალაკი გააკეთა. ასევე საინტერესოა დარტყმის ძალა სხვა თვალსაზრისითაც. ვგულისხმობთ ფრაზას „დაგლიჯა ფარის რგოლები“. საქმე იმაშია, რომ ხევსურული ფარი საკმაოდ დარტყმამდეგი გახლდათ. დასტურად იხილეთ სტატია „ფარი“.

20. „წინ დედა მაგებებოდ, დაჰკოცნის ორსავ თვალებსა,
დედის იმედო თადიავ, გაზრდილო ცოდვა-ჭირითა;
ზევიდამ გახდის ტანსამოსს, *დაპოხავს ირმის ტკინითა.*“

(შატილს მოვიდა ხოხობი (თუშური ვარიანტი)

აქ პირდაპირაა მითითებული ირმის ტკენი. სამონადირეო ეპოსის თანახმად, ირემი „წმინდა ნადირი“ იყო და მიცვალებულთათვისაც სასურველ შესაწირავად ითვლებოდა. საინტერესოა, ირმის ტკვინის საპოხად გამოყენებაში მისტერიული შინაარსიც ძევს, თუ მხოლოდ სამკურნალო თვისების გამო იხმარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. „შორს დასხა ამხანაგები, მარტუმ მარტო გაიგდა,
ომს უწვეული ვაჟები სახალისოდა ჩაუშვა.“

საინტერესოა გამოცდილი მეომრის ქცევა. მებრძოლო რაზმის თავკაცმა ჭორომეშამ შეაფასა სიტუაცია და მიზანშეწონილად ჩათვალა გამოუცდელი ახალგაზრდები წინ გაეშვა საბრძოლო ნათლობის მისაღებად.

22. „აქედან კარატემდინა შიბ-თოკზე გასავალია,
ეგ აგრე გამავიარე, ვერვინ მამკიდის თვალია...“

ამგვარად დაადწია თავი იახსარმა მოკლული დევის სისხლის ტბაში დახრჩობას.

ახლა გავიხსენოთ თათბირი ნურადინ ფრიდონისა - „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან...“

ფრიდონი ამ გზით ქაჯეთის ციხეში შეღწევას ლამობს, ანუ, ორივე შემთხვევაში საბელი, იგივე შიბ-თოკი, ხიდია სამყაროთა შორის და ამ გზის გავლა განსაკუთრებულ ხელოვნებას მოითხოვს. ცხადია, რომ პირველწყარო აქ თქმულებაა და რუსთაველსაც აქედან აქვს ნასესხები და ეს თქმულება უძველესი რწმენა-წარმოდგენებიდან იღებს სათავეს. ასეთ შეხედულებას ანვითარებს ი. სურგულაძე ნაშრომში „საცხოვრებელი, დასახლება, სამყარო“.

ასე, რომ, „ესე ამბავი სპარსული“ აშკარად ქართული წარმართული თქმულებებითაა ნასაზრდოები და შესაძლოა სწორედ ამიტომაა ესოდენ შენიღბული.

განა ასევე არ ჟღერს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი: „ნახეს – მზისა შესაყრელად გამოეშვა მთავრე გველსა“ და მრავალი სხვა.

თოკზე სირბილს, ესოდენ შრომატევად ხელოვნებას, კაცი ოდენ მოსიერეთა გასართობად როდი ეუფლებოდა. იგი ერთ-ერთი სასარგებლო უნარი იყო მეომრისათვის, რომელსაც სხეულის ასეთი გაწაფულობა უდიდეს უპირატესობას ანიჭებდა ორთაბრძოლაში. მრავალი შერკინების მომგებ, საარაკო მეომრებს კი მომდევნო თაობა ღვთაებებად მოიხსენიებდა. ჩანს, ამ მიზეზთა გამო „შიბ-თოკი“ - ხიდი სამყაროთა შორის, დრომდეც სახედ იქცა.

23. „ბარაქელ ალუდაურო, უქნელს შენ სჩადი სხვისასა,
გაბფრინდი არხოტის წყალსა, გაუფრინდალსა სხვისასა.“

(ჯარაის წყაროს)

ლექსის თანახმად, ალუდაური დაედევნა ძმის მკვლელს და სასიკვდილოდ დაჭრა. საინტერესოა ცნობილი ეთნოგრაფის ნიკო ურბნელის შენიშვნა ლექსის შესახებ ნარკვევში „ხევსურულ პოეზიაზე“:

„... ზმირად საკმაოა ერთი უბრალო ქისტი მოჰკლა, რომ გმირთა-გმირის სახელი გაითქვა; მაგალითებრ, სოფ. ჭიმღალი ეხლაც ცოცხალია ახოვანი ალუდაური, რომელმაც ამ რამდენსამე წლის წინათ თავისი ძმის მკვლელი ქისტი მოჰკლა. ეს ზომ უბრალო საქმეა, მაგრამ ალუდაურს-კი სიმღერა სხვანაირად იხსენიებს: „ნაჭარი ალუდაურის ანდერძად არ ითქმისაო!“ რა არის აქ ისეთი, რაც ანდერძად არა თქმულიყვეს, არ გაგონილიყვეს.“ (ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 117).

ერთი შეხედვით მკვლევარი მართალია, მაგრამ თუ პარალელურ წყაროს მივადევნებთ თვალს, შესაძლოა, აზრი მელექესის სასარგებლოდ შემოგვბრუნდეს. ისტორია ასეთია: შეშის საჭრელად მყოფი ძმები, ალუდაური და მინდია, დაუნახავს შვილების სისხლის მაძიებელ ვინმე ახდოლას და, მიუხედავად იმისა, რომ ძმებს მისი სისხლი არ ემართათ, მაინც უსვრია და მინდია მოუკლავს. ალუდაური დასდევნებია გაქცეულ ქისტებს და სასიკვდილოდ დაუჭრია ძმის მკვლელი. დევნისას იგი 5 საჟენის (10.65 მეტრი) სიგანის წყალზეც გადამხტარა. დაჭრილი ახდოლასთვის ალუდაურს

ყური მოუჭრია და ძმის უმცროსობა უთქვამს. ხმაურზე არხოტიდან მაშველს მოუსწრია და დაჭრილისთვის თოფები დაუშენია, რაზეც ალუდაურს შეუძახნია: „უსაკადრე�ოდ ნუ გახდითავ, უსაკადრეციოდ გახდილი არ მინდა ძმის უნცროსადაც“.

ამდენად, თუ მომხდარს მთლიანობაში განვიხილავთ, ურბნელის შენიშვნის გასაბათილებლად ჩნდება რამდენიმე დასაბუთება:

- ალუდაური რიცხვით უპირატეს მტერს დაედევნა;

- იგი არ შეუშინდა არც მდინარის სიგანეს და გადახტა. თუ ხუთი საჟენი გაზვიადებულია და ოთხის მეტი არც იყო, ეს მაინც მსოფლიო რეკორდს უტოლდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ გადახტომისას იგი იარაღასხმული და ჩაცმული იყო. ცხადია, ესეც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ამ ამბის მომსწრეებზე;

- ახლად ძმამკვდარი ალუდაური ინარჩუნებს გონიერებას და მაშველს უწყრება უკადრისი საქციელისთვის.

ამდენად, ალუდაურის გმირობა აქ მის მიერ დახოცილთა რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი სამაგალითო ქცევით. ქართულ საგმირო პოეზიაში გმირი ოდენ მოკლული მტრის რაოდენობით არ ფასდება. მეტიც, ერთ ხალხურ ლექსში მებრძოლი გაკიცხულია იმის გამო, რომ თორმეტი მტრის მოკვლის შემდეგ, დათქმული წესისამებრ, ხმალი ქარქაშში არ ჩააგო და ბრძოლა განაგრძო. საპირისპირო მაგალითია ლექსი „ხოგაის მინდი“, რომელშიც გმირი შექებულია ამ ტრადიციის დაცვის გამო - „თორმეტი მოკლა მინდიმა, დადგა, ჩააგა ხმალია“.

24. ახლა გავიხსენოთ ერთი უცნაური მონათხრობი, გადმოცემული ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მიერ გამოცემული სვანური პროზაული ტექსტებიდან - „ ...ერთ დროს მოსულან თათრები და მრავალი კაცი დაუჭერიათ სვანი. ერთი კაცი, მელხირ, შერჩენილა კოშკში და იქიდან ებრძოდა თათრებს. თათრებს კოშკის ძირში ლალები ჩაუდიათ – წაიქცევაო კოშკი და კაცი მოკვდებაო. ამ კაცს კოშკში მოზვრის ტყავი ჰქონებია, ჩაუხვრეტია შუაში და ჩამძვრალა იღლიებამდე, მკლავები ფრინველივით გაუშლია და გადმოფრენილა კოშკიდან. კარგა შორს მანძილზე გაფრენილა და ასე გაქცევია თათრებს. ასულა ჩხელაშდში, აქაც თათრები დახვედრიან. რომ შეატყო ვერ გაექცეოდა, შეერია მათში. აქ სხვა სვანებიც ყოფილან. ამ კაცს უთქვამს შევერიოთ ხანჯლებით და ამოვწყვიტოთო, მაგრამ არავინ აჰყვა. მაშინ მარტო მივარდნია თათრებს, ოთხი მოუკლავს ხმლით და თავადაც დალუპულა.“

ამ ძველთაძველ ამბავში მეომრის სანაქებო საბრძოლო ოსტატობასა და მებრძოლ სულს ცხადი მის მიერ კოშკიდან გადმოფრენის ამბავი ჩრდილავს. მარტივი საფრენი აპარატით გაფრენის ისტორია არაერთ წყაროშია აღწერილი. მათ შორის უძველესია ბერძნული მითი მინოსის ხუროთმოძღვარ დედალოსსა და მის ვაჟზე - იკაროსზე. დედალოსისთვის, რომელიც საკმაოდ განსწავლული ინჟინერი გახლდათ, პლანერის ტიპის მარტივი საფრენი აპარატის გამართვა რთული არ იქნებოდა. მთავარი იყო თვით აპარატის იდეა და ასეთი რომ არსებობდა, ამას თვით მითი ადასტურებს. მითში აღწერილი ცვილით მიწებებული ფრთები კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ამბის თანამედროვე ბერძნები ჯერ კიდევ არ არიან მზად ასეთი სირთულის მოვლენის რეალისტურად აღსაქმელად.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ

(წარმართული ღვთაებანი)

„ბეკა დიდა რე ჩქიმი, თოთა ᲛᲣᲛᲐ ჩქიმი“

ᲰᲐᲣᲣ, როდინდელი ღექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წინაპრი სამყაროს მიწად და ცად ჰყოფდა. მიწა დედა იყო, ცა მამა. ამიტომ კოლხები და ტიბარენები მიცვალებულ დედაკაცს მიწას აბარებდნენ და მამაკაცს კი ხარის ტყავში გახვეულს მაღლა ხეზე ამაგრებდნენ საგანგებო ჭალაში. მამაოვის მოუღებელი იყო მიცვალებულის დაწვა. ბერძნული წყაროებით გეა და ურანოსი კოლხური პანთეონის ღმერთები არიან.

საინტერესოა, რომ შუმერთა სამყაროც ასეა მოწყობილი – მიწა, ცა და შუაშრე, რომელიც ატმოსფეროცაა და მასში მოძრავი მზეც, და ამ შუაშრეს ჰქვია „ლილ“ (გაიხსენეთ სვანური „ლილეო“). აქვე ნახვერადხუმრობით შეიძლება გავიხსენოთ ერთი შუმერული ანდაზა - „სიკვდილი არ აგვცდება და ვხარჯოთ, რაც გაგვაჩნიაო“. ამ პრინციპით დღეს ჩვენს მეტი ალბათ აღარავინ ცხოვრობს. აქვე უნდა ითქვას, რომ შუმერულ ცივილიზაციის მიღმა მიგნებულია მისი წინამორბედი, ჯეერჯეერობით დაუდგენელი ხალხის მიერ შექმნილი კულტურა, და ეს მსგავსებანაც თითქოს იქიდან უნდა მომდინარეობდეს.

დაახლოებით შვიდი ათასი წლის წინ მოთხრობილ ამ შუმერულ ამბავში მოყვანილი ყველა დასახელება უკლებლივაა შემონახული ჩვენს ენაში: აბზუ სიცოცხლის წარმომშობი წყლის სტიქიაა, აბზუს მეუფემ, სიბრძნის ღმერთმა ენქიმ, ერიდუში (შეადარე ჩვენებური ერედვი ან არადუ) აგო ტაძარი ენნეკოა (აბზუს სინონიმია). აბზუს წიაღში იმალება საიდუმლო ძალა, სახელად – მე. აბზუსა და მისი მეუღლის, თიამათის წყალთა შერევით იშვა ღმერთების პირველი თაობა - ლახმუ და ლახამუ.

შუმერული თქმულებით ენლილმა შექმნა ადამიანი და კაცთა მოდგმას მხოლოდ მასთან ჰქონდა ურთიერთობა. დანარჩენ ღმერთებს შეშფოდათ და დაიწყეს ჩარევა, რის შედეგადაც ადამიანებს მოევლინა შიში, აკადმყოფობა, მტრობა.

მრავალღმერთიანობის მიმართ ასეთი მტრული დამოკიდებულება ფანტაზიის ნიადაგზე ვერ აღიძვრებოდა. იგი წინა ცივილიზაციის გამოცდილების ანარეკლი უნდა იყოს. თიხის ფირფიტაზე წერა, ანუ ინფორმაციის გამძლე ფორმით შენახვაც შესაძლოა დიდი კატასტროფის მწარე გამოცდილებით იყოს ნაკარნახევი.

გავიხსენოთ უძველესი ქართული ლექსი: „ზზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი“ – მთვარე სულ რამდენიმე ხალხის მითოლოგიაშია მამრი – შუმერთა, ასურელთა, ქარანელთა და წინარექართველთა.

თუმც, როგორც ჩანს, რაღაც პერიოდში შუმერთა მზის ღმერთი მამრიც იყო, რადგან ასევე წყაროების თანახმად შუმერული ქალაქი ლარსი იყო მზის ღმერთ შამაშის და მისი ცოლის – აიას კულტის ცენტრი. ლამარიც(!) აქაური ქალღვთაებაა.

შუმერული პანთეონთან კავშირს ამყღავნებს მესაქონლეთა მფარველი ღვთაება ანატორი (ხევს.), ანთარი (მეგრ.), აითარი (აფხ.). (ან - შუმერში ზოგადად ღვთაებას ერქვა, ტორი (ტური) კი სახელია, იქნებ ხარის (ტაურუს).

ჩვენი წარმართული პანთეონის ღვთაება თარხონი, ისევე როგორც ეტრუსკული ტარკონ, ამინდის ხეთურ-ლუვიური ღვთაება თარხუნთიდან უნდა მოდიოდეს.

აქვე ეტრუსკული ჭექა-ქუხილის ღვთაება ტინიაც გავიხსენოთ (შეადარე ათინათს).

ოთხი ათასიოდე წლის ხეთური მითი მოგვითხრობს: - ამინდის ღვთაება ტელეფინუს რაღაც ეწყინა, გაბარაზებულმა ქვეყნის კიდეს მიაშურა და იქ სადღაც მიეძინა. ხანგრძლივი უშედეგო ძებნის შემდეგ ღვთაება ჰანაჰანამ (ნინოუმ) ფუტკარი გაუგზავნა, რომელმაც ნესტრის ჩხვლეტით გააღვიძა ტელეფინუ და აღდგა ბუნებრივი ციკლი.

ამავე მითის მიხედვით მარადმწვანე ხეზე „ეია“ ჰკიდია ცხვრის ტყავი (საწმისი), რომელშიაც სანოვაგესთან ერთად მოთავსებულია ხანგრძლივი სიცოცხლე და შთამომავლობა (ანუ - ეს საწმისი ღვთაებრივი ნივთია). ეს ნიშნავს, რომ მითი ტელეფინუზე ცნობილი იყო ბერძენთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული საუკუნის დასაწყისში ი. ჯავახიშვილმა იკარაუდა, რომ სვანური რიტუალი „მელია-ტელეფია“ შესაძლოა ყოფილიყო ნაშთი ღვთაება ტელეფინუსთან დაკავშირებული ბუნების გაღვიძების ამსახველი უძველესი ხეთური რიტუალისა.

„მელია-ტელეფიას“ რიტუალი ერთი ნაწილია ქვემოთაღწერილი „ლიმურყვამალის“ დღესასწაულისა და იგი უძველესი სახით არის ჩვენამდე მოღწეული.

სამოცდაათიან წლებში ნ. ბენდუქიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ „მელია-ტელეფიაში“ მელია უნდა დაუკავშირდეს ხეთური მითის პერსონაჟს ფუტკარს. ეს სიტყვა თავად ხეთურში დაკარგულია, მაგრამ შედარებით გვიანდელ ბერძნულ წყაროებში სიტყვა მელისა ფუტკარს ნიშნავს.

ნ. ბენდუქიძის აზრით, იგი სვანურში ნაყოფიერების რიტუალთან ერთად უნდა იყოს შესული ხეთური ენობრივი სამყაროდან.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ წინაანატურ და წინარებერძნულ ღვთაება კიბელეს ერთ-ერთ კურეტთაგანს მელისეუ ერქვა. მელისევსი ერქვა კრეტის მითიურ მეფეს, მის ქალიშვილს კი მელისა, ანუ ეს სახელი ამ ტერიტორიებზე ბერძნების გამოჩენამდე ფიგურირებს, რაც მის წინაანატურ წარმოშობაზე მეტყველებს.

ამდენად, ანატოლიასა და კრეტაზე ამ სახელის არსებობა ერთდროულად დროსა და სივრცეში აღმოცენებული ერთგვარი შუალედური რგოლია ნავარაუდები ხეთური სახელიდან წყაროში დაფიქსირებულ ბერძნულ სახელამდე, რაც კიდევ უფრო ამყარებს ნ. ბენდუქიძის მიერ გამოთქმულ ვარაუდს.

შ. ამირანაშვილის აზრით - „ეტრუსკული ღვთაების სახელი „ტელეპას“ ასევე უკავშირდება აღმოსავლურ თელეფინას და სვანურ ტელეფიას და თრიალეთის ვერცხლის თასზე ასახული სცენაც ამ რიტუალს უნდა ასახავდეს“. რაკიღა სიტყვამ მოიტანა, სხვა ეტრუსკული სიტყვებიც გავიხსენოთ: კაპუ – კაპუეტი; ნენე – ძიძა; პაპა – პაპა; ტატე (დიდედა), თივ – თვე, ველთა (მიწა) და სხვანი.

იქნებ ხეთთა უზენაესი ღვთაების ალალუს ხსოვნის ანარეკლია ჩვენებური ჩვეულება, როცა ხველებისას მაღლა აგახედებენ და ალალიო გეტყვიან.

ძალზედ საინტერესოა ხეთურ ღვთაებათა აღწერილობა. მოკლედ შეეჭრდეთ რამდენიმე მათგანზე: ინარას (მფარველ ღვთაებას) შუბი უპყრია და ფარი; ომის ღვთაებას გურზი და ფარი (არწივისა და ლომის გამოსახულებით); ზოგს ცული უპყრია, ზოგს მშვილდი, ზოლტი (ან კომბალი), ხმალი და წერაქვი.

ძველი ბერძნები მითოლოგიას ძირითადად ახალხეთებს დაესესხნენ. ჰესიოდეს თეოგონიას ხეთურ, ხურიტულ და ბაბილონურ სათავეებთან მიეყავართ.

კრეტული და აღმოსავლური წყაროებიდან ბერძნებმა შეიძინეს წარმოდგენა ზევსის ყრმობაზე, მამამის კრონოსზე, ღმერთების წინა თაობაზე – ტიტანებზე.

- მცირეაზიურ ღმერთქალ მა-ს, რომელსაც ღმერთების დედად მიიჩნევდნენ, კრეტაზე ზევსის დედობა მიეწერება (გაიხსენეთ შუმერული მე).

- ბერძნულ მითებში მიწისქვეშეთის მსაჯულნი - მინოსი და რადამანტი ძმები არიან. მესამე იყო ეაკი, ტროას კედლის ერთ-ერთი მშენებელი, მირმიდონთა პირველი მეფე, ჰელევსის მამა და აქილევსის პაპა (არცერთი მათგანი ბერძენი არ არის). მიწისქვეშეთზე თავად ბერძნებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონიათ, ანუ ეს მითები ისევ მცირე აზიიდანაა ნასესხები.

- კორიბანტები ფრიგიული ღვთაება კიბელეს ქურუმები არიან. მოგვიანებით საბერძნეთში გადასული კიბელეს კულტი შეერწყა რეას, ზევსის დედას და კორიბანტებიც კურეტებად იქცნენ. რეამ კრეტაზე შვა ზევსი, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, კრონოსისგან იცავდნენ კორიბანტები (უფროსი ძმები? ტიტანები?)

- იასიონი – კიბელეს მეუღლე და კორიბანტოსის მამა, მიწათმოქმედების უძველესი კრეტული ღვთაება. მას მიეწერება ხორბლის კულტურის გადაცემა კაცთათვის, რასაც ადასტურებს ლუკრეციუსიც, რომელიც ქალღმერთ რეას შესახებ წერს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სხვადასხვა ტომმა ძველი რწმენის შესაფერისად
„დიადი დედა“ უწოდა მას და მიუჩინა
ამალად გუნდი ფრიგიელთა, რადგან სწორედ მათ
წამოუწყიათ მკა და თესვა, პურის მოყვანა...
და შეჭურვილი რაზმიც მიდის ამჯერის ზრიალით,
ვისაც ფრიგიელ კურეტებად ხმობენ ბერძნები“.

- ამირანის მითში პირიმზე, ყამარის მამა, საჩალის წვერზე ზის და იქიდან ტყორცნის მეხს, ამინდს განაგებს. როგორც წყაროებიდან ჩანს, ელინურმა სამყარომ ზევსი (ისევე, როგორც მარჩიბივის ზოდიაქოს ღვთაებანი - ცხენთა მხედველი კასტორი და მოკრივე პოლიდევკე) წინარექართული კულტურიდან მიიღო. ამდენად, შესაძლოა იგი პირიმზეს სახეცვლილებაა. ელინისტურ პერიოდში ზევსი ეგვიპტურ მზის ღმერთ ამონში ეიგივდათ. ზოგი მითის თანახმად ზევსი კრეტაზე დაიბადა და თავიდან ვეგეტატიური ღვთაება იყო.

- ამირანი ამარცხებს ამინდის გამგებელს და მოჰყავს ყამარი (ესე იგი ცეცხლს მოიპოვებს და ცეცხლის ფლობა კი ამინდის დამარცხებაა). სხვა, უფრო უხნეს დანაშრევში, ამირანი ვეგეტატიური ღვთაებაა. ერთი გადმოცემით იგი შუშდება ირმის, უფრო ძველი ვერსიით კი ვეშაპის ფაშვში, საიდანაც გაათკეცებული ძალისა გამოდის, ისევე, როგორც ხორბლის ერთი მარცვალი მიწიდან თავთავად აღმოცენდება.

საინტერესოა ვეშაპის თემაც: ვეშა შავი ფერის საბრძოლო კერპი იყო, აქედან მოდის საბრძოლო შეძახილი – ვაშა, აქედანვე მოდის სიტყვა ვაჟი. ქართული მსოფლაღქმით შავი ყველაზე ძლიერი ფერია, რადგან გარე სანელს, ცივ, უსასრულო და ბნელ სივრცეს ასახავს. შესაბამისად, ამირანის ეპოსში შავ ვეშაპთან შესაბრძოლებლად თავად ამირანი გადის და ძმებს შედარებით იოლად გასამკლავებელ თეთრ და წითელ ვეშაპებს უთმობს. აქ გავიხსენოთ, რომ მითის მიხედვით ამირანი საავდროდ გამზადებულ ღრუბელსა ჰბავს, ანუ თავადაც საკმაოდ შავია (ქართულში ყომრალი, ქუფრი, ლეგა საავდრო ღრუბლის სინონიმებია და ყველა შავს ნიშნავს).

რატომ წაიყვანა ბერძნულმა მითმა ზევსი ოლიმპოზე და პრომეთე კი კავკასიონზე მიჯაჭვული დატოვა? იქნებ იმიტომ, რომ ზევსის მთავარი ატრიბუტი, ანუ ელვა, საბერძნეთშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა, პრომეთეს მიერ მოპოვებული ცეცხლი კი კავკასიაში უფრო რთული მიზნით გამოიყენებოდა (ვთქვათ ლეთონდამუშავებაში) და პრომეთეს მოწყვეტა მეტალურგიის ძირითადი კერიდან არაბუნებრივი იქნებოდა.

ერთი ჩინური სწავლებით, რომელიც ადამიანის ორგანოებს ახასიათებს, ღვიძლი წარსულზე სევდითა და ნაღველით არის სავსე. იქნებ ორბის მიერ პრომეთეს ღვიძლის კორტნა ალეგორიაა ტიტანის მოუშუშებელი სევდისა დაღუპულ ცივილიზაციაზე.

მითის თანახმად ღმერთებმა ცეცხლი წაართვეს ადამიანებს - ისე არ გაძლიერდნენ, რომ ჩვენ დაგვამხონონ. ეს მცირე ნაწყვეტი ცხადყოფს, რომ ქრისტეანობამდე ქართველებისთვის ღმერთი მეტწილად უსამართლო ბატონთან იყო გაიგივებული. ამავე დროიდან უნდა მოდიოდეს ანდაზაც - „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“.

ეს თვი, ისევე როგორც ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი, დაუსრულებელია, მაგრამ ჩავთვალეთო, რომ იგი მაინც დაეხმარება მოზალისე მკვლევრებს. ჩამონათვალში შეტანილია აგრეთვე ერთი ნაწილი მოსაზღვრე და მონათესავე კავკასიელ ხალხთა ღვთაებებისა, რადგან ხშირად ვლინდება საინტერესო კავშირები ჩვენს მითოლოგიასთან.

აგუნა – ვაზის ღვთაება
ავსათი – ნადირთპატრონი
ავსუელები - იბლისი, ალმასი, ხუნ-საგი, უბური, ვიჩაბი, გამსილგი (ჩაჩ.-ინგ.)
ალალუ – ხეთური ცის ღვთაება
ალი – ტყის, მდინარის ავსული, ცეცხლისფერთმიანი ქალი
ანატორი - (ხევს.), ანთარი (მეგრ.), აითარი (აფხ.), მესაქონლეობის მფარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არალე – მოსავლიანობის ურარტული ღვთაება (არალი შუმერულად ქვესკნელია)
არამ-ხუტუ – ამირანი (მეგრ.)
არინა – ხეთთა მზის ქალღმერთი
არმაზი - მაზვილიანი კერპი
აუეეიპშაა – ნადირთპატრონი (აფხ.)
ასიმუთი – იგივე ბეთ, კერპთაგანი
ასსა – ჭეკა-ქუხილის (დაღესტ.)
აფი - ელვის (აფხ.)
აფსათი – ღვთაება (სვან.)
ახინი – ამიში, საქონლის მფარველი (აფხ.)
ბარბალე –
ბარბოლი – (კავკ.)
ბადაგონ -
ბომბღა – განაყოფიერება-გამრავლების
ბოსლა – ბოსელი, ვაჩილა (ხევი), ვაცილა (ოს.), ბოსლა-კოტრა (რაჭ.)
ბედის მწერლები –
ბოჩი -
ბუქრა – წყლის ქაჯთა მბრძანებელი
გა - არმაზის გვერდით მდგარი ოქროს კერპი (გაცთან ერთად)
გაცი – არმაზის მსახური
გველეშაპი – ცის მნათობთა მტერი ურჩხული
გველფერნი – ურჩთა დამსჯელნი
გიორგი ნიაღვარმშვენიერი – დევებთან მებრძოლი
გონჯო - (კავკ.)
დალი – ნადირობის ქალღმერთი (სვან.)
დანინა - აინინა, (შუმერული ინანა, ნინნი) საურმაგმა დაწესა ძვ. წ. III საუკუნეში.
დებეჩი - ნართების ღვთაება
დევი – ზღაპრული არსება, კეთილიც გვხვდება და ავიც
დილბად - ქალღვთაება
დორალი – ავსულთა უფროსი (თუშ.)
დღე დღესინდელი – აწმყოს ღვთაება(?)
ელია-ლაზარე – ამინდის გამგები
ერდი – თუშოელი, მოსავლის (ჩაჩ.-ინგ.)
ერიში – ხელოსნობის (აფხ.)
ზადენი – (?) მ. წერეთლის აზრით ხეთური სანდონ
ზიუვილი – წვიმის (დაღესტ.)
თარხონ - წარმართული ღვთაება, მძლეველი გმირი
თხაგალეკ – მოსავლის (ადიღ.)
თებეორიკა – მავნე სული
თეთრი სანება ცროლის გორიან - მეკოპართა ხატი ხევსურეთში
თერგვაული - დევებთან მებრძოლი ღვთისშვილი
თუთა – მთვარის ღვთაება
იახსარი – ღვთისშვილი, დევებთან და ქაჯებთან მებრძოლი
იგრის (ეგრის) – წყლის ღვთაება
იდორი - კვარა, მოსავლის (დაღესტ.)
იშთარი – ესტერი, ასტერი, ასტრა, ეთერი
იშხარა – ხეთური ქალღმერთი
კავატი – მავნე სული
კარატის ხატი - მორჩილებდნენ ქაჯები, მაჯლაჯუნები, ალები.
კეთილი ანგელოზი – ღვთისშვილთა თანაშემწე
კვიკვინ – სელის სული, კუკუნ (აფხ.)
კვირია – ხმელთმოურავი
კოპალა - დევებთან მებრძოლი ღვთისშვილი
კუდიანი – ავსული დედაბერი
კუმეტნი – ავსულები
ლაშარელა – მეომართა მფარველი
ლეგათაძუარ – ვაჟთა ღვთაება (ოს.)
მაზაკვალი – მავნე სული
მამბერ – მგელთა მეუფე (სვან.)
მაქცია – გარდამსახველი ავსული
მაცილი - ავსულთაგანი
მაღვალაკი – მავნე სული
მაძახურა – ავსული (ხევს.)
მეზითხა – ნადირობისტრონი
მესეფი – ქალებიც არიან და კაცებიც, ზღვიდან ამოდიან, ამინდს განაგებენ
მეენე – ღვთის ნების მაცნე
მექილიკე – მაცდური და ღმერთთან მბაზღარი სული
მეყურაიდე – მესმინაე, სათხოვართა შეშკრები და ღვთისშვილთათვის გადამცემი
მინდორობატონი – მინდვრის მფარველი
მიწრიელი – მავნე სული
მკამგარია - სკამგარია, კამეჩის მფარველი (აფხ.), ან მიქამა-გარია (მიქელ-გაბრიელი მეგრულად)
მორიგე – უზენაესი ღვთაება, გამრიგე
მწევანრი – სულები
მწერელი – სულეთის ბჭე
მხიბლავი – სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა – ბუნების კვდომა-აღდგომის ღვთაება
ნერჩი პატენი – ფუძის ღვთაება (მეგრ.)
ოროველა – მიწათმოქმედების მფარველი
ოჩიდალი – წვრილფეხა საქონლის მფარველი ღვთაება
ოჩოკოჩი – ტყის ავსული, მკერდზე ცულივით შვერილით
ოჩოპინტრე – ნაღირთმფარველი
პირიმზე – მურყვნისლად მოიხსენება ხოლმე, ამინდის გამგებელი, ყამარის მამა
პირქუში – ღვთისშვილი, პირველი მჭედელი
პირცეცხლი – ავსულებთან მებრძოლი ღვთისშვილი
ჟინი ანთარი – ზეციური ანთარი (მეგრ.)
როკაპი – კუდიანთა უფროსი დედაბერი
სათაელი – ეშმაკი, ბელიარი
სამბივარი – სამზევარი
სპაასნგელოზი –
საუნაუ – პუერეულის (აფხ.)
საქმისაი – ღვთაება (სვან.), ექვსი მოახარი (მხლებელი) ჰყავდა
სახლის ანგელოზი – ოჯახის მფარველი
ტლეფში – მჭედელთა (ადიღ.)
ტყაშმფა – ალთა მბრძანებელი (მეგრ.)
ფასისი – მდინარის ღმერთი
ფიწალე –
ფსათხა - თხაშხო, სულის მფარველი (ადიღ.)
ფუსნაბუასდია – დიდი ღვთაება, ხარისა და მზის კულტის მერწყმით (შეადარე რქებსშუა მზეჩადგმულ ეგვიპტურ ღვთაებას)
ფშიშაკშა - ძროხის (აფხ.)
ქაჯშელდიანი – გველეშაპის უფროსი (სვან.)
ქაჯი – დიდი ბანჯგვლიანი ავსული
ქვეცრიელი – ყვიოელთმიანი ქალქაჯი
ღუდილი – ამინდის (დაღესტ.),
ღუფარი – საქონლის (დაღესტ.),
ყურშა – ფრთოსანი ძაღელი
შაითანები - ტიტუ, იტუ, ნისკუ, ვასვასინეკალი, კეხი (კეხის გამამრუდებელი), ჟუნდული, ალ-ფაბი, ქუშეკაპტარი, ზალზანაგი (ავარ.)
შაშვი – იგივე შაშა, მჭედელთა ხარისთავა ღვთაება (აფხ.)
შეაკვაზი – აჟვეიშაას მსახური
შიბლა - ჭექა-ქუხილის (ადიღ.)
ჭეხის ანგელოზი – იგივე ელიაა
ჭინკა – პატარა მავნე სული
ცხეკიშ ანგელეზ – ტყის ანგელოზი (სვან.)
ხაკუსტაშა - ხარის მფარველი (აფხ.)
ხიბალი – ჭინკა, პატარა ავსული
ხმალა -
ხუტუინ – მიწათმოქმედების ურარტული ღვთაება
ჯაჯა – ანაფა ნაგა, მოსავლიანობის (აფხ.)
ჯიმაღი – ღვთაება (ოტარიდი?)

მებრძოლი სული

„აჰა, ჩვენცა ხელნი ხრმლად და სულნი ღმრთად“
ქართლის ცხოვრება

„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობსო“ - ამბობს დიდი ილია.

ზეპირსიტყვიერებამ, ისტორიულმა და ლიტერატურულმა წყაროებმა შემოგვინახა არაერთი ბრწყინვალე სახე ქართველი გმირისა. გვხვდება როგორც ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნებანი, ასევე ხალხი, რომელნიც ყოველდღიურობაში შეუმჩნეველნი ყოფილან, ხანაც თემისგან ათვალწუნებულნი, მაგრამ გადამწყვეტ ჟამს უყოყმანოდ დაუდიათ თავი სამშობლოსთვის. მათი ხასიათების მრავალი წახნაგიდან ერთ-ერთზე, ვფიქრობთ, ღირს მკითხველის ყურადღების საგანგებოდ შეჩერება.

ერთ ცნობილ ხალხურ ლექსში ნათქვამია: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისანი“, ან კიდევ: „ვაჟოკაცო გულოვანო, ღვინისფერო, მცინარეო, ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო“.

ამ სტრიქონებში არა ოდენ სიმამაცისკენ მოწოდებასთან გვაქვს საქმე, არამედ გამოკვეთილია მეომრის აღზრდის უმთავრესი გეზი: - რკინის გული, ანუ სულიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმხნევე და მოწინააღმდეგის დაფრთხობა იყო ქართველთა საბრძოლო წარმატების უპირველესი საწინდარი, რადგან თუნდაც საუკეთესო ხმალ-ფუში ვერაფერი შეღავათი გაწალდათ ათჯერ აღმატებულ მტერთან შებმისას. ნურიკ რუსთაველის-ამ ხტრერეონს გადავურბენთ ზერელე თვალით - „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულრეფნობდეს.“

საუკუნეებს გამოღმა შემოუნახავს ელვარება მემატიანის ამ გასაოცარ სტრიქონებს: - „ხოლო ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უზუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხეიარი და შემმრთებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უზორცო...“

ერთ ბრძოლაში მეფე ფარსმანს ბუმბერაზთა შერკინებებში 17 ნარჩევი სპარსი ფალავანი დაუმარცხებია.

თუმცა მებრძოლი მოვალე რიდი იყო უანგარიშოდ შეეკლა თავი მტრისთვის. სამშობლოს დამცველისთვის სიმამაცე გააზრებული აუცილებლობაა, მტრის დასთრგუნად მიმართული და მთავარი თავგანწირვა კი არა, არამედ საბრძოლო ამოცანის შესრულებაა, რაც მხოლოდ მშვიდი განსჯის ნაყოფი შეიძლება იყოს. ამას ადასტურებს ხალხური ლექსიც: „ნუ აჩქარდები ვაჟკაცი, მიწა არ ძღება მტკრიანი, ამაყი ადრე მაკვდება, დიდხანს იცოცხლებს ჭკვიანი“-ო.

ხშირად კი მოპაექრე შექებულია შერკინებისას ხუმრობისა და კაფიაობისთვის, რაც მის უაღრეს ოსტატობასა და გაწონასწორებულობაზე მეტყველებს: „ვაშვაკ უნდ ოყვას ისეთი, ფიცხად ხმარობდეს დანასა, სიცილით უნდა იშუღლას, ხმაც არ გაიტანასა.“.

თუ რამდენად შეგუებული იყო ჩვენი წინაპარი მტრის რიცხვობრივ სიჭარბეს, ნათლად ჩანს ქვემოთმოყვანილი სტრიქონებიდან.

საბრძოლო ხელოვნების ნებისმიერი ოსტატი სულ იოლად განგიმარტავთ, თუ რას გულისხმობს ძველი გამოთქმა - „ლაკვრა სჯობს დაღირებასა“. ორთაბრძოლაში (და ხშირად გუნდურ შერკინებაშიაც) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი და შეტევაზე გადასვლა შემტევს ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აყენებს თავდამცველთან შედარებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავდამცველი იძულებული ხდება უკან დაიხიოს, ანუ იმობრაოს იმ მიმართულებით, საითაც თვალები არ ასხია, რაც ხელს უშლის უმუალოდ მტოლეზე ყურადღების გამახვილებაში. გუნდური შერკინების დროს ასეთი უწესრიგო უკანდახევა იოლად იწვევს არეულობას და ქმნის პანიკას. როგორც წყაროებიდან ჩანს, ქართველები საკმაოდ გაწაფულნი იყვნენ სწორედ ამ მდგომარეობის შექმნასა და მისით სარგებლობაში. ამის მშვენიერი მაგალითია დიდგორის ბრძოლა, რომელმაც სულ სამ საათს გასტანა. მოწინააღმდეგის ათჯერ აღმატებულმა ლაშქარმა ვერ გაუძლო ორი მხრიდან დარტყმას, აირია და უწესრიგოდ დაიხია უკან.

საბრძოლო ოპერაციების აღწერისას არაერთხელ არის ხაზგასმული მცირერიცხოვანი საგანგებო რაზმის ქმედება, რაც მეტწილად განსაზღვრავს კიდეც საბოლოო შედეგს. ვახტანგ გორგასლის მემატიანის თქმით, ბრძოლის ყველაზე დაძაბულ უბანზე მეფე „რჩეულითა მხედრითა უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინისცემდა სპათა მისთა“. ამისავე დასტურია ქართველთა მოწინავე რაზმის ოპერაცია დიდგორის ომში.

დავითის და თამარის დროს წესად იყო ქცეული, რომ ქართულ მოწინავე რაზმებს იერიში მიეტანათ მტრის უმთავრეს (რჩეულ) ნაწილებზე. ამის ანარეკლი უნდა იყოს ტარიელის მიერ ნაოქვამიც: „მუნ მივმართე მკლავმაგარმან, სად უფრონი ჯარი დგესა“.

დავითმა ამთავითვე ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახა საგანგებოდ გაწვრთნილი გვარდიის შექმნა, რომელსაც ბრძოლის დაწყებისთანავე ფსიქოლოგიურად უნდა გაეტეხა მოწინააღმდეგე. ლაშქრის შექმნა მან დაიწყო „მონა-სპით“ - ერთგული გვარდიით, რომელსაც „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად“ ალაშქრებდა და ამეკარად გაწვრთნა „უწყინრთა ლაშქრობითა, და მცირედ-მცირედი ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგონებითა“. „თუით მეფე, არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა ანუ შორით უზახებდა... არამედ უპირატესად ყოველთასა თუით წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღალითა“. ამრიგი „უწყინონ ლაშქრობათა“ სარდლობით, ასევე დაზვერვის ჩინებული

Digitized by Eurasia.org

სისტემის გამართვით, დავითმა თანდისთანობით, გამიზნულად შექმნა ყოვლისმცნობელი და უძლეველი მეფის ხატი, რომელიც ესოდენ დამორჩუნველად მოქმედებდა მტერზე.

ამავე დროს, იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საკუთრივ მებრძოლისა და მოკალაძის ზნეობრივ სახეს. მემატიანის ცნობით „საეშმაკონი სიმღერანი, ხახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“. ამ ძალისხმევამ ხანგრძლივი თურქობისგან დაკნინებული და სულიერად წამხდარი მოსახლეობის აღსადგინებლად სწრაფად გამოიღო სასურველი შედეგი. ბრძენი მეფის ეს ნაბიჯი მაგალითია ყველა თაობის ხელისუფალთათვის.

ურიგო არ იქნება, თუ სწორედ აქ გავიხსენებთ მემატიანის მიერ საოცარი სიზუსტით გამოკვეთილ სატკივარს ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც კარს მნიღოლთა ურდო მოსდგომია:

„ - განძღეს და იშვებდეს და უწესობად მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგნურნი კაცნი, მეფისა კარსა ზედა არა ყოფისა ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“. საქართველოს ისტორიაში ლაშა-გიორგი ტოლს არავის დაუდებს არც სამშობლოს სიყვარულით, არც საბრძოლო ოსტატობითა და არც სიმამაცით, მაგრამ ზნეშერყეული ქვეყანა, რომელიც ინერციითღა იქნევს ხმალს, მტრისთვის იმდენად საშიში აღარ არის.

შამქორის ბრძოლის წინ, როდესაც მზვერავთა რაზმმა მოიტანა ამბავი მტრის უზარმაზარი ლაშქრის შესახებ, ხანგრძლივი თათბირობით გაბეზრებული ქართველთა სარდლობა და ჯარი ერთიანად სიხარულს მოუცავს მტრის სიახლოვის გამო. ერთიანა გაჰკვირვებიათ - ნუთუ ასე ეიმედებათ თავიანთი „სიმრავლე-აურაცხელობა“, რომ გამაგრებული ადგილები მიუტოვებიათ და წინ გამოსულანო.

ეამთააღმწერელს „მონღოლთადრონიდელ მატიანეში“ ასეთი ამბავი აქვს მოთხრობილი - მანდატურთუხუცეს ბეკას ტყვედ აყვანილმა თურქებმა აუწყეს - „აზატ-მოსე ოცდაათი ათასისა მხედრითა წარვიდაო ვაშლოვას და ორმოცი ათასი დაუტეკვ და წარმოავლინა ტაოს, ხვალე ანუ ზეგე მოვალსო“. ბეკამ ცნობა სანდოდ მიიჩნია და ლაშქრის ერთი ნაწილი თავისი ყრმა შვილის, სარგისის მეთაურობით დაადევნა აზატ-მოსეს (ყრმად, იმდროინდელი მნიშვნელობით, ოც წლამდე ასაკისა იწოდებოდა).

„ხოლო წარისწრაფა სარგის და მიეწია ვაშლოვანის მთათა ზედა მიმავალსა თურქსა. და ვითარ იხილეს უკანა კერძო ლაშქრი, განკვირდეს და მსწრაფულ მოაქციეს ჰუენი სარგისის კერძო. იხილეს სიმცრო ლაშქრისა, რამეთუ იყვნეს მესხნი ხუთასი, ხოლო თურქნი - ოცდაათი ათასი. განიხარეს და ჰგონეს მოწყვეულ ყოველთა.

მაშინ მხედარნი სარგისისნი ზედა მოეტევნეს უშიშრად, ხოლო სარგის წინა განეწყო და სპანი მისნი მიეტევნეს მხნედ. იქმნა ომი სასტიკი. და პირველსავე შეკრებასა მიდრკეს თურქნი სივლტოლად და იოტნეს ძლიერად“. ბრძოლის ველზე დარჩა დაღუპული ხუთას ცამეტი თურქი და ხუთი ქართველი.

ტაციტუსის ცნობით ფარსმან პირველს ასე მიუმართავს ლაშქრისთვის პართელებთან ბრძოლის წინ: „ - აქ ვაკაცებია, იქ კი ნადავლი!“ (ქართული წყაროს თანახმად: „ - აჰა ლომნო მძიგნვარენო, ცხოვარნი დასეტყველნიო!“).

ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ცნობა ლურსად I-ის შესახებ. მისი თქმით, მეფე ასე შთაგონებდა თავის ლაშქარს - „მამაცმან კაცმანო უნდა თავის თავი მგელს ამსგავსოსო და მტრის ლაშქარი ცხვარი ეგონოსო“.

თავად ლურსადი ხომ საარაკო მებრძოლი იყო. გარისის ბრძოლას, ხანდაზმულობის გამო, ფორაკიდან აღევნებდა თვალს რამდენიმე მოხუც სარდალთან და სასულიერო პირთან ერთად. მეფისწულ სიმონის მიერ ოტებული მტრის ერთი რაზმი ალყიდან გასვლას სწორედ ამ ფორაკის გავლით ეცადა და მეფეს და მის მცირე ამალას კი გადაეწყვა. მეფემ მხლებელს შუბი გამოსტაცა და მტერს ეკვეთა. მალე, დალეწილი შუბის წილ, ხმალი ამოიშვია, როცა ისიც დაემსხვრა, ცხენის დაძგერებით განაგრძო ბრძოლა და რამდენიმე კაცი ასე ჩამოყარა ცხენებიდან. სათაყვანო მამულიშვილი წარმოუდგენელი უიღბლობის მსხვერპლი შეიქნა - ყველა იარაღი დაეტყრა, ცხენს ფეხი ნაპრალში ჩაუვარდა და წაიქცა, თავად კი უწაფუტოდ იყო, რადგან ბრძოლაში ჩართვა მოულოდნელად მოუხდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დავბრუნდეთ ოდნავ უკან და გავიხსენოთ, რომ ლუარსაბმა მოხუცებულობის გამო უარი თქვა ბრძოლაში მონაწილეობაზე. არადა, მეფეს მთელი ცხოვრება უნაგირზე და ხელში ხმლით ჰქონდა გატარებული, ანუ ბრძოლა მისი სტიქია იყო. ალბათ ძალიან აღარ ერჩოდა მკლავში ძალა, თორემ უარი რატომ უნდა ეთქვა.

ხოლო თუ ასეა, მაშ რით უნდა აიხსნას მის მიერ მოგვიანებით გაჩაღებული საარაკო ბრძოლა. ჯერ იყო და მხლებელს შუბი გამოსტაცა და თავად ეკვეთა მტერს, ანუ მცველს უკან ამოფარება არც უფიქრია. არც იარაღების მტერზე შელეწვა უნდა იყოს იოლი დაუძლურებული მოხუცისთვის, მით უმეტეს, რომ მეფეს, თანაც ასეთ სანაქებო მეომარს, განსაკუთრებული ხარისხის ხმალი ექნებოდა. ბოლოს, უიარაღოდ დარჩენილი, ცხენის შუბგერებით უტევს მტერს, ანუ ახალგაზრდისთვის შესაშურ სიჩაუქეს ავლენს.

ლოგიკით ერთადერთ დასკვნის გაკეთება შეიძლება – ლუარსაბ მეფე ომისთვის მართლაც ძალიან მოხუცი იყო, მაგრამ საკადგები შემთხვევაში მას შეეძლო ხელუხლებელი სასიცოცხლო ძალის გამოხმობა მომავლის მარაგიდან, ასეთი უნარის გამომუშავებას კი განსაკუთრებული ცოდნა და აღზრდის მეთოდი სჭირდება.

განა ასევე საოცარი არ არის ვინმე მარტინ გოდერის მიერ მანუჩარ ჯაყელზე მოთხრობილი ამბავი – უიარაღო ათაბაგი შედის თურქთა სარდალ მეჰმედ-ფაშას კარავში, სადაც მისი მოკვლა აქვთ განზრახული. მეჰმედის პირისპირ მდგომმა ათაბაგმა ზურგიდან თავდასხმა იგუშანა, მობრუნდა, მკვლელს მოქნეული ხმალი გამოსტაცა და თავისივე ხმლით ჭიპამდე ჩააპო. შემდეგ დანარჩენებს მოუბრუნდა (არ დაგავიწყდეთ - ეს იყო მანუჩარის მოსაკლავად შემართული ათი რჩეული მეომარი). გახელებული მანუჩარი თავზე დაესხა მათ და თურქთა სარდლისთვის რამდენიმე ჭრილობის მიყენება მოახერხა, სანამ საშველად შემოსწრებული თანამებრძოლნი გაარიდებდნენ იქაურობას.

ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში ასევე მოიხსენიება ერთი საინტერესო ქცევა. შეტაკების წინ მავანი მეომარი სანაძლეოს დებს თანამებრძოლებთან - მტრის ჯარში გავალ და გამოვალო. სათანადო პირობის შემთხვევაში იგი უახლოვდება მტრის წყობას, ხმლის ტრიალით გაპკეთებს მას და უკან ბრუნდება.

გადმოცემით ცნობილია, რომ სახალხო გმირი შეთე გულახაიძე, უკვე საკმაოდ ხანდაზმული, ბრძოლაში პირდაპირ კი არ ეკვეთებოდა მტერს, არამედ წინმალაყით თავზე გადაეცლებოდა პირველ რიგს და იქვა დაბზრალდებოდა ორი ხმლით. ბუნებრივია, ეს სულაც არ მოუთითებს მის ექსცენტრულ ბუნებაზე. შეთე ამას სავსებით პრაქტიკული მოსაზრებით ჩადიოდა - მტერს ზაფრას სცემდა და მისიანს ამხნევებდა უზეკეული სიფიწაღით. მხნეობას კი, იმდროინდელ რკინებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ხალხური ლექსის თანახმად - „სამჯერა ჰქონდა შეთესა აზარი ათავებულიო“. აზარი ასი მტრის მოკვლას ნიშნავს და, თავად შეთემ, მეფისნაცვალ ვორონცოვთან საუბრისას, განმარტა, რომ ეს სამსი კაცი მასთან პირისპირ შერკინებაში იყო დალუპული, თორემ დევნის და სროლის დროს მოკლულთა რიცხვი არც დაუთვლია. თუ გავიხსენებთ არისტოტელეს ცნობას იბერების შესახებ - „საფლავის გარშემო მიცვალებულის მიერ მოკლული მტრის რაოდენობის სარტს არჭობენო“, წარმოიდგინეთ, შეთე გულახაიძის საფლავზე რამხელა ტყე უნდა აღმართულიყო.

წინაპართა ოსტატობის აღწერისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც მომზღური იყო ჯაბანი. სამეკობრეოდ მავალი კაცი, რაკიღა ამ საქმით ირჩენდა თავს, შესაბამისი ოსტატობითაც უნდა ყოფილიყო თავდაიმდებული. ბუნებრივია, როცა ოჯახის დასაცავად სწირავ თავს, სამოვრისთვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება კი ლოგიკას მოკლებულია.

ამდენად, წინაპართა საბრძოლო წარმატებები ძლიერთა შორის უკეთესობის დასტურია და სწორედ ასეთ ცოდნას ეწოდება ხელოვნება. ამის ნათელი მაგალითი მრავლად მოიძევება ჩვენს წყაროებში, ოღონდ გაწაფული თვალით წაკითხვას მოითხოვს.

ამჯერად საჭაშნიკოდ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მიერ გარდახდილი ორთაბრძოლები გავიხსენოთ და დავაკვირდეთ, თუ რაზე ამახვილებს ყურადღებას საბრძოლო ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატი და მკვლევარი ზურაბ ლეჟავა:

ვახტანგის მოკავშირე სპარსთა ფალავანს ფარსმან-ფარუს ხაზარმა - გოლიათმა თარხანმა პირველივე შეტაკებისას ხმლის ერთი დაკვრით ბეჭამდე ჩაუპო ჩაფხუტიანი თავი, რაც მეტყველებს მის ბევრად აღმატებულ ოსტატობაზე მეტოქესთან შედარებით.

ამის შემდეგ, ჭაბუკი მეფე თავად გადაწყვეტს ხაზართა უძლეველ ფალავანთან შერკინებას. აქ ჯუანშერის მიერ საოცრად დრამატული, განცდით დამუხტული სურათია დახატული: - „მოიქცა ვახტანგ და აღვდა ტაიჭსა თვისსა, და რქუა სპათა თუესთა: „ეევდრებოდეთ ღმერთსა და ნუ შემრწუნდებით“. წარვიდა ვახტანგ, და დადგა სპანი მისნი ზურგით მისსა; შემრწუნებულნი და სავსენი მწუხარებითა თვის-თვისსა სულსა ზედა ეევდრებოდეს ღმერთსა“.

ემოციით დამუხტული მკითხველი მოვლენათა შემდგომი გამძაფრების მოლოდინშია, მაგრამ ვახტანგი, ასევე პირველივე შეტაკებისას, გამჭოლ განგმირავს თარხანს - „აღიზახნეს და მიეტევნეს ურთიერთას, და პირველსავე შეკრებასა სცნა ვახტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა; და ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და განვლო ზურგით...“

ასეთი მოულოდნელი, დოკუმენტური სიმშრალით ასრულებს ჯუანშერი ამბავს ვახტანგის საბრძოლო ნათლობისა. ალბათ ზუსტად ასე მოხდა და იმიტომ. ამბის დასასრული თუმც ნაკლებ ფერადოვანია, მაგრამ უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე ბუმბერაზთა მრავალდღიანი კვეთება და იარაღის ლაწალუწი.

მეორე დღეს მეფეს ოვსთა ფალავანთან უწევს შერკინება, გოლიათ ბაყათართან, რომელსაც „მოესრა ყოველნი მებრძოლნი მისი: რამეთუ იყო სიგრძე მშვილდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექუსი მტკაველი.“

მეტოქის წაბდენას ვახტანგი მდინარის გამოლმიდანვე იწყებს, როცა შეახსენებს, რომ მეფეა და ამიტომ ბაყათარმა თავად უნდა გამოსტოპოს მდინარეში.

„მაშინ ვახტანგ უკუდგა. გამოვლო მდინარე ბაყათარ, და უწყო სროლად ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხლითა თუალოთასა, და სიმახვილითა გონებისასა, და სიკიკასითა ტაიჭისა მისისათა ირიდებდა ისარსა: რამეთუ შორსვე იხლის ისარი მომბავალი, და უხლდებოდა და სიმარჯვითა მიეახლებოდა... და ვერა ჰკრა ისარი, ორისა ისრისაგან მეტი, ბაყათარ ფარსა ვახტანგისსა, და ვერა ჰკუეთა ყოველად. და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისსა, და გაადო შიგა. და ვიდრემდე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუხდა ზედა და და უხეთქნა ხრმალი მხარსა ბაყათარისსა, და ჩაკუეთა ვიდრე გულამდე.

მაშინღა დაეცა ცხენი ვახტანგისი, სწრაფით მიჰყო ხელი და შეიპყრა ცხენი ბაყათარისი.“

ერთობ ცივი გონებით წარმართავს ამ თავბრუდამხვევ შერკინებას ჭაბუკი მეფე, „სიმახვილითა გონებისათა“ ირიდებს ბაყათარის ნატყორცნ ისრებს. ამასთანავე, ორთაბრძოლას მაშინ კი არ ჩათვლის დასრულებულად, როცა მეტოქის მოსპობს, არამედ როცა მისი ცხენის სადავეს დაისაკუთრებს, რათა ამხედრებულმა განაგრძოს ბრძოლა. სხეულისა და გონების ასეთი ერთობა მრავალწლიანი გამოცდილებით დაყურსული მორკინალისთვისაც კი შესაშურია და წვრთნის განსაკუთრებულ ცოდნაზე მიუთითებს.

არ დაგვიიწყდეს – ამ დროისათვის თექვსმეტი წლის ვახტანგს საკუთარი საბრძოლო გამოცდილება არ გააჩნია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე და მასწავლებელი მისი, მორკინალის აღზრდის საოცარ სისტემას იყო ნაზიარები.

ბერძენთა სასპეტ პალიკარპოსთან შერკინებასს ვახტანგი ფარიკაობის ჩინებულ ცოდნას ამჟღავნება: „და აღიზახნეს ორთავე მათ განწყობილთა ხმითა საშინელითა, და იყო ხმა იგი ვითარცა ხმა ქუხილისა, რომლითა შეიძრა ქვეყანა. და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა, და განავლო ფარსა ვითარ წყრთა ერთი, რამეთუ იყო სიმსხო ლახურისა ვითარ მკლავი კაცისა. და მისცა ფარი იგი მეფემან ლახუარსა მისსა, და მიეტევნა პირისპირ, და სცა ხრმალი ჩაბალახსა ზედა და განაპო თავი მისი ვიდრე ბეჭამდე.“

ასევე საინტერესოა ვახტანგის შერკინება სინდთა მეფესთან: „მაშინ იწყეს რბევად მრგულივ ნავარდსა, და ღონესა ეძიებდეს ორნივე, რამეთუ შეჰყვეს წუერსა ჰოროლისასა. მაშინ დაიკაპა სინდოთა მეფემან შეყოლა ვახტანგის ჰოროლის წვერისა და შეუტევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათამცა სცნა ჰოროლნი. ხოლო სიმხნითა და სიკისკასთა ტანისა მისისათა მიუდრკა ვახტანგ ჰოროლსა და წარხდა, და შემოუმრჯო ვიითარცა გრიგალმან და სცნა ჰოროლნი სინდოა მეფესა ბეჭსა მარცხენასა. ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველსამან, და იწყალ წყლულებითა დიდითა, რამეთუ წინათ განვლო წყრთა ერთი. და ჩაბოიჭრა სინდოა მეფე, და მივიდა ზედა ვახტანგ, ჩაჰყო ხელი და უპყრა ფერხი მისი, და თრევით მიიღო წინაშე სპარსთა მეფისა.“

* * *

ერთად თავდაყრილი ეს საოცარი ამბები კიდევ უფრო გვიმძაფრებს იმის შეგრძნებას, რომ საქმე გვაქვს არა სხვადასხვა მიმართულების საბრძოლო გამოცდილებათა მარტივ ჯამთან, არამედ ამ ბაზაზე აღმოცენებულ და განვითარებულ ურთულეს სისტემასთან. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ბრძოლის წინ სრულდებოდა საგანგებო „როკვები“ და „დავლურები“, თვალნათლივ დავინახავთ მეომრის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების არა ოდენ დროის შესატყვის, არამედ ფრიად დაწინაურებულ ცოდნას.

ქართული ტრადიცია მეომარს აღრეული ასაკიდან უყალიბებდა მებრძოლ სულს და ამ აღზრდას საფუძველად, გარდა სამშობლოს სიყვარულისა, პიროვნული ღირსების გრძნობასაც უდებდა. ხუთიოდე წლის ვაჟი რომ შესულიყო სახლში, ხანდაზმულნი პატივისცემას ფეხზე წამოდგომით გამოხატავდნენ თურმე.

როცა დემეტრე თავდადებულს მონღოლებმა ქაიროზე შეტევისას შეუთანხმებლად წინ გაჭრისთვის პასუხი მოსთხოვეს, მეფემ განუმარტა – ქართველებს ბრძოლაში სხვისი ზურგის ცქერა წესად არ გვაქვსო.

ღირსების გრძნობა ჩვენში არც ვლეს ჰქონია ნაკლები. როდესაც მეგრელ ვლეხთა აჯანყების მეთაურს უტუ მიქავას ჰკითხეს - რისთვის ებრძვითო, უპასუხნია – კაცის კაცი არ უნდა არსებობდესო. ასეთი შესაშური სისადავით ჩამოაყალიბა უსწავლელმა ქართველმა ვლეხმა ადამიანთა იდეალური საზოგადოების ფორმულა.

ხალხურ გადმოცემებში იკვეთება, რომ კოპალა, იახსარი, პირქუში და ვეგრაგი თავდაპირველად ხორციელნი ყოფილან და სალოცავებად საარაკო მებრძოლეობითა და მართალი ცხოვრებით იქცნენ. ისინი ღმერთსა და ადამიანებს შუა მოიაზრებიან და ღვთისშვილებადაც მოიხსენებიან. ერთი ხატის თქმით – როგორც ხორციელნი ჩვენ გვლოცულობენ, ისე ჩვენ ვლოცულობთ მორიგესაო.

ქაჯავეთის დასალაშქრად მიმავალ ხატებს მოკვდავი მეომარიც მიჰყავთ თან, გაბუა მეგრელაური, ოღონდ აფრთხილებენ – ხორციელნი ჩვენთან ვერ ივლით, გვამიდან ამოდი და ისე წამოგვყევიო(!).

ხალხურ პოეზიაში ერთი-ორი იმისთანა ლექსიც მოგვეძევება, რომელშიც მგმრი ხალხის უმადურობას უჩივის - სანამ დალხენილნი არიან, არავის ვახსენებენო. ამის დასტურია ეს სტრიქონებიც: „კარგ ყმასა სწუნობს სოფელი, იტყვიან – კარგი რად არი, რამე რო გაუჭირდებათ, ყველა იბარებს – სად არი“.

იოსებ თბილელი კი „დიდმოურავიანში“ ასეთ სიტყვებს ათქმევინებს გიორგი საკაძეს - „არ გავიდა სამსახური, რაგინდ ბევრი ჭირი ვნახე, ცუდად წახდა გარჯილობა, ბედი ამად გავიჩმახე“-ო.

ქართველი მგმრის სრულყოფილი პორტრეტის დახატვა ჩვენს ძალებს აღემატება და ჯობს შემოვიფარგლოთ რამდენიმე ეპიზოდით ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან, რომელშიც სულ სხვა კუთხით წარმოჩინდება დიდი პოეტის პიროვნება.

აკაკის მონათხრობი: იმ ხანად თბილისში სტუმრობდა „ახალ ერმაკად“ მონათლული კაზაკთა ატამანი აშინოვი, რომელსაც იმდროინდელი რუსული პრესა ხოტბას ასხამდა და გმირად სახავდა, „ოვერიას“ კი თავის პუბლიკაციაში საცინლად აუდგია. ხანგრძალმოღერებული აშინოვი სწორედ იმ დროს შეჭრია კაბინეტში სერგი მესხს, როცა მასთან აკაკი და ვაჟა იმყოფებოდნენ სტუმრად და მოუთხოვია ბოდიში და უარყოფა კრიტიკისა, რაზეც სერგი მესხს უარით უპასუხნია. ამაზე ოფიცერი დამუქრებია - ნახავ რაც მოგიბავო. ვაჟა დინჯად წამომდგარა და უთქვამს - სანამ შენი გვინახია, ერთი ჩვენიც ნახეო. ჩაუვლია კისერში ხელი, გამოუყვანია კიბესთან და ისეთი პანღური დაუზელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თავკერძას გორვით ჩაუთავებია კიბე და ქვაფენილზე გაშხლართულა. შერცხვენილ ატამანს იმავდღეს აუკრეფია გუდა-ნაბადი საქართველოდან.

ვაჟა ბრგე კაცი ყოფილა და ჩინებული მოკრივე. ამბობენ მჯიღის დაკვრით გოჯიან ფიცარს ამტვრევდაო. იგი თავისი კუთხის ხალხის ქომაგი და იმედი იყო, რის გამოც მუდმივ დავა ჰქონია მეტყველებთან, რომლებიც გლეხებს გადასახადს თხოვდნენ, ვაჟა კი იმახდა, რომ ტყე ფშავლებისაა და მეფეს არაფერი ერგებაო. ერთხელაც, ამ ნიადაგზე, მეტყველს და მის რაზმს მუხანათური თავდასხმით შეუპყრიათ ვაჟა. მოგვიანებით ვაჟას გაუგია - მეტყველ ამკამად ტყიმცველებთან ერთად აზეიტაში მიდიხო...

პეპო მარტოლეკის მოგონებით ამბის დასასრული შემდეგნაირად გამოიყურება: „ - მალე ჩვენც მოვიკითხეთ ვაჟა: რა იქნა აქამდის-თქო. მაგრამ რას ვხედავთ? მეტყველე ცხენიდან გადმოვდო, იდგა შიგ იორში მათრახის ტყაპატყუპი. შხეფავს ტყიმცველებსაც, აი ჩამოყარა ცხენებიდან წყალში, ზოგი ცხენს ჩამოჰკიდება, ზოგს - ცხენი გაუშვია და თავის გადარჩენას ცდილობს. იორიც მოდიდებული იყო.

აი ვაჟა გამოვიდა იორიდან და რახტის ძგრიალით მოაგდო ცხენი დუქნის წინ. ამ სანახაობაზე ჩვენ ყველას გვეცინებოდა.

- ხომ დავთაქლე კარგადაო! – წაილაპარაკა ვაჟამ.“

* * *

გმირთა გალერეაში ქვეყნისთვის შეწირულ რაინდებს ტოლს არ უდებენ ქართველი მანდილოსნებიც, რომლებიც არა მარტო ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდით, ღვაწვითა და მოწამეობით, არამედ ხშირად იარაღით ხელში საარაკო სიმამაცისა და საბრძოლო ოსტატობის მაგალითს უჩვენებდნენ ვაჟკაცებს. შთამომავლობა სასოებით ინახავს მარიამ ხერხეულიძის, მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელის სახელებს.

ეპისკოპოს ეკა დე ვიტრის (XIII სკ) „იერუსალიმის ისტორიაში“ ამგვარ ცნობას ვხვდებით: - „ისინი (ქართველები) არიან დიდად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, სხეულით მძლავრნი და მხედრობით ძლევამოსილნი. მათ სასტიკად ჰყავთ დაშინებულნი სარკინოზები, ხშირი თავდასხმებით ამარცხებენ მათ მოსაზღვრე სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს...

მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.

აქ, შემდგომი მსჯელობისთვის, საინტერესო იქნება სულხან-საბასეული ორი განმარტების მოხმობა: ფუნდრუკი - ვაჟთა მიერ სრბოლა, ხლდომა და სხვა სიკისკასენი; ხუნტრუცი - ქალთა მიერ ფუნდრუკი ძალისაებრ მათისა;

ამ განმარტებებში ნათლად ჩანს, რომ ასპარეზობებისას ქალებს სახეობათა მხრივ შეზღუდვები არ ჰქონიათ და ერთადერთი სხვაობა ფიზიკური შესაძლებლობანი იყო.

საბრძოლო გაწვრთნილობა ქართველი ქალისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, თუ გავიხსენებთ, რომ ოჯახზე თავდასხმისას, მაშველის გამოჩენამდე, იგი ქმარს უნდა დასდგომოდა მხარში, ქმრის ლაშქრად ყოფნისას კი მარტოს უნდა დაეცვა კერა.

გადმოცემით გვსმენია, რომ გასულ საუკუნეში ხანდაზმულმა თუშის ქალმა, რომელსაც, სახლში მარტოდ მყოფს, სათარეშოდ შემოსული ლეკები დასხმიან თავს, სამი მათგანი წინდის ჩხირებით განგმირა.

მსგავს ამბავს მოვკითხრობს ერთი ფშაური გადმოცემაც: „ნანაი აფხუშოელ ქალი ყოფილა. თურმე ჩარგლისაკე მივიდოდა, გადასცილებულიყო კი ემ ხევსა და გამაზდგომიყო ერთ ლეკი. დიდ შემძლე ქალაი იყვის თურმე ე ნანაი. გაჰქეცულიყო ტყე-ტყე, მარა, რო დაღლილა, უფიქრნია, რო დამდგარიყო და შებრძოლებოდა ლეკსა. ხელში ჩხირწინდის მეტი არაფერი ჰქონიყო. მიჰფრენია ი კბილებამდი შეიარაღებულ ლეკი. ნანას იმის იარაღისათვის ყური სრულობით არ უთხოვია, არც კი დაენებებია თავისი იარაღის ხმარა. ხმალი წელზეით აუგლეკავს და ლეკისად სული გაუფრთხობინებია“...

ფშავ-ხევსურეთში ერთი ფრაგდ საინტერესო გუნდური შერკინებაა აღწერილი: შხოლით (მომცრო სახე) შეიარაღებულ დედაკაცებს უნდა დაეცვათ სამანით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოსაზღვრული ადგილი მომხდურთაგან (ამავე სოფლის კაცები), რომლებიც ცხენზე ამხედრებულნი უტევდნენ ქალებს. როგორც ამბობენ, იშვიათად თუ რომელიმე მხედარი გაარღვევდა დაცვას. მეტწილად ისინი გალაზულები რჩებოდნენ.

* * *

დასასრულს საგანგებოდ აღვნიშნოთ უმთავრესი თავისებურება ჩვენი ერის ისტორიისა. ეს არის დედა ეკლესიის ფასდაუდებელი ღვაწლი ერის გადარჩენაში. ალბათ მართებულად შენიშნავს ზვიად გამსახურდია - „ქართული ქრისტიანობა თავისი არსით ერის სამხედრო ქრისტიანობა. ეს არის მოყმეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა და ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო იყო ერთი მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა."

და მართლაც, დედა ეკლესია განუყოფელი ტრიადის - ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვის უმთავრესი ბურჯი იყო ოდითგან და არა ოდენ ერის სულიერი აღზრდითა და ლოცვა-კურთხევით, არამედ ხშირად საბრძოლო ხელოვნებისა და თავგანწირვის საარაკო მაგალითებითაც კი. გავიხსენოთ თორნიკე ერისთავი და თევდორე მღვდელი. არაერთ ბრძოლაში კი, როგორც მემატიანე იტყოდა, თავად მღვდელთმთავარი „მოუძღოდა ლაშქარს ვითარცა ჩახთაული".

სიტყვის კონა

„აქ ლექსიკონი არ იყო, და-ცა-ჰკარგოდათ ქართველთა,
უკრძალველობით ფურცელნი გაებნიაყე ქართ ველთა."
სოლხან-საბა

დღეისთვის ხალხური შეგნებრისა და თამაშობის ათობით სახეობა, ათასობით იღეთი და სეფური ელის სერიოზულ მკვლევარებსა და მიმდევრებს. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, საჭიროებს სათანადო ლექსიკას. ამის გამო წინამდებარე ნაშრომის ყველა მიმართულებას ერთვის შესაბამისი სიტყვის კონა. ეს არის ფიზიკური აღზრდის ეროვნული სისტემისთვის ტერმინოლოგიის მოკრებისა და პირველადი მოწესრიგების მცდელობა. ვფიქრობთ იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ქართულ არმიასა და სპორტსაც, მით უფრო, რომ ეს დარგები ყველაზე მეტად იმყოფებიან ბარბარაზების ტყვეობაში.

არადა, ჩვენს ენას ამ მიმართულებითაც გასაოცარი შესაძლებლობანი გააჩნია. მარტო აქ თავმოყრილი სიტყვების გაცნობა-გახსენებითაც კი ქართველი თავიდან აღმოაჩენს მშობლიური ენის სიდიადეს და იმასაც, რომ ენა უმთავრესი იარაღია ჩვენი ერის უკვდავებისა, ოღონდ, თუ გინდა მართლად ვემსახუროს, ხმლის მსგავსად, მასაც ჟანგისგან დაცვა ჭირდება და დროის შესატყვისად გალესვა.

იოანე-ზოსიმეში არ იყოს, ათასგვარი საიდუმლოთი დაყურსული ჩვენი ენა ყველაზე ნათლად მეტყველებს, თუ ვინ ვართ და რა გზა გამოგვავლია უდიდესი ცივილიზაციიდან გადარჩენილ და ფერფლიდან არაერთხელ აღორძინებულ ერს. აბა დააკვირდით - საოცარ ქართულ ზმნას თითქოს ჩვენი დღევანდელი განვითარების დონე არც აკმაყოფილებს და გველოდება, როდის დაგვჭირდება კვლავ სრული სისავსით.

რაც შეეხება დამწერლობას, მეცნიერთა აზრით ზმნები „ჭრა" და „წერა" ერთი ძირისანი არიან და შესაძლოა „წერა" ზმნა ასო-ნიშნების ქვაზე ჭრის დროინდელია. ამ ძირიდან მოდის სიტყვა წერაქვიც. მცირე ხრამის კლდეზე ძვ.წ. XII ათასწლეულში ამოკვეთილი ეს ნიშნები შესაძლოა დამწერლობის ერთ-ერთი უხნესი ნიმუში აღმოჩნდეს.



სიტყვა „ნაჭრელი", რომელიც ამჟამად ნაქსოვი ორნამენტის მნიშვნელობით იხმარება აღმოსავლეთ მთიანეთში, ქვაზე (ან ხეზე) ნაკვეთ სახეთა ერთობლიობას (ჩუქურთმას) უნდა რქმევდა. შესაძლოა იგივე მდინარებიდან მოდის ჰანგთა ჩასაწერი სამუსიკო ნიშნების სახელი - „ჭრელება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოლონიოს როდოსელის მიერ ნახსენები კოლხური კეირბები, რომლებიც ამ დროისათვის სამხეთეთო და საზღვაო გზების ყველაზე სრულყოფილ აღწერად იყო მიჩნეული, დამწერლობის არმქონე ხალხს როგორ უნდა შეედგინა?

მიზეზთა გამო აქ თავმოყრილ სიტყვათა უმეტესობა თითქმის დავიწყებასთან მიცემული და ხშირად ტლანქი უცხოური შესატყვისითა და კალკითაა ჩანაცვლებული. რით არა სჯობს მაგალითად „პერკოტს“ - „აბრაგინი“, „დისტანციის დაცვას“ - „ეგორინი“, „ორიენტირებას“ - „სენთი“, „ბუნებრივ პირობებთან შეგუებას“ - „გარისობა“, „იმიჯს“ - „აღი“ და ა.შ. იმედს ვიტოვებთ, რომ შემოთავაზებული ტერმინოლოგიის ნაწილი, თუ კი ის საკარჯიში დარბაზში შეაღწევს, ამ გზით მაინც დაუბრუნდება ქართულ მეტყველებას.

გარდა ამისა, ზოგი ტერმინის მნიშვნელობა დაკარგულია ან ფერშეცვლილი და მათი აღდგენა საგანგებო ანალიზს მოითხოვს. მაგალითად, სულხან-საბას ლექსიკონში გვხვდება სიტყვა შემდეგი განმარტებით - „მაკარტო - ხრიკი მორკინალთა“. ამავე დროს, ზოგიერთი კილოკავში მაკრატელი გამოითქმის როგორც მაკარტელი (ამავე მნიშვნელობით იხმარება „მაკრატოც“). აქედან ბიადება კითხვა - შესაძლოა თუ არა, რომ „მაკარტოს“ რაიმე საერთო ჰქონდეს ფეხბაში ჩავარდნთან მოცელვასთან, რომელსაც „მაკრატელას“ ეძახიან?

და კიდევ ერთი - მრავალი წყაროდან ერთად თავმოყრილ სიტყვათა კონა უფრო შთამბეჭდავად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდ და მკითხველთა ფართო წრისთვის დღემდე უცნობ ფენომენთან გვაქვს საქმე. საჭაშნიკოდ აკიღოთ რამდენიმე სიტყვა:

გოთაული — საერო საქმიდან განმდგარი, იარაღით მებრძოლი

გლუნაობა - ყინულზე თავმოხრილი ჯოხებით თამაში

ებანი — დაფი, ტინანი, საკრავი განმარისხებელი გულთა კაცთა

ლაშქართა გარდახდევა — უმძიმესი სასჯელი, სამხედრო უფლების ჩამორთმევა (შემორჩენილია წყარო, რომლის თანახმადაც ხეთთა მეფემ, თელეფინუმ ერთ-ერთი დიდგვაროვანი დასაჯა იარაღის აყრითა და სამეურნეო საქმეზე გამწესებით).

მემათრაზე — მეომრის მწვრთნელი

მსახვრალი — გრძნებით მძვინვარე მხეცნი მოამშვიდიან

სამანეო — სასისხლო გადასახადი წაქეზებისთვის

სამდგომი - ძველნი კაცნი ბრძოლათა ორთა ანუ სამთა ცხენთა ზედა მიმოვლდებოდიან

ჩალისობა - რიგრიგობით ომი

ჩახთაული — ლაშქრის უკან მიმლალველი

ხინტკირია — თვალაზვეული ხანჯლაობა

ამოკრეფილ სიტყვის კონაში ბევრია კუთხური და არქაული ერთეულები, მაგრამ ისინი ყველა ჩვენი ენის პირმშოა და ხშირად სრულიად უსამართლოდ მივიწყებული. როგორც კ. გამსახურდია აღნიშნავს - ქართული, განსხვავებით მეტწილ ევროპულ ენათაგან, რომლებიც ბუნებრივად მოიხმარენ მონათესავე ენის ლექსიკურ ერთეულებს, განვითარების სხვა რესურსი, თვითიერ კილოკავებისა, თითქმის არ გააჩნია. ამავე საკითხს ეხება ვაჟა-ფშაველაც ერთ-ერთ წერილში, სადაც გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ედავებიან - კუთხური სიტყვა „მოცხარი“ რად იხმარე, ჩვენებურად მაგას „სმაროდინა“ ჰქვიაო. ვაჟა პასუხობს, რომ მრავალრიცხოვან ერთა დიდ და სახელგანთქმულ ენებს ხშირად ერთიდაიმავე სიტყვით მრავალი ცნება აქვთ აღწერილი, მაშინ როცა ქართულში თითოეულ ამ ცნებას რამდენიმე სინონიმი გააჩნია და რომ ეს სინონიმები სიმდიდრეა ენისა. აქ გავიხსენოთ სტრიქონი მუზრან მაჭავარიანის ლექსიდან - „წვიმა გინდა? მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ (ქვემოთ, ერთ-ერთ თავში, გარისობის სიტყვის კონაში, თავმოყრილია წვიმის სამოცზე მეტი სინონიმი!).

ნაშრომის თავებზე დართულ სიტყვის კონაში ზოგი ტერმინი არაქართული წარმომავლობისაა, მაგრამ ცოცხალი თაობის მეხსიერებაში ამგვარი სიტყვებით არაერთი ცნება აღიწერება და ამ კვლევარისთვის ისინი აუცილებელია მოპოვებული მასალის ანალიზისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

სახეობათა აღწერა

ზნენი სამამაცონი, ცურვის ხერხები, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ნაოსნობა, თამაშობანი, ბერიკაობა-ყვენობა, გუნდური თამაშობანი;

„და იყო ყოველგან მშვიდობა, წარმატება, დღითი-დღე შემატება სამეფოსა ღმრთივდაცულისა მეფისა თამარისი, ხოლო სპანი მისნი – განსვენებასა, ნადირობასა და ბურთობასა“.

„ქართლის ცხოვრება“

ქვემოთ აღწერილი სახეობანი ძირითადად სამხედრო-გამოყენებითი ხასიათისანი არიან და მიზანს მეტწილად ფიზიკური ზიანის მიყენება წარმოადგენს. ამდენად, საჭიროა მათი გარკვეული შეთავსება სპორტთან, სამსაჯო წესების განსაზღვრა, რათა შესაძლებელი შეიქნას დგინება (მოვარჯიშის ღონის განსაზღვრა), აგრეთვე საჩვენებელი გამოსვლებისა და შეჯიბრებების მოწყობა.

განწესრიგების სირთულეს განაპირობებს თავად დარგის თავისებურება. მაგალითისთვის აკიეთო ხელის მტევნის აღწერა:

1. როცა უძრავ მტევანს განვიხილავთ, აღწერა უნდა დაიყოს ორ ჯგუფად:
- ყველა სიბრტყეში აღწერა გაშლილი მტევნისა;
- ივივე სხვადასხვაგვარად მოკუმულ მდგომარეობაში.
2. თუ მოძრავ მტევანს განვიხილავთ, აღწერა იყოფა შემდეგ ჯგუფებად:
- სწორხაზოვანი მოძრაობა მიმართულების ასახვით (ათვლის წერტილი ხან შემტევია, ხან - შეტევის საგანი), რაც დაყოფილია აგრეთვე წინამხრის მიმართ მტევნის განლაგების მიხედვით (მაგ. ბლიკენა, ჯიჯა, ქიმუნჯი...);
- არასწორხაზოვანი მოძრაობა ივივე მსაზღვრელებით (მაგ. აბრაგანი, ქუჯჯა, გაკვრა...)
- რთული მოძრაობა (როცა გადაადგილება რამდენიმე მდგენელის ჯამია) ივივე მსაზღვრელებით (მაგ. აფრაკი, დაკაული, ვერაგი...)

ყოველ ამათგანს ქართულ ლექსიკაში თავისი დასახელება მოეპოვება, რაც, თავის მხრივ, ამ ცოდნის მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

ზნენი სამამაცონი

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან.“
თათბირი ნურადინ ფრიდონისა

ვარჯიშის ეროვნული სისტემის სახელგანთქმულობაზე მეტყველებს ბოსფორში ნაპოვნ ძეგლზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც მოგვითხრობს უდროოდ დაღუპულ გიმნასტიკის მასწავლებლზე, კოლხეთიდან მიწვეულ ფარნაკ ფარნაკის ძეზე. „მის უნარს ინახავს ბოსფორის მიწა, ყველა გიმნასტი დასტირის მას მდუმარე ცრემლებითო“ - ნათქვამია წარწერაში.

ზემოთ მოკლედ შევეხეთ „ვეფხისტყაოსანში“ მინიშნებულ ორჭიდს (ნადირობა – ბურთაობა), რომელიც თვით ისეთი მკაცრი ხელმწიფის ნებასურვილზე მაღლაა დაყენებული, როგორიც როსტევანია. ხანდაზმული როსტევანიც, ქვეყნის მომავალ პატრონზე საუბრისას, განა ამას არ ჩიგის – ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომ ჩემსავით იცოდეს „სამამაცონი ზნენიაო“. რაღა თქმა უნდა, არც ისაა შემთხვევითი, რომ არჩილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეც ამავე სახელით - „ზნენი სამამაცონი“ მოიხსენიებს ვარჯიშთა მის მიერ აღწერილ სისტემას.

ფუნდრუკი

ფუნდრუკი, ვარჯიშისგან განსხვავებით, საჩვენებელ-სანახაობრივ მხარესაც შეიცავს. ქვემოთჩამოთვლილი სახეობანი სპას ლექსიკონიდანაა ამოკრეფილი, რადგან დღეს მათი მკრთალი ანარეკლიღა შემორჩენილი.

გადმოცემის თანახმად ილიონის (ტროას) დამაარსებელი ილოსი ფრიგიის ათლეტურ თამაშობათა გამარჯვებული გახლდათ.

თუ დადასტურდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მინოსური კულტურა წინარეკართულია (ყოველ შემთხვევაში ვერც ვერავინ გვეცილება ამაში), მაშინ ჩვენებური ფუნდრუკის უძველეს ნიმუშად შესაძლოა მოვიხსენიოთ მინოსის სასახლის 35 საუკუნის ფრესკა. მასზე გამოსახულია აკრობატი, რომელიც წინმალაყით ახტება გამოქანებულ ხარს. სანახაობა, როგორც ჩანს, ტრადიციული იყო, რადგან მსგავსი სცენა კერამიკაზედაც არის გამოსახული.

ხართან ჭიდება ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაშიც არის შემონახული. სამეგრელოში ვ. ბარდაველიძის მიერ აღწერილია დიდი ღმერთის სახელზე გამართული სანახაობა “კურულობა“ (სიტყვიდან კურო). ამ დღეს გამოჰყავდათ საგანგებოდ არჩეული ხარი, აბამდნენ პალოზე და ორი კაცი გარკვეული ხნის განმავლობაში ახელებდა, რის შემდეგაც ხარს აუშვებდნენ კაცთან დასაჭიდებლად. მორკინეს იგი შიშველი ხელით უნდა დაეთრგუნა და გაეკოჭა. ამის შემდეგ ერომანეთს დარჩეული მორკინალნი ეპაექრებოდნენ.

სვანეთში კი, „უფლიშიერის“ დღესასწაულზე, რომელიც აღდგომისშემდგომ კვირას იმართებოდა, ლასკარებს, ანუ სამეზობლოებს გამოჰყავდათ დარჩეული ხარები და ერთმანეთთან აჭიდებდნენ.

აქ გავიხსენოთ, რომ ჩვენს ენაში საგანგებოდ გამიჯნულია ცხოველის ცხოველთან, კაცის ცხოველთან და კაცის კაცთან ორთაბრძოლა. პირველ ამთგანს ბუღრაობა, მეორეს ჭიდება და მესამეს რკინება ჰქვია

ფუნდრუკის ერთ-ერთი უმთავრესი სახეობა - ქიჩილორია, რომელიც წყაროებში ჩოგნის ბრუნებადაა მოხსენიებული, უფრო ფართო შინაარსის მატარებელია. იგი მოიცავს იარაღის ფლობის წარმოჩენასაც (ხმლის, შუბის, კომბლის და მისთანათა ტრიალი, ფარით გაკეთებული მოძრაობები და სხვა). მესხეთში დღემდეა შემორჩენილი ერთი საინტერესო ვარჯიში - წინამხრებს შორის მომწყვდეული კომბლის ხელის მოუკიდებლად, მკლავებზე კოტრიალით ატანა ჰაერში. გავრცელებული ვარჯიშია აგრეთვე კომბლისა და ხის სხვა იარაღის მარჯვედ ბრუნება, რომლის ზოგიერთი ილეთი მიუწვეველ თვალს დაუჯერებელი ეჩვენება.

სინნინმთაგან ალბათ ყველაზე მართებული უნდა იყოს ქიჩილობია (შეადარე: დანასობია, კეტობია, დახუჭობია). აღმოსავლეთ მთიანეთში ამ ვარჯიშს ტორდვება ჰქვია. სპას განმარტებთ ტანასობა მხედართა მღერაა და ნიშნავს მხედრის მიერ გაჭენებულ ცხენზე იარაღის ტორდვებას, აგრეთვე სხვადასხვა ტანვარჯიშეული ილეთის შესრულებას. რაღაც პერიოდში იარაღის ბრუნება მღერად მოიხსენიება და შესაძლოა ეს განმარტებაც ამის გამოძახილია, თუმცა თვით სპას თქმით მღერა უფრო თავშესაქცევ-დროის მოსაკლავი თამაშების - ბანქოს, ნარდის და მისთანათა სახელია.

აქა-იქ დღესაც შემორჩა ძალოსანთა საღვენი სახეობა - ჯილდობა, რაც საჯილდოდ დათქმული ქვის აზიდვას გულისხმობს. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებდა ამ ქვის გადაგდება ცხენის ან ხარის ზურგსიღმა, აგრეთვე თავსუკან. ზოგი ვარჯიში წულამდე აზიდვას მოითხოვდა, ზოგი – აგდილიდან დაძვრას (ქვეშ

„ქარის გატარებას"). ზოგგან შეჯიბრი ქვის მანძილზე კვრასა და სროლაში იმართებოდა. აზიდული ქვის მანძილზე გადატანაც ერთ-ერთი სახეობა იყო. ბევრგან ... დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უშუალოდ აწევის ხერხს. იყო სამი თითის, ... ქვებიც. თავისი საჯილდაო ქვები ქალებსაც ჰქონიათ.

ამ სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს შემდეგი თქმულებაც: - მორიგემ (უზენაესმა ღვთაებამ) ჯილდაობაში ღვთისშვილთა შორის შეჯიბრი მოაწყო. მსაჯულად კვირია დადგა. იახსარს სხვებზე ორჯერ მეტი წონა აუტაცნია და სამჯერ მეტი დაუძრავს.

ფუნდრუკთა ჩამონათვალში ყურადღებას იპყრობს თეძოს კვრისა და ხარდიორდას ცალკე სახეობებად გამოყოფა. ხარდიორდა, ანუ მოგვერდით ფუნდრუკი, დღეს მოჭიდავეთა ვარჯიშის ნაწილია, მაგრამ ძველად, ჩანს დამოუკიდებელი სახეობას წარმოადგენდა. ქართული ჭიდაობის ამ ნაწილის მაღალი ღირებულების დასტურია ისიც, რომ დღეს იგი ძიუ-დოს შეუსრუტავს.

აკადემიკოს ავთანდილ ციბაძის მოგონებით ქართლში XX საუკუნის შუა წლებამდე შემორჩენილა ერთი საინტერესო თამაში „ტრაკაობა". ეს იყო ერთმანეთზე გამოქანებით გავებით დაჯახება. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც მეტოქეს უფრო შორს გაისროდა. საბრძოლო ხელოვნების ოსტატმა კარგად უწყის ახლო შერკინებაში ასეთი ვარჯიშით დაყენებული თეძურა დარტყმის ფასი.

ბაჩა ლიკედ - ქვის აზიდვა-გადატანა (სვან.)
ბურთაობანი – იხ. თამაშობანი
თეძოს კვრა – ფუნდრუკთაგანი
თულო – ფუნდრუკის სახეა
თქერება - ცხენზე თამაშობა
მუშაითობა – გაბმულ საბელზე საჭურვლით გავლა, მალაყები და ილეთები
მხარდავერდა -
ნახუჯლისკენე – სიგრძეზე ხტომა
რბენანი – მოკლე, საშუალო, გრძელ მანძილებზე
მიზანში სროლა
– ისრის: საისრეველი (თუშ.), ლიცვემდალ (სვან.);
- შუბის: ხელშუბის (ლიშნეგალ (სვან.), ხელ-ისრის (ლიჯლიითალ (სვან.);
- ქვის: კვრა (ბარჯშ ლიკვანე ლაბა უშ (სვან.); ნიშანში სროლა (ლიშვილიელ ნიშანთე (სვან.); მანძილზე (ჯვედიათე ლიშვილიელ (სვან.); ბადროს მსგავსი ქვის ტყორცნა (ლასურ მატნოშ ბაბა ლიკვანა (სვან.).
სამჭელი – ფუნდრუკთაგანია
ტანსობა - მხედრის ფუნდრუკი
ფუნდრუკი - ვაჟთა მიერ სრბოლა, ხლდომა და სხვა სიკისკასენი;
ქიჩილორია - ქიჩილოვია, ქიჩილობია, ჩოგნის ან სხვა იარაღის ბრუნება
ჩურო – ფუნდრუკის სახეა
ხარდიორდა – მოგვერდით ფუნდრუკი
ხტომა – სიგრძეზე, დაბრკოლებაზე, ჭოკით
ხუნტრუეი - ქალთა მიერ ფუნდრუკი ძალისაებრ მათისა;
ჯელთაობა – ფუნდრუკთაგანია
ჯილდაობა – ძალოსნური სახეობანი

როკვა

საბრძოლო ხელოვნების თვალსაზრისით როკვა ცეკვისგან უნდა გაიმიჯნოს: თუ ცეკვაში სახიობის ელემენტები სჭარბობს, როკვა უფრო რაიმე რიტმის ან ჰანგის თანხლებით შესრულებული სეფურია, გამიზნული ამა თუ იმ მოძრაობის დასახვეწად, საგანგებო რიტმული მოძრაობისა და შესაბამისი სუნთქვის დასაუფლებლად.

უხსოვარ წარსულში როკვის მემეკობით ხდებოდა რომელიმე ღვთაების ხატებაში გარდასახვა. მსგავსი რამ ცნობილი იყო ანტიკურ საბერძნეთსა და რომში და სრულდებოდა როგორც იარაღით, ასევე უიარაღოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში დღემდეა შემორჩენილი ჭიდაობის დაწყებამდე მორკინეთა როკვის ოდენილი ჩვეულება.

ბასტი - ფერხთა ცემით როკვა
გასტიბუბუ – როკვა
გოგმანი - სანდომი ჩქარი როკვა
თულო – ფერხულში როკვა
კოჭა – ბუქნასავით
სრიკა – ფეხის სწრაფი გასმა როკვაში
ფერხისი - მრავალთ მობმით როკვა
ძნობა – მობმით როკვა
ჩამპალალა -
ცუნდრუკი - უგვანი როკვა, ჩინდრიკი, ტაბაცობა
ჯუნდრუკი -

ცეკვა

„სხვა ასე ვერ იცეკვებს, რასსა არ ეყოფა“
გრიგოლ რობაქიძე

ალბათ დიდ მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ქართულ ცეკვათა უმეტესობა საბრძოლო რიტუალი და ამავდროულად სეფურია, რაც მათ დასახელებებშიაც არის არეკლილი. ისინი, გარდა ფიზიკური და სულიერი წრთობის უნარისა, დაყრუსულია საბრძოლო ქმედების ისეთი ელემენტებით, როგორიცაა - ფეხმონაცვლება, ბრუნი, გასვლა, მიხტომა, დაღალატება, ცრუმორცობა, არინი, საფრთხოლი და სხვანი. სამსართულიანი საბრძოლო ხასიათის სვანური ფერხული მორმინკელა შემსრულებელთაგან საკმაო ტანვარჯიშულ სიყოჩაღესაც მოითხოვს, ხოლო „განდაგანაში“ სამღერ ამ სტროფს ალბათ განმარტებაც არ სჭირდება:

„დამესიენ ჭიბგირები, გამახსენდა ბაბუს დანა,
გავკარი და გამოვკარი, დავუარე განდაგანა“.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ცეკვა „ხორუმი“, რომლის სიმდიდრე-დახვეწილობაზე მეტყველებს მის ძირითად მოძრაობათა ფერადოვანი კრებული, რომელთაგანაც იკინძება ამ საოცარი ცეკვის ერთი მთლიანი სახე:

1. „შესასვლელი“
2. „სასვენი“
3. „ჭდომასასვენი“
4. „ფარულა“, „მალულა“
5. „ჩოქმალულა“
6. „საფრთხილო“
7. „ჩოქით მუხლმოქნევით“
8. „გასმარა დაბალი“
9. „ხტომგასმარა“
10. „გასმარა ტერფმოქნევით“
11. „ბუქნურა“
12. „ბუკბრუნი“
13. „ხლართულა“
14. „წაწოლ-გასმარა“
15. „ქობულეთური ჩაკრული“
16. „წიხლურა“
17. „ჩაწოლა“
18. „ხლართულა ჭდომხტომი“
19. „ბრუნი“
20. „ფარბენი“
21. „საზვერავი“
22. „შვილდსაკრავი“
23. „საჩურჩული“
24. „სახოხავი“
25. „საკაფავი“
26. „საიერიშო“

ცეკვა უძველესი დროიდან იყო გაბატონებული ჩვენს ვარჯიშობათა შორის და ამას მარტივი ახსნაც მოეძევება. გამუდმებით ომის მაწარმოებელ ხალხს შესაბამისად გამუდმებით ვარჯიში უწევდა ფიზიკური ფორმის გაუმჯობესებისა და უნარ-ჩვევების დასახვეწად. ბუნებრივია, რომ მან ამ გამაბეზრებელ საქმიანობას შედარებით გასართობ-სახალისო ფორმა მოუძებნა, უფრო მეტიც, ვარჯიშთა ერთი ნაწილი სარწმუნოებასაც

Digitized by Google

დაუკავშირა და სარიტუალო ხასიათი შესძინა. ამის მკაფიო მაგალითია დღეს ცეკვის ერთ-ერთ სინონიმად ქცეული სიტყვა – შუშპარი (შუშ – მთვარე, პარი – ფერხული).

I თავში მოხსენიებული „მელია-ტელეფია“ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალია და რამდენიმე ათასწლეულს მოითვლის. მას ენათესავება „იალის თამაში“, ჯავახური ვარიანტი „თულო“ და მესხური „თულო-წრე“. ეს ფერხულები ხშირად ხელჩართული შეტაკებაში გადადიოდა. აჭარული „ოჰოი ნანოს“ ერთ-ერთ დადგმაშიაც ყოფილა ამ რიტუალის გამოძახილი ჯოხით შეიარაღებული „განმკარგულებლის“ სახით.

სულხან-საბას მიერ ფერხული განმარტებულია, როგორც „მრგვალად წყობა“.

ახლა ვცადოთ გავერკვეთ, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს სართულებიანი ფერხული „ქორბეღელა“.

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „უძველესი დასახლებანი უმეტესად გორებზე მდებარეობდა, თავდაპირველად საცხოვრებელი და თავდასაცავი ერთი იყო, ადამიანი ცხოვრობდა სახლად, ციხედ, ჯიხად). შემდეგ ვითარება შეიცვალა, ის გარემოება, რომ ადამიანთა სახოგადოების ერთობლიობის აღსანიშნავად სოციალური ტერმინი გორი (-ქორი) და სახლი (-ციხე) გვაქვს, იმას მოწმობს, რომ ეს ერთობლიობა იმ პირობებში შემუშავდა, როცა ადამიანი გორაზე ბინადრობდა, მის მიერვე შექმნილ შენობაში. სულერთია ეს შენობა მოღობილი (ჩიხი) იქნებოდა, თუ მთლიანი ხეებისაგან შექმნილი (ჯიხა, ციხე, ჯიხური). ასეთი სოციალური გაერთიანება უეჭველია გორაზე (ქორად, სახლად) დაბინავების შემდეგ მოხდა. ამის შედეგია და ამას მოწმობს, რომ ქორი (გორი) შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს“.

ჯ. რუხადის მიერ სამტრედიის რაიონის სოფ. ჭაგანში დამოწმებულია ტერმინი მეგორავე, რომელიც მეზობელს, ანუ მეზობელ გორაზე მცხოვრებს აღნიშნავს.

აქედან ჩანს, რომ ქორა მაღალს, ზემოთას თუ მისთანას აღნიშნავს. ამასვე ადასტურებს სიტყვა ქორედი (ზედა სართული).

ვ. ბარდველიძის მიერ აღწერილი ჩვეკა – გაბვრეტილი ქვების, ანუ წრეების დაყრა სავარგულში ქალური საწყისით ზეცის (მამრის) მიწისკენ გასანაყოფიერებლად მოპატიჟებას (ჩამოტყუებას) თუ ნიშნავს, ალბათ იგივეს უნდა ნიშნავდეს თულო-წრე, ქორბეღელა თუ ნებისმიერი წრიული ცეკვა.

სართულებიანი ფერხული „ქორბეღელა“ კი, ამავე დროს, მაღლა სწრაფვასაც უნდა გამოხატავდეს, რათა ცას ეს წრე უკეთ დაანახოს.

ცნობილ მკვლევარს მიხეილ გორგაძეს, ნაშრომში „ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან“, განვითარებული აქვს შემდეგი მოსაზრება: - „არჩილი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ცეკვებს არ ჰქონდა სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა და ამ თვალსაზრისით ვერ მოუტანდა ფეოდალებს რაიმე პრაქტიკულ სარგებლობას. ამგვარად, ცეკვები დაბალ წოდებისთვის იყო შემოტოვებული“.

ეს შეხედულება არასწორი ჩანს. ქართულ ცეკვათა უმეტესობა სწორედ რომ სამხედრო-გამოყენებითი დანიშნულებისაა, ოღონდ, ცხადია, ქვეითთათვის. ფეოდალები კი მხედრები იყვნენ და არჩილ მეფეც ამას გულისხმობდა.

აბარბარე	აჭარული	გერგეტული	ვარძიობა-ძიობასა
აიბარკრა(აფხ.)	ბაილ ბეთქილ	დავლური	ზემყრელეო
ადრეკილი	ბერაობა	დათობია	თამარ დედფალ
ალალ-ვალალი	ბერობა	დათუნობა	თამაში
ამირანის ფერხული	ბერობანობა	დელიხორუში	თამზარა
არირა	ბუქნი	დიდებაი	თულო
არშიშრა (აფხ.)	გადახვეული	დოლური	თულო-წრე
ატლარჩოპა(აფხ.)	განდაგანა	ერულაი	თუშური

ეროვნული ბიბლიოთეკა

იალის თამაში	მურგვალ	სვანური	ჩამოვლა
იდუმალა	მწყემსური	სხავა	ჩვენიერება
იერიში	მწყობრი	უზუნდარა	ძაბრა
კალმახური	მხარული	ფადიკო	ძიმური
კეგნაობა	მხედრული	ფალავნური	წართმევია
კომფლური	მხუჯიშ	ფარიკაობა	წინამძღოლა
ლაზურა	ნაბადურა	ფარცაკუკუ	ცეკვა
ლამპრობა	ოსხაპუე	ფერხული	ცერული
ლემჩილ	ოხოხოია	ფერხისა	ციხებუნა
ლიზაია	ოჰოი ნანო	ქართული	ჭიშხოშ
ლილე	რგვალი	ქორბეღელა	ხანჯლური
მთიულური	სამა	შავლეგო	ხონური
მელია-ტელეფეიი	სამთი ჭიშხვაშ	შეჯიბრი	ხორუმი
მორმინკელა	სამობა	შინავორგილ	ხუჯიში ოსხაპური
მოროლ-მიაქელა	სანადირო	შუფრობა	ჯანსულო
მოხევური	საქმისაი	შუშპარი	

ცურვის ხერხები

აქ აღწერილ ცურვის სახეობათა ნაწილს ერთი შეხედვით პირდაპირი გამოყენებითი ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ხელს უწყობდა კუნთების ცალკეულ კომპლექსთა განვითარებას ისევე, როგორც შეზღუდული ჭიდაობები. ამავე დროს მოვარჯიშე იწვრთნებოდა საგანგებო შემთხვევებისთვის (მაგ. ხელში დაჭრილი გაცურავდა გვერდულით, ხელშებორკილი – ირმულით და ა.შ.). იმერეთში („უხელიას" სახელწოდებით) და ქართლში („სარულის" სახელწოდებით) დღემდეა შემორჩენილი წყლიდან შველად ამოსვლაში გაჯირბა. მაგარ ბიჭობად ბოქვენის გამოჩენა ითვლება.

XIX საუკუნეში მაშველი სადგურის მოცურავემ მემედ ბედიამ ბათუმიდან ფოთამდე წყლიდან ამოუსვლელად დაფარა 53 კილომეტრი, მაგრამ ეს ფაქტი მალე მიეცა დავიწყებას, ხოლო ფრანგი მიშელის მიერ 32 კილომეტრიანი ლა-მანშის გადაცურვის ცნობამ მსოფლიო მოიარა და დიდხანს იყო ფრანგთა სიამაყის საგანი. ეს ამბავი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ნიჭსა და ცოდნას განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება ჭირდება, თუ გინდა რომ მიმდევარი გამოუწნდეს და საყოველთაო პატივისცემისა და გაბაძვის საგნად იქცეს. დადებით მაგალითად კმარა, თუ რა წარმატებას მიაღწია ქართულმა საჭადრაკო სკოლამ ქალბატონი ნონას მიერ გაკვალული ბილიკით.

2002 წლის სექტემბერში ჰენრი კუპრაშვილმა ცურვის უძველესი კოლხური ხერხით, ხელფეხშეკრულმა გადასცურა დარდანელის სრუტე და, როგორც ჩანს, იგი ამ მიღწევაზე გაჩერებას არ აპირებს.

ბაყაყური – ბრასივით, ღვაჭიჭური, მაყაყურა
გვერდული – ცალხელია
გულაღური – ზურგული, პირაღმა, ზურგზე ცურვა
ირმული – პირდაღმა, ხელები ზურგზე
კამეჩური – მორევიდან გამოსაცური (ქიზიყ.)
კოლხური - ხელფეხშეკრული
მგზავრული -
მკლავური – კროლივით
მხარული –
ოფოფური – პირდაღმა, ხელებშეკრული
პირშელმა – დინების საპირისპიროდ
სარული – უხელია, შეეულად
ტივტივი –
ტივური –
ღვანღვალი – ნელი ცურვა
ღურჭუმელა – ყვინთვა, ყურვა
ყვინია – წყალქვეშა

ყურყუმელა — წყალში თავდაღმა ჩასვლა
ცირიალი - მჩატედ ცურვა
ოკიალი - დაუყურაკად ცურვა
ძაღლური — წაკრა - მკლავურივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა

„ესროლა ბერმა ბაბამ, ჯიხვი რქით გადმოეკიდა“
ხალხური

ურარტუს დედაქალაქ ტუშფაში ნაპოვნ ქვაზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს: „არგიშტი რუსას ძეს ამ ადგილიდან, გილუნარის ტყის პირას, ისარი ტყორცნა იშფილინი ბათუს ძის ბაღამდე, 950 წყრთის (476 მ.) მანძილზე“.

ფრანგი მოგზაურის, ჟან ბატისტ ტავერნიე თქმით: „ქართველები შვილდ-ისარს ხმარობენ საოცარი სიმარდით და მთელს აზიაში საუკეთესო სახელი აქვთ განთქმული“.

განსაკუთრებული დასაბუთება არც ჭირდება იმ ფაქტს, რომ ნიადაგ მებრძოლი ხალხის ყოფიერებაში გამორჩეული ადგილი უნდა სჭეროდა მშვილდის, იმ დროისათვის ყველაზე სრულყოფილი სასროლი იარაღის დამზადებისა და მოხმარების ცოდნას. ეს ცოდნა, სხვასთან შედარებით, კარგად არის შემონახული და დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს მოიძიოს საკმაოდ ვრცელი მასალა ამ თემაზე. ძირითად წყაროდ მივუთითებთ აკადემიკოს ვ. ელაშვილის ნაშრომს „მშვილდოსნობა“, დასტამბულს თბილისში 1959 წელს.

ცხენოსნობა

„ჯაბუკობისას მახსოვს ფრიგია მოვინახულე ვაზით ქებული,
შემომეგებნენ ფრიგიელები, ფიცხელ რაშებზე ამხედრებული.“
პრიამოს, ტროას მეფე (ილიადა)

ცხენის მოშინაურებას ჩვენმა წინაპარმა ერთმა პირველთაგანმა მიჰყო ხელი. მცირე ზრამის ეს პეტროგლიფი ცხენთა რემის გამოსახულებით 100 საუკუნეზე უნნესია. საქართველოში გარეული ცხენი გვხვდება გვიანი პალეოლითის ნამოსახლართა კულტურულ ფენებში, ხოლო ბრინჯაოს ხანაში (III ათასწლეული ჩვენს ერამდე) იგი უკვე შინაურია და შესაბამისად, უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოების და კერძოდ, სამხედრო საქმის განვითარებაზე. ამავე დროიდან იღებს სათავეს ცხენის აღაჩმულობის ცალკეული ელემენტები (ნაპოვნია ლაგამი, დეზები), ასევე საკულტო ქანდაკებები და სხვადასხვა სამკაულები.



ივანე ჯავახიშვილის თქმით - „თუბალები საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით იყვნენ განთქმულნი: აშურ ბანიპალი ამბობს - ტაბალს ხარკად მათი ქვეყნის სასიქადულო მაღალი ცხენები დაუწესეთო“. მაღალი ცხენების მიმართ თუბალთა ასეთი ინტერესი გვაფიქრებინებს, რომ ამ ჯიშს გადაშენება-გაქრობისთვის არაერთ გაიმეტებდა. ამავე დროს, მკვლევართა აზრით, ცხენის ულამაზეს ჯიშს არაბული მოგვიანებით ეწოდა, რამეთუ ჯიში უფრო ძველია, ვიდრე ცნება „არაბი“. ასე, რომ სავსებით შესაძლებელია არაბული ცხენის წინაპარი სწორედ თუბალთა „სასიქადულო მაღალი ცხენები“ ყოფილიყვნენ.

3400 წლის წინანდელ ხეთურ ტექსტში, რომლის ავტორიც მითანელი კიკული გახლავთ, აღწერილია ცხენის გაწვრთნა, ასევე მოთხრობილია ცხენოსნობისა და საბრძოლო ეტლების შესახებ. კიკულის ტექსტის თანახმად ცხენის წვრთნა შვიდ თვეს

Digitized by Google

გრძელდებოდა. კიკული მითანელია და წყაროები ადასტურებენ, რომ ხეთები საცხენოსნო საქმეში მითანელთა პრიორიტეტს აღიარებდნენ. ხურიტთა ქვეყანა მითანი (იგივე მაითანი, შუმერულად სუბართუ), მკვლევართა ვარაუდით, ჰურიდლურენ მიერ ხსენებული მატიენია.

ხოლო კიკულის მიერ დასახელებული ერთ-ერთი ფერი ცხენისა – „ბაბრუ“ ქართულ ლექსიკაში დღესაც გვხვდება (ბობრი - მოყავისფრო-მოჩალისფრო).

რაც შეეხება ხეთთა სამკაცა (ერთი მეეტლე, ორი მებრძოლი) საბრძოლო ეტლს, იგი ზუსტად ემთხვევა სულხან-საბას მიერ „სამდგომის“ განმარტებაში აღწერილს. სულხან-საბა მეეტლეს ინიოხად მოიხსენებს (ბერძნული წყაროებით ქართული ტომი ჰენიოხებად მეეტლე წინაპრთა გამო იწოდებოდნენ).

მესხთა ქვეყანა კაპადოკია კი სპარსულად ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს (Katpatuca).

ძ.წ. IX ს.ურარტული ქვის სტელა გვამცნობს: „ღვთაება ხალდის ძალით მენუა იშფუნის ძე ამბობს: ამ ადგილიდან ცხენი, სახელად არციბი (არწივი), რომელზედაც მენუა მეფე იჯდა, გადახტა 22 წყრთის (11,20 მ.) მანძილზე“. (თანამედროვე რეკორდი 11,40 მ.).

რომაელი მწერალი დიონ კასიუსი მოგვითხრობს, რომ 138 წ.ა.წ. რომის იმპერატორი ადრიანე ისე მოუხიბლავს მარსის მინდორზე ფარსმან მეფის, მისი ვაჟიშვილის რადამესტისა და სხვა წარჩინებულ ივერიელთა მიერ გამართულ საშხედრო ასპარეზობას, რომ ფარსმანისთვის სამფლობელოები გაუფართოვებია, მიუგია უჩვეულო პატივი, რაც გამოიხატა კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის ნებართვითა და ქართველი მეფის ცხენიანი ქანდაკების მარსის მინდორზე დადგმით (დიონ კასიუსის ამ ცნობაში რამდენიმე შეცდომაა. აღწერილი ამბავი მოხდა ადრიანეს შემდგომ, ანტონინუს პიუსის მმართველობის დროს, ხოლო ძეგლი დაუდგეს არა რადამესტის მამას, არამედ მთრიდატის მამას, ფარსმან მეორეს).

აპოლონიოს როდოსელი (ძ.წ. III ს.) თავის „არგონავტიკაში“ წერს: „არესის ველი ქალაქის (იგულისხმება ჭუთაისი) პირისპირ მდებარეობდა, მდინარის ნაპირს ოდნავ მოშორებით. არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად ბრძოლასა და მხეცრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე“.

აქვე გავიხსენოთ პაუზანიუსის მიერ „ელადის აღწერაში“ მოყვანილი ცნობა: „სპარტაში უძველესი სიწმინდე არის საკურთხეველი არეასი, რომლის ქანდაკება, როგორც ამბობენ, დიოსკურებს გადმოუტანიათ კოლხეთიდანო“.

დღემდე გადმოცემით შემორჩა საცხენოსნო თამაშობათა ოდითგან განთქმული მიდამოები: ასეთი საგანგებო მოედანი ყოფილა გამართული ქალაქ აფსირტეში (მეცნიერთა ვარაუდით დღევანდელ სარფში). გურიაში ასეთი ყოფილა ნაგომარის ველი, სადაც თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს მხედრიონი ეპაექრებოდა ერთმანეთს სიჩაუქეში; სამეგრელოში სახელდება ხუფენის მინდორი, თბილისში - დიდუბის ველი და საბურთალო. შავთველი, თამარის სასახლის აღწერისას, ერთ სიკეთედ მიათვლის - „ჰიპოდრომსა განხმულობანიო“, რაფიელ ერისთავის ერთ ლექსში კი ნათქვამია: „დაბლა გადავიხედე, სადღა არის ყაბახი, სავარჯიშო ცხენსა...“ აქ იგულისხმება ალექსანდრეს ბაღი თბილისში, სადაც ძველად საასპარეზო ყაბახი ყოფილა; კახეთში ყველაზე დიდი ასპარეზობა წინანდღლის სასახლესთან იმართებოდა.

ისტორიულად ცხენი (ცხადია საბრძოლო და არა სატალახო ან საკიდარი) მსახურთა ფენის წარჩინებულობის პირველი ნიშანი იყო.

კახეთის მეფის ალექსანდრეს ცხენოსან ლაშქარში, გარდა ხმალ-შუბის ჩინებული მოხმარებისა, მხედარს უნდა შესძლებოდა ხელის დაუხმარებლად ცხენზე შეჯდომა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვლის დროს ჩამოხტომა, უადვილოდ ცხენის მართვა, აღმართ-დაღმართზე ჭენება. ამავე დროს მას უნდა სცოდნოდა ცხენის მოვლა და მკურნალობაც კარგად.

საინტერესოა XVIII საუკუნის რუსეთის არმიის ფელდმარშლის [illegible] შეხედულება ჰუსართა ქართული პოლკის მხედრების შესახებ - „ქართველები ისე იქცეოდნენ, როგორც შეშვენის მამაცსა და სანდო ხალხს... მოვალეობას ერთობ მამაცურად ასრულებდნენ, ისე, რომ მტრის მოთხოვნა შეუსრულებელიაო“.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის კალამს ეკუთვნის „წიგნი ცხენთა ცნობისა და აქმობისა“. ის ფაქტი, რომ ამ სახის სახელმძღვანელო უმუალოდ მეფის მიერაა შედგენილი, თავისთავად უმაგალითოა და კიდევ ერთხელ ადასტურებს ცხენისა და მასთან დაკავშირებული კულტურის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ყოფიერებისთვის.

სამეგრელოში აღწერილია ცხენის სალოცავი დღე - „თერდობა“. ამ დღეს ცხვებოდა პურეული ცხენის ფორმისა თავის აღაზმულობისაგან, აგრეთვე ჩონჩორიკის ფორმის პატარა კვერები ოჯახის სულადობის შესატყვისად. საღამოთი იწყებოდა რიტუალი – ოჯახის წევრები, უფროსით დაწყებული, რიგრიგობით, ჭიხვინ-ტლინკაობით უახლოვდებოდნენ კვერს და აკბეჩდნენ ლუკმას.

დასასრულს მოვიხმოთ ნაწყვეტი გურულ მხედართა ცნობილი დასის შესახებ იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან: „მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა მხედრამ და პოპულარულმა კოუდი ვილიამ ფრედერიკმა - ბაფალო ბილად ცნობილმა, ამერიკას პირველმა აჩვენა გურული მხედრობა, როგორც ხატოვანი, უცხო, გენიალური მოთამაშენი; გურულები დოღის შემდგომ წარმოადგენდნენ ჩეხვას, ისინდს, ყაბახს, ჯირითს, მარულას და თარჩიას“

საცხენოსნო სახეობანი

„ქვეითი ხარ, ცხენი არ გყავს, რით იგადრე ან ირადე?“

არჩილი

„ათ დღემდის ისმის ყოველგნით ხმა წინწილისა, ებნისა, მოედანს მღერა, ბურთობა, ფერიალი ცხენთა დგენისაო“ - მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“. ნუთუ ქართველმა მხოლოდ საკუთარ წარმოსახვაში უნდა აღადგინოს ეს დიდებული სანახაობა.

XVII საკ-ის იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი მოგვითხრობს - „ქართველები მეომრობით არიან განთქმულნი. ეს ჭეშმარიტებაზე უფრო ჭეშმარიტია, ვინაიდან ქართველების ლაშქარი, ნადირობის გარდა, რაშიაც ისინი განუწყვეტლივ იწრთობიან, მე ვნახე განსაკუთრებულ თამაშებში, რომლებშიც ისინი ხელმარჯვე ტყორცნას სწავლობენ, ისე, როგორც ეს ქვემოთ იქნება აღწერილი.

მეფის ნათესავის ქორწილი გადაიხადეს. ქორწილში დაპატიჟებული იყო საქართველოს ყველა კუთხის წარჩინებული პირი. განკარგულება გასცეს, რომ თამაშობა ქალაქგარეთ, დიდ მინდორზე გაემართათ, მინდვრის შუაზე აღმართეს მაღალი ყაბახი, რომლის წვერზე მოათავსეს ვერცხლის დაახლოებით 25 პიასტრად ღირებული თასი. შემდეგ ყველა ისინი, რომელთაც ჯირითში მონაწილეობა უნდა მიეღოთ და ცხენებზე იყვნენ შემსხდარნი, ერთი ისრის სასროლი მანძილით გაშორდნენ ყაბახს. თითოეულს რკინის წვეტშემოცლილი ისრითურთ დაჭიმული მშვილდი ეჭირა ხელში. მოასპარეზეებმა ერთბაშად ცხენებს დეზი ჰკრეს და გაშმაგებული ჭენებით ყაბახისაკენ გაემართნენ. ყველას თვალი თასისაკენ იყო მიპყრობილი. მხედრები ყაბახს დაუახლოვდნენ თუ არა, თასს ისარი ტყორცნეს. ვუცქერდი, თუ როგორ ცდილობდა თითოეული თასისთვის ისარი მოეხვედრებინა და ძირს ჩამოეგდო. ბოლოს ერთ-ერთმა მოახერხა ეს, რამაც ირგვლივ მყოფთა საერთო აღტაცება გამოიწვია. ჭეშმარიტად ქების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსია ის, ვინც გაშმაგებულ ცხენს ასე აჭენებს, ოსტატურად ირჯება-იღუნება და ისარს ისე ტყორცნის, რომ ასეთ სიმაღლეზე ახვედრებს...

ეს რომ დამთავრდა, ამავე ადგილზე ახლა მეორე თამაშობა ეკიდებოდა: თამაშობისათვის რვა ზოგანი ჩამოარიგეს. ეს ზოგნები ჩვენებური რაკეტების (ბურთის სათამაშოდ რომ იხმარება) მსგავსად არის გაკეთებული, მაგრამ ამათი ზოგნების ტარი უფრო გრძელია და მას უსათუოდ ცხენზე მსხდარნი ხმარობენ. ამ ხალხის ამგვარი ვარჯიშობის ნახვას არაფერი სჯობია. პირდაპირ განსაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯაბებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება, ამასთან ისინი ისე დაბლა იხრებიან, რომ ბევრჯერ ეფიქრე, ესაა გადმოვარდნენ და მიწაზე ზღართის მოადენენ-მეთქი. მათ სხვა თამაშობანიც აქვთ, მაგრამ სიმოკლისთვის არ აღვწერ. სპარსელები, რომლებიც ყოველთვის ესწრებიან ქართველთა ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, აღფრთოვანებით აღწერენ მათ, ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეიმრულ ღონისძიებებს".

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი კი ასეთ ამბავს მოგვითხრობს უკვე ხანდაზმულ პატარა კახზე: „ რჩეულთა შორის ნიშანს რომ ვერავინ მოახვედრა, მეფემ დაიძახა: „ახლა ჩემი რიგი არისო" და ამასთან ოქროთი დარახტული საუკეთესო წითელი ცხენი მოჰგვარეს; მოზუცებულმა, ტანით მომცრო კაცმა ხელი სტაცა უნაგირის ტახტას და ფრინველივით მოაფრინდა, უზანში ფეხი არ გაჰყო... აღნიშნულ ადგილას რომ მივიდა, ისე სწრაფად მოიმარჯვა თოფი, რომ ყველანი გაოცდნენ. ამასთანავე გავარდა თოფი და ტყვიამ ნიშანი გახვიოტა. ყველამ შეწუხებით დაიძახა: - „ცოდო არ არის, შენ საქართველოს მოუკვდეო..."

მას უკან ცხენი მოაბრუნა და ყველას სიამოვნებით უთხრა: „მე მოხუცებულმა გაჯობეთ ყველას".

სულხან-საბას მიხედვით საცხენოსნო სახეობათა ზოგადი სახელი გახლავთ **თქერება**, რაც განმარტებულია, როგორც ცხენზე თამაშობა.

ამ თაში ძირითადად ვეყრდნობით ქართული ცხენოსნობის აღორძინების მესვეურის კაპიტონ ნაჭყებიას მიერ თავმოყრილ მასალას, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილს იცნობს ჯერჯერობით მკითხველი.

უძველესი საცხენოსნო სახეობა გახლავთ **მარულა**. ამ სახეობაში მონაწილე ცხენი საგანგებოდ იწვრთნებოდა გამძლეობაში, რადგან დაახლოებით 30 კილომეტრიანი დისტანციის დაფარვა უწევდა. გამძლეობის თვალსაზრისით ცხენის ქართული ჯიშები მართლაც გამორჩეულნი არიან. ისინი 25 წლის ასაკშიაც კი საკმაო დატვირთვებს უძლებენ (ძირითადად იგულისხმება მეგრული და თუშური ჯიშის ცხენები).

მარულასთან შედარებით ახლომდგომი სახეობაა **თარჩია**, რომლის ძირითად ამოცანასაც დევნა და ნადავლის (ამ შემთხვევაში მანდილის) წართმევა წარმოადგენს.

მარულას მაგვარია აღმოსავლეთ მოიანეთში გავრცელებული სახეობა **მთიდან დაშვება**, წესის სიმარტივის მიუხედავად ერთ-ერთი ურთულესი სახეობა. მხედარი ზის უბელო და ულაგმო ცხენზე, მუცელზე ამოგარებული თოკის ამარა და ნიშნის მიცემისას ციცაბო დაღმართში მოაჭენებს მას. ამის შესახებ ხალხური ლექსიც არის გამოთქმული, რომელიც ზუსტად ასახავს, თუ მოჩვენებითი უბრალოების მიღმა რაოდენი გამძლეობა და სიყოჩაღეა საჭირო მხედრისთვისაც და ცხენისთვისაც:

„ვერ გიგეთა ფშავლებო, მათურელი ცხენებ რა ქნესო?
მათურით დაქცეულებმა ამოგას ქვიშა ჩაქნესო,
ან მხედრებ როგორ გაიძლეს, ან ცხენებ როგორ შასძლესო?"

ასევე საინტერესო და სანახაობრივია **ისინდი**, რომელიც უფრო სამხედრო ყაიდისაა. ბუნებრივია, რომ ამ თამაშობაში უნად გვხვდება საბრძოლო ხასიათის ელემენტები (მაგალითად ჭენებისას ზურგში ნასროლი შუბის ჰაერში დაჭერა და საპასუხო შეტევა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბახიც ერთ-ერთი უძველესი თამაშობა გახლავთ. იგი ამავე დროს საუკეთესო სამხედრო ვარჯიშობას წარმოადგენს. ჩვენამდე მოღწეული წესრიგების თანახმად, გარდა მშვილდ-ისრისა, ამ სახეობაში გამოიყენებოდა ისინდი (მეცხრე სატყორცნი შუბი).

„უეცრივი მათ მშვენიერ ცხენსნობას, როგორ კარგად მართავენ თავიანთ ცხენებს. ესაა ხელოვნება ცხენსნობაში, იშვიათად მიღწეული. იგი მოითხოვს დიდი მოძრაობისა და ეონების თანაარსებას“ - მიუწერია „ყაბახის“ ამსახველი ნახატისათვის იტალიელ მოგზაურს ქრისტეფორე კასტელის.

მპერდაობაში მოასპარეზის ამოცანაა მოწინააღმდეგის ცხენი დაძგერებით გაავდოს დაოქმული მოედნიდან. შინაარსი თავისთავად მეტყველებს რომ იგი წმინდად საბრძოლო ხასიათის ვარჯიშობაა. სწორედ ამ ხერხით იბრძოდა უიარაღოდ დარჩენილი მოხუცი ლუარსაბ მეფე გარისის ბრძოლაში.

მოქცევა გაჭენებული ცხენის მკვეთრად დამუხრუჭების ხელოვნებაა. ცხადია რომ ეს სახეობა საბრძოლო ვარჯიშია და მიუხედავად წესის სიმარტივისა, უაღრესად რთული განსაზორციელებელია და სანახაობრივადაც საინტერესო.

ჩეხვა - ეს სახეობაც საბრძოლო-საწვრთნელი დანიშნულებისაა და ემსაზურება მხედრის გაწვრთნას ხმლით ჩეხვაში. ამ სახეობაში ზოგი მხედარი ორი ხმლითაც გამოდიოდა. მოასპარეზეს ამოცანაა გაჭენებული ცხენიდან დაშნის მაჯაში ტრიალით გზად დახვედრებული სხვადასხვაგვარი საგნების (თიხის ჭურჭელი, წნელების კონა, ხის ტოტი და სხვა) გაჩეხვა.

სხაპი მხედრის მიერ ცხენის ცეკვებაა და წარმოაჩენს ცხენის წვრთნის მაღალ ოსტატობას.

საინტერესო სახეობაა **ტანასობა**, რაც გაჭენებულ ცხენზე მხედრის მიერ სხვა და სხვა რთული სატანვარჯიში ელემენტის შესრულებას გულისხმობს.

მასთან ახლო მდგომია, მაგრამ აუცილებლად გამოსაყოფი - **მიპატიჟება**. ამ სახეობაში მხედარი ქალი გამოიხმობს ვაჟს და სთავაზობს გაიმეოროს მის მიერ შესრულებული ვარჯიში. ეს სახეობა თავისთავად მეტყველებს ქალთა მაღალ სამხედრო ოსტატობაზე.

საცხენოსნო სახეობებში სანახაობრიობის თვალსაზრისით გამოირჩევა **ცხენბურთი**, რაც არის ზოგადი დასახელება სადღეისოდ აღდგენილი ოთხი სახეობისა:

1. **ბადრი** (აღდგენილია თეიმურაზ მეორის ლექსის მიხედვით)
   აღდგენის შემდგომ პირველად ჩატარდა თბილისში 1948 წელს.
2. **რადი, რადრაბაგანი** (აღდგენილია თეიმურაზ მეორის ლექსის მიხედვით)
   აღდგენის შემდგომ პირველად ჩატარდა თბილისში 1958 წელს.
3. სახელწოდება ცნობილი არ არის. ჩვენამდე მოაღწია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ მეშვეობით.
4. **ყმანჭის ცემა**

ამ სახეობებთან ახლოს დგას **ცხენიანი ლელობურთი**, რომელიც აღწერილია თავში „გუნდური თამაშობანი“.

ასევე გავრცელებული სახეობები იყო **სადგინი, კიდირი (კუდურობა ?), ქართაში ლაჟაში, საჯვარო დოლვი** (იმართებოდა კოპალას დღესასწაულზე), **სამანის დალახვა** (იხ. - „მებრძოლი სული“), **სჩუძრის მოტაცება, დაბრკოლებათა გადალახვა, ცხენნი, ცხენთრბოლება, ლიჩაქ** (სვანური) და სხვანი.

აქ უპრიანი იქნება შემოკლებით მოვიხმოთ მეფე ერეკლეს შვილიშვილის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მონათხრობი:

„ დასრულდა ნადიმი და მეფე გამობრძანდა უცნოდ მორთული გარეთ. წელზე ნადირშა ხმალი ეკრა ძვირფასის თვლებით შემკობილი... ერთ მშვენიერს ლურჯა ცხენსა მოაფრინდა ვითა შეკარდენი ფრიალოსა... ამ ცხენს უზანგი ჰკრა. მეფემ და ისეთი სიარულით წავიდა, მდინარე წყალს წარმოქცევასა გვანდო...

... მცირე რაზმი უკან მისდევდა მეფეს. დაწკეპილი ორი ათასი, თუ მეტ-ნაკლები, საქართველოს თავადაზნაურნი, უცხოს დახატულს და საუცხოვოს ცხენებითა, რომელიც ათი ათას მტერს არ დაერიდებოდნენ და შეუპოვრად შეუტევდნენ, ვითა გავაზი გუნდსა ტრედისასა. ყოველთა ამათ მარჯვენა ხელში თითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებული და ზოგი სხვადასხვა ფერად დაჭრილებული.

ერთიანნი ესე რაზმი თელავის ქვემოთ მინდორზე ჩავიდა. ორ რაზმად გაიყვნენ ამ მინდორზე. ერთი ერთს მხარეს დადგა და მეორე მეორეს მხარეს. ერთი ცხენის გასაჭენებელი მინდორი შუაში დაიგდეს და თვითო ბაირაზი თავთავის რაზმს თავსა მიწაში დაურჭვეს. ეს იყო გაზაფხულის დღე მშვენიერი. ამასთან მეფე ირაკლიმ ოქროს ფერი მოვარაყულის ჩოგნით, წითელი სმოგვის ბურთი, პატარა ყმაწვილის თავის ტოლა, ჩოგნით აიღო და ჩოგანში თამაშობით, შეისევანი ცხენი გაიდგო, დიახ, სწრაფი გამქცევი, ორს რაზმებთა შორის, ვიზედაც თვალი ეჭირა ყველას, რომელ რაზმს გადაუგდებს ბურთსა. ჯერ კარგა ხანი ასე თამაშსა სხვადასხვა ნავარდობით, მას უკან პირველ რაზმსა შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა. თვითონ თავის დიდკაცებით გამობრუნდა. მოვიდნენ და ესენიც ფანჩატურში დასხდნენ მწკრივად მაყურებელი ბურთაობისა.

მეფე ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი, ერთი-ერთმანეთზე გადათამაშებით, უნდოდათ მეორე მხრის ბაირაღთან გაეტანათ და ამითი დარჩენოდათ სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგება პირველ რაზმსა და დაერიენენ ერთმანერთში...

- იმ დღეს ასე გაფრთხილებულნი იყვნენ მებურთალ-მეროგნენიო, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ასე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდეც ატრიალებდნენო, არც დასასვენებლად დამდგარანო მზის ჩასვლამდისთან; ცხენების შეძახება ხომ დიდი სირცხვილი იყო.

მზის ჩამოსვლამდისინ ვერა რომელმან მხარემ რომ ვერ გაიტანა ბურთი, ცხენკაციანათაც დიდად დაიალანენ, მეფემ უბრძანა გაშველება. ეს ამგვარი ბურთაობა, დიახ, ზშირად ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ძველის დროებიდანვე, უკანასკნელ დრომდის“.

ცხენი

„აკლია ნისლისფერასა გასაფრინდომლა თბენიო“
ხალხური

„ქუნქეჩ, ვაშა, ვაშა. ყაზ ყარდაშ ჯანი ჯუნი მურვათ, ვითა სენად იშვა, აზადყუსა, ყაზანდურა, ჩარქინდურა, მურვათდურა, ნაზარდურა.“ - განა ცხენის მუცლის გვრემის ეს შელოცვა ჩვენი წინაპრის ცხენისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე არ მეტყველებს?

ან თუნდაც ეს ნაწყვეტი ვახტანგ VI-ის „ცხენის კარაბადინიდან“:

- „და ესრეთ გვასმია და უთქვამთ მეცნიერთა კაცთა, რომელ სანამდისინ შვიდის საქმის პირობა არ გამოართვაო ცხენმან კაცსა, მანამდინ ზღვიდან არ გამოვიდაო: -

პირველად - უწმინდური და ფინთი კაცი არ შემეჯდესო
მეორედ - ჩემზედ უწმინდური დედაკაცი არ შემსვათო
მესამედ - საპალნე არ ამკიდოთო
მეოთხედ - წმიდას ალაგს დამაბათო, რომ ფინთმა კაცმა არ დამინახოსო
მეხუთედ - უნალოდ არ მატაროთო
მეექვსედ - ძუა არ დამჭრათო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდედ - ყურის წვერი არ გამიხიოთო.

მისცეს ყოველი პირობა და სიტყვა კაცმან და შემდგომად გამოვიდა ცხენი ზღვიდამ. ხმელად.“

ცხენის ადგილობრივ სახეობათაგან დღემდე მოატანა მეგრულმა და თუშურმა. ორივე სახეობა შესანიშნავად არის შეგუებული გარემო პირობებთან.

მეგრული ცხენი: მომცრო ზომისა (129 სმ. ნიდაოში) მშრალი, მკვრივი აგებულებისა. შეგუებულია სუბტროპიკულ კლიმატსა და მაღალმთიან გაუხშოებულ ატმოსფეროს. გამოირჩევა საზრიანობით რთულ რელიეფზე სვლისას. თავისუფლად ატარებს 100-130 კგ. ტვირთს.

თუშური ცხენი: ასევე ერთ-ერთი უძველესი ჯიში. სიმაღლე ნიდაოში – 134-136 სმ. წაგრძელებული კორპუსით. გამოიყენება საკედომად და ტვირთმზიდად. მთის ბილიკებზე 12 საათში დაახლოებით 100-120 კილომეტრის გავლა ძალუძს ცენტნერი ტვირთით. განსაკუთრებით ფასობს თოხარიკი ცხენები, რომლებიც ზშირად გვხვდება ამ სახეობაში.

აბლაკი – ჭრელი, წითელი ლაქებით თვალებსა და ნესტოებთან
აბრაში – თეთრი, მოწითალო ან შავი წინწკლებით
ათლარი – ცხენის ჯიში
ალათი – ალისფერი ცხენი
ალაჩა – უვარგისი იაბო
ალერდი – ნედლი თივა
ალიყი – ცხენის დილის ულუფა
ამლათი – ჩქარი
ამლაკი – ფერადლაქებიანი
აჩუ - შეძახება
ახური - თავლა
აჯილლა – დაუკოდავი
ბატატურა – უკანაფეხებგაფარჩხული
ბატრა – ჩიჩვირი
ბალაყი – ფლოქვის შუაგული
ბანდალა – სოკოვანი დაავადება
ბაჩა – ძუფაფარგაკრეჭილი
ბაჩა - თვინიერი (მეგრ.)
ბახა – ბეხრეკი, ბუხი
ბედაური – წვიმმაგარი
ბეჟანია - ცხენის ჯიში
ბიბა – თეთრბალნიანი
ბობავს – მსუბუქად დადის
ბღერი – მქავანა, ყუთური, ქერჩი
გაბადანი – ზურგჩადრეკილი
გავადი – ცხენის გავა
გამხანე – დიდნახტომიანი სადოღე
გაქირი – ჯიუტი, ოჩანი
გაქუსლვა – დეზის კვრით გაჭენება
გაჩვეული – გაწვრთნილი
გახვგნილი – გახედნილი, საკედომად გაწვრთნილი
გახრეკილი – გაძალაფყავებული
გეკვეკჯი – ცუდმავალი
გილვება – ლაღად ჭენება
გერგე – ასაკმცირე
გერულაფა – მარულის წინა დღეს საცდელი ჭენება
გოში – ნაცრისფერი ცხენი
გულარდო – ურჩი, გაქირი, ბურღო
დაკვერვა – ნალის გამაგრება
დალურსვა – ყურის დადმა დაღება
დანალვა – დაჭედვა
დათთხება – გაჭენება
დაოკება – მოთოკვა
დარახტული – რახტით მორთული
დაურვება – დამორჩილება
დაღი – შანთით დადებული ნიშანი
დაღოჯვა – კბილის ჩავლება
დგერი – დგრიალი, თქრიალი, თქერა, თქარუნი, თქარათქერი,
დონდარი – ეფეკნებიანი, წინ უძღვის სხვა კურტნიან ცხენებს
ვაყა – ულაყი
ზარდაგი – დიდი ტანის
ზარდაო – მუცელში სითხის ჩადგომა
ზერდაგი – ჩალისფერი
თავლაღი – ყოჩაღი
თაფლა – თაფლისფერი
თეთრონი – თეთრი ცხენი
თოხარიკი – სვლის სახეა, თოღორიკი
თრითილა – წითელი თეთრწინწკლებიანი ცხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუღუნი - ცხენის ჯიში
თუხარიგი - კარგმბავალი
თქერება – ცხენზე თამაშობა
იაბო – დაკოდილი, ტაიჭი, ლაფშა, ლაბში (მეგრ.)
იათახი – მანძილი ცხენის უკანა ფეხებს შუა
იამანი – მუცლის შესიება
კავშა – თეთრფეხება
კამპი – საკბენად მომართვა
კანტი – მომცრო და მჭლე
კარხლი – ყალეფი
კვიტია – რაში
კიოფი – შუბლზე პატარა თეთრი ნიშანი
კიცეი – კვიცი
კუნკრუხი – უხეირო ტარება
კურია – ურაკვიცი
ლაფშური – მოკლე, ჩქარი ნაბიჯი
ლაქა – უბალნო ადგილების დასიება
ლეგა – მუქი ნაცრისფერი, ლეგნა
ლეზვი – თხელი დორბლი
ლოპრი – დუჟი
ლუბი – გამხდარი
ლურჯა –
ლუში – მოლურჯო
მარბოლი – სადოლე ცხენი
მარქაფა – სათადარიგო
მაღაო – ყელის სენი, მარდაო, ქუში
მაშტაკა –
მერანი – კეთილმოარული
მეწრიხალი – წიხლისhროლია, მტოკავი
მოათამაშებს – თამაშით მოჰყავს
მოათოხარიკებს – თოხარიკით მოჰყავს
მოაქვავქვებს – კოხტა ნაბიჯით მოჰყავს
მოზიდვა – ცხენის დამუხრუჭება
მოხოშრა – ლურსმნის გამოცვლა
მრეში – წაბლისფერი
მურა – რუხწითელი
ნავარდი – ლაღი სვლა
ნაურვალი – კარგად მოვლილი
ნაფაზი – სუნთქვის შეკვრა, ხიხინი
ნიდაო – კისერი ბეჭებთან, ნიგო, მუნდაო
ნისლა – ღია ნაცრისფერი
ნიშა – შუბლზე ღია ფერის ლაქით
ოგეჩა - ტლანქი
ოთხახმით – ოთხამოღებით ჭენება
ონე – ჭუნე, გვარიანი ცხენი
ორქავი – კარგი ცხენის ეპითეტი
ოჩანი – ჯიუტი, ურჩი
ოფა – ქაჩაჩის სენი
ჟრუნი – მონაცრისფერ ჭრელი
ყელაი – შავმოწითალო
რაში – მალი
რახსი – წაბლისფერი
რემა – ცხენის ჯოგი, ილხი
სალაგმე – დიდი კბილი
სალია – ქაჩაჩის ქვედა პირი, სანალე
სამარული – სადოლე
საოლავი – ფლოქვსა და ქაჩაჩს შუა
სატალახო – ცხენის სახეა
სასაპალნე – ცხენის სახეა
საფერხე – საჯდომი ჯიშის ცხენი
საფორანე – საჭაპანო
საღარი – შუბლთეთრა, საღრა
საჭაპანო – გამწვევი
სახიმარი – უძუო კუდი
სახმობი – ნესტოში ძვლის გაზრდა
საჯოგავი –
სინიბი – მაგარი, გამძლე
სისეი – ლეგა
სობოლ - კვიცი (სვან.)
სრელა – ზურგზე თუ სხვა ფერი გასდევს
სულელეკა – სტვენით ცხენის დამშვიდება
სულწუხა – ფიცხი სადოლე ცხენი
სხაპი – მხედრის ნებით ცხენის მიერ გაკეთებული ფიგურები
სხაპუნი – მათრახის ხმა, ზაპუნი
ტაბახტა – სასის ჩამოსვლა, დამაღი
ტანა-კვიცი – ორ წლამდე ასაკისა
ტლინკი – ტყუპი წიხლი
ტრედანა – სახელი ფერის მიხედვით
ტრიზა – კაცზე ლაფის შესხმა
ტროპი – ზურგი
უბელო – შეუკაზმავი
ულაყი – მამალი ცხენი
უა – კისრის დაავადება
ურა – მამალი კვიცი
ურვეკა – წმენდა-დაფხანვა
ურწანი – უზვი, არამშობელი
უსაბრუნო – გაქირი, ჯიუტი
უჩუხი - ცხენის მუცლის გვრემა
უხედნი – გაუხედნელი
ფარიკა – სარცხვინელის სენი
ფაფარი – კისრის თმა
ფაფხვა – ცხენის დატუქსვა
ფაშატი – დედალი კვიცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული ცხენი

თუშური ცხენი

კავკასიური საგვარეულო დამლის ნიმუშები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესანგი – ჭრელი
ფეშანგი – დონდარის წინ მიმავალი მორთული ცხენი
ფეხმალი –
ფრთხვინვა – შიშის ხმიანობა
ფრტვინვა – კუნტრუში და ტლინკვა
ფუნი - უვარგისი
ფშო-ფშო - დაყვავება
ფხიკიანი – ფიცხი
ფხიტი – ცქვიტი
ქავქავი – ცხენის იორღით ტარება
ქარცი – მოწითალო ყვითელი
ქაჩაჩი – ფლოქვსა და საოლავს შემდეგ (გამსხვილებული ნაწილი)
ქედფიცხელი – დაუმორჩილებელი
ქვიქვირი – ჩიჩვირი
ქოთაო – შურთობა, ყბისქვეშა ჯირკვლის გასივება, გადამდები სენი
ქსუ – შეუჩვეველი, მიუკარება
ქურანა – წაბლისფერი, აგრეთვე სამ წლამდე კვიცი, ქურიკა
ყალყი – უკანა ფეხებზე შედგომა
ყვატი – ფლოქვის გული
ყირათი – მუქი ფერის ცხენი (აჭარ.)
ყორანა – ძალზე შავი
შავრა – შავი
შანავარი – ჭკვიანი
შეკაზმული – მორთულ-აღჭურვილი
შვინდა – სახელი ფერის მიხედვით
შლაპუნი – შოლტის ცემა
შუყაყი – ჩოყაყი, ფეხის დაავადება
შხეპა – კუდის ცემა
ჩანჩალა – ცხენცუდა
ჩაქ-ჩაქი – ავი სვლა
ჩონჩორიკი – ნეხვი
ჩორთი – ჩქარი სიარულის მაგვარი სირბილი
ჩული – ერთ წლამდე ასაკისა
ჩხიმალა – მჭლე
ცხენი:
მამალი – ახტა;
დედალი – ხრდალი, ჭაკი;
მამალი კვიცი – ურა;
დედალი კვიცი – ფაშატი;
ძაგვალი – ძუნძულით სვლა
ძვალკორძი – სიმსივნე ფეხზე
ძოვარა – ტუფაფრის ქეცი
ბუა – კუდის თმა
წაბლა – წაბლისფერი
წაყრა – ლაგმის შეხსნა
წითლა – სახელი ფერის მიხედვით
ჭარმაგი – თეთრზე შავით დაწინწკლული
ჭარმაგოსანი – ჭარმაგზე ამხედრებული
ჭეკვნა - დამაკება
ჭიხვინა – ხასიათია
ჭიხვინი – მრისხანების ხმა, ჭიხჭიხი
ხადა - ცხენის ყიში
ხამი – შეუჩვეველი
ხაჟო – ლაქებიანი
ხასი – გაბედული
ხატაველი – თეთრპირისახიანი ცხენი
ხედნა – წვრთნა, ჯაგვა
ხვიზვინი – ოკურის ან კვიცის მოხმობა
ხვივილი – პატრონისთვის საჭმლის შეხსენება
ხზედი – ღია წაბლისფერი
ხინტკი – წამონაზარდი ნესტოში
ხოდი – ცხენი (მთიულ.)
ჯაგლაგი – უხეირო ცხენი
ჯაგჯაგა –
ჯანჯალი – ნელი სირბილი
ჯაფეირი –
ჯახრაკა –
ჯიდაო – ნიდაო
ჯილდაო - ცხენის ბეჭი
ჯილფი - ცხენის ყიში
ჯიმბირი –
ჯინნიბი – მარქაფა
ჯლაყუნი –
ჯლეხა – მიქუსლ-მოქუსლვა
ჯურა – მოწითალო

ცხენის აღკაზმულობა

ავჟანდი – უზანგის სახეა
ავშარა – ულაგმი აღვირი
აილები – ცხენის მოსართავი
ალიკაპი – ხის აღვირი, აყაფი
ასალი – ზურგსაფარი
აღვირი – სამართავი თასმა, ლოხტა, სადავე, ჭიმი
აჭიმი – გელპირი, პირის შესაკრავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალდუმი – კურტნის სამაგრი
ბახური – მთლიანი ხის კეხი
ბოთბაღი – უნაგირის სამკაული
ბორდა – უნაგირის საფარებელი
ბუდარი – უნაგირის ბალიშზე
საფარებელი ტყავი
გაბრა – ცხენის საწმენდი
გარსაკრავი – უნაგირის სამაგრი
გულავშარა – მეორე წყვილი აღვირი
დანდალი – პირის მახე
დეზი – საჩხვლეტი, წრტიალი
დუშაყი – ტოილო, ბორკილი, ფეხის
დასაბორკი თოკი, აბდანი (მეგრ.)
ზინზილები – მოსართავი სამკაულები
თაცლა – ახორი, საჯინიბო, ხანდახორი
(ბაგა)
თარგი – უნაგირის უკანა კორტბონი
(ფერეიდ.)
თარქი – უნაგირის უკანა მხარე
თაფხუნი – პატარა კეხი
თოფრა - თოფრაკი
თოქალთო – საოფლე ქეჩა, ზილფუში
კადონი – განივი ლატანი ცხენების
დასაბმელად
კემუხტი – გავის ტყავი, ქარქაშის
შესამოსი
კეხი – უნაგირის ჩონჩხი
კომპული – უნაგირის ტახტას თავი
კოპალი – უნაგირის მოსართავი ღილი
კოტე – უნაგირის ნაწილია (ლეჩხ.)
კურტანი – სატვირთავი მაღალი პალანი
ლავამი – პირში ამოსადები რკინა,
ხარტუკი, ჯილავი
ლავაში – ცხენის ყურებში მოსაჭერი
თხის რქები
ლამბშარა - აღვირი (მეგრ.)
ლუმბა – საჭედარი, ნალი
მოსადევარი – მთელი აღკაზმულობა
მოსართავი – უნაგირის მოსაჭერი
ფართო ღვედი
მუკუდი – ავშარის საბელი
მუხრუჭი – ცხენის ცხვირთმოსაგრეხი
ნალფარა – ქართული ნალი
ორთუქი – გავის საფარი
ოქჩინანალი – ნალის სახეა (აჭარ.)
ოჭარო – სასაპალნე კეხი
პალდუმი – ჯორთ საბარკლე
პეპელა – რახტის ყელარუნა სამკაული
რახტი – აღვირის მორთულობა
საბუზე – შუბლსაფარი
საგდებელი – ქამანდი
სადავე – აღვირის თასმა
სათაური – აღვირის ნაწილი
სათფური – უნაგირის სამკაული ტყავი
საკოტარი – წიხლის დასაკავებელი
საკაზმი – მორთულობა
სამკერდული – სამკერდე თასმა
სამონველი – დასაურვებელი, საურავი,
სამურველი, კბილებიანი რკინის საფხანი
საოფლე – უნაგირქვეშა ქეჩა, სამაგრავი
საყბეური – ყბაში ამოსადები აღვირის თასმა
სამუე – საკუდური, პალდუმი
საწელური – უნაგირის მოსართავი
საწყვეტი – საწკვერტი, საღრტილი,
უნაგირის თასმა რისამე ჩამოსაკიდად
საჭიკი – ცხენის მოსართავი სარტყელი
სახორხელი – კაპებიანი ლაგამი
ტახტა – უნაგირის ქიმები
ტკეჩი - ტკეცი (მეგრ.)
უნაგირი – ცხენზე შესადგმელი საჯდომი,
ანნაზი, ანანგერი (მეგრ.), ჰუნგირ (სვან.)
ფთა – კეხის გვერდითა ნაწილი
ფიტოლი – უნაგირის ნაწილი
ფოლისი – ფლოქვის სათლელი დანა
ფუნჯი – უნაგირის სამკაული
ქაცქაცა – ხის ტკეცი, კვიცის საცემელი
ქეჯიმი – გვერდსაფარი
ქორაკი – ქოჯი, აღვირის სახეა
ყირი – ნალის მსხვილთავა ლურსმანი,
ყინულზე მოცურების საწინააღმდეგო
ყაჯარი – უნაგირის მოქარგული
საფარებელი
შატროვანი – ნაქსოვი გადასაფარებელი
ჩალთო – დაქნილი თასმა
ჩანჩიკი – ავშარის საბლის რგოლი, ჩაჩანაგი
ჩახალა – ჭედვისას ფეხის გასაკრავი,
ხიბორკალი
ჩირბული – ცხენის თავის მორთულობა
ჩული – ზურგზე გადასაფარებელი
ცალუღი – ცალი უღელი, მარტუღელი
ძარძაკი – უნაგირის საშუალი
წელმორთულობა – აღკაზმულობის ნაწილი
წყლეპი – წკეპლა (აჭარ.)
ჭანაპარა – უნაგირის ბალიშის სამაგრი
ჭიკვა – მოსართავის მოსაჭერი
ჭიმი – კანაფის ავშარა

ხარლა – ცალფა აღვირი
ხორომი – საგზალი თივა
ჯაბაყული – უნაგირის ბალიშზე
გადარტყმული შუა მოსართავი

ჯილავი – საფეურთან ხელის წასაღები
და სასაბლე რგოლი
ჯირიმი – მოსართავის ასაზიდი თასმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი

„რისხვით აენთო მეფე აიეტ, შურისძიება უბრძანა კოლხებს,
და შეაცურეს კოლხებმა ზღვაში აურაცხელი საბრძოლო გემი.“
აპოლონიოს როდოსელი

ძვ. წ. V საუკუნის ერთი უცხოური წყაროს თანახმად ფაზისში თავს იყრიდა სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი.

აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც შორეული ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდგომ, ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით (მდ. მტკვარი - სურამის უღელტეხილი - მდ. ყვირილა - რიონი) აღწევდა შავ ზღვამდე დღევანდელ ფოთთან (ძველი ფასისი). ამ გზის ცალკეული მონაკვეთები, რომელთაც თავდაპირველად ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდათ, ისახებოდა ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ პერიოდში. ელინისტური ხანიდან კი, როდესაც ვაჭრობამ „მსოფლიო“ ხასიათი მიიღო, გაიმართა ერთიანი გზა ფასისიდან ინდოეთამდე.

სტრაბონის ცნობით ფასისში დიდი მოცულობით იწარმოებოდა გემთსაშენი მასალა: ხე-ტყე, სელის ტილო, ქერელი, ფისი და ცვილი.

მისივე თქმით შავ ზღვაზე ჰენიოზები იყვნენ გაბატონებულნი. ისინი მეკობრეობას ეწეოდნენ 25-30 კაციანი ვიწრო, მსუბუქი ნავებით - „კამარებით“. ასეთი „კამარებით“ ჰენიოზები აგდენდნენ ფლოტს და იტაცებდნენ სავაჭრო გემებს. „კამარებს“ გემებთან შედარებით არსებით უპირატესობა ჰქონდათ, რადგან განსაკუთრებული ნაგმისადგომი არ სჭირდებოდათ. ისინი ზურგით გაჰქონდათ ნაპირზე და ტყეში მალავდნენ, რის გამოც პრაქტიკულად მოუხელთებელნი იყვნენ.

ქსენოფონტე მოსინიკთა შესახებ: „ძიიღეს რა ერთგულების საწინდარი ელინთაგან, მოსინიკები წავიდნენ და მეორე დღეს გამოცხადნენ 300 ნავით, რომლებშიაც სამ-სამი კაცი იჯდა. თითოეული ნავიდან ორ-ორი ნაპირზე ამოვიდა და მწყობრში ჩადგა, თითო კი ნავში დარჩა. ნავში დარჩენილნი გაბრუნდნენ, ამოსულები კი საბრძოლო წესით მოეწყნენ შემდეგნაირად: დალაგდნენ ასეულებად გუნდის მსგავსად – ერთმანეთის პირდაპირ. ყველა მათგანს ეპყრა სურის ფოთლის მოყვანილობის, ხარის თეძრი ტყავით შემოჭიმული დაწნული ფარი. მარჯვენა ხელში ეჭირათ ექვსი არშინის სიგრძის ხელშუბები, რომელთაც წინ მახვილები ჰქონდათ, ხოლო უკან – მომრგვალებული ბოლო. მეომრებს ტილოს ტომრის მსგავსი ქსივილის მუხლამდე პერანგი ემოსათ, თავზე კი პაფლაგონელთა მსგავსი ტყავის მუზარადი ეხურათ; გარდა ამისა, მათ ჰქონდათ რკინის შუბსაჯაბი. მაშინ ერომმა მთგანმა დაიწყო სიმღერა და დანარჩენებიც სიმღერით დაიძრნენ, გაიარეს ელინთა ჰოპლიტების წინ და ერობაშად ეკვეთნენ მტერს“.

აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III საუკუნე) ცნობით „კოლხებს შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები, და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“.

გერმანელი მკვლევარის კარლ რიტერის აზრით „ეს ფირფიტები იყო პირველდაწყებითი რუკები და შესაძლოა ისინი ჰქონდა ჰეროდოტეს, როცა მან ჩამოთვალა ჩრდილოეთის ხალხების, ბოსფორისა და პონტოს სავაჭრო გზები“. მისივე აზრით - „კარტოგრაფიული ხელოვნების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე აზიის ბერძნებს. ეს ფირფიტები ბევრად უფრო ადრე გამოიყენებოდა კოლხ მოგზაურ-ვაჭართა მიერ".

ზემოთთქმული იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი წინაპრები არა მარტო თავისი დროის მოწინავე საზღვაოსნო ცოდნას ფლობდნენ, არამედ განვითარებულ დამწერლობასაც.

სახელგანთქმული მკვლევარი ტურ ჰეიერდალი თვლის, რომ ხის გემების აგება ფინიკიელებზე უადრეს უნდა დაეწყოთ ხეთებსა და ხმელთაშუა ზღვის მცირე აზიის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს, რომელთაც კედრის ხის მასალა უხვად მოეპოვებოდათ.

აქვე გავიხსენოთ რუსთველის მიერ აღწერილი მეკობრეთა ნავი:

„გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,
მას ნავსა, ნავთ სალეწელად, სახნისი ჰგია ძელითა".

კოლხთა მაღალი სანაოსნო კულტურა ნათლად ჩანს არგონავტების მითშიც. თავად ბერძენთა აღიარებით, რომ არა ჯადოქრობა, არგონავტები აიეტის მიერ დადევნებული ფლოტისგან თავს ვერ დაიხსნიდნენ.

ასევე მრავლისმეტყველია დღემდე შემონახული გამოთქმა - „ლაზის ბაღი ზღვააო".

ტროადან ლტოლვილი ენეასიც ხომ გემებით მიეგზავრება (კართაგენის გავლით) რომის დასაარსებლად.

XIX საუკუნემდე მოდის კვალი მდინარის სწრაფი გადალახვის მიზნით საგანგები სამარჯვების გამოყენებისა. როგორც ჩანს, ეს იყო სახელდახელო ბორანის მსგავსი რამ, რუმბებისა თუ ტიკებისაგან შეკრული.

თუ რატომ დაკარგა წინაპარმა ეს უპირატესობა, ამისი გაჩხრეკა შორს წაგვიყვანს. ერთი მიზეზი იოანე-ზოსიმესეული ლაზარეს (ანუ ჩვენი ენის, ანუ ჩვენი ერის) გადაღლა და ხანგრძლივი მიძინება უნდა იყოს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში მოწინავე ცივილიზაციის ტვირთის ტარება.

ალალული — წყალქვეშა კლდე, ვრაქია, სპონდიო, შხერი
აფთიონი — ნავის სამართი
აფრა — იალქანი
ბაგე — ნავის კიდე
ბაგირი — ღუზის თოკი
ბარჯი — ჭვილთი
ბრაგა — წყალქვეშა კლდე
გემბანი -
დირაგი - ანმა, საყე, ხალე, ნაქესი, აფრის ასამართი ძელი
დრომონი — 500 კაციანი (საგზალ-ტვირთიანად) ხომალდი
ეღე — ნავის განივი ლატანი
ვარცლა — ბრტყელძირა ნავი
ზარბუნა — ნავის სახეა
ზვირთი — დიდი ტალღა
ზვირთქაფი — აქაფებული ზვირთი
თავთხელი — ფონი, არაღრმა წყალი
იმსარა - კალაპოტის დალამული ზოლი
კამარა — ჰენიოხთა სამეკობრეო ნავი
კარაპა — პატარა გემი
კარაპითა — „----"
კარჩხალი — ხე წყალქვეშ
კარჭაპი — განიერი ნავი
კატარღა — ნავის სახეა
კბოდე — კლდიანი ნაპირი
კესი — აფრის გასაბმელი ლატანი
კიჩო — გემის ან ნავის უკანა ნაწილი
კლაკნი — მდინარების გამრუდება
კოპანო — ნავის სახეა
კუში — ტალღა, ღადო
კუზუნი — ღელვის ხმა
ლაპოტი — ნიჩბის ფრთა
ლაფთე — ნავის სახეა
ლევანდი - მეზღვაური
ლიმანი - ზღვასთან მდინარის შეერთებისას გაჩენილი უბე
ლინგი — ტივის დასაცურებელი კეტი
მარჩხობი — თავთხელი წყალი
მეწერი — წყლის ზედაპირამდე ამოსული ხმელეთი
მუცელი — ნავის სიღრუე
ნავი — სანაოსნო ჭურჭელი ზოგადად
ნავმისადგომი — ნავსაყუდელი, ლიმანი
ნავტიკი — მცირე ტივი, გუდებაკრული
ნაოსანი — მეზღვაური
ნერჩი — ნავის ძირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიში - ნავი (მეგრ.)
ნუშა – ერთკაციანი ნავი
ოლეჭკანდერი – ნავის სახეა
ონიშოლი - ნავმისაფლობი (მეგრ.)
ორთაყვირი – ტივის ხოფი
ორჩხომელი – დიდი ნავი
ოტოსტომა – ნავის გრძივი ლატანი
ოფიჩო – წყლის სახაპი
პუშკატა – ნავის სახეა
საგოზავი – კანაფის ძენძი და ნაძვის ფისი
სანდალი – მომცრო ნავი
სატივო – ტივის ტარებისთვის ვარგი
საჭე – მენავის ხალა
საჭეკარი – საჭის თვალი
სრუტე – შემართებელი ვიწრო ყელი
სტიღალია – ნავის ჩონჩხის ნაწილი
სტოლი – საომარი ნავი
ტარმუჭი – ორთაყვირის სახელური
ტივი – მორთაგან შეკრული საცურავი
ტივტივა – ლივლივა, ქერქეჭელა
ტროპი – ნავის ხერხემალი
უბე – ზღვის მომყუდრობული ადგილი
ფელენგი – წყავისაგან გათლილი ნავის გასათრევი მოწყობილობა
ფილუკა – ფელუკა, ლაზური ნავის სახეა
ქიმი – ნავის კიდე
ღელვა – ფრთონა, ტალღის აშლა
ღუზა – კავი ხომალდის დასაყენებელი
ღურღუმი – ღრმა ადგილი მდინარეში
ყუდე – სადგომი
ჩეკი – მომცრო ნიჩაბი
ჭორომი – სწრაფი დინების შემქმნელი ქვიანი ამაღლება
ხერგილი – ხვებით გადაღობილი ადგილი
ხოფი – ნავის ნიჩაბი
ჯოჯგანი – ტივის სახოფე სვეტი

თამაშობანი

ქართული ხალხური თამამობანი შესწავლილ-დამუშავებული თემაა, მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ, უნდა მოხდეს მათი მიზანმიმართული დალაგება ასაკობრივ ჯგუფთა შესაბამისად საერთო ფიზიკური მომზადების, დატვირთვების თანაბარზომიერი ზრდის, მოვარჯიშეთა მონაცემებისა და მიდრეკილებების გამოვლინის მიზნით.

ინფორმაციის ნაწილი დაუმუშავებელი სახით მაინც შედის ამ ნაკვლევში იმ ვარაუდით, რომ შედარებისას შესაძლოა დფიქსირდეს რაიმე აღუწერელი სახეობა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ცოტამ თუ იცის საქართველოში ისეთი სახეობების არსებობის შესახებ, როგორებიცაა გლუნაობა (ყინულზე ბურთიანი ჰოკეის მსგავსი ქიზიყური თამაშობა), ლიბურძგვალი (გუნდური ჭიდაობა სვანეთში), წიხლაობა (უხელოდ გუნდური ჩხუბის სახეობა რაჭასა და ხევში) და მისთანანი.

ეს ფერეიდნული თამაშობა გასული საუკუნის დასაწყისშია ჩაწერილი: „დაკენწვა - იანი, იკანკლიანყე, რაქთენმა გაიქცისყე და ერთი, რო იკანკლის და ერთი, რო დაკენწნისყე, ფეხს რო ამოუდვინსყე, ეხლა უნდოდისყე, ამამ ირბინოს და ამ სხომ იკანკლოს და ემე ქნას, დაკენწნოს“.

აღწერის ნიმუშად მოვიყვანთ სოფ. ქაშუეთში 1998 წელს ჩაწერილ თამაშობას „კისრით ჭიდაობა“:

თამაშისთვის საჭიროა სამ მეტრამდე სიგრძის რბილი თოკი. სარბიელი ორად იყოფა ხაზით. წრიულად შეკრულ თოკს მსაჯი თავზე აცვამს ხაზთან ოთხზე მდგარ მეტოქეებს. საათანდო ნიშანზე მოპაექრენი იწყებენ მოწინააღმდეგის კისრით გადათრევას საკუთარ ნახევარზე, რაც გამარჯვებას ნიშნავს. იკრძალება ხელის წახმარება თოკზე, ფეხების თავზე წინ გამოდგმა და მეტოქის შეურაცხყოფა ან გაცინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე საინტერესოა სვანეთში, კახეთსა და ქიზიყში გავრცელებული „ბულრაობა“. შერკინების მიზანია მეტოქის გაგდება წრიდან თავით მიწისკენ. მოწინააღმდეგე ხელისგულებით იგერიებს შემტევის თავს და ცდილობს გაუსწორდეს. შემდეგ შემტევი იცლება. თამაში აშკარად ხარის კულტთან არის კავშირში.

აბაბაი – შეტევის ყიჟინა, ვაშა (ფერეიდ.)
ათურმა – ოთურმა (თამაშია)
აკეწრვა – ფაინდით კაკვის გაკვრა
ალაფი – ნადავლი, დავლა
ანდაფი – ჯგუფი
ანძალი – ამპრთული ძელი
არეობა – გარე არეში დგომა
არკინული – თამაში (მესხ.)
არული – კუდიანების დასაფრთხობი
არჩიკი – ვისიმე წილი, ხვედრი
ასპარეზი – სარბიელი, ფორე, ურაკპარაკი, მოედანი, უტევანი
ასტალბასტალი – დანის წვერაობის მეთორმეტე სახე
აღხილვა – ჯარის დახარისხება
აშფაშაქი – რბევით ისრის სროლა
ახდომა – მაღლა შესვლა
ახია-ბახია – თამაშის სახეა
ახუმა – ალება (ციხის)
ბაჩაფურაობა -
ბიზი – მოკლე დასარჭობი ჰალო სროლეიდ სათამაშოდ ყრმათა
ბინაბურთი -
ბობაობა – თამაში ხის კოჭით
ბოვრაყი – დროშა (თუშ.)
გაკვრაბურთი -
განმსტრობა – დაჯაშუშება
გარდახდომა - მთას იქით შეტევა
გასაგნეა – ჯირითის ან ისრის გაკვრა
გატანიე - ლელოს სახეა
გაქცევბურთი -
გზირობია -
გიძლაობა –
გლუნა – საგლუნაო ჯოხი
გლუნაობა - ყინულზე გლუნათი თამაში
გოთაობა – ბურთაობის სახეა
გუგუსტიანობა –
დადარიელება - თვალთვალი, დადარაჯება
დავლური - ხმალში გაწვევა, თავდასხმა
დაკრაობა –
დამფაობა
დანაობა – ნება (გასროლა ხელისგულიდან), ცილა (დანა ცერსა და დიდ თითზე), კიჭინება (გასროლა კბილებით) და სხვ.
დარილი – ზვერვა, ტურნება
დარჩენა - ბურთის ჰაერში დაჭერა
დასვასა - რიგით და შედეგნებით გაწყობა
დედავმიშველაობა –
დედატკიცილაობა –
დონა – ფუნდრუკის სასვენებელი
დროშა – მწყობრთ ნიშანი გუნდთა საცნობელი
დროშიტაციაობა –
დუნდგო – უწესრიგო თავყრილობა
ვაცობა -
ვაშა-ვაშა – მოასწავებს შურისგებისა და საწადელის მიმოხვევას
ვეზირობია –
ვირიღლეტიაობა -
თავდგომელაობა –
თამაში - ექვსი სახისაა:
- ასპარეზობა - მხედართა მიერ ანძათა ისრის სრევა, ბურთთა ყვანჯით ცემა, საგანთა სროლა და ეგვეთიარნი;
- მღერა - ჭადრაკი, ნარდი, ტყაპუნა, ყოველნი სამორინენი, აგრეთვე ოროლთა მრავალგვარად ბრუნება;
- ფუნდრუკი - ვაუთა მიერ სრბოლა, ხლდომა და სხვა სიკისკასენი;
- ზუნტრუცი - ქალთა მიერ ფუნდრუკი ძალისაებრ მათისა;
- როკვა - სამა, ცეკვა, ცერული, ბუქნი, ფერხული, დაკური, მრგვალად წყობა და რაოდენიცა ეპანთა და ფანდურთა მიერ იქნებიან;
- შეტევა - კენჭებით, ჩხირებით, ვეგითა და სხვათა ჭმუნვანი განიქარვონ;
თვალჭიტაობა -
თიღიში – კოჭი
ისნა-ისნა – საიდუმლო სიტყვა
კათა - გროვა, ხალხი (მეგრ.)
კაკვობია – ჭაკუნობია, კაკუჭობია, ბურთის თამაშის სახეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანჯი – საფრთხობელა
კარჯოხობა – ჩოგნით თამაში
კაფა – კენჭაობის ხერხი
კეკემალელა -
კეკიაობა – კიკიაობა (?)
კენჭაობა – 75 ხერხი, რომელთაც
  თავისი სახელები აქვთ
კვეობა – საბრძოლოდ მიჭრა
კინკლა - მცირე ომი, ჩხუბი
კიპირი – რიკაობა
კობლაობა – ღორობია, ბურთაობის
  სახეა
კოჟური – კუკურაქი, კუკურიკი, კორი,
  ქოგური, ბირჭი, კვერცხისოდენა
  ბურთი ხის ან ქვისა
კორაობა –
კოშლაობა - ჩოგნით თამაში
კრუჭუნაობა –
კუდაბურთი –
კუკურაკობა - გოთაობა, ხაჩაობასავით
კურთაბაზია –
ლაბი – მიზანში ბრტყელი კენჭების
  სროლა
ლაშქართა გარდახდევა – სასეელი,
  სამხედრო უფლების ჩამორთმევა
ლახტაობა –
ლელო –
ლიბურთალ – ბურთაობის სვანური
  სახეა
ლოლია, დოლია –
ლურტუკენტი, ლურწკენტი –
მაიობიე –
მალაყობია –
მაყე – საბურთალო სანიშნე სვეტი
მემტტე – ფალავანი ბრძოლაში
მილარი – სამანი, მიჯნა
მიწალოკა – ნასროლი ბურთის ძირს
  დავარდნა, თამაშის მომენტი
მლლეტელი – ლელოს მოთამაშე
ნიშნა-ნიშნა –
ობირე – ცეკვა-სიმღერის ადგილი
  (მეგრ.)
ონავარი – თავდამსხმელი
ორკვაჭი –
ორმობიე, ორმობია – ჩოგნით თამაში
ორტოტა – ჩუგრიანობის თამაშის
  ერთერთი ხერხი კახეთში
ოღირღილო –
ოჩოფეხი – საკოკავი, საკოკვიდე, საქიკუნი
  სატერფულიანი ჯოხები
პატივი – კოჭაობაში ორი ქულა
ყოკონი – ყინულზე მათრახით
  სატრიალებელი სათამაშო
რაკატობიე –
რიკი – ჩილიკა, მოკლე ჯოხი
რიკ-ფაინი - რიკტაფელა, ჩილიკაობა,
  რიკაობა, რიკჯოხაობა
რუჭუ-რუჭუ ჩხრანჭი –
საალყო – ალყისათვის განკუთვნილი
საბმური – გამოცანა
სადროშო – სამზედრო ერთეული
საისრეველო – სასროლეთი
სალაობა – სალის თამაშობა
სალაყი, სალა – ბრტყელი ქვა
სამარულეე – სადღეე მოედანი
სამეო – საბრძოლო წყობა
საჟეილაყო – სასროლი ჯოხი
საროტი - საიდუმლო ადგილი
სასიკჯოხობა –
საყებურთი -
საშური – საჩქარო
სიგრიგელა - ორომტრიალი
სრეული – ნასროლი, ნასრევი
ტისნა - რთმევა
უჩიგანი - კენჭით მღერაა
ფრიალა – ფრანი
ქოკები – ციგურები
ქოჩაბანდი - ციხიდან არავინ გაუშვან, არც
  ვინ შეუშვან
ქუდმოურაობა -
ღაზო – უძლეველობის ნიშანი
ღორბურთი - ჩოგნით თამაში
ყვანჭი – საბურთალი ჩოგანი, ხაჩა, გლუნი,
  გოქა, გოთი, კაკუჭი, ჭაკუნი, ჭარკენი,
  კობალა, კოპაჭური, კაკეია, კაკუჭი
ყოლბი – ალყა, რკალი
შანა – სანდო ნიშანი
შეპოლიკება - მაღალ რამეზე შესვლა
შეძგერება - გაჭენებულთა შეტაკება
შეწლაბურთი – თამაშია
შიგიშიგი - ხელჩართული
შილინგი - სილინგი, შილინდი, სასიხარულო
  საქმეზე თოფთა და ზარბაზანთა სროლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტეთა და საყვირთა ბერვანი, გინა ფერხთა სწრაფად რამ ხმარებანი
როკვათა
შლაპუნი - მოქნილით ცეცა
ჩალიბობა — ფალავანთა რკინება
ჩალისობა - რიგრიგობით ომი
ჩამორკინეა - ყველასათვის გაგებინება
ჩიკორი — სათამაშო სამიზნე
ჩოგანი — ნიჩბის, კოვზის ან კომბლის მსგავსი ჯოხი
ცარიაობა —
ცოლიტკეცაობა -
ძიძგი-ძიძგი მამალა -
წარხმა - ციხის აღება
წრებურთი -
წრელასტი -
ხაზბურთი -
ხაჩაობა — ხაჩათი ბურთაობა
ხინტკირია — თვალახვეული ხანჯლაობა
ხიტირია — თამაშია გურიაში
ხურგი — საზღვარი
ჯერგა - ალყაში მოქცევა
ჯვართმოვლა -
ჯიკი - ლაშქრის მოჯრა
ჯრა - მჭიდროდ ყოფნა

ბერიკაობა-ყვენობა

სანახაობათა შორის პირველობა უდავოდ „ბერიკაობა-ყვენობას“ ეკუთვნის. მასში ორგანულადაა შერწყმული რიტუალის, სახიობისა და ასპარეზობის ელემენტები.

ივანე ჯაჯანიშვილი, ეხებოდა რა ზემო სვანეთში მურყვამობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჩვევას: „კვირიაის“, „ადრეკილაის“, „მელია ტელეფიაის“, ფერხულ „ჭიშხოშს“ და ოთხ სხვადასხვა სიმღერას, ასკვნიდა, რომ სვანეთში დაცულ ამ ჩვევებში შეიძლება მეტნაკლებად დადგინდესო ყვენობის პირველყოფადობა. დროთა სვლას დაუახანჯლებია წულიანობისა და ნაყოფიერების მთავარი ღვთაების „კვირიას“ დღესასწაულის პირვანდელი სახე. „კვირიას“ დღესასწაულის სახეცვლილებები ნათლად ჩანს დღესასწაულის მონაწილე ჯგუფის მეთაურის სახელის ცვლილებადობაში: „კესარი“ - კეისარი, „ყაინი“ - ყვენი, „შაჰი“.

სვანურ რიტუალებში შავად შეღებილი ყაენი ივ. ჯაჯანიშვილის აზრით უფრო ძველ, შავკანიან მტერს უნდა განასახიერებდეს, რადგან ყაენი მონღოლთა დროინდელი სიტყვაა და თან მონღოლი შავკანიანი არ არის.

ჩვენი აზრით, ასეთი შესაძლოა ყოფილიყო ფუტის ან ქუშის ტომი, რომლებთანაც სამი ათასიოდე წლის წინ ურთიერთობდნენ წინარექართველნი (იქნებ გამოთქმა პირქუშიც აქედან მოდის). უფრო სავარაუდოა, რომ ყაენის შავად შეღებვა კიდევ უფრო ძველია, ანუ იმ დროინდელი, როცა რიტუალი ვეგეტატიურ ღვთაებას ეძღვნებოდა და ყაენის პროტოტიპი იყო შავი ქვესკნელი.

აღ. ბახანაშვილი ყვენობის საწყისს ხედავდა ძველ ქართულ წარმართულ რელიგიაში: „...წარმართული დღესასწაულების მოგონება შემორჩენილია ქართველი ხალხის ყველიერის დროს გატარებაში (დათო-დათვი, ბერიკაობა, ჩალიჩობა), დიდმარხვის ორშაბათს ყვენობის დაწესებით და სხვა. ყვენობა გვაგონებს ბრძოლას ზამთრისა და გაზაფხულისას, ბრძოლას, რომელიც თავდება გაზაფხულის გამარჯვებით, თვით სახელწოდება კი ამ დღესასწაულისა გვარწმუნებს, რომ ძველს წარმართულს ნაშთს დაერთო რაღაც ისტორიული მოგონება სპარსეთის გავლენის დროისა...“. აქ გავიხსენოთ, რომ ამინდის ერთ ხეთურ ღვთაებას დათა ერქვა.

სახიობას ბპოლოებდა ყვენობის მონაწილეთა გუნდური შერკინება კრივში. უძველესი რწმენით - გამარჯვებული გუნდის მიწებზე კარგი მოსავალი მოვიდოდა.

გავიხსენოთ „აღბა-ლაღრალისა“ და „ლიმურყვამალის“ დღესასწაულთა აღწერილობა ჯ. რუხაძის ნაშრომიდან - „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში“:

„ორივე დღესასწაულის მთავარი საწესო მოქმედება კოშკის აგება. კოშკის შუაში, მაღალ ხეზე, რომელსაც სვანურად ანგი ჰქვია, ხელმანდილიანი დროშა არის მოთავსებული (ზემო სვანეთი). ზოგჯერ მის წვერზე დამაგრებულია — ადამიანის გამოსახულება — „ლამარია“, რომელსაც ხელში დაშნა უჭირავს, წინ ხის ფალოსი აქვს ჩამოკიდებული, ხოლო სახის ადგილზე საცერი უკეთია. ამ უკანასკნელს „ფარას“ ეძახიან. ხეზე ზოგჯერ მხოლოდ საცერი, ხის „ლეკური“ და ხის ასოა გაკეთებული... ...საყურადღებოა, რომ ქართლში ყელნი გულზე და წელზე საცრის რკალს ჰკიდებდნენ.

...ზემო სვანეთში „ლამარიას“ გამოსახულებასთან იმართება „სამთო-ჭიშშაშის“ სახელით ცნობილი ფერხული, რომელშიც ექვსი მოხუცი კაცი მონაწილეობს. ისინი სიმღერით ადიან კოშკზე და „ლამარიას“ ფერხულთან გარს უვლიან, ხოლო შემდეგ ხეს შეანძრევენ და „ფარს“ ჩამოაგდებენ. საითაც „ფარსაცერი“ გადაკვარდება, მათი აზრით, იმ წელს იმ მხარეს კარგი მოსავალი იქნება. მოხუცების შემდეგ კოშკზე ადიან ბავშვები, რომელთაგან თითოეული ცდილობს, პირველმა მოკიდოს ხელი „ლამარიას“ და ძირს ჩამოაგდოს...

... „ლაბ-ლაღრალის“ დღესასწაულზე სოფელ ჟაბეში (ზემო სვანეთი) „ლამარიას“ ცვლის ხის ჭვრეზე დამაგრებული ძველი საცერი, ხის ლეკური და ხისგან გამოთლილი კაცის ასო. იმართება გუნდაობა, გამარჯვებულები იმ წელს კარგ მოსავალს ელიან. შემდეგ იწყება ფერხული, რომლის დამთავრების ჟამს ხალხი ხის ჭაქცევას ცდილობს. ჭაქცეული ხისა და თოვლის კოშკის მიმართულებით სოფელი ნაყოფიერ წელიწადს იბეჭდება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. რუხაძემ, აღნიშნულ დღესასწაულთა აღწერილობაზე მუშაობისას, პირველმა მიაპყრო ყურადღება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული რიტუალის ცენტრალური ელემენტი ანგი, როგორც სიცოცხლის ხე, მისტერიული დანიშნულებით, ფორმით და თვით დასახელებითაც კი, ძალზე ჩამოჰგავს მესამე დინასტიის ეგვიპტის სარიტუალო ნივთს – ანხს (**ANKH**), რომელიც დღემდე მრავალი ქვეყნის მკვლევართა ცხოველი დაინტერესების საგანია. პარალელური წყაროების შესწავლამ კიდევ უფრო განამტკიცა ამ ვარაუდის საფუძვლიანობა.

მოვიხმოთ კიდევ ერთი ამონარიდი ჯ. რუხაძის ზემოთაღნიშნული ნაშრომიდან: „ ...ჯვარი გვხვდება აგრეთვე ყელნის თავსაბურავზე (იმერეთი). პირგამურულ ყელნს თავზე გუდა ეხურა, რომელსაც შუაში გოგრის ქერქისგან გამოჭრილი ჯვარი ეკიდა. ჯვარია აღბეჭდილი რიტუალურ კვერზე, რომელსაც აცხობდნენ ღვთაება ბასილის სახელზე, იგი, როგორც უკვე ითქვა, ყელნთან დაკავშირებული იდეით ადექვატურ რწმენა-წარმოდგენებს აერთიანებს. ასეთ კვერზე ახალ წელს სამ ადგილზე ჯვარს ამოჭრიდნენ, ერთს დამტკრევდნენ და სათესლე მარცვალს შეურევდნენ, მეორეს საქონელს შეაჭმევდნენ, ხოლო მესამეს ხვნის დაწყებისას პირველ კვალში ჩაგდებდნენ კარგი მოსავლის ვედრებით. ახალ წელსვე აცხობდნენ ადამიანის მსგავს ფალიკურნინიან კვერებს, რომლებიც მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი. ცხადია, რომ ყელნის ქუდსა და ბასილას კვერზე გამოსახული ჯვრები იდენტური მნიშვნელობისაა და სიცოცხლის ხის იდეასთან უნდა იყვნენ გენეტიკურ კავშირში. ასევეა თოვლის კოშკზე გაკეთებული ცაცხვისა თუ ნაძვის ხე, რომელზეც სხვადასხვა საგნებია ჩამოკიდებული და როგორც აღნიშნული იყო, „ანგს“ ემახდნენ. ქართლის მასალითაც (სოფ. ბაზალეთი) ცნობილია, რომ აღნიშნულ დღესასწაულზე წითელნაჭრებშებმული ხის აღმართვა იცოდნენ. რწმენათა ამავე სამყაროს განეკუთვნება თოვლის კოშკზე გამოსახული ჯვარი, დროშა, „ლამარია“ და ა.შ., რომლებიც სიცოცხლის ხეს უკავშირდებიან და მასთან ერთად, საერთო სემანტიკურ სივრცეში უნდა იქნან განხილული.

აღსანიშნავია, რომ სვანური „ანგის“ მსგავსად **ANKH** ჰქვია ეგვიპტელთა თავმომრგვალებულ ჯვარს, რომელიც სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ვრცლად ამ თემაზე მოთხრობილია კ. ჭუმბურიძის წერილში „ისევ ანგის შესახებ“ (საისტორიო ალმანახი „კლიო“, №18).

XIX საუკუნის 10-იან წლებში, კავკასიის მთავარმართებელ ერმოლოვის დროს (1816-1827 წწ.) გამართული ყენობა, რომელშიც ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი ძველი ელემენტები. ყენობაში მთელი ქალაქი იღებდა მონაწილეობას, როგორც მდბიონი, ისე თავადაზნაურობა.

დიდმარხვის ორშაბათის წინა დღეებში ქალაქის ხელოსნები, თითქოს სხვა საქმე არა ჰქონდათ-რა, ამზადებდნენ ხის ხმლებს, ხანჯლებს, საცერებს და შურდულებს.

და აი, დადგა ნანატრი დიდი ორშაბათი. ქალაქი ორ ბანაკად იყო გაყოფილი - ისნელები და ნარიყალას უბნელები. ისნელებს ემხრობოდნენ ავლაბრელები, ჩუღურეთელები და კუკიელები, ნარიყალას უბნელებს - ვერე და გარეთუბანი.

ორ ბანაკად იყო გაყოფილი ქალაქის არისტოკრატიაც. ნარიყალას მხარეზე იყვნენ მუხრან-ბატონი, ორბელიანები, ბარათაშვილები, ერისთავები და მთავარმართებელი ერმოლოვი, ისნელთა მხარეზე - ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები, ვახვახიშვილები, ჯანდიერები, ჯორჯაძეები.

ვთქვათ, სანახობის მთავარი გმირი - ყენი - ისნელია. ყენის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმა ასეთი იყო: ის თავისი ჯარით ქალაქს დილით უნდა შესეოდა. ქალაქის დაპყრობის შემდეგ გზაჯვარედინებზე თავის მოხელეებს დააყენებდა, რომელთაც გამვლელ-გამომვლელი უნდა დაეხარკათ - ხარჯი, ფულადი გადასახადი უნდა აეკრიფათ. თვით ყენი თავის ჯარის - მხედრიონის - მოქმედების სათვალთვალოდ, სეიდაბადის მაღლა მდებარე თაბორის ციხის ნანგრევებთან დაიბანაკებდა ცოლთან ერთად (ყენის მეუღლე ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი იყო, რაც ამ სანახობას კიდევ უფრო კომიკურს ხდიდა). ყენის ჯარს არა მარტო ქალაქი, გარეუბნებიც უნდა დაეპყრო.

ამ დროს არც „მოწინააღმდეგე“ მხარე იდგა უქმად, იგი მომზდურის დასახვედრად ემზადებოდა, თავიანთი „ჯარი“ მათ სოლოლაკის ხევში ჩაესაფრებინათ.

დაიწყო ყენის ჯარის ახალი შემოტევა. მან დაიპყრო მთელი ქალაქი, მისი გზაჯვარედინები და გამვლელებისაგან ხარკის - ფულის აკრეფა დაიწყო. ვისაც დაიჭერდნენ, ყენთან მიჰყავდათ თაყვანის საცემად.

ქალაქზე ყენის ბატონობა შეაღღიქმე გრძელდებოდა. ნაშუადღევს ყენის მოახსენებდნენ, ქალაქი აჯანყდაო: ქართველები განდგომოდნენ და სოლოლაკის ქედი დაეკავებინათ.

და აი, ყენი საომრად მოემზადა. ის და მისი მეუღლე სახედრებზე შესხდნენ და ჯართან ერთად განდგომილებს შეუტიეს.

ბრძოლა შურდულებით დაიწყო. ზუზუნი გაჰქონდა შურდულით გასროლილ რიყის ქვებს. მერე „მოწინააღმდეგენი“ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ; ზოგი მუშტით იბრძოდა, ზოგი - ხის ხმლებითა და ხანჯლებით. ამ „ბრძოლაში“ ბევრი შავდებოდა, თავ და ცხვირგატეხილს ბევრს ნახავდით ქალაქის ქუჩებში.

ნარიყალელებმა დაიფრინეს ყენის ბუნდი. თვით ყენი და მისი მეუღლე ტყვედ იგდეს, სახედარზე პირუკუღმა შესვეს, მტკვრის ნაპირზე ჩაიყვანეს და ორივენი მდინარეში ჩაყარეს. ამით თავდება ყენობა. „ასე წარმოადგინეს ქვეყნის დაპყრობა, მერე ქვეყნის განდგომილება და ბოლოს ყენის ხელიდან ქვეყნის დახსნა“ - (გიორგი წერეთელი).

ყენობა პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე წარმოდგენა იყო, რომელსაც განასახიერებდა ხალხი და ყენი-იმპროვიზატორი პანტომიმის საშუალებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში ყენი ტყაპუჭის ნაცვლად იცვამდა კიტელს, რითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განასახიერებდა ლოთ და სამსახურიდან გადამდგარ ოფიცერს, მისი მოხელეებიც ჩინოვნიკების ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი.

ყვენი ჰყავდათ ავლაბრელებს, კუკიელებს, სოლოლაკელებს, ხარფუჭელებსა და შუაქალაქელებს. ყვენს ხელოსნები იჩრეოდნენ თავიანთი რიგებიდან. ამორჩეული უარს ვერ იტყოდა. რომელი ამქრიდანაც იყო ყვენი, იმ ამქრის დროშა მიუძღოდა წინ. ყვენს სახეს გაუმურავდნენ და ვირზე პირუკუღმა შესმულს მთელს უბანს შემოატარებდნენ, მერე მტკაცარში ისეთ ადგილას გადაადგებდნენ, არ დამხრჩვალიყო, შემდეგ ფულს აგროვებდნენ, ქეიფობდნენ და ყვენისაგან დახსნასა და მის სიკვდილს უქმობდნენ. ხალხის გადმოცემით, ამით განასახიერებდნენ ირანელი მოხელის ქალაქიდან განდევნას.

მაგრამ ყვენობამ თანდათან პოლიტიკური სახე მიიღო და XIX საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ იგი აკრძალა. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცის ძვალ-რბილში გამჯდარი ეს სანახაობა, შეცვლილი სახით, მაინც განაგრძობდა არსებობას. ყვენობის ნაცვლად გაჩნდა „ყვენობის კუდი“, ანუ „ისპანახობა“.

ხალხის მოთხოვნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყვენობა, თავისი პირვანდელი სახით, დაუშვა 1914 წელს. ამიერიდან იგი იმართებოდა არა ქალაქში, არამედ მის გარეთ. მაგალითად, 1914 წელს ყვენობა ნავთლუღში გამართულა“.

ზემოთ მოთხრობილისგან რამდენადმე განსხვავდება ბაბო სულხანიშვილის მოგონება „ყვენობის“ შესახებ, რომელიც კახეთში იმართებოდა:

„ - ყვენობა წმინდა ორშაბათს იცოდა. მოვიდოდა ყვენი თათრულად ჩაცმული. აქლემზე იჯდა. ცალ ხელში ქაღალდი ან დაბვეული ხის ქერქი ეჭირა, ორგორც დურბინდი, მეორე ხელში – ტყუილი ხმალი. მრისხანედ დაათვალიერებდა ხალხს და ვისაც თვალში ამოიღებდა, გასცემდა ბრძანებას: მაგას ამდენი პური, ამდენი ყველი, ამდენი ერბო გამოართვითო. საკლავებსაც შეაწერდა. ვეზირები ანუ გზირები დატრიალდებოდნენ და ახდევინებდნენ შეწერილ ხარჯს.

გამოჩნდებოდა ვინმე ბაბდული ახალგაზრდა, რომელიც ხარჯზე უარს იტყოდა, ყვენს გამოიწვევდა ბრძოლაში. ხალხი ორად გაიყოფოდა: ერთი მხარე ყვინისაკენ იყო, მეორე – ახალგაზრდა შეამბოხისაკენ. დაეჭიდებოდნენ ყვინი და მეამბოხე. ჭიდაობის დროს ხალხში დიდი შეხლა-შემოხლა იყო ხოლმე და ბოლოს, როცა რომელიმე გაილახებოდა, უფრო მეტი შფოთავ და დავა ატყდებოდა ხოლმე. ორივე მხარე თავისას დავობდა. ბოლოს საქმე მაინც ქეიფით თავდებოდა.“

არანაკლებ საინტერესოა იოსებ მჭედლიშვილის მიერ ჩაწერილი გენერალ ყაზბეგის დროინდელი ყვენობა ხევში. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ფინალი, სადაც აღწერილია დედაკაცთა ჯარის თავდასხმა ყვენის ამალაზე:

„გამარჯვებული ყვენი ნადავლით და ნალაფარით აიყარა და წასასვლელად მოემზადის. უცბად გზირი მოვიდის და მოიტანის ამბავი: დედაკაცების ჯარი შემოგვრტყმია გარსაო, ჩვენ დაპყრობილი ადგილები ახლა მათ უჭირავთ და „გრანიცა“ დაკეტილიაო.

ყვენი გაჯავრდის. აიყარის. ცალ მხარეს გაგზავნის მილიცია, ცალ მხარეს ტრაკენკები და ყაზახები. მაგრამ ორივე გზა შეკრული დახვდა: დედაკაცების ჯარი დგას დიდი ჯოხებით ყველგან.

მაშინ ყვენი მესამე მხარეს წავა - იქ უფრო ძალიან შეკრულია გზა. დედაკაცები ქვასა სტყორცნიან ყვენს. რაკი ყვენს „გრანიცა“ ყველგან შეკრული დახვდის, მოლაპარაკდის. მაგრამ დედაკაცები არ დასთანხმდიან. ჯოხს ატრიალებენ და ქვასა სტყორცნიან. კაცები თოფს გასცლიან ჰაერში, მაგრამ დედაკაცები არ შეუშინდიან, უფრო გაცხარდიან, გამწარდიან და თავსაც გაუტეხიან კაცებს.

ამ დროს ერთი კაცი მოვა საჩქაროდ, თავის ცოლს ყურში ეტყვის: „დედაკაცო, წადი სახლში, რა შენი საქმეა ომიო“. ის დედაკაცი თავის ყვენს ეტყვის და დიდ ჯარიმას შეაწერინებდის თავის ქმარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაკაცების ჯარი ძალიან აყვირდის და გაბრაზდის.

ყვენი გაგზავნის შუამავლებს.

გაიმართა მისვლა-მოსვლა, მოლაპარაკება.

დედაკაცები ერთ ქაღალდს მისწერენ ყვენს:

„ყველაფერი უნდა აგვისრულო. თუ არ აგვისრულებ, ცოცხალის თავით ვერ წახვალო. ჩვენ უნდა მოგვცე, რაც ხარკი მოგიკრეფია. გაანთავისუფლე შენი ტახტის ამფეთქებელნი და თქვენთვის, რაც ზედ გაცვიათ, ის შეგვიწევიაო“.

- ოღონდ ომი ნუ გაჰხდება და თქვენი თხოვნა შეგვისრულებიაო, - გაუგზავნის პასუხს ყვენი.“

გუნდური თამაშობანი

იმხანად თამარის კარს შირვანისა და რანის დიდებულნი სტუმრობდნენ. მათი თავკაცი, ამირ-მირმანი ქართველთა თამაშობით დიდად არ აღფრთოვანებულა, რის გამოც გამოწვევა მოუღია.

„ისლემელნი, დაჯერებულნი თავის მეცადინეობისანი, და მძლებრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნვებელნი“.

საბედნიეროდ, ჩვენამდე მრავალმა თამაშობამ მოატანა, თუმც კი ძლიერ სახეცვლილმა, გარნა მათში კვლავაც იკითხება უძველესი დანაშრევები.

ყველიერის კვირაში თბილისში, სხვა სანახაობებთან ერთად, იმართებოდა ბურთაობა, წრე-ლაზტი და მუშტი-კრივი.

კრივის სახეობები იყო: „ხრიდოლი“ (ცალი ხელით კრივი), „სარდასტის კრივი“ (ხის ხმლებით), ქვით კრივი და მუშტი-კრივი. შერკინებებში ასევე გამოიყენებოდა ხის ხმლები, კეტები, შურდულები და სათითენი.

„სარდასტი კრივი“ იწყებოდა შურდულის ტყორცნით, თავის დასაცავად ნაბადს იყენებდნენ. როცა ერთმანეთს მიუახლოვდებოდნენ, ხის ხმლებით ბრძოლა ჩაღდებოდა (შურდული აღარ უნდა ეხმარათ).

ქალაქელთა გამორჩეული დღესასწაული იყო თელეთობა, რომელიც თელეთის წმინდა გიორგის ეკლესიასთან იმართებოდა. თელეთობა მთავრდებოდა ორთაჭალაში გამართული ჯირითით. გახელებულ ბედაურებზე ამხედრებული მოჯირითენი ტანსაცმაში ეჯიბრებოდნენ ერთურთს. აქვე იმართებოდა ისინდიც. გულნაჯერები მონაწილენი შებინდებულზე ეცემა-სიმღერით ბრუნდებოდნენ შინ.

აღდგომის სწორს, კვირაცხოვლობის დღესასწაულზე, წესად ყოფილა ბურთის თამაში. წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ბურთის ჩაგდებას ცდილობდა ხელში. სწამდათ, რომ ვინც ბურთს მოიპოვებდა, უხვ ჭირნახულს მოიმკიდა. ამიტომ ხშირად ბურთს ნაკუწებად გლეჯდნენ.

რაც შეეხება კაცისა და დათვის დაჭიდებას (ჭიდაობა ძველად სწორედ კაცისა და ცხოველის ორთაბრძოლას ნიშნავდა, კაცთა შებმას კი რკინება ერქვა), იგი ფალავნის დგინების ერთ-ერთი სასურველი საფეხური იყო და აქა იქ ჩვენს დრამდე შემორჩა.

ეროვნულ სახეობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გუნდური თამაშობა „ლელო-ბურთი“. არცერთი დიდი დღესასწაული არ ჩაივლიდა ისე, რომ ეს თამაში არ გამართულიყო. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ხანშიშესულნი და თვით მოხუცებულებიც კი.

თვით სახელი „ლელო“ შესაძლოა შუმერული მზის ღვთაება „ლილ“-იდან მოდიოდეს (გაიხსენეთ სვანური „ლილეოც“) და მზის ღვთაებისადმი მიძღვნილი უძველესი რიტუალი იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „დროების“ (1882 წ. №74) ცნობით: „ულაშში თავად მიქელაძეების თაოსნობით გამართულ ლელობურთში 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი მონაწილეობდა... მჭვრეტელნი, რასაკვირველია, ათი ამდენი იქნებოდა“.

თამაში საინტერესოდ აქვს აღწერილი მწერალ ილია ჭყონიას მოთხრობაში „ბრუსილოვი მოჰკლეს“:

„ვინც კი ჯანზე იყო, ორ-ორ მხარეთ იყო გაყოფილი: ერთ მხარეს ლელო უნდა გაეტანა ალმოსავლეთით, მეორეს - დასავლეთით... თამაშს იწყებდნენ ჯერ ქვეითები და, რომ გაუჭირდებოდათ, ბურთს გადასცემდნენ თავის მომხრე ცხენოსნებს. ორთავე მხარეს მოთავეობდა სატევანშვილების გვარი, აგრეთვე ორად გაყოფილი: პირველის მოთავედ სიგელის სახელად ცხვირგრძელიშვილებს ეძახდნენ და მეორისას - ტურაჭამიაშვილებს.

მობურთალნი გავიდნენ მინდერთან და დადგნენ ისე, რომ შუაში დატოვეს პატარა წრე და გზა, სამი კაცის გასატევი. მოვიდა მაღალი ტანადობის, მოხნიერებული, დიდი სიმონ სატევანიშვილი, - იმ წელს მისი მხრის რიგი იყო ბურთის სროლა, - დიდი ხაბურზაკისხელა ბურთი მოიტანა, კოსტად გადაიგდო ყურთმაჯები, გასწორდა წელში, მოიმარჯვა ფაფანაკი, დაჰკრა მარჯვენა ხელი მარცხენაში დაჭერილ სამფერა ბურთს და შესცხა: აბა, დარბაისელნო, წადით რამდენიმე პატიოსანი და მღვდელმთავარს სთხოვეთ ბურთის მაკურთხეველნი გამოვზავნოს!

თორმეტი საუკეთესო ვაჟკაცი ეახლენ არქიელს მოციქულებათ. ეპისკოპოსმა მაშინვე უბრძანა ერთ არქიმანდრიტს და ორ მღვდელს ბურთი ეკურთხებინათ. არქიმანდრიტმა ასხურა წმინდა აიაზმა ბურთს და გადასცა იგი სატევანიშვილს.

სატევანშვილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აისროლა ბურთი. იმდენი ვაჟკაცის მკერდიდან, როგორც ერთი კაცისაგან, მოისმა მამაცური კიჟინა.

ტურაჭამიაშვილების საკერძად იმ დღეს ცოტა მობურთალი იყო მოსული და ამიტომ გადაეწყვიტათ, აგდებისთანავე, როგორმე ეშოვათ ბურთი და თავიანთი ცხენოსნებისთვის მიეცათ ლელოს გასატანად. მართლაც, წყობილების ისეთი თადარიგი დაეჭირათ, რომ ასროლისთანავე ბურთი მათ ჩიგდეს ხელში და გადასცეს ზურაბ ცალკალამიძეს, მშვენიერს ყაზახურ ჯიშის ცხენზე ამხედრებულს. ზურაბმა დაიჭირა ბურთი კბილით, დაამოკლა სადავე, რადგან მობურთალნი მიჯრით იყვნენ და რაც შეიძლებოდა, სიმაღლით მიმოაძერენდა ჯარის სისქეში ბედაურს, სანამ მისი დასტის ცხენოსნები გზას გაუხსნიდნენ და სამი მხრიდან შემოერტყმებოდნენ მცველებად. მაშინ კი მისცა ცხენს სადავე და წავიდა მშვილდის განატყორცნ ისარივით, უკან კი მისდევდნენ დანარჩენი მობურთალნი. თვითონ ზურაბი შედგა უზანგზე და მარჯვენა ხელით მუნჯურად ანიშნებდა თავის მომყოლებს, - ვის საით, რა სადავითა და რა სიმაღლეით წაეყვანა თავისი ცხენი... ბავშვები ღობეებსა და ხეებზე ადიოდნენ და ისე იმახდნენ „ლელოს“; ქალები ფერად მანდილებსა და ლეჩაქებს აფრიალებდნენ... ის ის იყო ზურაბი ბურთის ასროლზე უახლოვდებოდა ლელოს, შეიქმნა კიდეც ერთი კიჟინი: „ლელო ტურაჭამიაშვილებს. გაუმარჯოს ზურაბს!“ მარა... გგონიათ ისროლა ბურთი და გაიტანეს ლელო? არ შეგეჭამოთ ჭირმა!

როცა ტურაჭამიაშვილებმა მათი ხერხი იხმარეს, ცხვირგრძელიშვილები შეწყნენ, მარა მაშინვე გამოერკვენ და ასე, ოთხმოცდაათიოდე საუკეთესო ცხენოსანი, მზეჭაბუკ ბურჯიაშვილის წინამძღოლობით ხმაგაკმენდილი გამოუდგენ ბურთის წასართმევად. რაკი იმდენ ბრძოლაში ვერ გაატანდნენ, გადაუხვიეს მინდვრად, დარაზმდენ ერთწყვეთათ ლარივით და როცა მარჯვე ადგილი იშოვეს, ძალზე გააჭენეს ცხენები, ატაკეს მოსახლის ღობეს მკერდით, თივასავით წაეწვინეს ის მიწაზე და დაუარეს თავი ზურაბის დასტასა. მოისმა ყივილი - „ვერ წაგვიხვალთ! ხელი ბურთს!“ ეს იყვნენ მზეჭაბუკის დასტისანი. მართალია მზეჭაბუკნი იყვნენ! უნაგირზე ლერწამივით სწორად იჯდნენ, გაჩერილ სქელ თმაზე ფაფანაკგადადგებულნი, მხარბეჭში სქელგანიერნი და ხელში კალამსავით წვრილნი...

ზურაბმა უკან გაბრუნება არ იკადრა და რაკი წინ არ შეეძლო, მოინდომა მარჯვნიდან მოვარა და ისე მიეტანა ბურთი ლელოზე. მარა, როგორც კ. იბრუნეს. პირი, ჭენებ-ჭენებითვე შეერიენ მათ მზეჭაბუკისანი. თვით მზეჭაბუკმა გამოიღო ფეხი უზანგებიდან, ისკუპა და დაახტა ზურაბის ცხენს გავაზე, მოხვია ზურაბს ხელები და გრიგალივით მოდვა იქაურობას: „აბა ვაკკაცებო, მიშველეთ, მიმაყვანიეთ ეს ასე ცხენიან-ბურთიანად ლელოზე!“ ორივე მხარეს მის-მისი მომხრე წამოეშველა და შეიქნა ჯგლითი. მხედარი მხედარზე მიდიოდა ცხენის მკერდით. ამ დროს ქვეითებმაც მოაწიეს და გაბურდა ხელჩართული, ქვეით-ცხენოსნის შერეული შეჯიბრება ბურთის შოვნისათვის... გასაკვირელი ის იყო, რომ იმდენ ჯარში, ცხენების მიგდება-მოგდების და ყალყზე შეხტუნების დროს, კაცს არაფერი უშავდებოდა... შუადღეს გადაცილებული იქნებოდა, ბურთი კი ისევ იმ ადგილას იყო. ჩვეულებისამებრ სამი წილი თამაშობდა, ერთი დასვენებული იყო და გულისფანცქალით უყურებდა მომხრეებს... მთელი თვით ირგვლივ შემოერტყა სამზარად ამ ერთ წრედ შეჯგუფებულ მობურთალთ...

როგორც იქნა მოესწრნენ თამაშის გათავებასაც. ლელო ცხვირგრძელიშვილებმა გაიტანეს“.

საინტერესოა აგრეთვე 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ აღწერილი ამბავი: - „ბათომი: აღდგომის კვირაში სასიამოვნო დარები იყო. კვირაცხოვლობის დღეს აქაური ქართველობა შეიკრიბა კახაბერის მინდორზე და დაიწყეს ბურთობა. მაყურებლადაც ბევრნი იყვნენ მოსულნი... როცა პირველად გამოვარდა ბურთი, მოვიდა ბოქაული ყაზახებით და სთხოვა ხალხს, მომეცით ბურთი, უფრო შუა ადგილას ავაგდები. ბურთი მისცეს. მან ბურთი ყაზახებს გადასცა და პოლიციაში წაალებინა: ბურთის თამაში არ შეიძლება, აკრძალულიაო. ხალხმა სხვა ბურთი იყიდა და ახლა ის აადგო. მოვიდა მასუკან პოლიციის უფროსი და დაუშალა ხალხს ბურთაობა. მან მოიყვანა ცეცხლისმქრობელნი ცეცხლის ქრობის მოწყობილობით და უბრძანა გაწუწეთ ხალხი და დაიშლებაო. ხალხს ხუმრობა ეგონა გაწუწვა თავისი და ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ ცეცხლის მქრობელთ, რომ წაერთმიათ მაშინები და ახლა ისინი გაეწუწათ. ამ ბლარძუნობაში სულ ერთიანად წახდა მაშინები და თვით პოლიციის უფროსსაც ატკინეს თვალი. ბოლოს ამ ვაივაგლახმა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწემდინაც მიაღწია. თანაშემწემ დ. ერისთავმა უბრძანა პოლიციის უფროსს, რომ ხალხს ჩვეულებადა აქვს ბურთის თამაშობა და ნუ დაუშლითთ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

შერკინებანი

მსაჯობა-დგინება, ჭიდაობა, კრივი, ხით რკინება, ხანჯლაობა, ფარიკაობა, ხმლაობა

მსაჯობა - დგინება

ჩვენში გავრცელებული ყველა სახეობა მკაფიოდ სამხედრო ყაიდისაა და ამდენად სპორტის ჩარჩოში ძნელად თავსდება, ხანაც სრულიად კარგავს შინაარსსა და სიმძაფრეს.. შესაბამისად ამ სახეობებში შეჯიბრება-დგინების ჩატარება განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მსაჯთაგანაც საგანგებო ცოდნასა და ყურადღებას მოითხოვს.

მოთვალჯისთვის დგინება ერთ-ერთი უმთავრესი სტიმულია და შესაბამისად მსაჯობის მაღალ კულტურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ სახეობათა აღდგენა-განვითარებისთვის. მიუწვდომელი ოცნებასავით ყელრს, მაგრამ ადრე თუ გვიან, როდესაც საქართველო უკან მოიტოვებს დღევანდელ პრობლემებს, აუცილებლად ჩატარდება ოლიმპიადა ეროვნულ სახეობებში და ეს იქნება დიდი სახალხო ზეიმი, აგრეთვე უდიდესი დასტური იმისა, რომ გამრთელებულია ხიდი წინაპარსა და შთამომავალს შორის.

ალვანია – ჯარიმა სახის დაზიანებისთვის
ანდი – ვარაუდი, ეგებისობა
არჩიონი – სჯა, ბჭობა
ბარიბარ – თანაბრად
ბჭე – მსაჯი
გაბრა – გაქცევა
გათხოვნა – საპაექროდ გაწვევა
გახალარება – გაზავება, გაშველება
გერში – გამამტყუნებელი ნიშანი
გრიჩ! – რჩოლად მისევა
დადარი - სამართლიანი
დვენა – მჯობნის გარკვევა
ვაშინერს – აკრძალულია (მეგრ.)
ზავი - შერიგება
თაბდი! – ჯერია! ნებართვა დაწყებისა
იარალუჩი - ბჭობა, განმკითხველობა
მაზა – მოსაწონი
მენაკი – რანგი, საფეხური, ხარისხი
მითარჯვა – მიკერძოება, მიდგომა
მრჩობლი – წყვილი
მუნათი – საჯარიმო ქულა
ნაიბი – რაუნდივით, ერთი ჯერი
ნირი – წესი, რიგი, წარი
პაექრობა - ცილობა
რჩა – საჯარიმო ქულა
საბეჭე – ბეჭზე ჭრილობის გადასახადი
საგულე – გულზე ჭრილობის გადასახადი
საფუდო – სასისხლო გადასახადი
სათავი – სართი, დამატებითი ქულა
სამეენეო – გადასახადი წაქეზებისთვის
სამანი – საზღვარი, მიჯნა
სამეტო – დამატებითი ქულა
სანასკო – ნასკვის გამოხსნისა, მოსისხლეთა შერიგების წესი
საპირგამტეხლო – პირის გატეხის ჯარიმა დარღვევისთვის
სარისტა – თადარიგი, წესრიგი
სარჯი – ჯარიმა, სარჯელი
სასტი – ბრძანება
საჯაყი – სამარცხვინო
საჯილდო – ასაზღაღი ქვა
ტარიცი – მზადყოფნა
ტოგენი – მსაჯის ტახტი
უკუყრა - გაშორიშორება
უჯერო – შეუსაბამო
ფაა! – გათანაბრების ნიშანი
ფარსაგი – ვარგისი
ფეხონი – ფიხონი, საფიხვნო
ფორა – წაგება
ფორი – ფორე, მოედანი
ჩაკი – სიგელი, საბუთი
ხადა - წოდება
ჯილა – წილი
ჰაი-ჰა! – დასტურის შემახილი
ჰარიან! – ჩქარა
ჰელა – მოსაჰარეზეთა ბანაკი ფორეს აქეთ-იქით
ჰოთური - გაურკვეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

„ქართული ჭიდაობა ისეთივე ეროვნული საუნჯეა, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხოროთმოძღვრება“

ნიკო კეცხოველი

ათასწლეულთა განმავლობაში საქართველო იმდროინდელი სამყაროსათვის ფრიად ხელსაყრელი ბუნებრივი სავაჭრო დერეფანი თუ გზაჯვარედინი გახლდათ. ბედიც ეს იყო ჩვენი და უბედობაც, რადგან ამგვარ სიკეთეს ხარბი მტარვალიც არაერთხელ აღუძრავს.

ამ გზებზე, ნაირგვარ საქონელთან ერთად, ცხადია ასევე ნაირგვარი ცოდნაც გადა-გამოდიოდა. ხალხისა და დროის მდინარე მიწყვე ეზიდებოდა ამ ცოდნას და აქაურის გონებაც, ოქროს საწმისის დარად, კრებდა, ახალისებდა და ზოდებად ქნიდა მას. ასე გახდა წინაპარი თავისი დროის მოწინავე საკაცობრიო გამოცდილების მოზიარე და შემოქმედოდაგანი.

საბრძოლო ხელოვნებაც ერთი იმ ცოდნათაგანია, რომელსაც წინაპარი საუკუნეთა განმავლობაში ხვეწდა და ამდიდრებდა. ამის თვალსაჩინო გამოვლინებაა საოცარი ქართული ჭიდაობა.

შერკინების ეს სახეობა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენში. ქართველებმა ყველა საერთაშორისო სახეობა გაამდიდრეს თავისი ხელწერითა და ჭიდაობის განსხვავებული მანერით. შესაბამისად, არც ერთ სპორტულ სახეობაში იმდენი წარმატება არ მოუპოვებიათ ჩვენს სპორტსმენებს, რამდენიც ჭიდაობაში.

რაში მდგომარეობს ჩვენი მოჭიდავეების ასეთ წარმატებათა საიდუმლო? რამ შეაძლებინა მათ დაეპყროთ პრაქტიკულად ყველა მწვერვალი მსოფლიო ასპარეზზე? ამ მიღწევათა საფუძველი უძველესი და უნიკალური ფენომენი - ქართული (ქართულ-კახური) ჭიდაობა და მისი ნაირსახეობანი გახლავთ.

ყოველად მოუღებელია ვარაუდი, თითქოს ჭიდაობა საქართველოში „მდაბიოთა სტილი“ იყო. თუნდაც ეს ისტორიული ფაქტია საკმარისი მის უარსაყოფად: XVI საუკუნის მიწურულს სტამბულს მისიით მყოფი სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი სულთანმა მურადმა ოსმალთა ვრცელი იმპერიის უპირველეს ფალავანთან დაჭიდებაზე დაიყაბულა. შეტაკებისთანავე ყვარყვარემ შეუაკუნით ბეჭებზე დასცა მეტოქე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჭიდაობა ქართული საზოგადოების ყველა ფენაში იყო გავრცელებული და იგი არც ქართველ დიდგვაროვანთათვის გახლდათ უცხო ხილი და სათაკილო ზნე. მით უმეტეს, რომ ეს სახეობა საბრძოლო მომზადების განუყოფელი ნაწილი იყო და ნაკლებად ჰგავდა დღევანდელ გასპორტებულ ნაირსახეობას. XX საუკუნის დამდეგსაც კი იგი საბრძოლო შერკინება იყო, რაზეც ცხადად მეტყველებს ქვემოთმოყვანილი სტრიქონი აკაკის პოემიდან, რომელიც მან ნესტორ ესებუასა და კუნა ვლდანელის შერკინებას მიუძღვნა და რომელიც სულაც არ ჰგავს სპორტულ ჰაექრობას: „მივარდა, გულში ხელი ჰკრა, ბურთივით გაადგორაო...“

გასულ საუკუნეში ინტენსიურად წარიმართა ქართული ჭიდაობის „სამბოში“ გადაქცევის პროცესი. შედეგად კი მივიღეთ, რომ მისგან ნასაზრდოებმა „სამბომ“ (სამოობორონა ბეზ ორუჟია) დღეს მსოფლიო დაიპყრო და „წესგარეშე“ შერკინებებში აშკარად დაადასტურა თავისი უპირატესობა. საქართველოდან ცოდნის გაზიდვა მიმდინარეობდა მეთოდურად და ისეთი გულმოდგინებით, რომ ჩანს ამის მოქმედმა ჩვენზე უკეთ უწყოდა, თუ რა საგანძურთან ჰქონდა საქმე. მიზეზი ქართული ჭიდაობის ფასეულობა გახლდათ, სამაბი კი ისევ ჩვენზე „ზრუნავ“. მაგალითისთვის გავიხსენოთ ასეთი ზრუნვით აღსავსე მითითებები - ქართული ჭიდაობის ესა და ეს იღეთები ტრავმატულია და უნდა აიკრძალოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა

მარტივი კომბინაციები

საკომბინაციო ილეთები	ძირითადი ილეთები
გარე სარმა	გარე სარმა
გარე სარმა	ფულ მოგვერდი
გარე სარმა	ზურგ მოგვერდი
გარე სარმა	თეძო
გარე სარმა	გარე თეძო
გარე სარმა	ჩოქელა კისრული
გარე სარმა	მოგვერდ სარმა
გარე სარმა	ამოსვლილი შუასარმა
თეძო	თეძო
მოგვერდ სარმა	შუა სარმა
შუა სარმა	მოგვერდ სარმა
შუა სარმა	ზეზელა კისრული
ზეზელა კისრული	შუა სარმა
მუხლქვეშა შუაკაპური	გარე შეჩაჭიდული მოგვერდი
ჩაკეტილი შუაკაპური ფინდგანით	ღრმა მოგვერდი
ფულ მოგვერდი	ზურგ მოგვერდი
ზურგ მოგვერდი	მსარილლივ მუხლქვეშა შუაკაპური
განგაგმორული შუასარმა	ცალმხრივი თეძო
ზეზელა კისრული	ჩოქელა კისრული
მკლავური გარეკაპური	გარე შეჩაჭიდული მოგვერდი
გარე თეძო	მოგვერდ სარმა
მხარილლივ თეძო	ზურგ მოგვერდი

რთული კომბინაციები

ძირითადი ილეთები	საკომბინაციო ილეთები
განგაგმორული შუასარმა	თეძო
	თეძო
ამოსვლილი შუასარმა	თეძო
	თეძო
განგაგმორული შუასარმა	გარმსარმა
	გარმსარმა
თეძო	გარმსარმა
	თეძო
თეძო	ამოსვლილი შუასარმა
	თეძო
თეძო	განგაგმორული შუასარმა
	თეძო
ზეზელა კისრული	ზეზელა კისრული
	შუასარმა
მოგვერდ სარმა	გარე თეძო
	შუასარმა
გარე სარმა	გარე სარმა
	გარე თეძო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა

ძირითადი ფანდების, თავდაცვისა და საწინააღმდეგო ხერხების კლასიფიკაცია ი. თომაშვილის მიხედვით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა





(თ) - თამდაცვა (ს) - საყინაალმეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲡᲣᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1946 წ. 30 აგვისტო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲡᲣᲤᲚᲘᲡ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ

1. ᲕᲐᲡᲘᲚ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲒᲜᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ
2. ᲘᲚᲘᲐ ᲝᲜᲘᲡᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
3. ᲐᲜᲬᲐᲚᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ
4. ᲘᲚᲘᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲗᲘᲛᲨᲕᲘᲚᲘ
5. ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲢᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
6. ᲐᲙᲐᲙᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲝᲡ-ᲫᲔ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
7. ᲝᲗᲐᲠᲘ ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲑᲣᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ
8. ᲘᲚᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲫᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
9. ᲐᲜᲬᲘᲜᲓ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲮᲘᲪᲐᲣᲠᲘ
10. ᲥᲘᲠᲘᲡᲬᲣᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲜᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
11. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲣᲠᲐᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲮᲣᲜᲡᲔᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მაშინ ერთი ქვეყანა ვიყავით და და მიზანიც საერთო იყო — გვქონოდა საუკეთესო საბრძოლო სისტემა, რაც ხარლამპიევის გუნდმა საკმაოდ უხარჯავად შესძლო.

ცხადია საბჭოეთის დაშლის შემდეგ აქტუალური გახდა მისი მემკვიდრეობის დასაკუთრება. შესაბამისად, საჭირო გახდა სამბოში ქართული ჭიდაობის წილის შეძლებისდაგვარი დაკნინება.

ინტერნეტში, ერთ-ერთ სტატიაში — „რუსული საბრძოლო ხელოვნება“ ნათქვამია, რომ „სამბო“ ოშჩეკოვმა იაპონური „ძიუდოს“ ბაზაზე შექმნა, მაგრამ სტალინის დრო იყო და ქართულმა ჭიდაობამ წინა პლანზე იმიტომ წამოიწიაო, ანუ — ვალიარებთ, რომ სხვისგან მივითვისეთ, ოღონდ არა ქართველთაგანნ! ამ უხეირო ხრიკის მიზანი ნათელია - „ძიუდოსა“ და „სამბოს“ შორის დიდი სხვაობა და ამ სხვაობის დასაკუთრებას აპირებენ, თორემ ქართულ ჭიდაობას რომ შეადარონ, რამდენიმე ფანდიღა შერჩებათ ჩოქბჯენში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი შეზღუდული სახეობა - „ღორული“ სწორედ ჩოქბჯენში წარიმართება და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უძველესი სარიტუალო სახეობაა, რადგან აშკარად ტახის კულტთან არის დაკავშირებული, მიწაში გუნგრაობითა და იქიდან (გეადნ) ძალის ამოკრეფით (იაპონური შეახილიც - „კია!“ მიწის ღვთაებისგან ძალის წამოსაღები ყოფილა).

მკვლევარ მიხეილ ლუკაშვილს სტატია სამბოს წარმოშობის შესახებ (დევიდ რუბინის რედაქციით) ეძღვნება ოშჩეკოვის პრიორიტეტს სამბოს შექმნაში. ავტორის მტკიცებით სამო ოშჩეკოვმა აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ბაზაზე შექმნა და ისე განავითარა, რომ ძიუდოზე უფრო ქმედი ორთაბრძოლად აქცია.

საყურადღებოა ავტორის აღიარება, რომ რუსებს მსგავსი არაფერი გაარნდათ.

აქ ისმის კითხვა, რატომ არ გაარნდათ ასეთი რუსებს და თუ არ გაარნდათ, რამდენიმე წელიწადში როგორ გაუმჯობესდა კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი კულტურა ერთი საშაალო ნიჭისა და შესაძლებლობების კაცის მიერ (გავიხსენოთ, რომ ოშჩეკოვმა ძიუდოში სერიოზულ ღონეს ვერ მიაღწია).

სამბოს უპირატესობის დასასაბუთებლად კი მოხმობილია უაღრესად საინტერესო მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის ძიუდოს მეშვიდე დანის მფლობელს, სახელგანთქმულ ამერიკელ ძიუდოისტს ჯონ დრეგერს. მან 1960 წელს აღიარა თურმე, რომ ოშჩეკოვის მიერ 30 წლით ადრე იყო სწორი გზა ნაპოვნი, რადგან: „ძიუდო სამბოს წარსული ეტაპია. სამბისტები ძიუდოს სწრაფად და იოლად ეუფლებიან. არ მიყვარს ამ თემაზე ბევრი ლაპარაკი, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სამბოს მოჭიდავეს 4-6 თვის მომზადების შემდეგ წარმატებულად ძალუძს მე-4 დანის ძიუდოისტთან გამკლავება (მათთვის არაჩვეული ძიუდოს წესების ფარგლებში).“

თვით ეს ციტატაც კი საკმარისია იმის საბუთად, რომ სამბოს სახით ისეთ საბრძოლო ხელოვნებასთან გვაქვს საქმე, რომლის შესაქმნელადაც მრავალი თაობის რუდუნებაა საჭირო.

განსხვავებულ მოსაზრებას ანვითარებს რუსი მკვლევარი ა. ს. თედორაძე ნაშრომში „რუსული ხელჩართული ბრძოლა“ (ტამბოვი, 2001წ.).

ავტორი მოიხმობს წყაროს («Лаврентьевская летопис»), რომლის თანახმადაც 1274 წელს, ვლადიმირის სასულიერო კრებაზე მიტროპოლიტ კირილს განუცხადებია „- შევიტყე, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილა წყეული ელინთა ეშმაკეული წეს-ჩვეულებანი: საღვთო დღესასწაულებზე სტვენით, ყიჟინითა და ბღავილით იბრძვიან...“

წყაროს საიმედოობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცხადია, რომ სწორედ წყაროთა სიმწირე განაპირობებს რუს მკვლევართა ესოდენ განსხვავებულ ხედვას, რაც მეტწილად სურვილებსა და ვარაუდებს ეფუძნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა რამეს წერდნენ „სამბოს“ მესვეურნი საბჭოეთის გარიჟრაჟზე, ანუ მაშინ, როცა საქართველო სამარადჟამოდ საკუთარ პროვინციად ჰყავდათ დაგულებული და შესაბამისად, უფრო გულახდილნიც იყვნენ. თვით „სამბოს“ „მამას“ - ხალასმპიევს არც უცდია ქართული ჭიდაობის როლის მიჩქმალვა. იგი ხშირად და ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ჭიდაობის უპირატესობებს სხვა შერკინებებთან შედარებით.

1940 წელს გამოცემულ „სამბოს“ სახელმძღვანელოში კი ავტორი ვოლკოვი აღნიშნავს:

- „ჩოხიანი“ ქართული ჭიდაობა საუკეთესოა თავისი ტექნიკითა და უბრალოებით...

... ქართულ ჭიდაობას საბრძოლო ელფერი დაჰკრავს. უნდა ითქვას, რომ მასში ფეხის ფანდების დამუშავება უკეთესია, ვიდრე იაპონურ „ძიუ-დოში...

... მიუხედავად ფანდების მრავალფეროვნებისა, თავისუფალ ჭიდაობას აქვს უმთავრესი ღირი, აგებული გდებებზე. წონასწორობიდან გამოყვანა ამ სახეობის უმთავრესი ელემენტია, მაგრამ რარიგ განვითარებულიც არ უნდა იყოს თავისუფალი ჭიდაობა სპორტული თვალსაზრისით, იგი გდების ტექნიკით მაინც ჩამორჩება ისეთ შესანიშნავ ეროვნულ სახეობას, როგორიცაა „ჩოხიანი“ ქართული ჭიდაობა“.

თუმც კი, ამავე პერიოდში გამოითქმის სრულიად სხვაგვარი მოსაზრებებიც.

მაგალითად, „სამბოს“ ერთ-ერთი პიონერი სპირიდონოვი აცსადება, რომ თავდაცვისთვის ერთი სტილი არაა საკმარისი და ამიტომ ყველა სტილს უნდა ფლობდე. ძნელად სარწმუნოა, რომ სპირიდონოვი ამ დონის დილეტანტი ყოფილიყო. ეს განაცხადი ამკარად თავისი ეპოქის დაღით არის აღბეჭდილი და ალბათ უფრო პოლიტიკურია, რადგან იმ დროის პრიორიტეტი საბჭოეთში შემავალი ყველა ხალხის ცოდნის ერთ ყუთაბაში მოგრეგება იყო, ამავე დროს კი იმ აზრის დამკვიდრება, რომ ახალი საბჭოთა საბრძოლო ხელოვნება ერთი რომელიმე ერის კუთვნილება კი არაა, არამედ თითო ილეთისგან შეკოწიწებული, ყველანი ერთად და ამავე დროს არავინი.

საბედნიეროდ, XX საუკუნის ოცდათიან წლებში ქართული ჭიდაობის მესვეურებმა უდიდესი ოჯდუნებით შეძნეს მისი სპორტული ნაირსახეობა და ამ გზით შთამომავლობას შემოუნახეს იგი. თვით ის ტრავმული ილეთებიც კი, რომელიც ჭიდაობის მიღმა დარჩა, ნაწილობრივ, თუნდაც აკრძალვის სახით, დაფიქსირდა წყაროებში და ახლა ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს. ამასთან, რაკი ჭიდაობის ტრადიცია არ გაწყვეტილა, მრავალი აკრძალული ხერხი პარალელურად მოსდევდა მას და ჩვენამდეც მოატანა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ასეთი ფანდი ერის მონაპოვარია და განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. თუ მისი აღწერა ზედმიწევნით ზუსტი არ არის, შესაძლებელია სამუდამოდ გაგვისხლტეს ხელიდან. მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ ქართული ჭიდაობის მესვეურის ვაჟა ნუცუბიძის ერთი მონათხრობი: „ერთხელ, სამეგრელოში ყოფნისას, როცა ქართული ჭიდაობისთვის აღგილობრივ ფანდებს ვკრებდი, ერთი ხანდაზმული კაცი ნახტომში მომაფრინდა, წყვილი ფეხი გამომკრა მარჯვენა ფეხის გარეკლსა და მარცხენა ფეხის თემოზე და გულაღმა დამცა, თან მომძახა – ეს არის ჩვენებური მოგორდიაო. ჩემი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად მან ეს ხერხი აღარ გაიმეორა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. რამდენი არ ვეცადე, თითქოს აღვადგინე კიდეც, მაგრამ კაცის ასე მარჯვედ გაკოტრიალება ვერ შევძელი.“

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საბრძოლო შერკინების აღდგენა უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, მოპოვებული მასალის სიმდიდრე ფრიად გვაიმედებს. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს გვერდით დგანან ქართული ჭიდაობისა და თვით „სამბოს“ საერთაშორისოდ აღიარებული პატრიარქები - ქრისტეფორე და აკაკი ნინაშვილები. ასევე ფასდაუდებელია ჩვენთვის მხარდაჭერა ქართული ჭიდაობის ისეთი კორიფეს, როგორიცაა ბატონი სიმონ მაისურაძე, რომელმაც ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა ამ საშურ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველესი დროიდან საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა ჭიდაობის ადგილობრივი ნაირსახეობანი, რომლებმაც, ნაწილობრივ, ჩვენამდეც მოაღწია; თუმც კი, უმეტესობა დაკარგვის ზღვარზეა მისული. მართალია, ქართულ-კახური ჭიდაობის სკოლამ თავისი სიმდიდრითა და დახვეწილობით დიდი სამსახური გასწია, მაგრამ მოზარდის ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით კუთხური სახეობანი ასევე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამავდროულად ეს სახეობანი ამა თუ იმ კუთხის კულტურისა და ტრადიციის ნაწილია და, ამდენად, მათი დაკარგვა დიდი დანაკლისი იქნება ჩვენი ერისათვის.

ძველ თბილისში გამართულ დღესასწაულებზე ფრიად პოპულარული იყო ქართული ჭიდაობა, რომელიც იმართებოდა ღია ცის ქვეშ: ავლაბარში, ჩუღურეთში, ელიაზე, კვირაცხოვლის ეკლესიასთან, ახალ კუკიაში, მუშტაიდის ბაღის პირდაპირ ე.წ. „იტალიელების ბაღში“, ვერაზე, ფიქრის გორაზე ამ საქმეს მიკიტანი ბაბაჭუა და წვერიანი ალექსა მოთავეობდნენ.

მტკვართან, დიდუბის ეკლესიის სიახლოვეს, თავად ციციშვილს თავის მამულში ჰქონდა მოწყობილი დახურული საჭიდაო მოედანი.

ხალხმრავალ ადგილას უეცრად გაისმებოდა ზურნაზე დაკრული ჰანგი. დამკვრელთა გარშემო იკრიბებოდა ხალხის წრე, რომელსაც სახრის ფეხებში ცხუნებით აფართოებდა მსაჯი. ამის შემდეგ ზურნა „საჭიდაოს“ შეუბერავდა, წრეში ჩოხიანი მოჭიდავენი შემოდგიოდნენ და მისალმების შემდეგ იწყებდნენ შერკინებას. თითოეულ მათგანს ჰყავდა თავისი ქომაგი, რომელიც სანაძლეოს დებდა თავის ფალავანზე, ყიჟინით ამხნევებდა მას. ჭიდაობის შემდეგ ქალაქის რომელიმე დუქანს მიაშურებდნენ მოსალხენად.

შემორჩენილია ერთი ცნობა, რომელიც საინტერესოდ წარმოაჩენს ცნობილ ფალავანს კულა გლდანელს: მას თურმე საგანგებო ჭიდაობა გაუმართავს, რათა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველასთვის საზღვარგარეთ სასწავლებლად წასასვლელი ფული მოეგროვებინა.

როგორც მასალის შესწავლა გვიჩვენებს, ჭიდაობა გაბატონებულ სახეობას წარმოადგენს სოფლის ტიპის დასახლებებში მაშინ, როცა ქალაქის მოსახლეობა უფრო კრივს ანიჭებს უპირატესობას. ეს არჩევანი შემდეგი მოსაზრებით უნდა იყოს განპირობებული: ვისაც თანამედროვე, ე.წ. „წესგარეშე“ ორთაბრძოლა უნახავს, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ორთა შერკინებაში ძირითადად ჭიდაობის მცოდნე აღწევს წარმატებას და კრივის ილეთთა მოხმარება ეპიზოდურად თუ ხდება, მაგრამ ქალაქად მეტია ერთზე ორის თავდასხმის ალბათობა (რაც სოფლად იშვიათი შემხვევაა), ასეთ შემთხვევაში კი კრივი უფრო გამოსადეგია.

სადღეისოდ, მკვლევართა ჯგუფების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ექსპედიციებსა და წყაროებში მოპოვებული მასალის შეჯამებით, გამოიკვეთა ჭიდაობის მრავალი, როგორც ზოგადქართული, ასევე კუთხური ნაირსახეობა. მათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც აქამდე არ იყო აღწერილი, ხოლო ზოგზე კი მხოლოდ ზედაპირული ცნობები მოგვეპოვებოდა.

ესენია: - ქართულ-კახური, „მაჯურა“, „ცალხელა“, „მკერდობა“, მთიულური „იღლიღორა“-, გურული „ჭედობა“ („ტეკობა“), მეგრული „რკინება“, იმერული „საბეჯურიდან ჭიდაობა“, ხევსურული „მოშ და მოშ“ და „მუქასრისა“, რაჭული „ღოჯური“ (წელის არეში ჩაჯღებით), და „ხაცური“ (ხელჩაკიდებით), სვანური „ლიბურძგვალ“, „ლიჯირთიელ“ და „ლიბრგიელ“, ინგილოური, მესხური, „ღორული“ (პარტერში ჭიდაობა), „მკლავმბმით“, „ხრინკული“ (ფეხწამოდებით) და სხვანი.

ეს შერკინებანი იმდენად დახვეწილია და სანახაობრივი, რომ დამოუკიდებელ სახეობად არსებობის სრული უფლება აქვთ, მაგრამ თუ „ხარდიორდას“ სულხან-სპასსეულ განმარტებას გავიხსენებთ, საჭირო ხდება, რომ შეზღუდული რკინება უმთავრესად მებრძოლის დგინების (მომზადების დონის განსაზღვრის) შემადგენელი

Georgian Digital Library

სავარჯიშო-საჩვენებელი სახეობა უნდა ყოფილიყო. ამავე დროს გურული, რაჭული და ხევსურული ძალისმიერი რკინების გულდასმით გაჩხრეკას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ამ სახეობებს მებრძოლისათვის ძლიერი და ხანგრძლივი ჩეზვითი მოძრაობების უნარი უნდა გამოეშუშავებინა, ანუ ისინი ასაკით ხმალზე უხნესია.

შერკინებათა აღსაწერად ყველაზე მოსახერხებელი აღმოჩნდა საგანგებოდ შემუშავებული ხერხი, რომელსაც პირობითად შესაძლოა ეწოდოს „შრეული დალაგება". ამ ძირითადი ღერძის გარდა თითეეული სახეობა, არსებითი თავისებურებებიდან გამომდინარე, საგანგებო მიდგომას საჭიროებს და ეს ცალკე განხილვის საგანია.

სახეობის აღწერა შეიძლება დავყოთ შემდეგ საფეხურებად:

1. - კეთდება აღწერა, თუ როდის და სად იქნა მოპოვებული საბაზო ინფორმაცია, რა არის ამ სახეობის ძირითადი მახასიათებელი (შედარებითი ანალიზი), რა ღირებულება გააჩნია კულტურული, ეთნოგრაფიული თუ ფიზიკური განვითარების კუთხით, აქჟამინდელი გამოყენების სავარაუდო არე;

2. - ჯგუფდება საჭირო ტერმინები სათანადო განმარტებებით;

3. - განისაზღვრება ჩაცმულობა;

4. - დგინდება შერკინების წესები;

5. - სქემატურად გამოისახება შტეკვების ველი ილეთის, აგრეთვე ილეთის დამხმარე საშუალებათა (საფრთხოლი, საცდური ანუ ცრუმოძრაობა და მისთანანი) აღწერითთა და დასახელებით;

6. - შემდეგი შრე წარმოადგენს თავდაცვის ველს ილეთებისა და დამხმარე საშუალებათა (არინი, დაღალატება და სხვანი) აღწერითთა და დასახელებით;

7. - შემდეგი შრე კონტრილეთზე შეტკვეის რეაგირების აღწერაა და ასე შემდეგ (ზოგიერთ ილეთზე მოძიებულია რამდენიმე გაგრძელება და ასევე განვითარების რამდენიმე შრე).

გარდა ზემოთჩამოთვლილისა, თითოეული ილეთის სრულყოფილი აღწერისთვის საჭიროა მისი განვითარების დინამიკის ამსახველი რამდენიმე ფოტო (ილეთის სირთულის მიხედვით).

ზემოთჩამოთვლილ კუთხურ სახეობათა შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მხოლოდ მათი ზოგადი აღწერის საშუალებას იძლევა, ხოლო მოწესრიგება დამატებთ მასალას და საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს.

ამჯერად შესაძლებელია მეტნაკლებად დასრულებული სახით წარმოვადგინოთ კახეთში, მთიულეთსა და იმერეთში მოძიებული ჭიდაობები, რომელთა გავრცელების არეალიც იმდენად ფართოა, რომ შეგვიძლია ისინი ზოგადქართულად ჩავთვალოთ. ესენია შეზღუდული ჭიდაობის ნაირსახეობანი: „მაჯურა", „ცალხელა", „მკერდაობა" ანუ მუცლით ჭიდაობა და „ღორული" (პარტერში ჭიდაობა).

„მაჯურა": ვანის ნაქალაქარის გათხრებისას აღმოჩენილია მცირე ზომის ქანდაკებები, რომლებიც, როგორც ჩანს, რაღაც რიტუალს ან ცეკვის სხვადასხვა პოზიციებს გამოსახავენ. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ორფიგურიან კომპოზიციას, რომელიც „მაჯურა" ჭიდაობის საწყის დგომს უნდა გამოხატავდეს. სავარაუდოა, რომ მას იმ ხანად გარკვეული სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. „მაჯურა" ჭიდაობა მიმდინარეობს ცალი ხელით, ჯერ მარჯვენებით, შემდგომ მარცხენებით. მოწინააღმდეგეები დგებიან ერთმანეთის წინააღმდეგ და ხელს ართმევენ. ამ დროს მეორე ხელი უკან, წელზე უნდა იყოს მიდებული და მისი ხმარება აკრძალულია. ხელის წინ გადმოტანა მხოლოდ დაცემის მომენტშია დასაშვები (დამავების თავიდან ასაცილებლად). მოჭიდავეს უფლება აქვს, ხელის გაუშვებლად, ილეთის უკეთ გაკეთების მიზნით, ჩავლების პოზიცია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯურა ჭიდაობის ფანდები



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვალოს. სხვა არავითარი აკრძალვა ამ ჭიდაობაში არ არსებობს. დასაშვებია ნებისმიერი იღეთი ფეხსა თუ ხელზე (მაჯიდან ხელკაუშებლად).

მოძიებული ილეთთაგან ზოგიერთი არცერთ სხვა ორთაბრძოლაში არ გვხვდება: „მაჯურაში" გამოიყენება: „ცერულები", „ნამგალები", „მოცელვები", „ფეხდაბიჯებები", „უუფეხი", „ჩახვეულები", „სარმები". ხელის გაუშვებლად კეთდება „კისრულები", „მხარჩადგმულები": „წინდაქანჯვით", „მაჯის გატეხვით", „მკლავჩატეხვით". დაშვებულია ცერით მოწინააღმდეგის ცერის ჩატეხვა - „ცერჩატეხილი". უმეტესობა ილეთებისა სრულდება მაჯის ან მკლავის ჩატეხვით. სრულდება აგრეთვე „ვადავლებულები", „გრეხილები", ძლიერ ტრავმატულია ეგრეთწოდებული „გატეხილები", რომლის დროსაც მიმდინარეობს ზედა კიდურის სახსრების ტეხვა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მიბჯენით. ამის მიხედვით არსებობს: „მხარზე გატეხილი", „შუბლზე გატეხილი", „მკერდზე გატეხილი" და „ქედზე გატეხილი".

ყველა ილეთისა და თავისებურების აღწერა შორს წაგვიყვანს, რადგან „მაჯურა" ჭიდაობა ძალიან მდიდარია ილეთებით და, შესაბამისად, მებრძოლის მომზადების საუკეთესო სისტემას წარმოადგენს. ეს ჭიდაობა, სხვა ყველაფერთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ანვითარებს მაჯის სიძლიერეს, რომელიც მარტო შიშველი ხელით ბრძოლისას როდია აუცილებელი. სწორედ მაჯის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული ხმლის, ან სხვა ცივი იარაღის ოსტატური ხმარება.

„ცალხელა": ჭიდაობა, როგორც დასახელებიდან ჩანს, ცალი ხელით წარმოებს. მასში, ისევე როგორც „მაჯურაში", მეორე ხელის გამოყენება აკრძალულია და მოჭიდავეს, დაცემის მომენტის გარდა, მისი წინ გამოტანის უფლება არ აქვს. „ცალხელაში" გამოიყენება ყველა ილეთი, რაც ჩვეულებრივ ჭიდაობაშია მიღებული, მაგრამ რაკიღა ცალი ხელით სრულდება, მათ თავისებური ელფერი შეიძინეს.

შემორჩენილია „ცალხელას" ერთ-ერთი ილეთის - ცალი ხელით „ჩახტომილი კისრულის" საუკუნის წინანდელი ფოტო. ამ ჭიდაობაში, ჩვეულებივ, მიღებული იყო „მოგვერდები", „ცერულები", „კისრულები", „ჩახვევები" და სხვანი. გარდა ამისა, გამოიყენებოდა „ფეხდაბიჯებები", „მოყინწვები", „წინამხრით მიბჯენები" და „ჩატეხვები".

„მკერდაობა": ეს შერკინება, ილეთებითა და ბრძოლის წარმოების წესებით, პრინციპულად განსხვავდება ზემოთაღწერილ სახეობათაგან და, საერთოდ, ყველა ქართული ორთაბრძოლისაგან. ამ ჭიდაობაში ორივე ხელს უკან იწყობენ და აქედან გამომდინარე წინიდან ყოველგვარი ჩავლება გამორიცხულია, მაგრამ მოჭიდავეს, თუკი ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნება, შეუძლია ზურგსუკან დაწყობილი ხელების ჩავლება და შესაბამისი ილეთის გაკეთება. ასევე დაშვებულია, ილეთის შესამზადებლად, თავით ან მხრით დაჯახება მოწინააღმდეგის მკერდზე ან მუცელზე.

ამ ჭიდაობის თავისებურება კიდევ ისაა, რომ თითქმის ყველა ილეთი ფეხებით სრულდება. როგორც ცნობილია, ქართული ჭიდაობა მდიდარია ასეთი ილეთებით, მაგრამ მკერდაობაში გვხვდება ბევრი ისეთიც, რომლებიც სხვა ქართულ ჭიდაობებში არ გამოიყენება: „მუხლჩადგმულები", „ბარძაყზე დაბჯენები", „ჩერანჩატეხილები".

როგორც ვხედავთ, ეს სამივე სახეობა მდიდარია ილეთებით და, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა გარკვეული მოძრაობების დასახვეწად და კუნთების შესაბამისი ჯგუფის განსავითარებლად, ასევე მებრძოლთა მოსამზადებლად საგანგებო შემთხვევაში (დაჭრის ან ტყვედ ჩავარდნის) სამოქმედოდ. უხელოდ ან ცალი ხელით ჭიდაობა მორკინეს აიძულებს მეტი ყურადღება გამახვილოს ფეხებისა და ტანის გამოყენებით ილეთის

ჩატარებაზე. ეს კი ხვეწს მის მდგრადობას და ბრძოლისუნარიანობას. ამდენად, ამ ორთაბრძოლებს დღესაც დიდი გამოყენებითი ღირებულება აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბილავება — დაცემულის უკუქცევა
აზეზება — შებორკვისგან თავდაღწევა
არდიგარდა — იგურდივი, დამორა, განივ გადადარება
არქმა — ხელში ატაცება
ასკიპარჭვა — აპლაკვა, აქარჩხვა, ფეხაშვერით წაქცევა
აფრობა — შეპყრობა (აიფრე)
აწიალება — კიდურით ატაცება
აწიკვა — აზიდვა
ბრეშა — ბღვერა, საჭიდაოდ გამზადება
ბუსკნაობა — თავრქით ჭიდაობა
ბუღრაობა — თავით და მხრით მიწოლა
ბღლარძული — უგვანი ჯიდება
ბწკნა — წადილი გაშვებისათვის
გაათანგვა — შებოჭვა
გაკაიპება — გახევება, გამაგრება
განსხირპვა — გაჭიმვა,
განტვევება - გაშვება
გარდე - სარმა (მეგრ.)
გასარქვა — სწრაფად შებოჭვა
გაცლა - ფანდის ნაწილი
გაძაბვა - მცირედ გაჭიმვა
გაძაგარა — მტკივნეულზე დაჭერა
გაზერება - უძრავად დადგომა
გრიკა — რჩოლა, რკინება
დაბალითება — მოტყუება
დაბოძება — დაკოსება, გამაგრება
დაგნასვა — დაფრთხობა
დაზინება — მოზიდვა, დათრევა
დათელება — მივარდნა
დაკაპტოება — ხელში ჩაჭერა
დაკვერცხება — მოწყვეტით დანარცხება
დაკიდება - მოსაქანცი ხერხი
დამარმუთება — დაფაცურება
დატიტვა — ჯობნა, დაცალვა, დაჯალდვა
დაშარტვა — მაგრად შებოჭვა
დაშტაკნება — დაჭიდება (რაჭ.)
დაცქვრინა — დაძვრომა
დილიმანი — გუმანით მოქმედება
დინაზალენი კაჭა - შუასარმა
ვერაგი — ილეთის სახეა
ზავთი — რიხი, ძალა
ზარფი — დიდი ძალა
ზიდილა — გაწევა-გამოწევა
ზურგული — ილეთის სახეა
ზღართანი - მოწყვეტით დანარცხება
იერიში - სწრაფი შეტევა
ილლიღორა — ჯვარედინად შებმა
კვანტი - ილეთის სახეა
კავური - კაური, ილეთის სახეა (გარეკაური, შუაკაური)
კისრული — ილეთის სახეა
კიწავი — სახელოში ჩაჭიდებით
კონტი - უკუფანდი
კოტაობა — ტყეული ჭიდაობა
ლიბარღვიელ - ბულრაობა (სვან.)
მაკარტო - მაკრატო, მაკრატელასავით (?)
მანდიკური — წელიდან მხრით აყვანა
მეგორდია — მოგვერდი
მოთარვა — ხელში მოგდება
მოსაგვა — მოკატუნება, საგვა
მოყინწვა — მოხუთვასავით
მოყრონჭვა — ყელში წაჭერა, მოყლარჭვა
მოცელვა — ფეხგამოსმით (გვერდიდან)
მოწოლი — მოგვერდივით
მოჭიდავე — მორკინალი, მრკენელი, მატეკარი (გურ.), მაჭუდარი (აჭარ.)
მოხამურება — მოგრეხასავით
მოხელთება - ხელში ჩაგდება
მოხუბურკვლა — მოხოვკვა, ხელით შებოჭვა
მხარიღლიე — მხრიდან მეორე იღლიის მიმართულებით
ნამგალა — ფეხგამოსმით (უკნიდან წინისკენ)
ნიათი — არაქათი, იკლიკი
ონა — ძალდატანება
ონარი — საჭიდაო ხრიკი
ჟრიატი — იდუმალი შიში
რკენა — ჭიდება, ტეკობა
საბეჭური — კანაფის უსახელო საჭიდაო ჩოხა (იმერ.)
სარმა - ილეთის სახეა
საფალავნონი — ჭიდაობა, ხევისბერთა მონაწილეობით
უგანა - გაუხტა
ფერცხელი - კოტრიალი, გორაობა (მეგრ.)
ფეხდაბიჯება - ილეთთა ჯგუფი
ფილფო — ღონე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ცალხელა რკინეკა
(შეტევების ჯგუფი)
ფეხლაბჯენით
ფეხჩახვევით
კიბეზე ჩოჩარა მიბჯენით
კართან ჩაბჯენით
ბიბეზე ბჯენით
მუხლის ბჯენით
შუაფეხ ჩახვევით
გარეფეხ ჩახვევით
ეშმაკურა
სარმები
კაურები
ამოსწორული შუა სარმა
ბან გამოერული შუასარმა
მუხლური გარე სარმა
შუა სარმა
გარე სარმა
მხარიდლივ მუხლქვეშა შუაკაური
ჩაკეტილი შუაკაური უკუმდებაით
ჩაკეტილი შუაკაური ფიცდებით
მკლავური გარეკაური
მუხლქვეშა შუაკაური
თემურა
ჯიკავი
თემი
გარე თემი
მხარიდლივ თემი
ირმხრივი თემი
თაური ჩოქელა
თაური
მკერდი
თემოთი
მხრით
ძიქვალაქჩვით
მკალავჩახვეული
ჩოქელა ბაური დაღალატებით
შუაკაურზე კარი
ყინ ბიჯით
ფვილ სარმაზე
მკალავზე გარემკალავ ჩახვეული
მკალავზე შიდამკალავ ჩახვეული
ბეტონგარე მკალავ მოხვეული
გარეკაურზე
სარმაზე
კისრის დაღლილობით
ილლიქვეშ მკალავჩახვეული
მოგვერდები
ჩატეხვები
გარე ფეხჩაკეტილი
ზურგ მოგვერდი
ლრმა მოგვერდი
კოჭში ჩოჩარა
მაჯის გრეხვა
ბარაკაზე მიბჯენით
ფელმოგვერდი
მოგვერდსარმა
მკალავგატეხვა
კართან ჩაბჯენით
ლოჯური
კისული
ფინა ლოჯური
უკანა ლოჯური
გვერდითა ლოჯური
ზეზელა კისული
ჩოქელა კისული
მკალავ კისული
მოყინწვა
დაღლილობებით
კისერზე მოხვევებით
ფართა მიბჯენით
ჩოხა ბათრევით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქილვა – თმაში ჩავლება, ქირჩნა
ქოფება – ჯგიმვა, ჭიმვა
ქიჩავი – გაწევვ-გამოწევა, ქიჩმაჩი
ღორება - მოტყუება
ყინტი – მოყინწვა-მოხამურება
შარკლა – ფეხების აჩაჩხვა
შეჯავახება – მძიმედ შეტაკება
ჩიგორგალი – კისრულივით, დაბალ დგომში
ჩოქური – მოგვერდი წაჩოქებით
ცერული - ილეთის სახეა
ცლინგური – ხელიდან დასხლტომის ხერხია
ცუცურაკი – მოტყუება
ჭიდაობა - კაცის რკინება ცხოველთან
ხარდიორდა - ფუნდრუკის ნარჩენბერობა
ხერხი – ფანდი, ხვანჯი, ლინგი
ხვანჯი – რთული ილეთი
ხრიკი – ფანდი, ხიმანი, ჩხაკვი
ხუთვა – შოობა
ჯანი – ღონე, საფანელი, ილაჯი, სიქა
ჯაჯგური – ჭიდების სახეა
ჯიბრი – ჯობნის სურვილი
ჯიკავი – ხელის კვრა, ჯირგალი
ჯლეება – რჩოლა

კრივი

„ლაშარის ჯვარი ჯაერობდა, იმოქრებოდა მჯიღითა“.
ხალხური

ქართული კრივის უძველესი წარმოშობა არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება - ვანის ნაქალაქევში ნაპოვნია ძვ. წ. I-II სკ-ის ქანდაკების ფრაგმენტი – მოკრივის მარჯვენა ხელი ტყავის უთითო ხელთათმანით, ლითონის აპზნდებითა და მაჯაზე დაბეული თასმით.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან კრივი იმთავითვე უმნიშვნელოვანესი სამხედრო დისციპლინა იყო. შემდგომშიც მრავალი ისტორიული და ლიტერატურული წყარო ეხება კრივის თემას, ხოლო სულხან-საბას ლექსიკონი ფრიად უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდის ამ კუთხით.

საინტერესოა თვით ამ ტერმინის წარმომავლობაც. სავარაუდოა, რომ დასახელება ნაწარმოებია კვრა-კრვა ზმნიდან. კრიობა ამ შემთხვევაში კვრათა ერთობლიობას ნიშნავს, კვრა კი ძველად დარტყმის მნიშვნელობით იხმარებოდა.

კრივის პოპულარობაზე ჩვენში მეტყველებს მის სახეობათა მრავალფეროვნება: მესხური თათმანიანი, თუშური „მუშტა'ობა“, ხევსურული სათითეებიანი, მეგრული მუშტი-კრივი ხეზე, ფყალში ჯგუფური მუშტი-კრივი, რაჭული წიხლაობა, მოხევური წიხლაობა, სვანური „ლაღამის კრივი“, „ლივიშდეელ“ (წიხლაობა) და „ლიეგგუბილ“ (ხელით), „სალდასტი კრივი“, „არეული კრივი“, ქალაქური „მუშტი-კრივი“, „ხრიდოლი კრივი“ და სხვანი.

სხვათა შორის, ქალაქური კრივის ნაირსახეობა გახლდათ ყარაჩოღელთა კრივი, რომელშიც დარტყმები რიგრიგობით კეთდებოდა, აფარებისა და უკუსლეის გარეშე. ეს, რასაკვირველია, მიანშნებს მორბილებისა და დარტყმის ჩაქრობის ცოდნაზე, რაც ამ სახეობის უდიდეს კულტურაზე მეტყველებს და განსაკუთრებული კვლევის საგანია.

მემატიანემ საინტერესო ცნობა შემოგვინახა საბრძოლო შერკინებაში კრივის გამოყენების შესახებ. მარაბდის ბრძოლაში „ბატონმა თეიმურაზ დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარა შემორჩენოდა რა, ბეჭდებიცა დაემტვრია მუშტის ძგერებით“.

შემონახულია XIX სკ-ის ქართველი ისტორიკოს-ეთნოგრაფის ივ. გვარამაძის ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენში იმართებოდა ოლიმპიურ თამაშობათა მსგავსი რამ, რომელსაც „ერის კოტაობას“ ეძახდნენ და რომლის სახეობათაგანი იყო „მჯიღით ბრძოლა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისივე ცნობით მესხეთში, სათალასა და მუსხის მინდერებში, გამართული იყო სარბიელი, სადაც სამი წლის განმავლობაში წარმოებდა დგინება. აქ შერჩეული „ოთა-გმირები“ მეოთხე წელს ვანის მთისკენ, ცხრაწყაროს დაიყრიდნენ თავს საქვეყნო შეჯიბრებაში თავის გამოსაჩენად. ასევე სამ წელს მიმდინარეობდა დგინება სოფელ ერკოტაშიც და მეოთხე წელს აქ შერჩეულნიც ცხრაწყაროს მიაშურებდნენ. შეჯიბრი თითბრით მოჭედილ ტყავის თათმანიან კრიშიაც (!) ტარდებოდა.

კრიგში ჯგუფური შერკინება განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ქუთაისში. აქაურები წინასწარი დათქმით გადიოდნენ „თეთრი ქვების“ მიდამოებში და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზურებულ თაფთაფაში პირდაპირ „თავით ემვიბოდნენ“, რადგან უნიკალური „თაურები“ ერთ-ერთი მშვენებაა ქუთაისური კრიგისა.

მკვლევარ ვ. სიდამონიძის ცნობით გუნდურ კრიგში, რომელიც ჩვენში უფრო გავრცელებული იყო, „მონაწილეობდა ხუთიათასამდე კაცი, თუ მეტი არა“.

რუს ხელისუფალთა მიერ კრიგის აკრძალვამდე, თბილისში, დაახლოებით 1802-06 წლებში, მოავარმართებელ პავლე ციციშვილის თაოსნობით გამართული დიდი შერკინება კრიგში (ხის ხმლებისა და შურდულების გამოყენებით). ამ შერკინების ხატოვანი აღწერა შემოგვინახა მისი თვითმხილველისა და მონაწილის დავით ბებუთაშვილის მოგონებამ. ამ წყაროს თანახმად ყველნაბა ყველიერის ორშაბათს დილადრიან იწყებოდა. სიონის ტაძართან ორ ნაწილად იყოფოდა ქალაქი – ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებად. ასევე საყურადღებოა, რომ კრიგი, ანუ შეიარაღებული ორთაბრძოლა, „ყეენობის“ ფინალი იყო, მანამდე კი მხარეები ჩვეულებრივი საბრძოლო სცენარის მიხედვით მოქმედებდნენ: მიმდინარეობდა დაზვერვა, მდგომარეობის შეფასება და მოქმედების დაგეგმვა, მოსყიდვა-გადაბირება, ცრუ ინფორმაციის შესაღება, მოლაპარაკებები და მისთანანი.

შემონახულია აგრეთვე ფრიად საინტერესო მოგონება თელავში, XIX საუ-ის 80-იან წლებში გამართული გუნდური კრიგობის შესახებ (ეს მონათხრობი, ვ. სიდამონიძის აზრით, იმდროინდელ ჟურნალისტს ალექსანდრე დოდაშვილს უნდა ეკუთვნოდეს):

„პატარა ქალაქ თელავში ჩვენს დრომდის იმართებოდა კრიგები ზამორობით. კრიგები იწყება ნოემბერში და თავდება იმ დროს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში „ყეენობას“ უწოდებენ.

კრიგის დროს მთელი თელავი ორ ბანაკად იყოფა: ერთს მხარეს შეადგენს თელაველები, მეორეს ძველი გალავნელები, რომლებიც რიცხვით ექვსჯერ მაინც მომეტებულნი არიან თელაველებზედ; მაგრამ თელაველების სიმამაცე, ხელოვნება, ერთობა და მუშაობისაგან შეძენილი ძალ-ღონე უფრო ხშირად სძლევენ ხოლმე ძველგალავნელთ. ყოველთვის თელაველნი რნებიან ხოლმე გამარჯვებულნი, თუ თვითონ მოკრივეს სამი მოწინააღმდეგის მეტი არ ებრძვის, ეი. თუ ოც თელაველზე სამოცი ძველი გალავნელი მეტი მაინც არ არის.

ეგრეთი ცოტასაგან გამარჯვება ბევრზედ, მამაგონებს პატარა საქართველოსა, რომელიც ზშირად სძლევდა, ამარცხებდა და ჟლეტდა თავის მრავალრიცხოვან და უთვალავს მტრებსა. სპარსთა, ოსმალთა, თათართა და სხვათა“.

კრიგი აქაც ნაცნობი სცენარით ვითარდება: ჯერ პატარა ბიჭებს დაუჯახებენ ერთმანეთს. მათ თავს დასტრიალებს შედარებით მოზრდილი წყვილი - „მოთამაშენი“. შემდეგ თავად ეს წყვილი იწყებს კრიგს, შემდეგ მათი „მოთამაშენი“ და ასე, ვიდრე ხალხი საკმაოდ არ შეიკრიბება.

ამის შემდეგ ხმაური მცირე ხნით ნელდება. ამ დროს მოკრივენი მოწინააღმდეგის ბანაკს ზვერავენ და მდგომარეობას აფასებენ. დაზვერვა ხშირად რამდენიმე საათს გრძელდება.

ძირითადი შეტაკება დაბინდებისას იწყება – ორ ბანაკად გაყოფილი მოკრივენი ჩოხაგახდილნი ელიან ნიშანს. თავ მოკრივეებს კი ჯერაც არ გაუხდიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

35 საუკუნის კრეტულ ფრესკაზე გამოსახულია მოკრივე ყმაწვილები, რომელთაც თამამანით მხოლოდ მარჯვენა ხელი აქვთ შემოსილი.

ქალაქური კრივის რამდენიმე ილეთი

უტევს დავით ბეგდარაშვილი

უტევს კობა აბრამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივის განწესრიგება
(ერთი შტოს მაგალითზე)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტევანი, მუშტი
(საცემი ალაგები)



ეროვნული ბიბლიოთეკა

დარტყმები
(გეზის მიხედვით)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავურები



არეული კრივის თავური ილეთები

ზურაბ ცისკარიშვილს უტევს ლევან კიკალიშვილი
(აფარება და უკუშეტევა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხით კვრები



კიდევ ერთი ნაწყვეტი ა. დოდაშვილის მოგონებიდან: „საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მოკრივენი დიდ მოხერხებასა და გამჭრიახობას იჩენდნენ კრივში. თუ მხარეს მოხერხებული ადგილი უკავია, მოწინააღმდეგე თუნდაც სუსტი იყოს, ამაზე ადვილად დაეცემიან და ცდილობენ მოატყუონ იგინი სამი-ოთხი კაცის ჩაგზავნით კრივში.

გარდა ამისა, მრავალგვარ ხერხს ხმარობენ კრივში, ასე რომ შეიძლება დიდი ღონის მქონე კაცი სულ პატარა და უღონოსაგან იცემოს და დამარცხდეს.

კრივი ბევრ თელაველს პურივით მოშივდება ხოლმე და კრივის დროს ზოგიერთი მოზუცებული პატიოსანი კაცები ათრთოლდებიან და აკანკალდებიან ხოლმე კრივის დანახვაზე“.

მუშტი-კრივი თბილისს მე-19-ე საუკუნის ბოლომდე შემორჩა, როგორც ქალაქელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი გასართობი და თუ უწინ მხოლოდ ყველიერის კვირაში იმართებოდა, თანდათან დამაგვირგვინებლად იქცა ყველა დღესასწაულზე, სადაც ხალხი მრავლად იკრიბებოდა და ყველას შეეძლო გამოეცადა თავისი უნარი. კრივს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. კრივობდნენ უქუდოდ, გულგაღეღილნი, ჩოხის კალთა აკრეფილნი, ახალუხისამარანი. მსაჯი ცხენზე მჯდომი უძღვებოდა შერკინებას. მოკრივენი რამდენიმე რიგად იდგნენ ასაკისა და სიძლიერის მიხედვით. ი. გრიშაშვილის აღწერით კრივობას მცირეწლოვნები იწყებდნენ, შემდეგ ყმაწვილები ჩაერთვებოდნენ, ბოლოს კი ცოლშვილიანი მამაკაცები ცდიდნენ თავიანთ ოსტატობას.

ზშირად ჭიმაგებიც ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. ამ დროს ხის ხმლებსაც იყენებდნენ ხოლმე. ხანაც საქმეში ერეოდა ყველაფერი, რაც კი ხელში მოჰვდებოდათ. კრივის შემდეგ მონაწილენი აბანოში მიდიოდნენ და ქისით იამებდნენ დაეეჟილ სხეულს.

ერთ-ერთი ასეთი შეტაკების შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ აკრძალა ეს სანახაობა, რასაც ხალხის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. შემოინახა მეფის ნაცვალ ვორონცოვის შუამდგომლობა ამ აკრძალვის გაუქმების თხოვნით, სადაც იგი წერს - „ეს იყო გასართობი და სამხიარულო ყველასათვის, დაწყებული სამეფო გვარეულობით და თავადაზნაურობით, დამთავრებული უბრალო ხალხით... მუშტი-კრივის მთლიანად აკრძალვა არა მარტო ქალაქის შიგნით, არამედ მის გარეთაც დაადონებს აქაურ მოსახლეობას, რომელზეც შეილიდან შეილზე გადმოდიოდა ეს მათი საყვარელი გასართობი, ასე მჭიდრო კავშირში რომ არის ხალხის ხასიათთან, მათ გმირობასთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართველთათვის და აქცევს მათ ბრძოლისუნარიანად თავიანთი საზღვრების დასაცავად“. ამ ბარათის შემდეგ მთავრობამ ისევ დაუშვა მუშტი-კრივი, ოღონდ ქალაქგარეთ, კვირაცხოვლის ეკლესიასთან.

მეკე თბილისში განთქმული ფალავნები ყოფილან: ლოხოშა, ჭიანუა, კუნძუა, ყორნიკუა, გიჟვანუა, კურკა და სხვანი. მათი ოსტატობის მაგალითად კმარა ჩვენი საუკუნის დასაწყისში 6 ყარაოღელის მიერ 25 შოტლანდიელი სამხედროს გალახვა უტიფრობისთვის.

„უცხოელების თავხედურ ქცევას ქალაქელები აღუშფოთებია. სატიოს უბანში ყორ ნიკუას უთქვამს: სიყრმის მზემ, კუკიაზე ადგილი აღარ დარჩებაო.

შექეიფიანებულ უცხოელ ოფიცრებს უცხო ქვეყანაში დამცინავი გასართობი მოეძებნათ, გამოლაგდებოდნენ სასტუმროს წინ გოლოვინის პროსპექტზე და მოსეირნეებს ანოკაუტებდნენ უმიზეზოდ. ზუკები და აპერკოტები დაბლა სცემდა დარეტიანებულ მოქალაქეებს. სწორედ ერთ მშვენიერ დილას აქ შეყრილან სატიოს უბნის გიჟები. უცხოელ ოფიცრებს, გართობის ნაცვლად, გასაქცევად დადგომიათ საქმე. როცა საშა ვერელს ქართულ გარმონზე „სატიო“ შეუბერია, წამალაანთ გიჟუას პრინციპულად ჯიბიდან ხელები არ ამოუღია, მისი თაური დარტყმის ხმები ვიტრინის შუშებს ხეთქავდა თურმე. გორდოვოის გიჟო რომ უცვნია, მხოლოდ იმასღა ეხვეწებოდა თურმე, არ მოკლაო, მუშტი დაარტყეო. გიჟოსთვის სხვებსაც მოუბაძავთ და

elibrary.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორჩებს თავებით ისეთი ბათქაბუთქი აუტეხიათ, რომ მუშტი-კრივი სანახაობად გადაუქცევიათ.“ - (ნაწყვეტი მ. ბერძენიშვილის მონათხრობიდან „ვერა – სატრფო“)

ქალაქური კრივის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სახელი შემორჩენია ლამაზ ლეგენდად თბილისელების მეხსიერებას, მაგრამ როცა თბილისელ ყორჩებს ვიხსენებთ, ამ საარაკო სულის ვაჟკაცებს, ვინც იმ ეპოქის დათალსულ ცაზე მეტეორივით გაიკაშკაშეს, ისიც გვახსოვდეს, მათზე თხრობაში, პირველთა დაფნა ვის მიანიჭეს, ახლა უსმინეთ შუშპარა ქართულს, უსმინეთ გიზო ნიშნანიძეს:

„ - ვერას თავისი გულივერები ჰყავდა. ბიჭად-ბიჭები, საღები და სალამათები, ჩვენი ქალაქის, ჩვენი უბნის გოლიათები.

ღმერთო მიხსენი, გამახსენე მათი სახელი,

შენ მტერს და ჩემ მტერს მოხვდა ძმაო, იმათი ხელი.

ადრე თუ გვიან, მეტ-ნაკლებად, ყველა ვახსენოთ. ახლა კი ცოტა, ცოტა უფრო შორს გავიხედოთ.

ვის ახსოვს თბილისური ალალი მუშტი! ხრიდოლი - ცალი ხელით, სალდასტი - ქვითა და ხელით, გატეხილი თავი და მაინც მთელი გული. სიყვარულის ახსნა ჩხუბით, ძმობა, ღმერთი-რეკული!

ვანის ნაკალაქარის გათხრის დროს, ჩვენი მამა-პაპის სამკალებსა და სარკოფაკებში ქართული კრივის ხელთათმანი უნახავთ!

საიქიოში მაინც რაღა ჰქონდათ გასაყოფი - გაკვირვებიათ მნახველებს... ვფიცავ მათ საფლავს, ბოროტება არ ჩაუდენიათ გულზე სამუდამოდ დაკრეფილ ამ ხელებს.

აღდგომის სწორს, კვირაცხოვლობას სცოდნიათ ბიჭებს მკლავში მოსინჯვა - ესეც შენი ზემოუბნელ-ქვემოუბნელების ალაკერდი და მოსირჩვა.

მუხრანბატონის ფალავანი - ჭონი კვინიზა და გრიგოლ ორბელიანის ლოპიანა, ბებუთთვის თოქმაჩი გულზა, განჯელი ალია... მიდი ლოთიანად!..

ეშტრია კუკიელი, ავლაბრელი ლოხოშა... ეყოჩა და ეხოშა...

ჭიანუა, კუნძუა და ოთხი კოლა: სირქია, წითელფუფაიკა, ფარქასტუ და ღორ-კოლა...

ეს კოლა, ის კულა - გლდანელი და ნესტორ ესებუა, რუსეთის თორმეტგზის ჩემპიონი ივანე აბულაძე, ანუ ქიზიყელი კამბეწუა... უხედნის მხედნელი, დაუმარცხებლის დამმარცხებელი, საიმედო და სანდო - კანდელაკი, ტცხეთელი სანდრო...

დიდი და პატარა ვერელები - შაშო და გიორგი კახნიაშვილები - რა დედამ შობა რკინის ძმები - გულით ჩვილები, ან გაჩნდა მსგავსი რა საშოში, ჯანში, ბაია - ვერის სინდღისი და ნამუსი ჯან-შობაია!.. ყველა ბესთა ბესი - ვერის ჰერკულესი, რკინის მკენტელი და ფალავნების მხეტელი კოსტა მაისურაძე - რისი მაისური და რისი ფიცარნაგი, კარგი გამრტყმელი და კარგი ამხანაგი...

თბილისური ასპარეზის გალავნები - თბილისელი მოჭიდავე ფალავნები... წრეში ვიხმობ მეტივე დათა ხიზამბარელს, მედროგე ურეხას, უტეხ მეტეხელ ნიკას, აჩრდილებს ძველი თბილისის სარკისას - ავლაბრელ სარქისას, თოხანას - სულ ალრეზე რომ იდგა, გაუმარჯოთ, ჯერი მათზე მიდგა...

ვახსენებ თავისი დროის უპირველეს მოქალაქეთ, თავისი მისალაგებელ-მოსალაგებელი რომ მიალაგ-მოალაგეს.

ახლაც ეძებს ვანი და მისი ძველი ნაქალაქარი,

დღეის ამქარი - მათი სული დღესაც აქ არი...

ასპარეზობად და არა სპირტ, სპორტდარბაზებად: ავლაბარი, სიონის ქუჩა, ძველი აბას-აბადისა და ბურის მოედნები... ჰოი, შე ძველო, როგორ დნები ხელში და ქრები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხრიდოლი
(ოთა აბრამიშვილი, გიგა ბლიაძე)



ეროვნული ბიბლიოთეკა

არეული კრივი
(სამი არასრული განტოლება)



შენიშვნა: სქემაში მისარგებია ავრეთვე „ჩითრევა“ და „ეჩოს მოხსნა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

"იტალიის ბაღი" (ტრამვაელების სახლთან), ელისაბედის ქუჩა (კლარა ციტკინი), დიდუბე, გრიშუას ბაღი ანუ ჟანგბადის ბალიშები, მინდვრის ხალიჩები, ლურჯი ცის თაღი...

ნამალადევი, ხუდადოვი, ფიქრის გორა, ვერის ძველი სასაფლაო - ახლა ბაღი, სახელობით კიროვისა (ახლა ისევ ვერისა), სპორტდარბაზი ღია ცის ქვეშ - მირონისა, აუდიტორია-ამფითეატრებად თვით მახათას მთა და მთაწმინდა...

ჰაი, დედასა, რა სახელები გაწვიმდა,
ძველი წავიდა, ახალი დაცვივდა,
ძველი მაინც არ გაცვდა..."

„...თბილისელობის ასეთ ყაიდასაც თავისი ისტორია აქვს. ჯერ არავის ახსოვს თენგიზ კეკელიძის უსამართლოდ და უმისამართოდ მოქნეული ხელი. რამდენჯერაც მოიქნია, იმდენჯერ თქვენ მტერს მოხვდა. ატლანტის ტალანტით იტვირთა ტვირთი, მისი ბიჭური ბეჭებით ზიდა თბილისის ნამუსის თაღი, ამიტომ დადის დღეს ასე მზრებგაშლილი და ლაღი, კეთილი და პატიოსანი.

დიდო აბაშიძე. გადიოდა დრო. მოდიოდა სახელი. სიკეთითა და ჯან-ღონით სავსე ჭაბუკს ხელი ვაჟკაცურად ჩამოართვეს ქალაქის დიდმა ბიჭებმა, რომლებიც თბილისში ღონისა და სამართლიანობის კულტს ემსახურებოდნენ. განუზომელი იყო ავტორიტეტი 30-იანი, ანუ ჩვენ რომ ვიბადებოდით, იმ წლების ისეთი ფალავნებისა, როგორიც იყვნენ არკადი აბაშმაძე, ჯიბო კაპანაძე, ვახტანგ ბარსეგაშვილი... ამ სამმა წერტილმა გაიხსენოს დანარჩენი!

ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ძალაში შემავალ ყმაწვილებს, რომ ძლიერებს სუსტები არ დაეჩაგრათ, ქუჩის ჩხუბს ბოროტება არ ჩაედინა, სამართალს პური ეჭამა და წყალიც დაეყოლებინა. თბილისურ ქუჩას თავისი დაუწერელი, ენით აუწერელი კანონი ჰქონდა, აქაურ ჩხუბშიც კი უფრო მეტი წესრიგი იყო, ვიდრე ჩხუბს მოეთხოვება. აქაურ მუშტი-კრივს არავითარი საერთო არ ჰქონდა ხულიგნობასთან."

ჩვენი ალთქმული ქვეყნის - არკადიის, ტრიპოლისის ანუ თბილისის არკად-თაღედის ერთი ატლანტის - საარაკო არკადი აბაშმაძის დისწულების, დიდი დედის თეო აბაშმაძის ბიკვრების ამბავი!

თამაზ ცინცაძე დედანთან სწორი, მისი გოლიათი ბიძის ზუსტი ასლი იყო. საოცრად თბილი გული და მწარე ხელი ჰქონდა. იმ რკინის კაცის ნატეხი გახლავთ "რიჟას" უმცროსი ძმა ბუთურაც. ძმათა ჩხუბი თბილისში ვის უნახავს, ერთი ისევ თბილისურ წესრიგთან დაკავშირებული შემთხვევა რომ არა.

სატეიოზე ჩხუბი იყო - თამაზი ტოლთან სწორად იბრძოდა. უცბად, სად იყო-სად არა, ბუთურა გაჩნდა. ჯერ შუაში ჩადგა, მერე ძმას წამოეშველა და "რა შუაში" აღმოჩნდა. სწორედ აქ შეწყდა სხვათა და დაიწყო ძმათა ომი. ვის რა უფლება აქვს, ჩემი მოსაჭეცვი ხელი მოიქნიოს და ქალაქში თავი მომჭრასო - თამაზმა.

როლები შეიცვალა. ახლა ის მოჩხუბარი ჩადგა ძმათა შორის - თუ ძმა ხარ, შერიგდით და შევრიგდეთო.

ასე იყო ეს.
ასე არის დღეს?
ერთი ნატვრის ხეც
ჰგავდა ნატვრის ტყეს!

კოტე წულეისკირს იმსიგრძე ბეჭები ჰქონდა, სამ თავს დაიდგამდა და ათი თავი უნდა ჰქონოდა კაცს, რაიმე უკადრისი ეკადრებინა არა მარტო მისთვის, მისი თანდასწრებით სხვისთვისაც.

რისი როკერ-ბრეიკიორ-შეტალისტ-კულტურისტ-ფუტურისტობა, განტელები და კუნთების ბერვა. რაც ჰქონდა ღმერთმა მისცა და კაცს მოახმარა. ჯარში რომ იყო, შუა

აზიაში შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი ტარდებოდა ჭიდაობაში. აი, იქ ბაირამალიში კიდევ ერთხელ იბაირამა ვერის გენმა... "ჭიდაობას რა უნდა?" - ძველი ქართული დოლ-სიმღერის ჟრუანტელით წაქეზებული, ყოველგვარი მწვრთნელისა და წვრთნის გარეშე გავიდა წრეში და წრიდან ჩემპიონი გამოვიდა.

"მარტო აღზრდა რას უშველის, თუ ბუნებამ არ უშველა".

- საიდან ხარ?

- თბილისიდან.

- ვინ გაგზარდა? - ჰკითხეს.

- ვერამ!

და იცოდეს ყველამ, ყველამ,

ბევრი შვილი ზარდა ვერამ.

ზოგმა თვითონ ჭედა ბედი -

ზოგი წერა ბედისწერამ...

თორემ გოგია ქარსელაძეს რა მოერეოდა სიკვდილის გარდა, რომელიც ფრონტზეც კი გაურბოდა ამ ცეცხლივით ბიჭს, თუმცა რამდენჯერ შეჰყრია პირისპირ და თვალებში ჩაუხედავს. "სდე ქარს მინდორშიო" - ვერც ბრმა ტყვია დასწვეია ქარში ქარსელაძეს, ყუმბარის ნამსხვრევებს კი, როგორც ატირებული დედამიწის ცისკენ შებრუნებულ წვიმას, სად შეაფარებდი თავს.

გენერალ გიორგი ყურაშვილის ქართულ დივიზიაში იბრძოდა. 12 ჭრილობა და ერთი იმდენი საბრძოლო ორდენ-მედალი ჩამოიტანა, თუმცა არ იყო ჩინ-მედლის მადევარი კაცი. მისი ჭრილობა ბევრი მინახავს (როგორც იტყვიან, სახეზე იყო), ორდენები კი სიკვდილის შემდეგ დავუთვალეთ.

მზვერავი ყოფილა. ერთხელ ერთ თანამებრძოლთან ერთად, ერთის მაგივრად ოთხი მოენე გაუკოჭნია. ამხანაგს ეშმაკობა მოსვლია თავში. - მოდი, გოგილო, ორი ტყვე მივიყვანოთ და ხვალ რომ გაგვიშვებენ დაზვერვაზე, ეს ორი აგერ ბუჩქებში გვეყოლება მოყუჩებულიო. - ვაი, შენს პატრონს, ამ ორმა რომ თქვას, ოთხი ვიყავითო, სად მიდიხარ მერე?.. - დაოთხილი წაუყვანია ოთხივე...

... ერთი უსამართლო ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ, უკან კი საერთოდ არ იცოდა დახვევა. ხომ გახსოვთ, ერთხელ ოფიცერთა სახლის საბილიარდოში, კრივში ძმიმეწონოსანთა საქართველოს უცვლელი ჩემპიონი და კავშირის არაერთგზის ექსჩემპიონი, ენის შემოუბრუნებლობასა და თავის შეუვალობაში ღრმად დარწმუნებული, ჩვენი ანდრო ნავსარდოვი (დედამიწის ერთ მეექვსედზე სპარინგ-პარტნიორად და მეტოქედ მხოლოდ ერთადერთი - კოროლიოვი რომ ჰყავდა) უდიერად მოექცა და ამან ისე მოუქცია ყბა, რომ იმას საავადმყოფოდან შემოეთვალა, 18 000 მანეთი (მაშინდელი კურსით) გადამიხადოს ზარალის ასანაზღაურებლად, თორემ...

- ზემელის დამწვარ აფთიაქში არ მიჩივლოსო - შეუთვლია გოგიას. თუ უნდა, როგორც მოვუქციე ღრანჭი, ისე გავუსწორებო. მერე თბილისი ჩარეულა საქმეში. შეურიგებიათ, ერთი ჭიქით შეუსვამთ ორივეს სადღეგრძელო და მტრობა ძმობად გადაუკეთებიათ.

ვერაზე დასახლდა და ვერას თან ახლდა

ჭირშიაც, ლხინშიაც თავისი აგ-კარგით.

აქ მისი ოცნება ახდა და არც ახდა

და როგორც ვიპოვეთ - ისევე დავკარგეთ...

ქალაქის პირველი ყოჩიც ჩვენებური იყო,

აზანზარებდა ქალაქს...

მოდიოდნენ გოგია რებეცა, სვანეთისუბნელები,

ძმურად უსინჯავდნენ ძალას.

დაიდეთ გულზე ხელი და მითხარით -

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი ჩემპიონი შეედრება.
აიღეთ თავზე ხელი და არხარის
გაიგეთ მთიდან ბარში ვედრება!
თუ გინახავთ, სადმე სხვა ორი,
რეზო ფალავასთანა ჩხუბი რომ იცოდა.
ჩემ მტერს, ჩემო ძმაო, მისი ტორი,
მის ნაკეფს პატრონი ვერ ცნობდა.
ფანჯრებიდან, ლოჟა-ლოჟიებიდან გადმოეფინებოდნენ,
ქუჩაში მოძრაობა ჩერდებოდა,
ვერელების მუშტი-კრივს, ალალ ჩხუბს
რომელი ჩემპიონატი ედებოდა...“

შეშინებულივით კედელს აკვროდა ქუჩის ერთადერთი ტელეფონ-ავტომატი და ამ ჭკუისკოლოფს ზედ ამოკაწვროდა ნეტარხსენებული სახელები მათი. ახლაც კარგად მახსოვს, ყანგიან ფირფიტას ზედ რაც ეწერა და ზედ რაც წეეწერათ: "ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ 01"-ზე...

(გვერდზე კი ნაკაწრი ლურსმნულით და ცერად)
"შუხურის შემთხვევაში დარეკეთ ჩემთან,
ღმერთი არ გაგიწყრეთ, მაშ, მე აქ რაღა ვარ,
არავინ მიქაროს, უჩემოდ იჩხუბოს...
თქვენი ზიარება, თქვენი ძმა - ფალავა... 3-0103"

არეული კრივი

ზემოთჩამოთვლილ სახეობათაგან ამ დროისთვის შედარებით უკეთ არის დამუშავებული „არეული კრივი“. იგი ძირითადად თბილისში, თელავსა და გორში იყო გავრცელებული და იმართებოდა როგორც წყვილებს, ისე ჯგუფებს შორის სხვადასხვა დღესასწაულებზე („ბერიკაობა“, „ყვენობა“ და სხვ.).

„არეული კრივი“ ორთაბრძოლის რთული სახეობაა. იგი უხვად არის დაყურსული ხელჩართული ბრძოლის ხერხებით. ორთაბრძოლა წარმოებს როგორც ზედა, ისე ქვედა კიდურებითა და თავით, დამატებით კი იხმარება ჭიდაობის მტკივნეული ილეთები: ტეხვებით გდება, მიყინწვა, გაკავება და მისთანანი. შერკინება მიმდინარეობს დანებებამდე ან გალაზვამდე. პაექრობა იმართებოდა წინასწარი მოლპარაკებით და ხშირად ფულსაც კი კრებდნენ (დასახიჩრების შემთხვევაში სამკურნალოდ). მეტოქენი იბრძვიან შიშველი ხელებით და გამოიყენება მტკვენის სხვადასხვა ჭერა: მჯიღი, მუშტი, გორიანი, ქიმუნჯი, ბლიკვი, საზალტე, სავარცხელა, ნეფი, ქიშტი, კიწანი, მაჯაგანი და სხვა. აგრეთვე გამოიყენება იდაყვები: ლლაყვის კკრა, მუჯლუგანი, ჯლიქვი. განსაკუთრებით სახასიათოა თაურები, თეძურა კკრები და მხრით ჯიკავი. ქვედა კიდურით შეტევისას იხმარება: ბასმა, მუხლი, ხომი, ახმი, ჭვინტი, პიწკი, ერგცერი და სხვა.

ჭიდაობიდან შერჩეულია ძირითადად ისეთი ილეთები, რომლებიც იძლევა მოწინააღმდეგის სწრაფად მოშორების საშუალებას (მეტწილად პაექრობის ჯგუფური ხასიათის გამო). გდება თითქმის ყოველთვის არის შემზადებული ჯიკავით ან დარტყმით. ამგვარად, მოწინააღმდეგე ძირს დარეტიანებული ვარდება, რაც ილეთის შედეგს აძლიერებს. ფანდებიდან ყველაზე ხშირია კისრული, ცერულები, ფეზხაბიჯები, მოგვერდი, მოცელვები, ნამგალები, ამოსული სარმები და სხვა ეფექტური გდებები.

იკრძალება საზარდულში დარტყმა, თვალების დაზიანება (ვთქვათ „ბაკის“ - საჩვენებელი და შუათითის ორკაპის კკრა).

კრივის ქართულ ნაირსახეობებში თითქმის არ გვხვდება ფეზით მკერდსზემოთ შეტევა, რაც შერკინების სამხედრო-გამოყენებითი ხასიათით უნდა აიხსნას (ბრძოლაში

წონასწორობადაკარგულ მეომარს უკეთეს შემთხვევაში გათელავა ემუქრებოდა). ამ მხრივ გამონაკლისია ფეხით კრივის რაჭული და სვანური ნაირსახეობანი, რომლებშიც ბელის ხმარება აკრძალულია.

ფეხით შეტევებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეებს განეკუთვნებიან: წიხლი, პანღური, ჭიტლაგი, ტლინკი, ბასმური, ხომური, ქუსლური კაური და ჩაძნეყვა. თუმც კი ყველა ოსტატს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ილეთი და დარტყმის მოხაზულობა ჰქონდა.

30-იან წლებში მოხევური „წიხლაობის“ ცნობილი ოსტატი ყოფილა სერგო კაზალიკაშვილი („თეთრმუცელა“), მისი მოწაფე ყოფილა შალვა გაგნიძე, ასევე უბადლო მოწიხლავე.

სერგო კაზალიკაშვილი (ცაზიკიძე)

46-ში შემდგარა შერკინება „წიხლაობაში“ სიონელ მიშა წამალაიძესა და სნოელ ნოდარ ხართიშვილს შორის, რომელიც მე-9 წუთზე წამალაიძეს მოუგია.

მოძიებული 130-მდე ილეთი დამუშავებისა და გარჩევის პერიოდში გახსნის გაცილებით მეტ რაოდენობას ილეთებისას, რაც საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქართული „არეული კრივი“, როგორც სახეობა, აღდგენილია.

ამ ილეთების ნაირგვარობა და რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ ქართული კრივი ოდესღაც დახვეწილი და შეკრული სახეობა იყო. სკოლა რომ ქართულია, მოწმობს როგორც უძველესი წყაროებით შემონახული ძველი ლექსიკური მასალა, ასევე ორთაბრძოლაში გამოყენებული მოძრაობების მსგავსება ქართული ცეკვის ილეთებთან.

არეული კრივის სიტყვის კონაში შესულია მთელი ლექსიკური მასალა მოწესრიგების გარეშე, რადგან უფრო ზუსტი დალაგებისთვის საჭიროა გარკვეული პრაქტიკა. ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე ერთი შეხედვით ართულებს დასახელებათა გამოყენებას, მაგრამ სამაგიეროდ, კრივის თითოეულ სკოლას შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს საკუთარი ხელწერის შესაბამისი ჩარჩო.

აბასტად – უწუმ, მოსხლეტით, არდისული
აბრაგანი, აბრაგინი – ამოკვრა, აპერკოტივით
ათო - ქმედების ქვემო მიმართულება (მეგრ.)
ალა-მალა - აქეთ-იქით (მეგრ.)
ალაფალა – ყურთაგლეკვით ატაცება
ალიყური – სილა
ალმეფდად – მხარიღლივ
ალახმალახი – წაღმა-უკუღმა
ალქატად – მსუბუქად
ამგნივ – აქაით, ამ მხრიდან
ამლათი – უცაბედი
ამპა – კინაღამ
ამფაზი – მეწყვილე
ანაზდი – მყისი, იჩქითი, არდი, ნვინი
ანასტარ – ანაზდად, არგონით
ანდედ – ადმათ, ალალბედზე
ანკრად – გადაკვრით დარტყმა
ანტრად – მრავლად
არადიათ – იშვიათად, არიელად
არვად – აფორიაქებით
არინი – არინება, ასხლეტა დაკვრისა
აფარება – დარტყმის შეკავება
აფრაკი – იფრიტი, ჩახვეული, მაჯაში ბრუნით დაკვრა
ახმური – ტერფის ზურგით
ახრევს – აქნევს (ხრევა)
ბაგუნი – ბასკუნი, რბილზე ცემა
ბარიბარ – თანაბრად
ბარიშალი – ჩზუბი
ბასმურა – ტერფის შიდა მხრით
ბაკი – სიტყვით შეშინება
ბაღვა – გლეკვა, ხოკვა
ბაყუნი – ღონივრად რტყმევა, ბეთქვა
ბაჯი – სალოკ-შეშუალის ტაკება
ბეგვა – ცემის სახეა, ზაპუნი, ბერტყვა
ბეკება – კუნტრუში
ბილა – ვერმორტყმა, დაცილება დაცდენა
ბინიკი – ჩარტყმა, წარტყმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძგი – ხელის ან მხრის კვრა
ბლიკვი – მუშები (ცერით თითებქვეშ)
ბრექა – გულმკერდის ბზეკა
ბრიალი – ჰაერში ტრიალი
ბრკოლა – ფეხის შეცდენა
ბრმა სილა – სილის სახეა
ბრჯუ – გვიან მოქმედი
ბუბნა – წაქცეულის ტორვა, ბეყვა
ბუზვანი – მუშტის ცემა
ბუქნა – ჩაცუცქვა-ახტომა
ბუნვა – ღონივრად შემოკვრა
ბღვერა – ავად ყურება
გაბეჭვა – ბეჭებში დაკვრა
გაბუნდაგება – განადგურება
გაგლა – გათელვა
გათხოვნა – საპაექროდ გაწვევა
გაკვრა – განზე მორტყმა
გამა - დარტყმა
გამუშტვა – მუშტით ცემა
გამხან - გვერდიდან (სვან.)
განთხი - ფეხის ღონე (მეგრ.)
გაბქრევა – წვრილად დალეწვა
გარისაკ – გარეთ მიმართული
გასხირავა – გაჭიმვა
გაჟღოლვა – გვემა, მძიმედ გალახვა
გარდით – შორიახლო
გასხლეტა – შებორკვისგან თავდაღწევა
გატოშვა – ბღაჯით ცემა
გაშპობა – მოსხლეტით გაცლა
გაცემება - ორმხრივი დარტყმები
გეზად – ცერად, ირიბად, ქეშად, ალმეშად
გერივ! – დარტყმის გამეორება
გერინა - დგომა (მეგრ.)
გვემა – მეტისმეტი ცემა
გლა – მოსრესა
გორიანი – მუშტის სახეა
გორინა - დისტანციის დაცვა (მეგრ.)
გულგარა – ზერელედ
დაბალთვა – დაფითვა, წვრილად დაკოდვა
დაგანება – დასარტყმელად მიტანება
დაზმა – დახანება
დათრგუნვა – ხერგნა, ფეხით ქელვა
დაკაული – ტეხილი დარტყმა
დაკოვზეთ – სილა ჭაჭვით ყურზე
დარეგვა – ზემოდან ბლიკვით ცემა
დარტყმა - დაკვრა, თხლეშა, დრუზვა, თქეფა, დგვეფა
დასანგება – დაყოვნება
დასარსამება – დარეტიანება
დასეგება – ძალის გამოლევა
დასპარტება – თავით დახეთქება
დაურვება - დამორჩილება
დაღალატება – დარტყმის ჩაქრობა
დაღირება, ზურტული – დასარტყამად შემართვა, (დაკვრა სჯობს დაღირებასა)
დაღლეტა – კანის დაზიანება
დაშთობა – მოხრჩობასავით
დაჩალება - დაგლახება (მეგრ.)
დაძეკვა – ზეპვა, დაზეპვა
დაწნეხა – ფეხით შედგომა
დგერი – დგომი, შაქი
დირსაფი - თაეის კვრა (მეგრ.)
დლაყვი – იდაყვით წინ კვრა
დოგადოგა – მონდომებით
დოკინა - უკანდახევა (მეგრ.)
დორთა - მხრის აქცევა (მეგრ.)
დღუზვა – დარტყმის სახეა
ელანძე – მეყსეულად
ერგცერი – თითებგამართული ტერფი
ვეგურა – დარტყმა კოჭით, ფეხამობრუნებით
ვერაგი – ცრუ დარტყმა
ზემზემ – ზემოდან, ზეგარდმო
ზერე – ზემოთა
ზმული - აჩქარებული
ზორვა – ზურგზე ცემა
ზუზარა – ზუსტი
ზუზივ – ზუსტად
თავროკა – მაგართავვიანი
თაურები – (იხ. ილუსტრაცია)
თაფთაფანა – ცხარე ჩხუბი
თეძური – თეძოს კვრა
თვალსიერი – აღქმის სისხარტე
თქრომა – მიფრენა
იაღმა – უკუღმა
იგურდიკ – გვერდულად
ილარინა - გვერდით ამოდგომა (მეგრ.)
ილინცურად – ირიბად
ითნქრად – ზერელედ, მსუბუქად
ირმიცი – დახრილი
ისკუი – ადგილზე შეხტომა
იხელთა – ჩაავლო, იგდო
კამუკი – მსუბუქი ჩხუბი
კანტი – სხარტი
კაურა – მოხრილი მკლავით შემოკვრა
კებეხი – კელენჯერი, მიუდგომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კემუტი – შეუპოვარი
კერკეში, კესელო – მკერივი
კეში – უხეში, გამაგრებული
კვარტი - წიხლის სახეა (მეგრ.)
კვიდმი – ჯივჯგი, მკვიდრი
კვინტი - წიხლი
კირთება – შეტევა მოუსვენებელი
კირწიკირწა – კისერზე გადაბრუნება
კიწანთ – მტევნის გარე კიდით
კოდო – მძიმე, ნელი
კონტი – საპირისპირო ხერხი
კორიკი – რწევა, ქანაობა
კოჭა – როკეა ბუქნასავით
კოჭუკუდმა – ?
კოხი – წიხლის სახეა
კუკუ – პანლურის სახეა
ლაყორა ქვადყიე – დაკოვზვით შემოკერა (სვან.)
ლარაკვა – ჩალაკვა, ლახვარა, კაკვა, ცაცია
ლახვა – ცემა
ლიგმად – ოდნავ
ლიმა - ბრძოლა, ომი (მეგრ.)
ლილუ – ნაკრავი, მორტყმის კვალი
ლიყაარია – უიარაღოდ(!) კრივი (სვან.)
ლიკლიქყია – ორი ხელის ნეფით კვრა (სვან.)
მადგინო – ურყევი
მანქანება – ხრიკთა ერთობლიობა
მაოტი – გამაქცევი
მალიად – სწრაფად, ხაფად
მეოტი – გაქცეული
მისკმა – მირტყმა
მოკოტვა – ჩხუბიდან გაქცევა
მომუშტავი – მოკრივე (თუშ.)
მონუსხვა - ნებისყოფის წართმევა
მორინა - მხარდაჭერა (მეგრ.)
მოსარგალება – მოსრაგნა, გაქელვა
მოქედურება – ქედის მოხრა
მოქლეშა - წაგლეჯა ხორცთა
მოჭენტა – მოგრეხვა, მოხამურება
მოხრესა – დაჭირებით მოგლა
მუქარანი – მეტოქენი
მუქაფა – მორგვნა, საპასუხო დაკვრა
მუღრაობა – რისხვით ქადილი
მუშტა'ობა – თუშური კრივი
მუშტი – თუ ცერს გარდა სცე, მუშტუკუნი
მუჯლუგანი – იდაყვის უკუკვრა
მჯიღი – თუ ნეკის მხრიდან ჩცე, მჯიღი ნები – ბღაჯის ქვედა ბალიში
ნჯიქვა – იდაყვის კვრა
ონილ – ეშმაკურად
ორგნით – ორივე მხრიდან
ორპოტიკი – ორიანი შეტევა
ოჩოკური – უხეირო ქნქდება, დაკვრა
ოხტი – სამაგიერო
პარაკად – უნებურად
პარეხი – მოძრავი, ენერგიული
პაღური – უკან მუხლის ამოკვრა
პიწკით – მოხრილი ფეხისთითებით
პუწკით – სამი თითის შეერთებით
ჟატვა - დაკრულვასავით, ჟუჟი
ჟეჟა – ხორცთ დაჯეჭკა
ჟვერვა - ჟვარუნი, ჟღოლვა,
ჟინ - ზევით (ლაზ.)
ჭრიატი - იდუმალი მიში
რაგვინი - დატაკება (მეგრ.)
რაკაფი - მძიმე დარტყმა (მეგრ.)
რთხმა - გაჭიმვა
როფვა – ხმაურიანი დარტყმა
რტინა - ოტება (მეგრ.)
სავარცხელა – მტევნის ზურგით
საზალტით – მტევნის ზურგით
საფრთხოლი – დასაფრთხობელი, ყურადღების გადასატანი
საცდური – ცრუმოძრაობა
სილა, სილაქი – გაშლილი ხელით შემოკვრა
სისრა – გატყორცნა
სკმა – სკმევა, ცემა
ტალამში – ქიმუნჯის დაკვრა
ტაროცი – მზადყოფნა
ტახუნი - ცივი ხმის დაკვრა
ტკეპნა – დატერფვა
ტკეცება – შეხეთქება
ტლინკი – ტყუპი წიხლი
ტოლიკი – მირტყმა-მორტყმა
ტონტორიკი – ცრუდარტყმა, ტუნტური
ტორცაფი - ძლიერი დარტყმა (მეგრ.)
ტოჩება – მუქარა
ტრელად – მიპარვით, უწუმრა
ტრელი – ფარული დაკვრა
ტურინი - გაფრენა (მეგრ.)
უდიერი – ძალის დატანება
უკუდგომა - უკანდახევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუყრა – მოგერიება
ურგბი – მოუდრეკელი
უხრული – უხერხული
ფა - მაგი (ცალფა - ცალმაგი)
ფარიზი – დაფარული ადგილი
ფეთი - საფრთხოლთაგანია
ფეხდაბიჯება - შეტევის ელემენტია
ფოცი – სწრაფად მიმუშავე
ფრენწინლი - ნაზტოლში ჩაწინლვა
ქალოქად ბელეე - მზის წნულში კვრა (სვან.)
ქაფო – მკლავმრუდი
ქიმუნჯი –მუშტის სახეა
ქიშტი – გოგებით ქურჯვა
ქოთება – ხეთქება
ღაფლად – ვერაგულად
ღუზვა – ყვინთი, ყურვა
შარამთი - ჩხუბი
შაქი - საბრძოლო დგომი
შებმა - შერკინება
შეთე – ფეხმოუცველელი
შიგისაკ – შიგნით მიმართული
შიშხათი – დაშინება
შუნდუკ – გორიანით კვრა (სვან.)
ჩანარი – მაჩხუბარი
ჩეჩქვა – ძეგვა, ნაყვა, ჯეჭკა
ჩოქელა – დაჩოქილ მდგომარეობაში
ჩუვ - ქვემოთკენ (სვან.)
ჩურგნა - თავის გლაჯუნი
ჩუჩხური - წაქეზება
ცაკვა - დაკვრის სახეა
ცემა - ბუნა, ტყეპა, ბეგვა, ჟაპუნი, ბეეკა, ტორვა, ჯიგვა
ცრეხა – მოღრეცა
ცუდაობა - უხეიროდ მოქმედება
ცხაკვა - სუსტი დარტყმა (მეგრ.)
ცხუნება – დაკვრის სახეა
წკეპა – მცირედ ცემა
წკიპი – ტერფის წინა ბალიში
წრიხი – წიხლი, კვინტი, კოხი
ჭაჭვი – პეშვის დაკოვზვით
ჭვინტით – თითგამრთული ფეხის კვრა
ჭიტლაყი – პანღურის სახეა
ხალახუნცული - ჯგუფური ჩხუბი
ხაცხაც – შეცდომით
ხდომა – თავდასხმა
ხელამუთა – ფრთხილი
ხელუბეკი – ზანტი
ხელუკუღმა – სავარცხელასთი
ხენკალი – დაღლილის მუშაობა
ხვატა - კბილის კრეჭა
ხლეწა – დარტყმის სახეა
ხომურა – ტერფის კიწანით
ხურთვა – ზემოდან ბლიკვნა
ჯაათი – წინააღმდეგობა
ჯალდვა – მორევნა
ჯგვერება – გორიანის ტაკება
ჯგელეშა - ბლიკვნა
ჯგლითი - შეხლა-შემოხლა
ჯეკნა – ქუსლით ჩაძნეყვა
ჯილეხი – ძნელმისადგომი
ჯიქურ – პირისპირ
ჯიხი – თავით პირდაპირი
ჯიჯა - მუშტით პირდაპირი
ჯლიქვი – იდაყვის განზე კვრა
ჯმაჯური – მზუთავი ილეთი

ხის იარაღით რაკენა

ხის იარაღი შრომისა და ბრძოლის უძველეს იარაღთაგანია და შესაბამისად, უძველეს თქმულებათა განუყოფელი ნაწილი. მისით სრულდებოდა ვეგეტატიურ ღვთაებებთან დაკავშირებული წესჩვეულებანი და მხოლოდ რწეულთ ჰქონდათ მისი ხელთაყრობის უფლება. ზღაპრებსა და ლეგენდებში ასევე ზშირად გვხვდება ჯადოსნური ჯოხი თუ ჯადოსნური კვერთხი, რომელთა მფლობელიც ან ღვთაებაა, ან რჩეული.

მცოდნე მებრძოლის ხელში კი ჯოხი მართლაც ჯადოსნური იარაღია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში (ძირითადად ღარიბ ფენაში) მასობრივად იყო გავრცელებული ხის იარაღით ორთაბრძოლა. ასევე აღსანიშნავია სახეობათა მრავალფეროვნებაც. ეს იყო მეტწილად სამეურნეო იარაღი (მერული, ანწუხი, ხვედა და მისთანანი) მაგრამ ზოგიერთი მათგანი საგანგებოდ საბრძოლო დანიშნულებისა იყო (არგანი, კომბალი, კვერთხი, ტოკვეცი, ქაჩაბური და სხვა). სიდიდის მიხედვით ხის იარაღი შესაბამის მანძილზე ბრძოლაშია უფრო ქმედითი (მაგალითად: ახლო მანძილზე –

ტოკვეცი, საშუალოზე – ლენგერა და კეტელა, შორზე – ტორი და კომბალი). გარდა დარტყმა-ჩხუტებისა, ეს იარაღი მეტად მოსახერხებელია გდებებისა და მოცილებების, კიდურის გაკავების, ტეხვისა და გრეხვის განსახორციელებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტურია თავკავა ხის იარაღი. თავკავა იარაღით სარულდება აგრეთვე მოწინააღმდეგის დათრევა, მისთვის იარაღის გრეხვით ართმევა და მისთანანი.

ანწუხისა და ჯგვერისნაირნი უფრო შუბისთვის დამახასიათებელი ილეთების შესასრულებლად გამოიყენებოდა. ასეთი იარაღი მოსახერხებელი იყო გამოქანებული ცხენისთვის დაბჯენით დასაჭედრებლად, ხოლო გარას და ხალხას უნარიანად მფლობელი კი მხედრისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელი ხდებოდა.

ტოკვეცი მომცრო ზომის, ოდნავ გადრეკილი და თავკომბალა ხის ხელკეტია. ბოლო 3-4 საუკუნის განმავლობაში ტოკვეცი ქალაქური კრივობების, კერძოდ, „სალდასტი კრივის“ იარაღად იქცა, რამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ორთაბრძოლის ეს სახეობა.

ხის იარაღთაგან ტოკვეცი გამორჩეულად პოპულარულია, რადგან შედარებით მცირე ზომისაა და სატარებლად მოსახერხებელი. შეტევის მოზაზულობით იგი ხმლის ან სატევრის მსგავსია და ოსტატის ხელში თავდაცვის ქმედით საშუალებას წარმოადგენს.

ტოკვეცით ბრძოლისას (როგორც ზედა, ისე ქვედა კიდურით შეტევის დროს) სრულდება კიდურის მტკივნეული ხლართები. განსაკუთრებით ქმედითია შეტევა კვირისთავზე, კოჭზე და იდაყვის სახსარზე. ხშირია მაჯის სახსარზე უკუშეტევა მკლავის „დაბერტყვით“, რაც დარტყმას მოულოდნელს ხდის. მომცრო ზომის წყალობით ტოკვეცი ახლო ბრძოლაში ჭიდაობის ილეთების და კრივის დარტყმების შესრულების საშუალებას იძლევა. მეტოქის დასაბნევად ხშირად გამოიყენება აგრეთვე ტოკვეცის ტრიალი მაჯაში („ტორღვება“).

ჩვენში, იარაღით თუ უიარაღოდ რკინებისას, მიღებულია მოწინააღმდეგის დაყოფა შესაბამ ზონებად. ეს ზონები იცვლება იარაღის სიდიდის და გვარობის მიხედვით, ასევე ოსტატის შეხედულებისამებრ, მაგრამ შეტევა-დაცვის ზონური პრინციპი უცვლელი რჩება. მაგალითად - თუ ხმალაობაში გამოკვეთილია ორი ზონა და ხმლის ოთხი პოზიცია, ხანჯლაობაში ოთხი, ხოლო ხევსურულ ფარიკაობაში ხუთი ზონური ჩარჩო გვხვდება.

როცა ორთაბრძოლა ორი ტოკვეცით წარმოებს, ერთი მათგანი ყოველთვის უკანა ხაზზე, დაზღვევაზე იხმარება. წინა ტოკვეცით შეტევისას მეორე შესატევ ზონას იცავს, მაგრამ თუ ტოკვეცი ერთია, მაშინ თავდამცავ საშუალად იქცევა, რადგან, რიგი უპირატესობის მიუხედავად, მოზრდილ იარაღთან დაპირისპირებისას, ძირითადად მაინც პასიური იარაღია და მის მარაგში უფრო უკუშეტევის ილეთები ჭარბობს (თუმც კი საბოლოოდ ყველაფერს მაინც ოსტატობა და გამოცდილება წყვეტს).

გარდა ისტორიული და ეთნოგრაფიული ფასეულობისა, ტოკვეცი ფიზიკური მომზადების უნიკალური საშუალებაა, რამეთუ თავის საბრძოლო არსენალში მოიცავს ხელჩართული ბრძოლისათვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს და, აქედან გამომდინარე, მას დღესაც არ დაუკარგავს გამოყენებითი ღირებულება.

აზარმაცი ჭურის სატკეპნის მსგავსი მსხვილი, თითქმის კაცის სიმაღლე კეტია. როგორც ჩანს, ეს იარაღი საკმაოდ გავრცელებული იყო. მას ხშირად ლეელოს თამაშშიაც იყენებდნენ. ჯეიჯეერობით ერთადერთი შერკინების ფორმაა დაფიქსირებული:

- იმერეთში მდინარის სიპ ქვებზე მდგომი ყმაწვილები ცდილობენ მეტოქის წყალში ჩაგდებას აზარმაცის დახმარებით. ეს შერკინება ხელს უწყობს მოქნილობისა და წონასწორობის შენარჩუნების უნარის, აგრეთვე კიდურების განვითარებას.

აზარმაცის მოხმარების ხერხები თითქმის იგივეა, რაც გურზისა. გურზი შედარებით შეძლებულთა იარაღი იყო. აზარმაცის სწრაფი ქნევა, მისი დიდი მასის გამო, შეუძლებელია. მეორე მხრივ, მოხვედრის შემთხვევაში, გარდა სერიოზული დაზიანებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მასა მეტოქეს ადგილიდან წყვეტს. ამიტომ, ასეთი შერკინების დროს, დარტყმის შეკავების ნაცვლად, უპრიანია გარიდება.

მუჯირა სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: სვანეთში – მუჯირად, რაჭაში – მუჯრად, აღმოსავლეთ მთიანეთში – მიჯვრად, კახეთსა და თუშეთში – ჭიგუნად (თუმც კი ა. ჭინჭარაულის შენიშვნით ჭიგუნი, იგივე ჭიკუნი, ჭიკუთა, ანუ ჯაჭვის რგოლთა ასხმულია). ასეთი ფართო გავრცელება მის პრაქტიკულობას ადასტურებს. გარდა საბრძოლო დანიშნულებისა, ეს იარაღი მფლობელს უადვილებდა რთულ რელიეფზე გადაადგილებას, რის გამოც იგი ძირითადად მთიან მხარეებში იყო გავრცელებული.

სვანური მუჯირა დაახლოებით 4 სმ. სისქისა და 120 სმ. სიგრძის ჯოხია, რომელიც ნაჭედი რკინის კვადრატული განივკვეთის პირამიდული ბუნიკით ბოლოვდება. ბუნიკის სიგრძე 35-45 სანტიმეტრს შორის მერყეობს. ბუნიკი ფუძესთან გადადის მოქლონისათვის ფერდგახვრეტილ ცილინდრში, რომელშიც მაგრდება ზეტარი. მუჯირას მეორე ბოლოზე თავიდან რკინის ბურთი მაგრდებოდა, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევიდან ეს ბოლო სრულისას თოფის დასაყრდნობ ორკაპად იქცა.

მუჯირა შერკინებაში მომცრო ზუბის დარად გამოიყენებოდა. მჯობნის დგინების მიზნით პაექრობის წესებიც კი არსებულა. შერკინებისას გამოიყენება როგორც საჩხუტი, ასევე საცემი ხერხები. შეტევის შესამზადებლად გამოიყენებოდა მუჯირას დაბზრიალება თავზევით და სხეულის ირგვლივ.

რამდენადმე განსხვავდება ამ იარაღის რაჭული, ხევსურული და თუშური ვარიანტები. ეს ძირითადად ბუნიკის სახეცვლილებით გამოიხატება.

ხანჯლაობა

„ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ, ორივე გვერდით მჭრელიო,
გპატრონობს გული ფოლადი და გიპყრობს რკინის ხელიო."

აკაკი

ადრებრინჯაოს ხანაში ერთ-ერთი პირველი ლითონნაწარმი, რაც წინაპარმა შექმნა, შეძლებისდაგვარად დიდი სამკვეთლო იარაღი იყო. მას აქეთ დაახლოებით ზუთი ათასმა წელმა განვლო.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალა ძირითადად ეყრდნობა კავკასიასა და საქართველოს მთიან რეგიონებში შემორჩენილ ხანჯლის ხმარების კულტურასა და ტრადიციას. საქართველოში არსებობდა ხანჯლით (სატევრით) ბრძოლის არაერთი კუთხური სკოლა. ეს მიმდინარეობები ერთმანეთისაგან ძირითადად ორთაბრძოლის წესებით, ანუ შეზღუდვის წინასწარი პირობით განსხვავდება, რაც მოიცავს: მზერის შეზღუდვით (თვალახვეული) რკინებას, ხელის და იარაღის შეზღუდვით რკინებას (ერთი ხანჯალით, ორი ხანჯალით, ერთი ხანჯლით ორის წინააღმდეგ და ა. შ.).

მოძიებულ სახეობათა მსგავსებას განაპირობებს იარაღის მოხაზულობა და სარიტუალო წეს-ჩვეულებანი, რომლებიც ათასწლეულთა სიღრმიდან თითქმის უცვლელად მოვიდა ჩვენამდე.

მოძიებული ნაირსახეობანი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად - თვალახვეული და თვალხილულ ხანჯლაობად.

თვალახვეული ხანჯლაობა, თავის მხრივ, იყოფა ორ ძირითად სახეობად:

- რკინება ცალ ხელში ხანჯლით, მეორეში „საჩხრიალოთი", ან ორი ხანჯლით;

- თვალახვეულის რკინება თვალხილულთან (გადმოცემაში შემორჩენილია აგრეთვე თვალახვეულის შიშველი ხელებით ან ხელში თავსარქმელის ამარა შერკინება თვალაუხვეველ, შეიარაღებულ მეტოქესთან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანჯლაობა
(შეტევისა და დაცვის ძირითადი ჯგუფები)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატევრით რკინება

დათვია წიკლაური საბრძოლო ხელოვნების აღორძინების მესვეურს ნუკრი აბაზაძეს გადასცემს ხანჯლაობის ილეთს

უბადლო მოხანჯლავე საშა გორელი (მარცხნივ)

თითო სატევრით

ქავთარ მამიაური ახალგაზრდა მკვლევარს კობა აბრამიშვილს უხსნის პირდავლით შეტევას

წყვილი სატევრით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატევრით რკინება
(ფაალ ქანთარია, ბიორგი ჩხეიძე)



ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალახვეული ხანჯლაობა სხვადასხვა სახით ცნობილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და, საგანგებო ვარჯიშის გარდა, დუელის ეროვნულ სახელად წარმოადგენდა. შერკინების სირთულის გამო გამარჯვებულზე იტყოდნენ: „ალალი კაცია და ღმერთი ფარავსო". მართალია, ამგვარი ორთაბრძოლა ძალზე სახიფათო იყო, მაგრამ მებრძოლი, რომელიც რამდენიმე ასეი შერკინებაში გამარჯვების შეძლებდა, არსებითად მზად იყო ურთულესი სამსტოვრო დავალების შესასრულებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ საბრძოლო შეტაკებაზე.

განსაკუთრებული სირთულის გამო ამ სახეობაში ადრეული ასაკიდან მიმდინარეობდა ბავშვების წვრთნა - ჯერ წესების შესწავლით, ხოლო შემდეგ საგანგებო სეფურით. სეფური დღითიდღე რთულდებოდა და ნამდვილ შერკინებამდე ყმაწვილს უკვე სულით ხორცამდე ჩამოყალიბებულ მებრძოლად ადგენდა (ამ შემთხვევაში ძირითადად ვეყრდნობით თვალახვეული ხანჯლაობის მეგრული ნაირსახეობის - „ხინტკირიას" შესახებ კოლა ჭილაიას და გაიოზ ბოკერიას მიერ მოწოდებულ მასალას). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით თვალახვეული ხანჯლაობის სხვადასხვა სეფურებს თამაშობების სახით: „დაბუჭობანა", „ჭიტა–ჭიტა მეო", „ხელდაკერია" და სხვა, რაც თვალნათლივ მოწმობს ამ სახეობის ზოგადქართულ ხასიათს. სამწუხაროდ დღეს იგი რამდენიმე ხანდაზმულის მეხსიერებაშიღა შემორჩენილა.

თვალხილულად ხანჯლაობა იყოფა ძირითადად 3 სახეობად.

ესენია: ერთი ხანჯლით, ორი ხანჯლით და შერეული, სადაც ხანჯალთან ერთად გამოიყენებოდა სხვა დამხმარე იარაღები (უბის ფარი, ქუდი, თოკი, სარტყელი, სამკლავე (ხელნავი) და სხვ.).

ერთი ხანჯლით ბრძოლა იყოფა ორ მიმართულებად:

– ცალი ხელით ხანჯლაობა, როცა შეიარაღებული ხელი დაცულია ხელნავით და მეორე კი გაკრულია ზურგს უკან (თუშეთი, ფშავი...);

- შეუიარაღებელი ხელი თავისუფალია და მუშაობს დაზღვევაზე. ამ შემთხვევაში ზშირია თავისუფალი ხელით დარტყმა, ჯიკავი, დაჭერა (ეს უკანასკნელი საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება) და ა.შ.

ცალი ხელით ხანჯლაობებიდან უაღრესად საინტერესოა სვანური ნაირსახეობა, როდესაც უშუალოდ შეტევამდე ხანჯალს ზურგს უკან მალავენ, რათა მოულოდნელი და გამოუცნობი გახადონ შეტევის მიმართულება.

ხანჯლაობაში წვრთნა მიმდინარეობდა წესით – მარტივიდან რთულისკენ და თამაშ-თამაშ. გარკვეულ ასაკამდე (დაახლოებით 10-12 წლამდე) ხდებოდა ძირეული ჩვევების გამომუშავება - იარაღით სწრაფი სირბილი, ქვიდან ქვაზე ხტომა, ბოდორში ჩახტომა-ამოხტომა, საჩვევი იარაღის ტრიალი – „ტორვევა" („ქიჩილობია"), სიპ ქვებზე შემდგართა "ტოტაობა" – მკლავთა "ხლართი", საჩვევი იარაღით ბღლარძული, მდინარის კალაპოტში ქვებზე ფეხდაუდგომლად სირბილი, ხანჯლის დამალობანა, აგრეთვე ნასროლი ვაშლის ხანჯლის წვერით დაჭერა ან გაკვეთა ჰაერში, უწვერო სარის მოგერიება და ა.შ.

დღეისთვის მოძიებულია ხანჯლაობის ასორმოცდაათამდე ილეთი. ამათგან გამორჩეულად საინტერესოა ილეთები: გამოწალვა, ჩეხვა, მოსმა, ჩხუტება, კვრა, აკვრით მოსმა, დაღალატებით დასმა და სხვანი.

ფარიკაობა

„სოფელსა არდარეულსა არა აწყნარებს ჭკვის მეტი,
მტერ რახან არ იჯერებდის, არა აყენებს ხმლის მეტი!"
ხალხური

ამ მასალაზე მუშაობისას აკადემიკოს ვასილ ელაშვილის ნაკვლევი შეივსო იმ ილეთებით, რომლებიც მიზეზთა გამო ვერ მოხვდა მის ადრეულ ნაშრომებში. გარდა ამისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეტევისა და თავდაცვის კლასიფიკაცია ხევსურულ ფარიკაობაში (ვ. ელაშვილის მიხედვით)





ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევას შეემატა ექსპედიციებში მოპოვებული, მოხუცებულთა მეხსიერებას შემორჩენილი ინფორმაცია და დღეს, არსებული მასალის საფუძველზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხევსურული ფარიკაობის ძირითადი მონახაზი და საბრძოლო ილეთები თავმოყრილია; რაც საკმარისია ამ სახეობის აღდგენისათვის.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხერხდება საოჯახო და საგვარეულო სკოლების ცალკე გამოკვეთა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩატარებული სამუშაო მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მეტად უსამართლოდ მივიწყებულ საქმეში.

ხევსურული ფარიკაობა გახლავთ მრავალმხრივ უნიკალური სახეობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი მკვიდრი ქართული წარმოშობისაა. ისტორიული წყაროების თანახმად მთიანეთში უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში იკვეთება ფარიკაობის გამორჩეული ხელწერით აღბეჭდილი სკოლა. წყაროს თანახმად ფშავ-ხევსურთა საფარიკაო ოსტატობას რომაელთა მრავლისმნახველი სარდალი პომპეუსიც მოუხიბლავს. მას საკმაგები სანახაობაც კი გაუმართავს „თუ ვითარ ზმარობდნენ იგინი საჭურველთა საომართა და ჰყვეს მათ ვარჯიში ხმლითა და ვითარს სახითა ჯერ არს ბრძოლასა და შინა ზმარება ხმლისა და ფარისა“.

ამ სკოლის გამორჩეულობა ის გახლავთ, რომ ბრძოლა წარმოებს ძალზედ ზუსტი, დაბვეწილი მოძრაობებით, მაგიდან „ძალის დაბერტყვით“, რიცა შემტევი ხელი ფარს უკან იმყოფება, რაც თავდამცველს ურთულებს შეტევაზე საპასუხო ქმედების დროულ შერჩევას. ფარიკაობა, თავისი ცხრა ძირითადი დგომის გამო, ძალზე მომჭირნეა დაცვაში და სხარტი შეტევისას, რაც საშუალებას იძლევა ძალის უმცირესი დანახარჯით მიაღწიო შედეგს (ადვილი მისახვედრია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს მებრძოლისთვის, ვისაც მუდამ ჭარბრიცხოვან მოწინააღმდეგესთან უწევდა შერკინება).

გარკვეული მასალაა მოკრებილი აგრეთვე მეომართა საკულტო სკოლების შესახებ, რომელთაც „ხატის მეომრებად“ მოიხსენიებენ. ისინი წინასწარ შეთქმით მიდიოდნენ ბრძოლაში და მხოლოდ ხატის ან სალოცავის „დავალებით“ იბრძოდნენ.

ხევსურები თავიანთ ყმაწვილებს ხუთი წლიდან წვრთნიდნენ სამხედრო საქმეში. წვრთნის წყობა თითქმის უცვლელი სახით შემორჩა მთაში ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე, რამაც საშუალება მოგვცა, შედარებით სრულად გავცნობოდით მას. ყმაწვილთა წვრთნა მეტწილად მიმდინარეობდა საფიხვნოზე, სადაც მამა-პაპისგან სახლში ნასწავლს მკაცრ და პირუთვნელ უხუცესთა წინაშე აჩვენებდა მომავალი მეომარი.

ბრძოლაში ხევსური, როგორც ჭეშმარიტ ოსტატს შეჰფერის, იყენებდა როგორც რელიეფს, ასევე ყველა ხელთმოხვედრილ საგანს. ასე რომ, ერთი მხრივ, ჩვენს წინაშეა მკაფიოდ გამმარული სახეობა და, მეორე მხრივ, ბრძოლის თავისუფალი სტილი, რომელიც, მებრძოლის გამოცდილებისა და ვითარების შესტყვისად, ზშირად სრულიად მოულოდნელ განვითარებას პოულობს.

ხევსურული „ჭრა-ჭრილობა“ ასევე საბრძოლო შერკინების ნაირსახეობაა. მისთვის დამახასიათებელია „მხარიღლივ დაკვრა“ (მახვილის დაკვრა ხდება მხარზემოდან მოქნევით, რაც მოქნევას ძალოვანს და გამეტებულს ხდის). „ჭრა-ჭრილობაში“ გვხვდება სხვა ძალოვანი მოქნევებიც: „თავშემოვლებული“, „მკერდით ჩეხვა“ და ა. შ.

ზეზელა და ჩამუხვით კეკნაობანი საჩვევ-საკარჯიმო დანიშნულებისაა. ეს შერკინებანი იმდენად დახვეწილია, რომ სრულად გამორიცხავს სერიოზული ზიანის მიყენების ალბათობას. ფარიკაობა მიმდინარეობს უკან არდახევის პრინციპით. საერთოდ, ხევსურებს წვრთნის დაწყებიდანვე ჩვევად ჰქონდათ ერთის ორთან ვარჯიში, რათა ყმაწვილი მტრის სიჭარბეს იმთავითვე შეჩვეოდა.

ამ სახეობის ილეთთა ძირითადი ჯგუფებია შეტევის დასწრება და მოგერიება-უკუშეტევა. ჩვენთვის ცნობილი ყველა ოსტატის მტკიცებით კეკნაობისას უფრო მეტ ოსტატობად ითვლებოდა მოწინააღმდეგის შეტევისას მისი დასწრებით დაკეტვნა და ამის შემდგომ მხოლოდ შეტევების მოგერიება. თანაც დაკეტვა მით უფრო ფასობდა, რაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია ხახმატელებთან
(ისრით მითითებულია თოთია ალუდური, შემდგომში
ჩვენი მასწავლებელთაგანი)

კეჭნაობენ ზაზა პაპიძე და ალექსანდრე ლომჯარია

ფარიკაობის გაკვეთილი გიგი ფიკლაურთან

ჩამუხვლით კეჭნაობა

ხევსურული კეჭნაობა
(ვ. უვაროვას მასალიდან)

ზეზელა კეჭნაობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარიკაობა



ფარიკაობენ გიორგი ფიფრიაშვილი
და კობა აბრამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მცირე სიღრმე ექნებოდა ჭრილობას. დიდოსტატები კი, გახურებული შერკინებაში, მეტოქის მკლავიდან ხმლით ბალანს ჰარსავდნენ. ამ უაღრესად დახვეწილ შერკინებაში ასევე დიდად ფასობდა ძალის დაზოგვა - „ხმლის მეტი ქნევა მშიშრობით არიო" - მოძღვრავდნენ ახალბედებს ოსტატები.

ჩვეულებრივ, წვრთნა საჩვევი იარაღით იწყებოდა. როცა ჭაბუკი მორკინალი სათანადო ოსტატობას გამოავლენდა, მას საგანგებო წესით გადასცემდნენ „თეთრ იარაღს" - მამისეულ ხმალ-ხანჯალს და იგი ოჯახის დამცავ-მარჩენალი ხდებოდა.

წვრთნის მეთოდიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მახვილზე ძალის გატარების" ხერხი, რის უცოდინარსაც კაფიით გაკენწლავდნენ ხოლმე: „ხმალ როდი გასჭრის გალესვით, ხმალს უნდა გააჭრევინო"... რამდენადმე სახეცვლილი ეს ხერხი ხმალაობისა თუ ფარიკაობის ყველა სკოლაში გვხვდება. განსხვავებები ძირითადად იარაღის მოხაზულობიდან და გვარობიდან მომდინარეობს, აგრეთვე ილეთების დინამიკითა და კუთხის ადათ-ჩვეულებით არის განპირობებული.

ჩვენებური სკოლა, ხმალზე „ძალის მიდების" 8 წესითა და საბრძოლო ცოდნის თვითმყოფადობით, თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება სხვა ცნობილ სკოლებს და ამის დასტური კი თავად ჩვენი ერის არსებობა გახლავთ.

საუკუნეთა განმავლობაში დახვეწილი ილეთების დიდი მარაგი მეომარს საშუალებას აძლევდა გამკლავებოდა რიცხობრივად აღემატებულ მტერს და ბრძოლიდან უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოსულიყო.

ჩვენს მიერ მოძიებული ილეთების ერთდროულად მარტივი და ურთულესი მოხაზულობის მოძრაობათა შესაბამისი დასახელებებით აღწერა და სრულფასოვნად გადმოცემა გაციცლებთ დიდი მოცულობის შრომას მოითხოვს. არადა, თუ თავად ჩვენვე არ მივხედეთ, ადრე თუ გვიან (როგორც არაერთგზის მომხდარა) ამასაც სხვა დამფასებელი გამოუნნდება და დაეპატრონება კიდეც. აკი უთქვამთ კიდეც ჩოქელა კეჭნაობის მნახველ იაპონელ სტუმრებს – ამათ მგონი ამის ფასი არ იციანო.

ხმალაობა

„ქართველო ხელი ხმალს იკარ, გათენდა დღე დიდებისა"
ილია

ეს თემა ჯერ კიდევ გულდასმით შესწავლას მოითხოვს. ამჯერად საჭაშნიკოდ მოვიხმოთ რამდენიმე ცნობა.

გადმოცემმით, ერეკლე მეფეს ისე სუფთად წაუსხეპია კოხტა ბელადისთვის თავი, რომ უკვე თავმოკვეთილს დაუძახნია „დამაცა გიაურორო".

ცხენიდან ჩეხვის მეგრული სახეობა სრულდება უვადაჯვრო ხმლით. საწვრთნელი სეფური იწყება ძირსდგომში (რათა უწვრთნელმა ყმაწვილმა ხმლის ტრიალით ცხენი არ დაეშიანოს), მეორე საფეხურია მორზე გადაჯდომით, ბოლოს კი ცხენზე ამხედრებით. საბოლოო სახით ამ სახეობის შესრულებას წინ უძღოდა ჩოგანბურთი. ჩოგანი ხმლის ზომისა იყო, რათა მოვარჯიშე შეჩვეოდა მის მაჯაში ტორტლვებას და ცხენზე იარაღის ტრიალს. ამასთან, ცხენიც ჩოგანბურთს მიჩვეული უნდა ყოფილიყო, რათა მოქნეული ჩოგნისთვის, ბრძოლაში კი ხმლისთვის მოერიდებინა თავი.

თუშური (ორი ხმლით) ხმალაობის ცალკეული ელემენტები მოძიებულია თუშეთსა და გურიაში. გადმოცემით ვიცით, რომ შედარებით უკეთ იგი ფერეიდანში შემონახულა, მაგრამ სადღეისოდ მეტი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმალაობა
(არჩილ გოგალაძე, გიორგი ჩხეიძე)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმალაობის საწყისი ხეფური
(დაფნის ტორლვეა როკვით)



ორი ხმლის ტორლვეა



ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღი
(ზოგადი დაჯგუფება)

საჩვევი

- ხის საჩვევი
- დალაბრა
- მუშვილდ-კოდალი
- სათითე

თამაშობის

- ბურთები
- ჩოგნები
- ყვანჩეები
- რიკეები

საზეპელი

- მათრახები
- შოლტები
- უტარო საზეპელები

სათითენი

- საცემი
- სალაჯავი
- სასერი

სატყორცნი

- შურდულები
- ხრიკტტები
- ფილაკვნები

ხის იარაღი

- საჯგვერები
- ჭეტისებრი
- კოგალისებრი

ისრის სასროლი

- მუშვილდები
- ბოკალდები
- სასულეები
- ისრები

ცეცხლ სასროლი

- თოფები
- ხელთოფები
- ქვემეხები
- ლაღუმები

ცივი იარაღი

- საცემი
- საჩეხი
- საძგერებელი
- სამკვეთლო

სანადირო

- მახეები
- ბადეები
- რაგვები
- ქამანდები
- ოშვანდები

საჭურველი

- სარქმელნი
- ტანსაჭური
- ხელსაჭური
- ფეხსაჭური

ფარები

- დელამფარი
- ხიდიანები
- უბის
- ტყავის
- ფნული

ცივი იარაღი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმოვნური „ჯაჭვ-იარაღის“ კლასიფიკაცია
(ვ. ელავშვილის მიხედვით)





ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ იარაღი ჩვენებური ტიპის პორტრეტის განუყოფელი ნაწილი იყო

მეგრელი

იმერელი

გურული

ლაზები

ხევსურები

თავი IV

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღი

ხის იარაღი, სათითენი, საცემნი, საჩეხნი, საზეველნი, საძგერებელნი, სამკვეილონი, ფარი, მშვილდ-ისარი, სატყორცნი, ცეცხლსასროლნი, საჭურველი

„კახი ფარ–შუბით, თოფი ხმლით, ფშავ–ხევსურს შეენის ამჯარი".
გრიგოლ ორბელიანი

ხის იარაღი

ხის იარაღზე თხრობისას საინტერესო იქნება შემდეგი წიაღსვლა: უძველეს ხალხურ თქმულებებში ხშირად მეორდება სიუჟეტი, როცა ტყის სულები სერობის შემდეგ ჯოხის დაკვრით აცოცხლებენ შეჭმული ცხოველს (გავიხსენოთ ვაჟას პოემა „ხის ბეჭი"). ეს მისტერიული ქმედება ბუნების წრებრუნვის, კვდომისა და გაცოცხლების თავისებური გამოხატვაა (იგივე შეინიშნება ამირანის ეპოსშიც, სადაც თავდაპირველად ამირანი ვეგეტატური ღვთაება უნდა ყოფილიყო. იგი ჩვეულებრივი ხორბლის მარცვლის გზას გადის - დასუსტებულ ამირანს ყლაპავს ვეშაპი, რომლის წიაღშიც იგი ძალებს აღიდგენს, ფაშეს გაკვეთის და გამრავალკეციებული ძალით უბრუნდება სამზეოს).

ხის იარაღი, ამ შემთხვევაში ჯოხი, ღვთაებრივი ნების აღსრულებას ემსახურება. საბალხო თამაშობებში ხის იარაღის უპირატესი გამოყენებაც სწორედ ამ უძველესი ჩვევის სახეცვლილ, მკრთალ ანარეკლად უნდა იყოს შემორჩენილი.

განსაკუთრებით გავრცელებულია ჩვენში მუჯირა ჯოხი. იგი საქართველოს მრავალ კუთხეში გვხვდება სხვადასხვა სახელით. მუჯირა მთაგორიანში მცხოვრები კაცის განუყრელი თანამგზავრია და ბუნებრივია, რომ მისი გამოყენებით საბრძოლო ილეთებიც მრავლად არის დამუშავებული. ამ იარაღის საწესო დანიშნულებაზე მეტყველებს გადმოცემა, რომლის თანახმადაც მორიგემ (დმერთმა) თერგაულს ქაჯებთან საბრძოლველად ცხრაკუთხა მთრახი (ასევე საწესო იარაღი) და ოქროს ჭიგული (მუჯირას ნაირსახეობა) მისცა.

ქართული საბრძოლო ხელოვნების კლუბებში შეიარაღებულ შერკინებათა სახეობებში ვარჯიში ხის იარაღით უნდა დაიწყოს. აქ იგულისხმება როგორც უშუალოდ ხის იარაღი, ასევე სხვა იარაღის ხის მოდელი (ხმალი, ხანჯალი, დანა, სათითე და სხვა), ანუ საჩვევი იარაღი. ასეთი იარაღით მოვარჯიშეთა აღჭურვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს მასალის მისაწვდომობისა და დამზადების სიმარტივის გამო, თუმც კი, გამძლე იარაღის დამზადებას გარკვეული ცოდნაც ჭირდება. მაგალითად მოვიყვანთ სოფელ ქაშუეთში ჩაწერილ მასალას:

კაკუჩა: კაკუჩა დაახლოებით ოთხი მტკაველი სიგრძის თავმოკაული ჯოხია და ითლება ძირითადად შინდის, ჯონჯოლის, რცხილის ან თხილის ტოტისგან. იგი უნდა იყოს დრეკადი, ღუნვისა და გრეხვის გამძლე. ასეთი თვისებით უფრო ქვიან და კლდოვან ადგილზე გაზრდილი ხე გამოირჩევა. ტოტის მოსაჭრელად უკეთესი დროა ადრე შემოდგომა. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ორი მუხლის შემდგომი ტოტი კაუჭის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახსარში უფრო ადვილად იხლიჩება. მოჭრილ ტოტს გათლამდე გამოშრობა უნდა ვადროვოთ, დაახლოებით ორი კვირა.

კაკუჩას სახელე ოდნავ გამსხვილებული უნდა გაითალოს, რათა ხმარებისას ხელიდან იოლად არ გასხლტეს. თავი წაწვეტებული ითლება. კავის ტოტი შიდა მხარეს ოდნავ ბრტყელი უნდა იყოს, ბოლო გამსხვილებული და ტანისკენ მიდრეკილი. გათლის შემდეგ ცეცხლის ალში დამუშავება გამძლეობას უზრდის მას.

კაკუჩას გამოიყენებოდა ჯონჯოლის საკეთედ, ხილის ტოტის მოსაწევად, ტოტებიან ფერდობზე სიარულის გასაიოლებლად, ხოლო სოფლის ბიჭები დიდი სიმარჯვით იყენებდნენ ჩხუბში.

აბღანი –
აზარმაცი – დიდი კეტი
ანწუხი – სარი, მასარი (ლაზ.)
არგანი – კვერთხის უსხო
არნადი – კალოს ხის იარაღი
ბაჭკა – ბოჯოჯღი, ბორჯღლიანი სარი
ბიგა - ჯოხი (მეგრ.)
ბლუკურტა – თავსხვილა ჯოხი
ბოსტონი – ხელჯოხი (აჭარ.)
გარა – გრძელი ორკაპი
გარდანაკი – ტოკვეცივით
გოგუთი - თავმრგვალი კეტი
გორგონი – დიდი ჯოხი
დღვეცი – საცეხველი
ვაგა – ბერკეტივით
თავხრილი – კომბალი, კოპაჭური
იღები - ხის ორთითა ფიწალი
კავკომბალი – კაკვიანი კომბალი
კაკვი – კაკუჭი, კაკუტი
კაკუჩა – მცირე კავკომბალი
კალასი – წყალში დებით გამაგრებული მუნა
კარაბუზი - მსხვილი ჯოხი (მეგრ.)
კეტელა – მოკლე კეტი
კეტი – მომცარი აზარმაცი
კვატიტა – მრგვალთავა ჯოხი
კვეჟო - კვერკვეშო, ხის ურო
კვერთხი – მომცრო არგანი
კირზა - სუთი (მეგრ.)
კობალი – კომბალი, თავკორძა კეტი
ლაბაშა - ხის გრძელი ჯოხი (მეგრ.)
ლაკვატა - ლაკუჩხა, ჭოლოკი (მეგრ.)
ლენგერა – მსხვილი კეტი
მარგილი – ანწუხის უსხო
მეღრეკანი – დრეკადი კეტი
მელული – ოთხთითა
მერული – ორკაპი, ჩათალი,
მუჯრა – მუჯაჯოხი, მუჯირა, მუჯერო, ჭიგუნი, ოთხწახნაგა ბუნიკიანი ჯოხი
ონგალი – მერულის უსხო კაპედი
რჩხა – კაპებიანი ჯოხი
სალბა – კეტი (ინგილ.)
სალდასტი – ხელკეტი, საჩვეი ხმალი
სატუკი – ხელკეტივით
საკე – ხალასავით
საჩვეი – საწვრონელი იარაღი
სახრე – მეღრეკანი ჯოხი
სხარტული – ფრინველისთვის სასროლი კაპიანი ჯოხი
ტაფელა – ტოკვეცის უმცირესი
ტახანა - სასროლი ჯოხი (მეგრ.)
ტოკვეცი – მოკლე თავკობალა, მცირედ მოხრილი კეტი
ტოპუზი – კეტის სახეა
ტორი – მწყემსის დიდი ჯოხი
ტუკი – სატუკზე დიდი
ტუნკი - მსხვილი ჯოხი (მეგრ.)
ურნული - ციხის კარის სამტვრევი დასალტული მორი
ურძელი – მუჯრასავით (მოხ.)
ფაენი – მოკლე ფაინდა
ფაინდა – 70 სმ. თავმსხვილი ჯოხი
ქარა - წამახული სარი (მეგრ.)
ქაჩბური – სამწყემსო კეტი
შნაკვი – თავთავის მოსაშვეტი, ჩამურის მაგვარი
შხოლი – სახრე
ჩამური – ორმაური, დღვეცი, საცეხველი
ჩომახი – ჩომბალი, ჩომახტური, კომბალი
ჩონდარი – ხის სათხრელი
ჩუბი – ჯოხი (ფერეიდ.)
ცეტერი – წამახული ჯოხი, ჯგვეთი, ჯგვერი, ჯგუთი
ძალაყინი – ძელი კართა საძგერებელი
წელკეტი –
წერაყანი – მუჯირასავით
წირი-თალა – (სვანური)
ჭიგო – ხარდანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის იარაღი
(საჯგვერმბი)

1. ანწუხი
2. ბაჭკა, ბოჯოჯღი
3. გარა
4. მელული
5. მერული, ჩათალი
6. მუჯირა, მუჯრა
7. ონგალი
8. ცეტერი, ჯგვერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის იარაღი
(კომბლეისნაირები)

1. ბლუკურტა
2. დღვეცი, საცეხველი
3. თავხრილი, კოპაჭური
4. კავკომბალი
5. კაკუჩა
6. კვატიტა
7. ტოკვეცი, გარდანაკი
8. ფაინდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის იარაღი
(კეტისნაირები)

1. აზარმაცი
2. გორგონი, ტორი
3. კეტელა,
4. ლენგერა, ქაჩაბური
5. სალდასტი
6. სატუკი
7. ტუკი
8. შხოლი, სახრე
9. ხალა, ხალხა, ჭოგრი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვანები ხის იარაღით
(XIX საუკუნის გრავიურა)

კომბლაობა
(უტევს ბექა ოტიაშვილი)

რაჭული
მუჯირები

ჭოკი - გუზუ (მეგრ.), ჭეკ (სვან.)
ჭოლოკი – სასროლი (ისინდში)
ხა - კავიანი ჯოხი (მეგრ.)
ხალა – ხალხა, ხალახისი, ჭოგრი,
ხარტუკი – თაკკავა ტუკი
ხვედა – ხვერხვეტო, ხის ურო
ხრიკეტი – ჭაკულა, თაკბოლო ,ჭაკვაბ

სათითენი

„ვეკ უნდა აისეთაი, არ აშინებდეს მტერიო,
არ აშინებდეს რკინაი, ფოლადის სათითენიო.“
ხალხური

სახელი „სათითე“ აერთიანებს მცირე ზომის, ბეჭდის მაგვარ კასტეტთა საცემ, სასერ და საჩხუტ ნაირსახეობებს. ეს იარაღი მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული. ბოლო საუკუნის განმავლობაში იგი ნელ-ნელა იდევნებოდა ხმარებიდან და დღესდღეობით სათითის ხმარების ტექნიკა და ილეთები ხევსურეთშიღა შემორჩა, ისიც მხოლოდ ღრმად მოხუცებულთა მეხსიერებაში.

ცალ თითზე წამოსაცმელი ხევსურული სათითე საკმაოდ მრისხანე იარაღია მჭიდრო შერკინებაში. მორკინალი მას საკუთარი ხელწერისა და ოსტატობის შესაბამისად ირჩევდა და ალბათ ამ გარემოებით უნდა აიხსნას მისი ასეთი მრავალგვარობა. მარტო ხევსურეთში მოძიებულია სათითის 12-ზე მეტი ნაირსახეობა. მის პოპულარობაზე ხალხური პოეზიაც მეტყველებს - „ხელზე ედვას სათითეი, მაღალ ქლიბით დაჭრილია, გადაუსვი-გადმოუსვი, დააჭრელას თორპილია“.

ხევსურულისგან განსხვავებით მთიულეთში ვხვდებით ორთითიან (საჩვენებელ და შუა თითზე წამოსაცმელ) „საჯიჯგველაებს“. თუკი ხევსურული სათითე უაღრესად შეუზღუდავია და რკალურ მოძრაობაზე გათვლილი, „საჯიჯგველას“ პირიქით, ძირითადად „ჯიჯგა“, სწორხაზოვან დარტყმებში ხმარობდნენ.

სინტეტერსოა თუშური ოთხთითა „ღაჯიები“. „ღაჯიად“ ერთ-ერთი ხევსურული სათითეც იწოდება, ოღონდ იგი, თუშურისაგან განსხვავებით, ცალთითაა. ოთხთითა სათითე გვხვდება გურიაშიც.

სათითე, გარდა საგანგებოდ მისთვის დამახასიათებელი ილეთებისა, იძლევა კრივის მრავალი დარტყმის, ასევე საჭიდაო ჩაგლებისა და გდების გაკეთების საშუალებასაც. სათითეებისათვის დამახასიათებელია სწრაფი წრიული ან რკალისებრი მოქნევებით შეტევის წარმოება, რაც ამ უკანასკნელს ძალზე სხარტს, დაძაბულსა და მოულოდნელს ხდის. სათითეებით შერკინებისას ხშირია „ყვინვები“ – მოწინააღმდეგის შემტევი ხელის ქვეშ გაძრომა, „აფარებები“ – წინამხრისა და იდაყვის, „ჩაზვევები“ – მკლავის შემტევ მკლავზე ჩაზვევით ტეხვა, „მოყინწვები“ – ჩლუნგითა და მაჯაგანით. ხევსურული სათითეებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე შეტევა „დაკვრით“ – ზემოდან მხარიღლივ მოქნევით, რითაც დარტყმის ძალა ორმაგდება. ასეთ შეტევას მეტწილად აფარებით ან გახტომით პასუხობენ, რის შედეგადაც თავდამცველს ხელსაყრელი პოზიციიდან სწრაფი უკუშეტევის საშუალება ექმნება. სათითეებით ბრძოლის დროს შესაძლებელია უკუშეტევაზე ისევ შეტევის განხორციელება საგანგებო შემზადების გარეშე, რაც სისტემის მაღალ დახვეწილობაზე მეტყველებს.

სათითეებით შერკინებისას ხშირია „ლლაყვის“ და „თაურის“ გამოყენება. როგორც ზოგიერთი ხანდაზმული ხევსური იხსენებს, ბევრი მორკინალი ოსტატურად იყენებდა ფეხით შეტევებსაც.

ზოგიერთი სათითის შემტევი კბილები 3-4 სმ სიმაღლისაა და ილეთთა სისწრაფის გამო სავარჯიშო შერკინებაც კი უაღრესად სახიფათოა, მაგრამ წესები, რასაც მეტოქენი მკაცრად იცავდნენ დროს, სერიოზულ დაზიანებას არსებითად გამორიცხავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათითური

საჩვენი

დაჯიები



საცემნი



სასერნი





საჩხუტნი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათითეებით შერკინება

ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების მესვეურნი ლევან კოკლეიშვილი (მარცხნივ) და ნოდარ ლურსმანაშვილი

დავით გოგოჭურის გაკვეთილი

თეორია

პრაქტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათითეებით შეტევის სამი ილეთი
(ელიზბარ და ზაზა ქერაულები)

სათითეს მორგების ხერხები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, ხევსურები ადრეული ასაკიდან ეუფლებოდნენ ამ იარაღს, რისთვისაც არსებობდა საჩვევი სათითე - „ნესტარი“.

სათითე გვხვდება თითქმის მთელს კავკასიაში. თავის დროზე მას რადაც ნაკუთხ რიტუალში გამოყენებაც უნდა ჰქონოდა, რაზეც აშკარად მიუთითებს ზოგიერთი მათგანის ფორმა: მაგალითად - „ხვეულასი“ (ზამბარისებრ დახვეული), „გორიანისა“ (მზის სიმბოლოდ დალაგებული კბილები), თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მათს ფორმაზე იმდროინდელ საკულტო ფეტიშებს მოეხდინათ გავლენა.

სათითე თბილისშიაც რომ ფეხმოკიდებული იყო, ამაზე მეტყველებს მოგონება, რომლის თანახმადაც, „ყვენობის“ წინ, ქალაქელი ხელოსნები მრავლად ამზადებდნენ საცერე რგოლებს. ამავე დროს ეს იარაღი მოხმარების იმდენად თავისებურ ცოდნას მოითხოვს, რომ მისი საგანგებოდ შესწავლის საკოლაც უნდა არსებულიყო.

ეს ვარაუდი დაგვიდასტურდა 2001 წელს, თბილისის წმიდაანა ორმეოცთა მოწამეთა ტაძრის გათხრის დროს, როცა XI-XIII საუკუნის ფენაში ამოვიდა ზურგანა სათითე, რომელიც არა საბრძოლო, არამედ საჩვენებელი დანიშნულებისა უნდა იყოს, რადგან საგულდაგულოდ დამუშავებული სპილოს ძვლისაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი არა რიგით მებრძოლს, არამედ ამ ორთაბრძოლის ოსტატსა და მასწავლებელს ეკუთვნოდა.

ამ იარაღის პრაქტიკულობას და მის მაღალ საბრძოლო მაჩვენებლებს გაუვარჯიშებელი თვალიც იოლად შეამჩნევს, მაგრამ როცა სათითეს ოსტატი ხმარობს, მაშინ ეს იარაღი მთელი თავისი შესაძლებლობებით, სახასიათო და მრავალფეროვანი ილეთების წყვიტი იხსნება.

ეს მასალა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს საგანგებო დანიშნულების რაზმებისათვის, რადგანაც იარაღი თითქმის შეუმჩნეველია, შერკინებაში კი, უალრესად ქმედითი. აგრეთვე მიზანშეწონილი იქნებოდა ხელჩართულ ბრძოლის კურსებზე ილეთების დამუშავება სათითეების გამოყენებით, რადგანაც დინამიკით საკმაოდ ახლოა „არეული კრივთან“.

1. გორიანი (საცერელი, ჯიგვური)
2. დოლაბა (საჯეჯგველა, წისქვილა)
3. ზურგანა (ერთრიგა, ორრიგა, სამრიგა)
4. ლესულა (ერთრიგა, ორრიგა, სამრიგა)
5. მაღალი აფთარი
6. ნესტარა - საჩვევი სათითე
7. ოთხთითა
8. ორთითა
9. სავარცხელა, მაღალსავარცხელა
10. ღაჯია (ცალპირა, ორპირა, სამპირა)
11. ცხუგმე – არწივის კლანჭი (სვან.)
11. ხერხულა (ცალპირა, ორპირა)
12. ხვეული (ერთხვეული, ორხვეული, სამხვეული)
13. ჩაჩკე – თითის დამცავი რგოლი

საცემნი

„კოპალას, კარატიონსა, ლახტი აქვს შიმარჯვეპული“.
ხალხური

გარდა საბრძოლო დანიშნულებისა, საცემი იარაღის ნაირსახეობა კვერთხი ოდითგან სარიტუალო დანიშნულებისა იყო. „მეთაურის კვერთხის“ ეს ფრაგმენტი ჭიათურაში, გვარჯილის კლდეშია ნაპოვნი და ზედა პალეოლითის განეკუთვნება.

როცა გამუდმებით რიცხვით აღმატებულ მტერთან გიწევს ბრძოლა და ფილიდან სალამომდე იარაღის ტრიალი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალის გამოზოგვით ხარჯვას. ამდენად, თუ სამკვეთლო იარაღის ერთ-ერთი დადებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცემი იარაღი

1. ამუდა, ემუდა
2. გავაზის ლახტი
3. გურზი
4. ეკალბურთა
5. კვერთხი
6. კინიკეტი, კედა
7. ლახტი
8. ურო
9. ფრთიანი ლახტი
10. ხეტი





Digitized by Georgian National Museum

მახასიათებელი მისი სიმუხუქეა (რათა ნაკლებად დაღალოს პატრონი), საცემი იარაღის მოხმარება განსაკუთრებულ ჯანს მოითხოვს. იგი შედარებით მასიურია, მაგრამ სამაგიეროდ მის წინააღმდეგ უძლურია აფარებანი და დამცავი საჭურველი. სხვა იარაღით მებრძოლნი ძირითადად ძლიერი აღნაგობისანი იყვნენ. ამის დასტურია „ვეფხისტყაოსანის“ ეს სტრიქონებიც: „დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა, მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შაირყეოდა“.

ამუდა, ემუდა – ჯაჭვებიანი რკინის ჯოხი
გავაზის ლახტი – ირმის რქის ძირისა
გურზი – უფრთო ლახტი
ეკალბურთა – ჯაჭვიანი საცემი
კედა – რკინის გრძელი ჯოხი
კვერთხი – საცემი იარაღი
კინიკეტი - ქარცახი, რკინის ჯოხი
ლახტი – უმკვეთლო საცემი
ომბოხი - კვერთხისნაირი
სანგი – რკინის დიდი კვერი
ურატა – მომცრო ურო
ურო – რკინის ზვედა
ხეტი – კაუჭიანი კინიკეტი

საჩეხნი



საჩეხი იარაღი, კერძოდ კი ცული, ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის ისტორიაში. ქვის ცულები საქართველოს ტერიტორიაზე შელის ეპოქის (დაახლოებით 600 000 წელი ჩვენს ერამდე) განათხარშია ნაპოვნი, ხოლო ჭიათურის რაიონში ნაპოვნი ეს კოპწია ხელცული აშელის ეპოქას მიეკუთვნება (400 000 – 100 000 წ.წ. ჩვენს ერამდე).

ძვ. წ. მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე ჩვენი წინაპარი უკვე ლითონის ცივ ჭედვას იყო დაუფლებული და სპილენძისა და ბრინჯაოს ცულებიც დაახლოებით ამ დროიდან მოგვდევს, ხოლო გვიანბრინჯაოს ხანის ცული ერთ-ერთ უმთავრეს მრავალფეროვან კოლხურ ლითონნაწარმში ცული ერთ-ერთ უმთავრეს საზეობად გვევლინება. მაგალითად, ასეთი ცენტრალურ-ამიერკავკასიური (მას ამაზონურსაც უწოდებენ) ცული ჩვენში ძვ. წ. III ათასწლეულიდან იყო გავრცელებული. ჩვენებური ცული არა მარტო ხელოსნური, არამედ მხატვრული ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშიცაა. ცულები შეიძლება დაიყოს საომარი, სამეურნეო და საწესჩვეულებო დანიშნულებისად. განსაკუთრებულ ყურადღებას ცული თავისი ბოლო დანიშნულებით იმსახურებს. შუაბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ქართულ ტომებში ცულის კულტი და, აქედან გამომდინარე, მისი სარიტუალო დანიშნულება ივარაუდება (შვეულად, ზემოდან ქვემოთ მიმართული მისი ბასრი პირი ზეციდან მოვლენილ სასჯელს ასახავდა). ამ პერიოდის ცულთან ერთად გვხვდება საომარი დანიშნულების სხვა იარაღიც: მახვილები, სატევრები, შუბისა და ისრის პირები. ისინი მრავალკომპონენტიანია (სტიბიუმიანი, დარიშნნაინი, კალიანი). ასევე დადასტურებულია რთული ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა პროცესში (ლითონის ყალიბები, შედუღება, ტვიფრვა, დაწურვა და სხვანი). გვიანბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპი (ძვ. წ. XI-VII სს) ფარავს ადრერკინის ხანასაც.

ათალდი – ფართოპირიანი წერაქვი
არგუნი - ნაჯახი (მეგრ.)
ბურჭული - წალდი (მეგრ.)
კადა - ცული (სვან.)
კადოლ - მცირე ცული (სვან.)
კეკი – პატარა წერაქვი
კინა – ცულიევით
ნაჯახი – მცირე ცული, ლანჯახი
ნიღრი – წალდის ცხვირი
ორთოხი – ორგნით სათხრელიანი
სათული – მცირე ნაჯახი
ტაბარი – ორპირი ნაჯახი
ტაბარძენი – უნაგირზე დასაკრავი ნაჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარჩი – ცალწვერა ბრტყელპირი წერაქვი
ქუცუცა – ნაჯახის უკანა წვერი
ჩუგლუგი – მცირე წერაქვი ან გრძელტარა ნაჯახი
ცულაფთა –სწორკუთხა ნაჯახი
ცულდი – ცული
ცულთოხი – საჭრელ-სათხრელიანი
ცულკავი – ცულის სახეობა
ცულქარჩი – ნაჯახწერაქვა
წალდი – საჩეხი იარაღი
წაკარტი - წერაქვი (მეგრ.)
წალკატი – ორწვერა წერაქვი
წერაქვი – სათხრელ-საჯგვერი

საზეპელნი

„მათრახი მისცა მორიგემა, სენსამსალაით გაფესვული“
ხალხური

რიტუალებში ხის იარაღს მოგვიანებით მათრახი ჩაენაცვლა. გავიხსენოთ ნაწყვეტი ხალხური ლექსიდან, სადაც ლაშქრის გასამხნევებლად მოვლენილ თამარს - „ხელსა ეჭირა მათრახი, შვიდკეცა, შვიდი მხარია“. ზემოთთქმულს მათრახის საკრალური სიგრძეც ადასტურებს.

წმინდა გიორგის მათრახი კი მეხს გამოხატავს და ჭექა-ქუხილის ღვთაების დროინდელია - „ხელში უჭირავს მათრახი, სამოცდასამი მხარია, რასაც გადაჰკრა, გადასწვა, მისი დაკრული მწარეა“.

ამასვე ადასტურებს თქმულება თერგაულზე, რომელსაც ღმერთმა, ქაჯებთან საბრძოლველად, ცხრაკუთხა მათრახი მისცა.

აქ ღირს სრულად მოვიტანოთ ერთი ფერადოვანი ხალხური ლექსი, რომელშიც ასევე ზაზგასმულია საზეპელი იარაღის საწესო დანიშნულება:

„პირველად დასახა მორიგემა ბერი ბუქნაი ბაადური,
იმას მისცა მორიგე ღმერთმა საფერხედ თეთრი ცხენი,
იმას დაუქვივნა სახელად „ბედის ბედაური“,
ის არის იმის საკვეხური, ცის კოკკავებში სახეთქები!
ბაადურს ჩააცვა მორიგემა ტანზედა კაბა სისვისაი,
ჩექმანი ჩააცვა რკინისანი, თავზედ დაჰხურა თეთრი ქუდი,
ჭიკუნი მისცა თუჯისანი, კაბის საყელოთ შესაყრელნი,
მათრახი მისცა მორიგემა სენსამსალაით გაფესვული,
მემრე გადმაუშვა ხმელეთზედა“.

სენსამსალაით გაფესვული შხამით გაჟღენთილს უნდა ნიშნავდეს და წარმოიდგინეთ, რა საშინელ იარაღთან გვაქვს საქმე.

საბას ლექსიკონში აღწერილია ლართის (ხარის ასოს) მათრახი. თუ გავიხსენებთ ხარის, როგორც წმინდა ცხოველის სახეს ქართულ ფოლკლორში, ლართის დაკვრა თავიდან შესაძლოა ფალიკური დალოცვაც ყოფილიყო, ხოლო მოგვიანებით დამცირების გამომხატველი.

კარგი ოსტატის ხელში მათრახი მრისხანე იარაღად გვევლინება. გავიხსენოთ ტარიელის მიერ მონების დახოცვის სცენა და ამ მათრახის აღწერა: „ხელთა ჰაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა“. ცხადია, ამსიმსხო მათრახი ცხენის შესაფუცხუნებლად არ იყო შექმნილი.

აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენს დრომდე იყო შემორჩენილი რიტუალის მსგავსი ასპარეზობა გორზაკის ტიპის მათრახით. ეს უკანასკნელი გახლავთ წყრთიან უზანზე (ტარზე) მიბმული ხარის ზურგის ძარღვებისა და ლეთონის მავთულების მომსხო წნული, რომელსაც ულვაშზე (დაბოლოებაზე) ხშირად ტყვიის ბურთულები ჰქონდა ასხმული და გადმოცემის თანახმად, ასეთი მათრახით დაკრულს თვით ჯაჭვის პერანგის დაზიანებაც კი შეეძლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჩეხი იარაღი

1. ათალდი
2. კეკი
3. ნაჯახი
4. ტაბარი
5. ტაბარძენი
6. ქარჩი
7. ჩუგლუგი
8. ცულაფთა
9. ცული
10. ცულთოხი
11. ცულქარჩი
12. წალდი
13. წალკატი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრინჯაოს ცულები

45 საუკუნის
ბრინჯაოს ცულები

საცულე ყალიბი

სარიტუალო ცულები

ბრინჯაოს
ცულსაკაფი
ლეჩხუმიდან

ბრინჯაოს
წალდი

ალდეჩკინის ხანის ცულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლხური ცული
(ფყვილი ცულით შერკინების
ორი ილეთი)





ეროვნული ბიბლიოთეკა

მთქმელ გულვერ ჯინჭარაძის გადმოცემით რაჭა-ლეჩხუმის სახალხო გმირი გიორგი ინასარიძეს ჰქონია შოლტის მსგავსი ლახტი, რომლის დაბოლოებაზეც ფოლადის ეთნი– პირალესილი რგოლი იყო ასხმული.

გორზაკი – მათრახის მაგვარია
გურზი – უტარო მათრახი
ლართი – ხარის ასოს მათრახი
ლახტი – საზეპელის სახეა
მართახი - მათრახი (მეგრ.)
ტაგანეკი –
ტაჯგანალა – ტაჯგანაგი, მათრახი
უზანი – მათრახის ტარი
ფარჩუნი - მათრახის ბოლო
შოლტი –
შხოლი – შოლტის სახეობა
ჩალიჩი –
ჩელტი –
წირეხი – დაგრეხილი შოლტი

საძგერებელნი

„ჩააწყობდესა ლაშქარსა, ჩაგრეხდეს შუბის ტარსაო“
ხალხური

როგორც წყაროებიდან ჩანს, საძგერებელი იარაღი ერთ-ერთი პოპულარული სახეობა იყო საქართველოში და მისი მოხმარების საგანგებო ცოდნაც იყო დაგროვილი. ამის დასტურად იკმარებს ორი მცირე ნაწყვეტი ჩვენი მატიანიდან.

ზაქარია მხარგრძელმა ხუთასი რჩეული მხედარი გაგზავნა მტრის დასაზვერად. მტერმა კი, რა იხილა ქართველთა სიმცირე, შემოუტია მზვერავთა რაზმს, მაგრამ პირველივე შეტაკების შემდეგ უკუიქცა. მზვერავთა რაზმი დაედევნა მტერს და საგრძნობლად დასცილდა ქართველთა ძირითად ლაშქარს. როდესაც ძირითადი ლაშქარი მიუახლოვდა შეტაკების ადგილს, შემდეგი სურათი დაზედა - „არცა ერთი კაცი მომკედარიყო ქართველი და ასეთი ძლევა მისცემოდა, რომელ ხუთასი შუბი ხუთასსავე კაცსა ხუთასსა ცხენისა და კაცისათვის შეეცა და ხუთასსა ზედა დასობილი იხილეს“.

ფარსადან გორგიჯანიძე ასე აღგვიწერს ფარცხისის ომის დაწყებას: „მეფე სვიმონ შუბი ხელთ, თავისებურათ, ამაყურათ, მამაცობით, კისკასობით, კოხტაურად, „დაკა აი ამათა“ ძახილითა თათართა ლაშქარში გამოერია... შუბით მრავალნი თათარნი გადმოჰყარა და ქართველნიც მიეტიენეს და შეიქნა შუბთა ძგერება, ლახტისა და ხმლის ტკაცატკუცნი“.

შუბოსნობის საარაკო ცოდნა ქართველებს მეცხრამეტე საუკუნემდე შემორჩენიათ. ამას ადასტურებს გენერალ ნ. მურავიოვის მოგონება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ბიბაზე, რუსეთის პირველი სამამულო ომის მონაწილე ზაქარია იოსელიანზე: „ - 1812 წლის კამპანიის დროს მას (ზაქარია იოსელიანს) შეუმჩნევია, თუ როგორ შესულა 12 ფრანგი ერთ ბოსელში. იოსელიანს აუღია შუბი, წაუყვანია თან ერთი ულანი, მოლდაველი, გვარად კარპოვი, შევარდნილა ამ ბოსელში და ერთიანად გაუჟლეტია ყველა“.

აღწერილი ამბავი არაერთი თვალსაზრისითაა საყურადღებო: როდესაც სინათლიდან სიბნელეში, თან ასეთ არცთუ ხალვათ სივრცეში იჭრები, საკმაო დრო გჭირდება, რათა თვალი შეაგუო და აღიქვა შიდა განლაგება – სად რა ძევს და ვინ სად დგას; შეზღუდულ სივრცეში, მით უმეტეს ასეთ ზედახოროში, შუბი საუკეთესო იარაღი არ არის, თუ რა თქმა უნდა, მისი ხმარების საგანგებო ცოდნა არ გაქვს; საბრძოლო სიტუაციიდან გამომდინარე, იოსელიანი სულაც არ იყო იძულებული ესოდენ საფრთხეში ჩაედო თავი და, რაკი ასე მოიქცა, ალბათ დანამდვილებით იცოდა, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა.

თუნდაც ამ ეპიზოდის ანალიზი ცხადჰყოფს, და ამაში ალბათ საბრძოლო ხელოვნების ნებისმიერი ოსტატი დაგვეთანხმება, რომ ასეთი ცოდნის დაუფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძგერებელი იარაღი

1. ალმანი
2. ბარჯი, ხოჭი
3. გეონი
4. გმური
5. კინენი
6. ლაბაშა
7. ლიბანდა
8. მაზრაკი
9. მარწახი
10. ოროლი
11. სათხედი
12. შმაგი
13. შუბი
14. შუბაკი, ზუფანი
15. წათი, აფთშუბა
16. ხელშუბა, ჯირითი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვარაშან დედოფალი

ბრინჯაოს ხანის შუბის ბუნიკები



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელია საგანგებო წვრთნის სისტემის გარეშე. სამწუხაროდ, ჩვენ ვარაუდითა შეგვიძლია ვიმსჯელოთ - „ქირილობიისა“ თუ „ნინტკირის“ რა მისტერიებში იყო გამოხარშული ამის ჩამდენი მეომარი.

ეს პატარა მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა საგანძურს ვფლობდით აგერ ახლახან, ვის მოვახმარეთ და რა უდარდელად გავანიავეთ.

აკინაკი – ლახვარი ორპირი, ბუნგრძელი
ალმანი –შუბის სახეობა
ბარჯი – ხოჭი, ჭვილთი, ხეჩაკალი, შაგამი
ბუნი – ტარი, ზრო
ბუნიკი – სათიხარი, ქობინი
გეონი – მოწლო, სამმგიდე, კაცის სიმაღლე
გმური – პირბრტყელი, ბუნგრძელი, გუმური
დუგლუგი – დიბლიგი, გამსხვილებული ბოლო
ზუფანი – მოკლე შუბი, ზუფნა
თრაში – წვერი (აჭარ.)
კინენი – დიდი შუბი
ლახვარი – გრძელტარა შუბი
ლაბაშა - ბუნკაჩო შუბი
ლიბანდა – ლიბარდა
მაზრაკი –
მარწახი – სამთითა ბარჯი
მაცახი – ფიწალივით
ოთხფარგელი – ოთხწახნაგა
ოროლი –
სათხელი – პირბრტყელი, ბუნზომიერი
ქიმარა – წვეტი
შმაგი – ხიშტივით
შუფი - შუბი (მეგრ.)
შუბაკი – მოკლე შუბი
შუბნაჯახი – საძგერ-საცემი
ჩალათა – შალითა, ბუდე
წათი – აფთშუბა
ხელშუბა – ჯირითივით
ხიშტი – პირგრძელი, ტარკოტა, ძგიდემახვილი
ჯირითი – მოკლე, ცხენიდან სასროლი

სამკვეთლონი

დანა

„მიტომ გაგვზარდა დედამ, მისთვის გვეტყოდა ნანასა,
ტანზედ აბჯარი აეისხათ, მუდამ ელესავდეთ დანასა.“

ვაჟა

რკინის დანა, ძვ. წ. VIII ს.

დღეისათვის მოძიებულია მცირე ზომის ცივი იარაღით რკინების რამდენიმე ნაირსახეობა და მრავალი ილეთი.

დანა, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა იარაღი, ჩვენში ცნობილია ქვის ხანიდან, მაგრამ დღევანდელი სახით გამოიყენებოდა ლიითონის ათვისების შემდეგ. თუ არქეოლოგიური მასალებით ვიმსჯელებთ, ეს დაახლოებით მეორე ათასწლეულია ჩვენს ერამდე და იმ შორეულ წარსულშიც იგი როგორც სარიტუალო, ისე საბრძოლო დანიშნულებისა გახლდათ.

სწორედ ამ პერიოდიდან ყალიბდება ჩვენში დანის ხმარების ტრადიცია და რიტუალები (დანით შელოცვები, დანაზე დაფიცება და სხვა). ამავე დროს იგი დღემდე შეუცვლელი იარაღია ხელოსნური ბრძოლის დროს. ამჟამად აღდგენილია დანის ილეთთა ათვისების რამდენიმე მეთოდი, სრულიად განსხვავებული მეომრისთვისა და მოზარდისთვის.

ჩვენში იარაღის მოხმარების ჩვევათა გამომუშავებას ბაშვს 5-7 წლის ასაკიდან აწყებინებდნენ. სწავლა თამაშის ხასიათისა იყო და დღემდე შემორჩა „დანასობიას“, აგრეთვე დანის სროლის სხვადასხვა ხერხის სახით.

საქართველოს სხვადასხვა მხარეში დანასთან დაკავშირებული ტრადიცია და საბრძოლო ტექნიკაც სხვადასხვაა. აღმოსავლეთ მთიანეთში ასაკში შესული მამაკაცი ხმალ-ხანჯალს ახალგაზრდას გადასცემდა და ამის შემდეგ მისი ძირითადი იარაღი დანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანა
(ძირითადი სახეები)









ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანა, ნამგალი
(ძირითადი სახეები)



SAMSHENGIFSHI

ხდებოდა. თუშეთში დანა ქალის აღკაზმულობაშიაც კი აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა.

რაც შეეხება დანის სასროლად გამოყენებას (განსაკუთრებით ბრძოლებში, ოპერაციებში, ნადირობის დროს, აგრეთვე საბრძოლო რიტუალის შესრულებისას), იგი საქართველოს ყველა კუთხისთვისაა დამახასიათებელი. სასროლად გამიზნულ დანებს დამუშავებისა და გამოყენების მკაცრად გათვლილი წესი ჰქონდა. ჩვენს მიერ მოძიებული სროლის მეთოდებიდან საინტერესოა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული "თვალგაყოლებაი", რაც იმაში მდგომარეობს, რომ მსროლელი, შესაბამისი რიტუალის შესრულების შემდეგ, დანის ყუის, ან პირის გაყოლებით, მიზანში იღებს სამიზნეს და ნელა უახლოვდება სასროლი ადგილიდან მიზანს. ახლოს მისული ახდენს „ჩზუტებას" და შემდგომ უკუსვლით უბრუნდება საწყის წერტილს. ეს ყოველივე გრძელდება შვიდიდან ოცდაერთ შესრულებამდე, რის შემდეგაც, უხუცესთა რწმუნებითა და პირადი გამოცდილებითაც, საგრძნობლად იზრდება დანის „შერძნება" და სროლის სიზუსტე.

ხელჩართული ბრძოლის დროს დანის ხმარებისას ხშირია ჭიდაობის ისეთი ილეთების გამოყენება, როგორიცაა ცერული, ნამგალა, მკლავ-კისრული და სხვ. ასევე გამოიყენება კრივის ილეთები: ჩაწიხვლა, ხომურა, ჭიტლაყი, ჭვინტის კვრა, ტლინკა, შემოკვრა და ა. შ. დაჯაბნის და დამცირების მიზნით იხმარებოდა ხილა, განსაკუთრებით სამარცხვინოდ კი ითვლებოდა დანით „დაღირების" (დაშინებითი მოძრაობის) შემდეგ ხელუკუღმა შემოკვრა, იგივე „ბრმა ხილა".

საბრძოლო ოპერაციებში დანა დამხმარე იარაღია (ძირითადად იხმარება მჭიდრო შერკინებაში, როცა დიდი ზომის იარაღს ვერ იყენებ), ხოლო ცხენზე შეხტომით მხედარზე შეტევისას კი, ისევე როგორც მიწაზე კოტრიალით ბრძოლისას, შეუცვლელი იარაღია.

ორთაბრძოლაში დანისგან თავდასაცავად, საგანგებოდ ისწავლებოდა თავსარქმელისა თუ ხელთ მოყოლილი ნებისმიერი საგნის (ტოტი, ქვა და ა.შ.) გამოყენება.

მიუხედავად ზომის, წონისა და ფორმის სხვაობისა, დანის ხმარება მაინც ერთ საერთო წესს ეფუძნება. სხვადასხვა კუთხეში მოძიებული ილეთების მოხაზულობისა და მოძრაობის მსგავსება მიგვანიშნებს, რომ ამ სფეროში ჩვენში არსებობდა რაღაც ერთიანი ცოდნა-გამოცდილება, რაც შემდგომ სხვადასხვა კუთხეში თავისი გზით განვითარდა.

მოძიებული მასალა მოიცავს როგორც დანის მოხმარებას 3-7 მეტრ მანძილზე, ასევე ზეზელა და კოტრიალში ბრძოლის ხერხებს. მასალა საინტერესოა როგორც სამხედრო, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგანაც აღწერს სხვადასხვა წესსა თუ რიტუალს, რომელიც, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, დღემდე ჯეროვნად არაა შესწავლილი.

სატეგარი

ჯერ კიდევ III ათასწლეულში ჩვენს ერამდე, მელითონობის გარიჟრაჟზე, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სწორედ სატევრის ფორმის ფართოპირიან ორლესულ მახვილებს ეკავა, რადგან მასალის სირბილე მოგრძო ფორმის იარაღის დამზადების საშუალებას არ იძლეოდა. ზომითა და ფორმით ამ მახვილთა მსგავსება სატევართან ბუნებრივად განაპირობებდა საბრძოლო მოხმარების შესაბამის დინამიკას.

შემდგომში, ფოლადის დამკვიდრებასთან ერთად, მახვილიც დაწვრილდა და გაიზარდა სიგრძეში, მაგრამ მისი წინამორბედი იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ კიდევ 3 ათასი წელი იარსება, როგორც დამოუკიდებელმა სახეობამ და სატევრის სახით მოაღწია ჩვენამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატევრები

ბრინჯაოს ხანის სატევართა ნიმუშები



ძვ. წ. 13 საუკუნის რკინის სატევარი

ბრინჯაოს ტარიანი რკინის სატევარი, ძვ. წ. 8-7 საუკუნე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატევარი
(ძირითადი სახეები)



elibrary.nplg.gov.ge

სატევრის ერთ-ერთ ნაირსახეობას ყელე ჰქვია, რაც ჯერ კიდევ იმდროინდელი უნდა იყოს, როცა ამ იარაღს არა მარტო საბრძოლო, არამედ მკვეთრად გამოხატული სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა და ფალოსის თავისებურ სიმბოლოს წარმოადგენდა ისევე როგორც აკინაკი.

მართალია 5 ათასი წლის ტრადიციამ მკაცრი ჩარჩო დაუწესა ამ იარაღის ფორმას, მაგრამ ერმიტაჟში შემონახულა თბილისელ ოსტატთა ნახელავი ყამა, რომელიც ორი ნახევრისაგან შედგება და საჭიროების შემთხვევაში იყოფა ორთავ ხელით სამოქმედოდ.

ბაზალა – ხანჯლის სახეობა
ბებუთი – გადრეკილი დანა
გადიხვადი – თუშური დანა
გაჩი – სვანური დანა
დანა – მცირე ცივი იარაღი
დანაკი – ზომიერი დანა
დანისაბელი – დანის საკიდი წნული სარტყელი
ვარაგი – მანგლის ყუა
თილიყამყამი – დიდი სატევარი
იამანი – ცივი იარაღი ხატის ენაზე
კოლხური ნამგალი – ტარმოკლე ცელივით
ლამგალი – ნამგალი (ფერეიდ.)
მანგალი – ნამგალი
რაჭული დანა -
საგულავი – ჯაყვა, ცილვი
სათირი – ფართოპირიანი ორლესული
სათული – დიდი დანა
სატევარი – დიდი ხანჯალი
საყუნელი – სამართებელი
ურსა - ხევსურული დანა, ლურსა
ფუნჩიანი - სასროლი დანა (მეგრ.)
ღინნი –
ღული – კბილებიანი მანგალი
ყამა - გადრეკილი სატევარი
ყელე – დიდი სატევარი
შალთი – დიდი დანა
ცხემლაიში – დიდი სატევარი
წანდელი – მოკაკვული დანა
ჭიტადანა – უკეცი დანის სახეა
ხამი - დანის სახეა (მეგრ.)
ხანჯალი – ცალღარი, ორღარი, სამღარი, სუკიანი, წვერამდე დაწერილი, შავხალი
ხანჯლის ძმა –
ხანჯლისშვილა –
ხენცელი – მომცრო ნამგალი
ჯაღინა – უვარგისი დანა

ხმალი

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“
წარწერა მეფე ერეკლეს ხმალზე

საუკუნეთა განმავლობაში ხმალი ჩვენი წინაპრის განუყრელი თანამგზავრი იყო. ერის უმეტესი ფიზიკური და სულიერი ენერგია სწორედ მის ტრიალში გაილია და ისტორიის უწყვეტ ქარტეზილს მხოლოდ სულით მხნეთა და მკლავმაგართა მოდგმა გადაურჩა (იქნებ ამით უნდა აიხსნას ქართველ მკლავჭიდელთა ესოდენ განსაცვიფრებელი წარმატებები).

არ უნდა იყოს მართალი დამკვიდრებული შეხედულება, თითქოს გადრეკილი მახვილი ჩვენში შუა საუკუნეებში შემოვიდა. იახლიკაიას ერთ ხეთურ ბარელიეფზე გამოსახულია ღუთაებათა მწკრივი, რომელთაც ხელთ უპყრიათ გადრეკილი მახვილები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადრე რკინის ხანაში ხმალაობისთვის უკვე დამახასიათებელი იყო რკალური, დასმითი-სასერი მოძრაობები. მეტიც, ფორმა (წინ გატანილი სიმძიმის ცენტრით) იმაზე მიუთითებს, რომ ეს მახვილი მხოლოდ ასეთი მოძრაობების შესასრულებლად არის ვარგისი.

სულხან-საბა: „ესე ხმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვათა და სხვა თემთა ქმნილებათაებრ. რომელიც ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი და მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღარსანი, ვორდა თუ კალდიმი, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადაჯვრიანი ხმალი
(ზოგადი ალწერა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმალი (ძირითადი სახეები)



მახვილი (ძირითადი სახეები)



ბრინჯაოს მახვილი, ძვ. წ. 15 საუკუნე

ბრინჯაოს მახვილი, ძვ. წ. 9-8 საუკუნე

ბრინჯაოთი გაწყობილი რკინის მახვილი, ძვ. წ. 8-7 საუკუნე

ამას ქართველნი ჰყვარობენ. არიან სხვაცა ახალნი და მზეველნი, რომელიმე გლუვი, რომელიმე ფერდილნი და უფრორე წვლილი და ვნდოვანი ვითარცა ხიშტი, ესეცა ფრანგნი ჰყვარობენ. არაბნი სხვასა, სპარსნი სხვასა და ყოველნი თემნი სხვადასხვანი რიგსა დაწესების გამო: რომელიმე დრეკილოა, რომელიმე შეეტია, რომელიმე ბასრთა, სხვანი რბილთა, თემთა და წესთა გამო.

არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მზედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი გვარიანიცა იყოს, ძველი და არა ღელარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არცა მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცაზეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს, და არა თეთრ, ზომიერ სიგრძითა და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილი და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვნეტელ და თვით უვნებელ, ადრე არა დამბლაგელ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე. თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, - სრული გვიან საპოვნარია".

რას ნიშნავს საბას ჩამონთვალში „რომელიმე ბასრთა, სხვანი რბილთა"? თითქოს და რბილი ხმალი რატომ უნდა გერჩივნოს ბასრს. დავითის მემატიანეს, ერთი ბრძოლის აღწერისას, ნათქვამი აქვს - „ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღვლარჭნილმან უარყო ქარქაში თვისიო", რაც ამ ხმლის სირბილეზე მიუთითებს. განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების მქონე მებრძოლისთვის ნაკლებად ფიცხი ხმალი უფრო საიმედო უნდა ყოფილიყო, რათა გამეტებით ცემისას არ გატეხილიყო. ხმლის ჭედვის ოსტატებმა, ურთიერთგამიმრავლებელი მახასიათებლების - სისალისა და პლასტიკურობის შერწყმის მიზნით, არაერთი მახვილგონიერული მიგნებით გაამდიდრეს მეტალურგია. მაგალითისთვის ჩვენებური „ბაწარაული" ხმლის გაჭედვის წესიც იკმარებდა.

დამკვიდრებული სახელდებანიც კრეტიკულ გადახედვას საჭიროებს. მაგალითად, ხმლის ერთი კატეგორია ჩვენში „ფრანგულად" მოიხსენიება (აქ საფრანგეთში ზოგადად ევროპა იგულისხმება). ამავე დროს კუთხურ მეტყველებაში „აფრანგებული" (შეადარე - გაიფრაკებული) გადრეკილს ნიშნავს. ამდენად, შესაძლოა ზოგი ადგილობრივ სამზადი ხმალიც შაშარის გადრეკილობის გამო ასე მოეხსენიებინათ. ამის დასტური უნდა იყოს შემდეგი სტრიქონები:

„ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უშინჯვენ ფხასაო,
- ბასრი ყოფილხარ ტიალო, იმით თუ ჰჭრიდი ძვალსაო.
სად არის შენი მჭედელი? ვეღარ იქამსა სხვასაო!.."

ცხადია, ქალაქელები მთიდან ჩამოსულ კაცს მასობრივი წარმოების ევროპული ხმლის სადაურობას არ გამოჰკითხავდნენ.

საკუთარი კარგის გასხვისება საერთოდ გვახასიათებს, ხოლო რაც აშკარად ჩვენია, იმას უბრალოდ საუცხოოს ვეძახით. სწორედ ამ ნაკლოვანებას აღწერს აკაკი - ჩვენში რაც კარგია და მოსაწონი, უცხოურობას აბრალებენო და მაგალითად მოჰყავს თხილის სახეობა, რომელიც ჩვენს გარდა არსად ხარობს და მაინც „ბერძნულს" ეძახიან.

აშურმა – მხარიღლივ დასაკიდი თასმა,
ყაწიმი, ქაშქანი, სამრეველი
ბალთანი – ხმლის მოსართავნი
ბაწარაული – გრეხილი ნაჭედი
ბერა – მომცრო, პირფართე,
ცალლესულა
გვეელისპირული –
გოთურგა – ხმლის საკიდი თასმა
გორდა – მოკლე ხმალი
დავითფერული – თავითფერელი
დაშნა – მოკლე ხმალი, დაშლა
დაშნილ – დაშნა (სვან.)
დვარი – ხმლის ტარის ღილი
ვადი, ვადა – ხმლის ჯვარედი
ვადაჯვრიანი –
თალწანი – ხმლის თასმის წასაწევ-
წამოსაწევი
თარანგი – ხმლის სალტე
იატაგანი – გადრეკილი, ორპირა
კაკუბაში – ცუდი ხმალი
კალმიდი – კალდიმი
კერინჩხა – ხმალა (მთიულ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტა – თიკებად გაშლილი ტარი
კუდახმალი – მოკლე ხმალი
ლეკური – უვადაგვარო ხმალი
მისრული –
ნაკუდაური –
ნიბრა – მოკლე ხმალი
პირი – ბასრი მხარე, შუფრა
საბარკალი – უნაგირზე დასაკრავი
  მოკლე ხმალი
უვადაგვარო -
ფრანგული – დედალფრანგული
  რუსულია, მამალფრანგული -
  ევროპული
ქარქაში – სამკვეთლოთა ბუდე
ღარი - გასწვრივი ჩაღრმავება

ყუა – ხმლის ულესი მხარე
შაშარი – ნესტარსა და ნიღრს შუა
შიშნა –
წვერი – დაბოლოება
წვრილა – ხმლის სახეა
ჭარული –
ჭოლაური – გამჭოლგამკვეთი
ხიპი – დაშნაცუდა, რეცახმალი
ხმალჯოხა – ხელჯოხში შენიღბული
  ხმლის ნატეხი
ხორასნული –
ჯაგური - უფხო, ჩლუნგი
ჯანგური – ბლაგვი ხმალი
ჯიგრაულა – ხმლის სახეა

მახვილები

აორი – ორლესულის სახეობა
აფთი – მახვილი ბრტყელი, ტარგრძელი
ბოლოკვეთილი -
ვაზრი – ვარზი, ცელისმაგვარი
მაქერა –
მახაირა -
მახვილი –
მუსრი – მახვილის ეპითეტია
ნიღრი – მახვილის ყუის გნდე
საგმირი – მახვილის ეპითეტია

სპათი –
ფინაკი -
ქუდაბეკური -
შიმშერი –
შუშტი – შეშტი
ჩელთი – ბრტყელი მახვილი
წოდგელი – ცელისმაგვარი
ჭაღვი – ერთგვარი ცელი
ხაფი – ქარქაში
ჯავარდენი – ჯავარიანი მასხალი

ფარი

„ბეთლემის კარსა ჰკიდია ვოკა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი, შააკრიალებს ქარიო“.
ხალხური

„შეჯდა (ვახტანგ მეფე) ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერა ჰკუეთდა მახვილი“ - გვამცნობს მემატიანე.



ფარი, როგორც იარაღი და მისი მოხმარების ტექნიკა უძველესი დროიდან იხვეწებოდა ჩვენში. ლილოსა და კაჭრეთში ნაპოვნია ბრინჯაოს ხანის მრგვალი ფარები. ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს მიერ აღწერილ მოსხ, კოლხ, მაკრონ და მოსინიკ მეომრებს მოწნული და ხარისტყავგადაკრული ფარები ეპყრათ ხელთ.

მინოსის სასახლის ფრესკებზე გამოსახულია ფარები, რომლებიც მთელს სხეულს ფარავენ. გავიხსენით ჰომეროსის მიერ აღწერილი ჰექტორის ფარიც - „ტყავგადაკრული დიდი ფარი, ქვებით შემკული, ფარავდა ჰექტორს წვივებიდან ყვრიმალებამდე“.

მარსის ქურუმები – სალიები წმინდა ფარებზე – ანკილებზე მახვილსა სცემდნენ და მღეროდნენ გაუგებარ ენაზე, რაც ამ რიტუალისა და სიმღერების უცხო წარმოშობაზე მეტყველებს (გავიხსენოთ, რომ მარსი კოლხეთიდან წასული არესის რომაული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარები

ორკალიანი ხეკვსურული ფარი





უბის ფარი

ფოთლისებური ფარები ფრესკიდან



ტყავის ფარები





ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეცვლილებაა). ოვალური ანკილი ციდან დაშვებულად მიაჩნდათ. ამორძალთა ფარი კი ნახევარმთვარის ფორმისა იყო.

ფარს წინაპარი მხოლოდ მკვიდრი მასალისგან ოსტატურად შეკრული იარაღად არ აღიქვამდა. ერთი თქმულების მიხედვით ქაჯავეთზე გალაშქრებული ხევსურთა ღვთისშვილებისთვის ქაჯებს კატის თავ-ფეხი დაუშენიათ, რისგანაც მოლაშქრენი გუდანის ჯვარ-ბაადურის დიდ დელამფარს დაუცავს. აღნიშნულ შემთხვევაში დელამფარი მაგიური ამრეკლია. ამ მხრივ ფარის გასაძლიერებლად მასზე სხვადასხვა დამცავი ნიშნები იყო გამოსახული. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია გუმბათის ხატი, რომელიც ამავე დროს დახვეწილი კონსტრუქციული ელემენტია ხევსურული ფარისა. როგორც I თავში აღინიშნა, ბერძნებმა კარიელთაგან გადაიღეს ფარის საბღუჯი და ფარზე გამოსახულებანი.

აქვე გავიხსენოთ რამდენიმე ამონაწერი ბიბლიიდან: „ჩემი ფარი ხელთ უპყრია ღმერთს, გულმართალთა მხსნელს“ (ფსალმ. 7); „უფალი ბურჯია ჩემი და ფარი ჩემი“ (ფსალმ. 27); „ეზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფსალმ. 83).

მეცხრამეტე საუკუნის ხევსურული ფარიკაობაში კი ფარი უკვე არა მარტო სრულყოფილი თავდაცვითი იარაღია, არამედ ხმალთან ერთად შეტევის ორგანულ ნაწილადაა ქცეული. ფარის შემტევ იარაღად გამოყენებაზე მიანიშნებს სულხან-საბასეული კაპაპელების განმარტება, ასევე გამოთქმა - „ჩაფარება“.

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა უბის ფარი. გარდა პირველადი ფუნქციისა, რაც გულის არის დაცვას გულისხმობს, იგი ბრძოლაში დაკარგულ ძირითად ფარსაც ენაცვლებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც იარაღაჭრილ მებრძოლს მუხანათურად ესხმოდნენ თავს. მაშინ უბის ფარი რჩებოდა მის ერთადერთ იარაღად. მებრძოლი მას მარჯვენა ხელით იშიშვლებდა (გაიხსენეთ - ტალავარის საკინძე მარჯვნივ იკვრება) და არა მარტო ასაფარებლად, საცემად ხმარობდა.

ფარის ოსტატურ ხმარებაზე ერთი ასეთი ხევსურული გადმოცემაც არსებობს; ერთ ხანშიშესულ ხევსურს, ვინმე ჩაჩაურ არბულს, ჩასციებია ორი ახალგაზრდა – შენზე ამბობენ მაგარი მოფარიკავეაო და მოდი დაგვიმტკიცეო. ჩაჩაურს მობეზრებია მათი ახირება და უთქვამს - იარაღით შამამიტივეთ და მე ფარის ამარა ვიქნებიო. შეუტიეს და ეს ამხელა კაცი პატარა ფარს უკან ისე დაიმალა, ვერ იპოვნესო... ცხადია, ასეთი ლამაზი ფინალის შთამაგონებელი მართლაც საარაკო ოსტატობა უნდა ყოფილიყო.

მოვიხმოთ ნაწყვეტი XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსი მკვლევარის გ. ნ. პროზრიტელევის ნაშრომიდან „კავკასიური იარაღი“: - „ხევსურული ფარი და აბჯარი, ადრე ესოდენ განთქმულნი, ჩვენს დროში სათამაშოებად გვეჩვენება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი დამცავი აღჭურვილობა დანიშნულებას ამართლებდა, მაგრამ არსებობს მრავალი საბუთი იმისა, რომ ტყვია ვერ ხვრეტდა მათ.

მუზეუმში არის ერთი ასეთი ფართაგანი, აქლემის ტყავისა. თუმცა თექურია, მაგრამ სრულიად ოგივურია მსგავსი კავკასიური ფარებისა. ამ ფარზე ჩატარდა ცდა. კაზაკმა ურიადნაკმა სახაზინო ნიმუშის კარგი შაშკით მძლავრი დარტყმა განახორციელა ტბურეტზე დადებულ ფარზე. შაშკა დაიმსხვრა, ფარზე კი უმნიშვნელო კვალი დარჩა.“

ბუჯღი – ფარის ხელმოსაკიდი
გირგოლი – ფარის რგოლი
გუმბათის ხატი – ხევსურული ფარის ცენტრალური რკალური ჯვარი
დარაკა –
დელამფარი – ფეხოსან იბერთა დიდი ფარი, დედაფარი
ვეშაკი –
ვიგრის – ვეფხის, ზღვის თევზის თუ ხვეთქის (ნიანგი) ტყავისა
კაპაპელტი –
მოწნული -
პელტი –
სვანური – (კონუსური)
უბის – მომცრო, ოვალური ფარი
ქუჩუი – ფარის სამკაული, ქუჩუმი
ჩელტი, ჩელთი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეტრი – ტყავის ფარის სახეობა	ხევსურული - ხიდებიანი ფარი, ტყავის და ლითონის პერანგებით, ერთკალიანი, ორკალიანი, სამკალიანი

მშვილდ-ისარი

მშვილდი უძველესი იარაღთაგანია. არქეოლოგიური მასალით ჩვენში იგი გვიანი პალეოლითის ხანაში დასტურდება. საქართველოში მშვილდის ერთ-ერთი პირველი გამოსახულება პატარა ხრამის ხეობის პეტროგლიფებში გვხვდება, რომლებიც მეზოლითის ხანით (10 000 - 6 000 წ. ჩვენს ერამდე) თარიღდება. ამ იარაღის დახვეწა-განვითარება მოიცავს კაცობრიობის ისტორიის უზარმაზარ მონაკვეთს - პალეოლითიდან XIX საუკუნემდე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თოფის გამოჩენამდე ეს იყო პრაქტიკულად სრულყოფილი იარაღი.

ბრინჯაოს ხანის ერთ სარტყელზე გამოსახულია ადამიანის სიმაღლე მშვილდი, რომელიც მარტივი მშვილდის დარად, რკალივით კი არ არის მოდრეკილი, არამედ შუა ნაწილით საბამისკენაა შეზნექილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს მშვილდი შედგენილია. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენში, უკვე ბრინჯაოს ხანაში, მშვილდი განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა.

საინტერესოა ამავე ხანის ისრის წვერებიც. მათ შორის ერთ-ერთის ფორმა აშკარად მიუთითებს, რომ იგი შხამში ამოსაწებად იყო განკუთვნილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სტრაბონის ცნობა – სვანები ისეთ საკვირველ შხამს ხმარობენ ისრებზე, რომ სუნითაც კი სტანჯავს იმათ, ვინც არ დაჭრილაო.

ჩვენს წყაროებში თოფი XV საუკუნის მიწურულს ჩნდება, მაგრამ მშვილდი კიდევ დიდხანს არ თმობდა პოზიციებს. მშვილდის დამზადებისა და მოხმარების ცოდნა იმდენად მაღალი დონისა იყო ჩვენში, რომ თვით XIX საუკუნის ცეცხლსასროლ იარაღსაც კი უწევდა ღირსეულ მეტოქეობას. შორსმსროლელობით იგი იმდროინდელ თოფს დიდად არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო სწრაფმსროლელობით კი აღემატებოდა კიდეც (დახელოვნებული მსროლელი წუთში ოცამდე ისრის გატყორცნას ასწრებდა). მოწინააღმდეგის დაზიანების თვალსაზრისით მას აგრეთვე გარკვეული უპირატესობა გააჩნდა - სამსტოვრო ოპერაციის დროს უხმაური იყო, ხოლო საგანგებო შხამში ამოვლებული ისარი, მცირე განაკაწრის შემთხვევაშიაც კი, სწრაფ დამბლას იწვევდა.

მშვილდის მასალა მრავალგვარია. ვახუშტი ბატონიშვილი გუდამაყრის აღწერისას ამბობს: - „მშვილდმომქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“.

დ. სალაძის ცნობით ზემო რაჭაში მას უნახავს 3 ადელი სიგრძის რკინის მშვილდი, ორი არშნის სიგრძისა და ერთი გოჯის სისქის რკინისავე ისრით.

სირთულის მიხედვით მშვილდი სამ ძირითად სახეობად უნდა დაიყოს - მარტივად, რთულად და რთულშედგენილად.

- მარტივად ითვლება ერთი ტოტისგან გათლილი და დამუშავებული (ნაკელში, ღვინოში, ბუყში, ჭვავის ნახარშში და სხვა) მშვილდი.

- რთულ მშვილდს, რომელიც შედგება მერქნის ერთიანი ნაჭრისაგან, მარგი ქმედების გასაძლიერებლად დამატებული აქვს ლითონის სარტყლები, დახვეული აქვს ძარღვი, მყესი, ტყავი, აშკი და მისთანანი.

- რთულშედგენილი მშვილდი იმდროინდელი ტექნოლოგიის თავისებური კრებულია. მის საფუძველს წარმოადგენს რამდენიმე მტკიცედ შეწებებული ხის, რქის, ძვლის, ლითონის ფენების საკმაოდ რთული თანაწყობა. ამავე დროს, ერთად შეკერამდე, თითოეულ ამათგანს დამუშავების საგანგებო ციკლი აქვს გავლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდი და ისარი
(ზოგადი ალდგერა)



სვანური „ცხემად“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშილდები მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან



რაჭაში, სოფელ ფუტიეთში განხორციელებული „ფუსტელთა“ ეს უძველესი საბრძოლო რიტუალი - დევის დათრგუნვა ცეცხლმოდებული ისრებით, ჯერ კიდევ ორმოციოდე საუკუნის წინანდელ ხეთთა ქვეყანაში ჰქონიათ წესად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲡᲐᲠᲘ: ცალკე ხელობა იყო ისრის გათლა. შესაბამის ილუსტრაციაში თავმოყრილი ისრის პირები ცხადად მეტყველებს, რომ ჯოლბორდს, ანუ ამ ხელობის კაცს ოსტატობა და ფანტაზია არ დაეწუნებოდა. ამასვე ადასტურებს სულხან-საბას სიტყვის კონაში მოცემული საკმაოდ მდიდარი მასალაც. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი უძველესი ისრის წვერი კაჟისაა და პალეოლითის ხანას მიეკუთვნება.

ისარი შედგებოდა ბუნიკის, ზროსა (ოკა) და ფრთისაგან. სიგრძე მერყეობდა 60-დან 90 სანტიმეტრამდე, დანიშნულების შესაბამისად (მაგალითად შეჭურვილი მეტოქის, მხედრობის წინააღმდეგ თუ სხვა). ისართა ბუნიკებს მრავალგვარი ფორმა ჰქონდათ (რომბისებრი, ფოთლისებრი, პირამიდული და მისთ.). ასევე მრავალფეროვანი იყო ფრთის განლაგება (ბრტყელი, წახნაგოვანი, ლაპოტა და სხვ.). სხდასხვაგვარი იყო ბუნიკის ზროზე დამაგრების ხერხი (ჩამოსაცმელი და ჩასაყარი).

ზრო, როგორც წესი, მზადდებოდა მკვრივი, სწორფენოვანი მერქნისაგან, ან გამოიყენებოდა ახალი ამონაყარი, მსუბუქი, მაგრამ მაგარი, რბილი გულგულათი. საფრთე მასალას წარმოადგენდა მტაცებელ ფრინველთა (არწივი, მიმინო, სვავი, ორბი და სხვ.) თბე (ფრთა). თბე აუცილებლად ერთი მხრისა უნდა იყოს.

ხშირად ბუნიკს ზროზე არამყარად ამაგრებდნენ, რათა ისრის ამოძრობისას სხეულში ჩარჩენილიყო.

აჯის მშვილდი – რქის მშვილდი
ბზაკალი – მშვილდის სახეა
ბოძალდი – კონდახიანი მშვილდი
გოზა – მშვილდი სახელურიდან მწვერვალამდე
დიხაშვილდი – მახეშვილდი
ზრო – ისრის ტანი, ოკა
ზუზია – გესლი სწრაფმაკვდინებელი
თბე – ფრთა
თეთიკი – სასხლეტი
ისარი – ზოგადი სახელი:
- აქოკი – სასულეთი სასროლი
- აღრაბი -
- ბორბალა -
- ბოძალი – პოწალი, ბორძალი, ქვიბურივით პირდიდი, ორკაპა
- გეზი – უფრთო, უპირო
- კინკო – მასრით ბუნისმაგიერ
- კოპული - ისარი (მეგრ.)
- ლიბანდაკი – საყალნოზე მოკლე
- ნავაქი – მცირე ისარი
- როხნო – მძიმე ისარი, როკნო
- სანადირო - ქვიბურივით
- სარჩა – ისარი ზომიერი, პირმობტყე, ფრთამობტყე
- საყალნო – ფრთადაბალი, პირწვრილი
- სეფქა – ფრთამაღალი, გრძელი
- სტუპალა –
- ტლიკეი – უგრკლო სეფქა
- ფერცხალი –
- ქასაგანი - ისრის სახეა
- ქვიბური – უგრძესი, ფრთამაღალი, პირდიდი ისარი,
- ქიბორჯი – მომცრო, პირგანპეული, სარჩასავით
- ღრეკა – ყოდალის უგრძესი, წვერმწვეტი, ჯვარედან ჩხირდასხმული
- ყოდალი – კოდალი, სარჩისხელა, სამფრთიანი, უპირო, წვერმრგვალი
- წეტულა – ოთხფრთიანი ისარი, დაწვებული ფრთებით
- წინწკიტელა – საჩვევი ისარი
- წიფხა – ისრის სახეა
- წიწკა – საყმაწვილო, მარტივი
- ცერა –
- ცხვი - ისარი (სვან.)
- ჯღა – წეტულას ბუნიკის სახე,

კილო – მშვილდის საბლის ჩასაგდებელი
კიპი – მშვილდის დაზიდვით ჭერა
ლამბი – სეფქის თასმა, ლარი, საბამი, უფრო ძროხის ტყავისა
მენიჯგორე – ისართა გამგებელი
ნაკაპარი – კაპარჭი, ისართა ქარქაში, ნიჯგორი
ოდრიკალი – მოდრეკით დაბმული
ოხია – მშვილდისარი (აჯარ.)
სამალი – რკინის ღარი, მტკავლიანი ისრის სასროლი
სასაგნო – ასაბადი, სამიზნის ადგილი
სასროლეთი –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისრის პირები

ქალცედონისა და ობსიდიანის
პირები, ძვ. წ. XV ათასწლეული

ბრინჯაოს ხანის პირები
ძვ. წ. III ათასწლეული





ისრის პირები მესტიის
მუზეუმიდან







ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვილდის მოზიდვის ზოგიერთი ხერხი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულე – ჩაბერვით სასროლი იარაღი
სასხლეტიანი – ხვეს. კონდახიანი მშვილდი
სასხრტოი – დასასხლეტით სასროლი
საფრთე – საისრე ყობული
საჩვევი მშვილდები – წკიპურტანა, მშვილდკოდალი, ბზეკალ-კოდალი
სახელურა – მშვილდის გოზებშუა
ფეშრი – მშვილდის დაძაბვა
ქოჯო – ისრის კონა, ქეში
ღალე - ფრთა (სვან.)
ღანკი – სანიშნე ოდიშსა და აფხაზეთში
ღეპეპი – ფრთის ღერო
ყია – კილო, რითაც ისარი საბამს ებჯინება
ყულაჯი – მშვილდის სიგრძე, გაშლილი ხელების ზომა
შვებული – საისრე ტოტი
შქილი – მშვილდი, ქაშქინდი
ჩალხი – მაგარი მშვილდი
ჩარსავი – მშვილდის შალითა
ცხემდ – სვანური კონდახიანი მშვილდი
ხელკოტალი – ბზეკალკოტალი
ხილიფა – მშვილდის ქარქაში
ჯიღამშვილდი – დასაგები მახვმშვილდი
ჯიხაშული – მშვილდი (ლეჩხ.)
ჯოლბორდი – ისრის ოსტატი

მოზიდვის სახეები

1. წიკუთ მოწევა – საბამი გადის ჯიგვსა და სალოკ თითებზე
2. უბრალოდ მოწევა – ერთვება თითნიკაც
3. მჯიღით მოწევა – სალოკსა და შუათითს შორის
4. ჯიგვური – საბამი გადის ჯიგვის პირველ სახსართან
5. მუჯუგნით – საბამი გადის სალოკსა და ჯიგვს შორის
6. წოლელა - ებჯინება ფეზებს და იზიდვა ორი ხელით
7. ფეზდაბჯენით - უძველეს წყაროებში აღწერილი ხერხი

სატყორცნი

ქვის სატყორცნი იარაღის ხმარების ტექნიკა განსაკუთრებითაა განვითარებული იმ მხარეებში, სადაც, სიღარიბის გამო, სხვა იარაღზე ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი. თუმც კი, ამ ფრიად მოსახერხებელი და ეფექტური იარაღის ფლობაზე არცერთი ფენის მეომარი არ ამბობდა უარს. შურდული თვით სამეფო გერბზეც არის გამოსახული.

ეს საკითხი ჯერაც არ არის ჯეროვნად შესწავლილი. არადა, სწორედ კაცის მიერ ნახროლი პირველი ქვა არის წინამორბედი ყველა იარაღისა.

საქართველოში ოდითგან იმართებოდა შეჯიბრები ლოდის შორს გადაგდებაში და ფალავნებიც ძალზე დაფასებულნი გახლდნენ. ასევე პოპულარული იყო მცირე ზომის ქვის მიზანში და სწრაფად სროლა. ასეთი გადმოცემაც კი არსებობს - ოკრიბელისთვის ბიჭობა ის არის, ყანაში მწყერი რომ აუფრინდება, ქვის ასაღებად მერეღა დაიხაროსო.

„აღივსო უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველითა თვითა სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთა". – წერს დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვების შესახებ. საინტერესოა, რომ ფილაკავანი, ანუ სიმაგრეთა შესამუსრი ლოდსატყორცნი მანქანა საკმაოდ იშვიათად მოიხსენიება ჩვენს წყაროებში. ფრანგი მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით „...ილორში არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა საომარი იარაღი, რომელსაც თოფის წამლის გამოგონებამდე იყენებდნენ..." (XIX საკ-ის ოციანი წლები)

თუ რა მახვილგონიერული განვითარება ჰპოვა ქვასატყორცნმა იარაღმა ჩვენში, ამის მაგალითად რაჭული ხრიკოლა კმარა. ეს არის ღრუ ცილინდრი, გვერდით გაჭრილი ღარით. მასში წინასწარ ლაგდება რამდენიმე ქვა. ბოლოსწინა ფიქსირდება ცერა თითით, ბოლო კი დაუნევთ გაიტყორცნება, მერე შემდეგი და ასე შემდეგ. ამ და სხვა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატყორცნები









ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეშურდული
(შუა საუკუნეების
ქართული მხატვრობა)

შურდულოსანი
სვანი
(დონ ქრისტეფორე
კასტელის ჩანახატი,
XVII საუკუნე)



მეციხოვნენი ქვას
უშვენენ მოიერიშეთ

(შუა საუკუნეების
ქართული მხატვრობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაღრესად საინტერესო ქვასატყორცნი იარაღები: რიკატფას, რიკთოფას, გოგრიჭის და გვრიჭილას შესახებ მოთხრობილია მამა ავთანდილ გიორგობიანის გამოკვლევაში „ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები“. მოვიხმთ მცირე ნაწყვეტი ამ სტატიიდან:

„ - წარსულში არსებობდნენ საკმაოდ დაოსტატებული მეშურდულე ფალავნები, რომელთა ხელში ქვის სატყორცნელს ფილთა თოფზე და მშვილდზე ნაკლები ფასი არ ჰქონია. იაშა არჩვაძის გადმოცემით, ქარლილიდან ფუტიეთში მომავალთ, გარესამუშაოდან მობრუნებულებს, ჭერათხევში (იმერეთი) ოთხი კბილებამდე შეიარაღებული ყაჩაღი დახვედრია გაძარცვის მიზნით. აქაც მეშურდულე არსენას დიდ გაწაფულობას თავისი საქმე უქნია, ქვით დაფინთიხებული ოთხივე ყაჩაღი უსულოდ ჩამოუგდია ცხენიდან.“

ბუძგა გოგრიჭა –კაეთი მოკენჭილი თიხის გოგრიჭა
დაბრუნებული – ტყორცნის სახეა
გვრიჭილა – სატყორცნი (რაჭ.)
გოგრიჭეები –სატყორცნი ქვები
გოგრიჭი - ქვასატყორცნი (რაჭ.)
კბილი - რიკთოფას კაპი
კუდაწარა – თოკმობმული ქვა
მოჭნეული – ტყორცნის სახეა
რიკატფა - ქვასატყორცნი (რაჭ.)
რიკთოფა - ქვასატყორცნი (რაჭ.)
სათითე – ხრიკოლას გვერდითა ხვრელი
ფაფანაკი – შურდულად ხმარებული თავსარქმელი
ფილაკვანი – ფილაკავანი, ლოდსატყორცნი მანქანა,
ქამარი – გოგრიჭის მხარიღლივა ღვედი
ღვლეჭი – რიკტფას კბილების მოსაჭერი ღვედი
ყოტაში – პატარა შურდული
შურდული – თოკი ქვის ბუდით (შოლტი, დაწნული, ნაქსოვი)
ძუაჭაპანი – გოგრიჭეების ასასხმელი თასმა
ხვრელო – ხრიკოლას ცილინდრული ღარი
ხრიკოლა – ქვის სატყორცნი ღრუ კეტი, არსებობს უკვერო და კვერიანი. ეს უკანასკნელი საცემადაც გამოიყენება

ᲥᲕᲔᲑᲘ

არძანი –
გორმეხი – უსწორმასწორო ქვა
გოხი – ქვიტკირისნაირი
გურნა - მრგვალი ქვა (სვან.)
კაპანი - მსხვილი ღორღი
კასილი – ხეხი, მაგარი ქვა
კაჭარი – რიყის ქვის ნაირი
კოხი – მქისე ქვა
ლოდი – დიდი ქვა
რიყე – ჭერეხი
საგორავი – დასაგორებელი ლოდი
სალა – ბრტყელი ქვა
სიპი – ბლუსუნი ქვა
სოპი – ლოდისნაირი
ღორღი – მსხვილი ნალეწი ქვა
ქარწაბი – ქარწბია, მინისებრი
ჩიკორი – დიდი მრგვალი ქვა
ჩიშლი – შავი სიპი
ჭალანგარი – მდინარის მაგარი ქვა
ჭყერი – სიპის ნატეხი

ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲜᲘ

„საცაა თოფი იჭექებს, კვამლი შაჯდება კვამლშია.“

ვაჟა

არჩილ მეფე ზნეთა აღწერისას ამბობს – ახლა დაუცადი მსროლელობაც ზნედ ითვლებაო. მართლაც, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამ ძლიერ იმოქმედა ტრადიციებზე. ხალხურ საგმირო პოეზიაში ნათლად ჩანს, რომ თუ ადრე ხმლით ტევება ითვლებოდა ვაჟკაცობად („მალვით ვინც მტერი მტერს მოკლავს, ის ქალს ვითა სჯობს თმიანსა?“),

თოფის დამკვიდრებასთან ერთად ჩასაფრება და მარჯვედ სროლა იქცა ხოტბის საგად. ცეცხლსასროლი იარაღი ასევე აირეკლა ჩაცმულობაზე (ჩოხაზე გაჩნდა ტანსაცმელი, იგივე სასწრაფო) და არქიტექტურაზე (კოშკებს გაუჩნდა ვიწრო საოფურები).

მართალია მშვილდი ჯერ კიდევ უფრო სწრაფმსროლელი იყო, მაგრამ ახალი იარაღით ჩვენი წინაპრის დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გარდა შავი დენთის წარმოებისა, ვახტანგ VI-ს, ნაშრომში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, თოფის წამლის დამზადების ქართული ხერხიც აქვს აღწერილი.

საარაკო ჩუბინი დათიკო შევარდნაძე

ხალხურ პოეზიაში არის რამდენიმე მაღალმხატვრული სახე, რომელიც ტოლს არ უდებს ეპიგრაფად მოყვანილ ვაჟას სტრიქონს. ვთქვათ ასეთი: „დააყრიან თოფები, ალი ახვიეს პირსაო, ხირიმი უშიშაისა ბისნის დაარღვევს ჩრდილსაო“, ან კიდევ: „დატყვრა და დატყვრა თოფები, ბოლი გეება წყალზედა, გადად-გადმოდის ტყვიაი, როგორც ფუტკარი სკაზედა“.

აქვე უნდა გავიხსენოთ პ. ჩხიკვაძის დოკუმენტური მოთხრობა „ნაბიჯები“, რომელმაც მრავალი საოცარი ამბავი შემოგვინახა თავისი დროის უბადლო მსროლელის დათიკო შევარდნაძის შესახებ.

თუ XIX საუკუნის მიწურულს მოღაწე რუს იარაღთმცოდნეს გ. ნ. პროზრიტელევს ვერწმუნებით, რუსეთ-კავკასიის ომში რუსულ შეიარაღებაში არსებული თოფები საბრძოლო თვისებებით აშკარად ჩამოუვარდებოდნენ კავკასიურს და ეს ომის შედეგსაც ეტყობოდა. ვითარება შეცვალა დიდი რაოდენობით „შტუცერის“ შესყიდვამ რუსთა მიერ. პროზრიტელევის სიტყვით: „ - კავკასიური შაშხანა დიდი ღირსებით გამოირჩეოდა. პირველყოვლის ძალზე მსუბუქი იყო. მთიელებმა, უწინარეს, ვიდრე რუსები ქვეითი ჯარის თოფებს დახვეწდნენ, თავიანთი თოფები ხრახნილლულიანი გახადეს და ამით შორსმსროლელობა მიანიჭეს. კავკასიური შაშხანა სამიზნის მოწყობილობითაც ბევრად აღემატებოდა რუსულ ჯარისკაცულ იარაღს შტუცერების შემოღებამდე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთიულური შაშხანა არასოდეს გახეთქილა.“

ანდე — იარაღის ბუდე
აინალი — ერთგვარი თოფი
არშავი — თუთიის ტყვია
არშავიანი - ერთგვარი თოფი
ბეზი — დენთზე დატკეპნილი ჭინჭი
ბოყვიჩა — მაჩვის ტყავის ჩანთა, სინესტისგან დამცავი
ბურა - ერთგვარი ფალიიანი თოფი
ბუჩა - ერთგვარი თოფი
დამბაჩა — მოგრძოლულიანი ხელმეხა
დგუში — ზუმბა, გეზი, თოფის გასატენი
დიბლიგი — დიგლიგი, დუგლუგი, ხეტარი, კონდახი
დურდურა — ზარბაზანი
ერეკლიები — ერთგვარი თოფი
ვერძი — თოფის სამკაული
ზამბურაკი — მცირე ზარბაზანი
ზარბაზანი — მსხვილყალიბიანი
თოფელა — ხელთოფა
თურგანი — დიდი თოფი
კასელი — თოფის სამკაული
კორა — მიზანში ამოსაღები
კუთხვა - ლულაწახნაგა (სვან.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღუმი – ლაღმი, ნაღმი
ლულა – თოფ-ზარბაზნის ტუჩი
მაჟარი - ერთგვარი თოფი
მაჭახელა – კაჟიანი თოფი
მუხტი – ფეთქებადი მასალის ოდენობა
ჟაკანი – მსხვილი ტყვია
სავაზნე – ვაზნებიანი სარტყელი
საკუთნო – დენთის ჭურჭელი
სამასრე – საქილე, სასწრაფო
სამიზნე – ჯილდა, სანიშნე
საპირისწამლე – თოფისწამლის ჭურჭელი
სართოველა - ხელთოფა
სასხლეტი – ჩახმახის ამძრავი
სიათა – თოფის სახეა
ფეშანგი – ტყვია (ფერეიდ.)
ფილთა – თოფის სახეა
ფინდიხი – მსხვილი ტყვია
ფიშტო – დამბაჩასავით
შამხანა – თოფის სახეა
შუშუნა - ცეცხლის სათამაშო
ჩარმა – თოფის სახეა
ჩოქელა – სასროლი დგომი
ჩუბინი – დაუცადი მსროლელი
ძეგლიეი – თოფის სახეა
ხარა – ხარათოფი
ხირიმი – ინგლისური თოფი, შემოდიოდა ყირიმიდან
ხორსი – ჩახმახის მოსაშლელი

საჭურველი

„ჩვენი ბატონი ერეკლე ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩაცვეს, გაჰკრა ხელი და გახია.“
ხალხური

საჭურველის შესახებ მოპოვებული მასალა ცხადყოფს მისი დამზადებისა და მოხმარების უძველეს და მაღალ კულტურას. თრიალეთში ნაწარმოები გათხრების დროს ნაპოვნია ძვ. წ. III ათასწლეულის ბრინჯაოს მუზარადისა და ფარაგის ნაშთები, ხოლო ვანში - ბრინჯაოს საბარკალი და საჩერნე.

ბერძნული მითის თანახმად აიეტს ომის ღვთაება არესის მიერ ნაბოძები ოთხჯიღიანი ოქროს მუზარადი ეჭირა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავლად გვხვდება შეგონება, თუ რაოდენ აუცილებელია საჭურველის თითოეული ნაწილი. მეომრის დაღუპვა ხან სამკლავის, ხან საბარკულის, ხანაც ჩაჩქანის უქონლობას ბრალდება. ამ საკითხზე თვით არჩილ მეფეც კი ამახვილებს ყურადღებას - „უმუზარადოდ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავიაო“ (თუმც კი, ამავე დროს, გიორგი ააკაძის გამორჩეულობის ხაზგასასმელად არჩილს „გაბაასებაში“ უწერია: - „მოურავმან იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა, თქვა, „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა“-ო).

ზოგი საჭურველი, დამზადების სირთულის გამო, საკმაოდ ძვირფასიც იყო და მასზე არც თუ ბევრს მოუწვდებოდა ხელი. მაგალითისთვის ავიღოთ ჯაჭვის პერანგი. იგი ასი ათასზე მეტი რგოლისგან იქსოვებოდა და თითოეული რგოლი შედუღებული იყო, ან მოქლონვილი. წარმოიდგინეთ, შუა საუკუნეების ტექნოლოგიით რა შრომას და დროს მოითხოვდა ჯერ სათანადო მავთულის დამზადება, შემდეგ ზომაზე დაჭრა (რგოლები სხვადასხვა ზომისაა), დახვევა, თავების დაბრტყელება, დახვრეტა, ფარეშის (მოქლონის) დამზადება, ჩაქსოვა, მირგება, ფარეშის გაყრა და მოქლონვა. აღსანიშნავია, რომ ამ ოპერაციათა უმეტესობას ქალები ასრულებდნენ. ერთი წყაროს მიხედვით XV საუკუნეში ჯაჯარიძეებისთვის სვანებს თითო ტყვეში თითო აბჯარი გადაუწდიათ.

ვახტანგ გორგასალს ჯაჭვის პერანგი ემოსა. სწორედ ამავე პერიოდის ურბნისის არქეოლოგიური მასალითაა დადასტურებული მეომრის ეს სამოსი. იმდროინდელი წყაროებიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ქართული ლაშქრის აღჭურვილობაზე. ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს ლაშქარში უმთავრეს როლს ასრულებდნენ „ცხენთოროსანნი“ და „ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი“, ანუ ცხენიანად შეჭურვილი მხედრები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასწავლებლები

კოტე ჩოლოყაშვილი

გიორგი გამზარდია

83 წლის ვანდი ეგეგრენია
იხსენებს მორეკიას

ვალო პირველი

გურამ ქაჯაია

ალექსანდრე დარასველიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასწავლებლები

ნიკორწმინდის მოჯლეკარი
მამა ავთანდილი (გიორგობიანი)

ანგრო პირველი ხანის
„ლიბრგიელის“ ილეთს

რეზო გულბანი (უდაბნო) ანალგაზრდა
მკვლევარ დავით გულბანს გადასცემს
„ლივიშდიელის“ ილეთს

მჭედელი იოსეგ ნიკოლაშვილი
(გურჯაანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც უმთავრეს დარტყმას აყენებდნენ მტერს. მათ შემდეგ ბრძოლაში ერთვებოდნენ ქვეითნი და ბოლოს მსუბუქად აღჭურვილი მხედრები, გატეხილი და შეშფოთებული მოწინააღმდეგის დასადევნებლად და საბოლოოდ დასთრგუნად.

ჯაჭვის პერანგი დამცავი ფუნქციის მატარებელია და, ამდენად, სავსებით ბუნებრივია ერთ შემონახულ ნიმუშზე, ალექსანდრე მეფის კუთვნილ პერანგზე დამცავი სიმბოლოების - კაცისსახიანი მზისა და მთვარის გამოსახულება. ეს ნიმუში საინტერესოა უფრო იმით, რომ იმეორებს ხალხურ ლექსში თორღვაზე გამოსახულ ნაწილებს - „მარჯვნით მზე წერებულიყვა, მარცხნისკე მთვარის ნალიო". წერებულიყვა თურმეს გულისხმობს, რადგან ეს სიმბოლო „ნაწილიანებს" სხეულზე (მეტწილად ბეჭთა შესაყარზე) ჰქონდათ გამოსახული და ნანახი არავის უნდა ჰქონოდა, თორემ „ნაწილიანი" დაიღუპებოდა. ჯაჭვის პერანგზე მათი ღიად გამოსახვა კი ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ პატრონს ტრადიციაში ფორმალა აინტერესებდა და არა შინაარსი.

აბჯარი – ჭური, საჭურველი, სილაღი, ჯაჭვის პერანგი, საფარველი, ჯავშანი.
გამოიყოფა 5 სახისა:
სამანქანი – ჯაჭვის თავი მრგვალი, საშფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, გადაგრეხით ძნელად გასატეხი;
ზეიდალი – სამანქანის მსგავსი, თითო რიგი მთელი თვალი, უფარეშო, თითო – ფარეშოსანი;
ხოსროვანი – მსგავსი ზეიდალისა და ქვედა პირი დარღაროვანი;
ქირაფქა – მობრტყე ჯაჭვის თვალი, ფარეშოსანი, რბილბასრი და უფორრე ბასრი, გადაგრეხით ადვილად გასატეხი;
ჯაბალა – ქირაფქის მსგავსი, ჯაჭვის თავი მრგვალი, ზოგი ფარეში მრგვალი, ზოგი ეკლებრივი;
ალმაჭური – ძლიერი შეჭურავა
ანჯარი - აბჯარი (მეგრ.)
ბეგთარი – მორკინული საცმელი, ვეფთარი
ზალტე – სამაჯური
ზარადი – ზუჩის ჯაჭვი
ზოსტარი - ქამარივით
თავსაჭურველი:
- ანზაბერი – ზუჩი პირ დევის სახე;
- კვერცხი – მხოლოდ თავსარქმელი პოლოტიკი;
- მუზარადი – პოლოტიკი წინ და უკან გრძელი ზარადით;
- ჩაფხუტი – უზარადო, საცხვირეთი;
- ჩაჩქანი – თხემზე მცირე პოლოტიკითა და მცირე ზარადით;
- ჩაბალახი – ლიტონი ჯაჭვის, უპოლოტიკო;

თორნი – ჯაჭვის სამოსი
იალმაგი – ალმაგი, ჯაჭვს ზემოდან ჩასაცმელი
მარცოლი – ჯაჭვის თვალი
მიგრი, ვიგრი – რაღაც ცხოველის ტყავი
პოლოტიკი – რკინის ფიცარი
საბარკული – ბარკლის ჯავშანი
საბეჭური – ბეჭის ჯავშანი
საბუხარი – საფუხრე, ქური, თათური, ჯავშნიანი თათმანი
სამანდრო – ელვარე საჭურველი
სამუხლე – მუხლის ჯავშანი
სამხრეული – მხრის ჯავშანი
საქონე – საპოხის ჭურჭელი
საყირმურზა – სატბუზე პოლოტიკი
საჩერნე –საწვივე აბჯარი
სირსიტი – ჩაჩქანქვეშ დასახური
ტალიკი – აბჯრის ბუდე
უმბონი – ბრინჯაოს ქერცლი
ფარეში – ჯაჭვის თვლის ჭანჭიკი
ქაფი – ჯავშანთა სამხარიღლიე
ყრილი – ჯავშანს სადა თვალი აკლდეს
წრიაპი – კბილებიანი ტერფზე ამოსაკრავი
ხუფთანი – ჯავშანზე საცმელი
ხელნავი – მკლავის ჯავშანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა მუზარადით

საჭურველი
(ზიმაადი ალდგერა)

სამკლესიო მხედართა ჯვრები და გულსაკიდები

ალექსანდრე მეფის ჯაჭვი

ხელნავი

ბეგთარი



თავი V

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლება

მენაკანი, სეფური, სხეული, სამოსი-აღკაზმულობა, ხელსონობა, მკურნალობა, გარისობა;

„ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების“
დავით გურამიშვილი

სადღეისოდ დამუშავებული მასალის საფუძველზე გამოიკვეთა პირველი რიგის ამოცანები, რაც შემდგომი წინსვლისთვისაა აუცილებელი. საკლუბო საქმიანობა დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. საწყისი მომზადება: საბავშვო თამაშობანი, ზოგადი სეფური, ცურვა, ვარდნები, საჩვევი იარაღის დამზადება და ათვისება;
2. ზოგადი განათლება: ისტორიული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის, კვებისა და მკურნალობის ცოდნის, ლექსიკური ერთეულების მოძიება წყაროებსა და ექსპედიციებში, მოპოვებული ინფორმაციის მოწესრიგება და სასწავლო მასალად ქცევა;
3. მორკინეს გამოზრდა: მონაცემთა და მიდრეკილებათა ბაზაზე განვითარების მიმართულების არჩევა, შესაბამისი სეფური, ფუნდრუკი, პაექრობისა და მსაჯობის წესების დადგენა და ამ წესრიგით სათანადო ხარისხთა (მენკოა) მინიჭება, საბრძოლო როკვების აღდგენა და შეტანა სეფურსა და ასპარეზობაში;
4. გუნდური თამაშები: სახიობა, ასპარეზობა, საცხენოსნო სახეობანი, გუნდური ჭიდაობა და გუნდური კრივი;
5. იარაღი, სამოსი: საჩვევი და საპაექრო იარაღის ნიმუშების შექმნა და ხმარების წესთა აღდგენა. სამოსის, აღჭურვილობისა და აღკაზმულობის შესაქმნელი სახელოსნო ცოდნის აღწერა;
6. რკინებათა სახეები: ჭიდაობის, კრივობის, ფარიკაობის, ხანჯლაობის, კომბლაობის, ბურთიან თამაშობათა და სხვა სახეობების თავისებურებათა კვლევა, ილეთების აღწერა-მოწესრიგება;
7. ხელჩართული ბრძოლა: პროფესიონალ სამხედროთა მომზადების სკოლის შექმნა, სამხედრო-გამოყენებითი თვალსაზრისით აუცილებელი ცოდნისა და ჩვევების ათვისება, გარისობა, თანამედროვე სისტემების შესწავლა;

განსაკუთრებით საშურ საქმედ შესაძლოა გამოიყოს შემდეგი:

1. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ექსპედიციების ორგანიზება და არსებული მასალის გადატანა ვიდეო და ფოტოფირებზე;
2. აღწერა, განწესრიგება და თემების დამუშავება საბრძოლო ილეთების, იარაღისა და აღჭურვილობის, ტერმინოლოგიის, ტრავმის მკურნალობის, სარიტუალო კულტურის, შერკინების სახეობათა კლასიფიკაციის და მრავალი სხვა მიმართულებით;
3. მოქმედი ჯგუფების შემოსვა და აღჭურვა კუთხურ თავისებურებათა შესაბამისად და ამ ბაზაზე საჩვენებელი გამოსვლების პროგრამის მომზადება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული საქმიანობის პროპაგანდისთვის;
4. მეთოდმასალის გამოცემა, დოკუმენტური, სასწავლო-მეთოდური ფილმებისა და კომპიუტერული სლაიდფილმების შექმნა ფიზიკური აღზრდის ეროვნული სისტემის სასკოლო პროგრამაში შეტანისათვის თეორიული საფუძვლის მოსამზადებლად.;
5. სახელოსნოს გამართვა, რომელიც კლუბებს მოამარაგებს საჩვევი იარაღითა და აღჭურვილობით;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასწავლებლები

ავთო სოხურაშვილი
(უკანა ფშავი)

გიორგი გველუკაშვილი
(თუშეთი)

გიგი წიკლაური
(როშკა)

სტეფანე ბალახაშვილი
(ვალე)

შალვა ავსაჯანიშვილი
(გორისციხე)

ქავთარ მამიაური
(ალიტი)

დავით გოგოჭური

თეთია ალუდაურის ფარიკაობის
გაკვეთილი (გამარჯვება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები

ვანო ჭკადუა ცხემადით
(სვანეთი)

ქართული ჭიდაობის
უბადლო ფალავანი
სიმონ მაისურაძე

მურმან კიკალიშვილი
ქალაქური ძრივის ოსტატი

„სამგზის“ პატრიარქთა - ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილების
სამახსოვრო ფოტო მეფლეფარ კოზა ჭუბურიძესთან ერთად

გიორგი ფირცხელანი (მესტია)
ლაშა კოზანიძის გადასცემს
ხანჯლაობის ილეთს

75 წლის ბიგა არაბული
(როშკა) ხმალჭიჭყათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენაკინი

ნებისმიერი სახეობის მოწესრიგება მოითხოვს შესაბამისი წესებისა და ცაცხვლობა-აღჭურვილობის, ტერმინოლოგიის, სეფურის ჩარჩოს განსაზღვრას. თითოეული ილეთის სარგებლიანობის დადგენაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

წინამდებარე თავში ვცადეთ საფეხურებად დაგვეხარისხებინა ცოდნა და შესაძლებლობები. განწესრიგება უაღრესად პირობითია და მხოლოდ გამოცდილება დაადგენს მის აკადემიანობას. საფეხურს ეწოდა მენაკი (მნიშვნელობანი განმარტებულია თანდართულ სიტყვის კონაში). გამოიკვეთა სამ ჯგუფად დაყოფილი ცხრასაფეხურიანი სისტემა:

I ჯგუფი (მოწაფენი)

I მენაკი – **მაჩვიერი** (ეს არის ახლადმოსული, რომელიც ამ საფეხურზე ყოფნისას აცნობიერებს სისტემას და ცდილობს მასთან შეგუებას)
II მენაკი – **ბილანი** (მაჩვიერი, რომელიც შეეგება სისტემას და აგრძელებს ვარჯიშს)
III მენაკი – **მოწაფე** (გაწვრთნილი მოვარჯიშე, რომელიც მზადაა რომელიმე მიმართულებით დასაოსტატებლად)

II ჯგუფი (მორკინენი)

IV მენაკი – **ჩაუქი** (მოვარჯიშე, რომელიც ვითარდება არჩეული მიმართულებით)
V მენაკი – **მორკინალი** (მოვარჯიშე, რომელიც ოსტატის მიერ შეირჩა საგანგებო განრიგით სავარჯიშოდ)
VI მენაკი – **მემეტე** (მორკინალთა ლიდერი)

III ჯგუფი (ოსტატნი)

VII მენაკი – **ოსტატი** (ოსტატს აქვს საკუთარი სკოლა)
VIII მენაკი – **სარანგი** (ოსტატი, რომელიც გამორჩეულია მოთავეობის უნარით, არის სადროშოს მეთაური)
IX მენაკი – **დიდოსტატი** (გაერთიანებულ სადროშოთა ხელმძღვანელი)

სეფური

„ეჭკაც გულად ზე მშრომელი სამის გაფრენით მეტია“
ხალხური

გადარჩენისათვის ბრძოლა სიცოცხლის უმთავრესი თვისებაა. ნებისმიერი ცოცხალი არსება დაბადებითვანვე აღჭურვილია მისი სახეობის მიერ ამ კუთხით დაგროვილ-გამომუშავებული უზარმაზარი ცოდნით.

ადამიანმა ამ ცოდნის გაღრმავებაში ინტელექტიც ჩართო. საიდანაც არ უნდა ავითვალოთ კაცის არსებობა, იმავე დროიდან ეწევა იგი საბრძოლო ცოდნის დაგროვებასა და განვითარებას. გარემომცველი სამყარო – სტიქიონი, მზეცა და თვით მისივე მოდგმა, მისგან ნიადაგ მზადყოფნას მოითხოვდა. ამდენად მებრძოლეობა იმთავითვე კაცის არსის ბუნებრივი ნაწილია და, შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია მოზარდის ხასიათში მისი სწორად ჩამოყალიბება.

ბიბლიოთეკა

და კიდევ – ჯანმრთელ გარემოში მოზარდის დგინება სრულიად განსხვავებულია. ძველად ღირსეულ პაექრობაში დამარცხებულს ვაჟაკაცის სახელი ჰქონდა და „უღირსად გამარჯვებულს კი ლაჩრისა.

წყაროების ანალიზს მიეყავართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სამხედრო მომზადებით შეძლებისმდაგვარად მთელი მოსახლეობა იყო მოცული. გამონაკლისს არც ქალი წარმოადგენდა (გაიხსენეთ ხუნტრუკის სპასაული განმარტება: - ქალთა მიერ ფუნდრუკი ძალისაებრ მათისა).

ევროპისაგან განსხვავებით საქართველოში თვით სასულიერო სასწავლებლის მოწაფენიც კი გადიოდნენ ფიზიკურ მომზადებას. XI საუკუნის ცნობილი მოღვაწის გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ მას წესად ჰქონიყო მოწაფეთა „ველად გასვლისა მღერად“ (იგულისხმება ფუნდრუკ-თამაშობანი).

დავით აღმაშენებლის მიერ გელათის აკადემიაში საგანგებოდ მოწვეული, თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნისა და პედაგოგის, იოანე პეტრიწის აღმზრდელობითი სისტემა ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა.

ასეთი ტრადიციის არსებობას ადასტურებს აგრეთვე გადმოცემა გრემის მონასტრის ორმოცი ბერის შესახებ, რომელთაც გზა გადაუჭრეს მოულოდნელად მოვარდნილ მტერს და ფიცხელი ბრძოლა გაუჩაღეს, რათა ერეკლე მეფეს ლაშქრის შეკრება მოესწრო.

წვრთნა აღრეული ასაკიდან იწყებოდა და ძირითადად ბუნებრივ დაბრკოლებებზე იყო მორგებული. მოვარჯიშე იმოავითვე ეჩვეოდა ოღრო-ჩოღროზე სირბილსა თუ სიპ ქვებზე წონასწორობის დაცვას, სიმაღლეში ხტომისას კაცს უნდა გადავლებოდა თავზე და არა თამასას, ხოლო სიგრძეზე ჭოკით ხტომისას ხევსა და მდინარეს, რათა საბრძოლო ვითარებასთან უკიდურესი მიახლოებით გაწვრთნილიყო. ამგვარად გაწაფული მოსახლეობა საჭიროების შემთხვევაში (ქუდზე კაცი) საკმაოდ მაღალი ხარისხის ლაშქარს ადგენდა. სამხედრო მომზადების აღნიშნული სისტემა საგანგებო რიტუალებითა და საკმაოდ მკაცრი ტრადიციებით იყო უზრუნველყოფილი.

„სამეგრელოს აღწერაში“ არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს - „ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, ფარსა და მშვილდს, თითქოს დბადებიდან იყვნენ შეჭეკულნი ამ ყველანი ისე გულმოდგინედ ეკიდებიან ამ საქმეს, რომ მუდამ მზად აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა ლაშქრობაში; საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღლიან; ასევე ლაშქრობისთვის აქვთ გადანახული საუკეთესო სურსათი. ყოველი იარაღი ისე აქვთ გაწყობილი, რომ თავრის პირველივე დაძახილზე შეძლონ ლაშქრად გასვლა. გარდა ამისა, დასვენების დროსაც კი მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, ბბჯარი და სამაჯეები სასთუმალთან ულაგიათ, რათა საჭიროებისამბრ საბრძოველელად მზად იყვნენ...

პატარებსა და ნორჩ ახალგაზრდებს სასტიკ ზამთარშიაც კი ფეხთ არ აცმევენ და აჩვევენ თოვლში ფეხშიშველ სიარულს. საშინელ პაპანაქებაში სანადიროდ მიდიან. ზშირად შიშვლები გავლენ ხოლმე უდიდეს მდინარეებში. ამას იმიტომ ჩადიან, რომ ცქვიტები და მარდები შეიქმნენ და შეეჩვინონ იმ გასაჭირს, რომელიც ომიანობას მოაქვს.“

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მიმართულებაა სამხედრო აღზრდისა. გარდა სახალხო ლაშქრისა, ბუნებრივია არსებობდა სამხედროთა ფენაც, რომელიც უფრო მაღალი დონის სამხედრო და ფიზიკურ მომზადებას გადიოდა (გავიხსენოთ სიტყვა გოთაული, რაც საერო საქმიდან განმდგარსა და იარაღით მებრძოლ კაცს ნიშნავს). არსებობდა აგრეთვე საგანგები დანიშნულებისა და გაწვრთნილობის რაზმებიც, რომელთაც განსაკუთრებული ხასიათის საბრძოლო ოპერაციები უნდა შეესრულებინათ – მტევებარნი, მარბიელნი, მსტოვარნი, მანდატურნი, კერკეტონი და სხვა.

მტევებართა მოქმედების ბრწყინვალე ნიმუშია დიდგორის შეტაკების წინ მოწინააღმდეგის განლაგებაში შეჭრილი მცირე რაზმი, რომელმაც მნიშვნელოვნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაპირობა ბრძოლის საბოლოო შედეგი. ცნადია ასეთი მებრძოლნი საარაკო სულიერი და ფიზიკური მონაცემების, მაგრამ ამავდროულად საგანგებო საბრძოლო ვარჯიშის მატარებელნი იყვნენ.

სეფური ქართული სიტყვაა და ვარჯიშს ნიშნავს, თუმცა ამ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა გაფართოებულია და გულისხმობს ვარჯიშთა სისტემას. იგი პირობითად შეიძლება დაიყოს საწყის სეფურად და საკუთრივ სეფურად.

საწყისი სეფური არის ვარჯიშთა ჯგუფი, რომელიც მოიცავს საბავშვო თამაშობებსა და ზოგად ფიზიკურ მომზადებას. იგი ამზადებს პირველ სამ მენაკს, სანამ მოვარჯიშე უშუალოდ სახეობებში ვარჯიშს შეუდგებოდეს),

თავად სეფური მოიცავს ვარჯიშებს, რომლითაც მოვარჯიშე იღრმავებს და ინარჩუნებს სახეობის ათვისებისათვის საჭირო ფიზიკურ მზაობას, რომლის გაზრდასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს მოვარჯიშის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. ამ მიზნის მისაღწევად უნდა დამუშავდეს სათანადო ისტორიული და ლიტერატურული მასალა, რომლის ცოდნაც სამწვრთველო კვალიფიკაციის განსაზღვრის ერთ-ერთი უმთავრესი საზომი უნდა გახდეს.

ამავე მიზანს ემსახურება სეფურის სიტყვის კონაც. გარდა იმისა, რომ ეს ტერმინები სხარტია და ტევადი, ისინი მწვრთნელს ეხმარება სათანადო განწყობილების შექმნაში. აქვე განვმარტავთ, რომ ტერმინთა დაჯგუფება პირობით ხასიათს ატარებს და უფრო სრულყოფილი სახე პრაქტიკული მოხმარებით მიეცემა.

აბზილაკი – აზიზი, წიწკი
ადაშურა – აჩქარება
აზმა - ქება
ათხაკი – შეუპოვარი, გაბედული
აკარწახებული – აკაპიწებული, დაკოტავებული
აკვალთული – აკრეფილი კალთა
ალაჯუნა – დიდნაბიჯა
ანაკი – გამოცდილი
არსილი – გერგილი, ზნოება
ასაკი:
- უსუარი – 10 წლამდე
- ნინველი – 15 წლამდე
- ყრმა – 20 წლამდე
- ჭაბუკი – 30 წლამდე
ასესება – ფეხზე გამაგრება
ასკიკუკა – ასკინკილა, სალიკმალიკი
აცაბაცა – შეუწყობლად
ახად – ჯეროვნად, სამართლიანად
ბაბნიკი – ერთ ადგილზე ტკეპნა
ბადუნი – უშნოდ სიარული
ბალანგარი – მოუსმენარი
ბალაზტარა – უზეიროდ მკეთებელი
ბარგანაობა – რაცრაცი, ტორტმანი, ბაცბაცი
ბარგანი – სიარულში ფეხის ჩაკეცა
ბატატური – ფეხის განზე გადგმით სვლა
ბაციკა – პატარა
ბაწარაღებით – განუწყვეტლივ
ბაჯიჯი – განგან დიდი ნაბიჯი
ბზაკუნი – სკუპით სვლა
ბიიბუ – წაგებულის გასაბიაბრუებელი შეძახილი
ბილანი – გამოუცდელი
ბოკოტა – კოტიტა, ბაკუტა
ბოჟიკი – მომცრო
ბოში – ფომფლე, ფამფლე, დაფოთებული, მომვებული
ბოჩინი – უაზრო საქმიანობა
ბოწიწკობა – ფეხების მაგრად დადგმა
ბუაკი – გირგისალი, სირსიგალი, ადგილზე ტრიალი
ბურტული – ყირამალა კოტრიალი
ბურხალი – უწესო ჭიდაობა
ბუქნა – ჩაცუცქვა-ახტომა
ბუხტუნა – დიდვულა
ბღუნვა – თავზე და მუხლებზე ბრუნვა
გაბობება – ბობღეასავით გაკვლა
გაბოტება – ფეხების გაბრჯენა
გაბუცება – გაშტერება
გაგლინება – ჩუმად გაცოცება
გათაბვა – შებოჭვა
გამაშირება – განარდიშება, ხელის გავარჯიშება
გამოჩირჩნა – გაწვრთნა
გაპერვა – გაიფლიანება, გაქაფვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდი — წრე (სვან.)
გაჩხრეკა — გულდასმით განხილვა
გაჩვევა — გაწაფვა
გაწკეპილი — კარგად გამწკრივებული
გაწკრინვა — სწრაფად გაქცევა
გახარიტება — გაქოფიტება, გაზეპირება
გაჯრა, მოჯრა — მწყობრის გაშლა და შევიწროება
გერიმ — გამეორება (ფერეიდ.)
გვალე — სწრაფი სვლა
გვანგვალი — მოკლე და სწრაფი ნაბიჯით სვლა
გლასუნი — ზერელედ გასმა
გლინვა — გველივით ცურვა
გოგმანი — მსუბუქი სვლა
გუნგრუცი — ზოზინი
დაკამარება — ნახტომით რბენა
დასვასა — რიგით მოწყობა
დატიშვა — სწრაფად გაქცევა
დაღურდანა — ქვეშქვეშა, მუზმუზელა
დაცქნაფა — განბავა
დაწალიკება — მწკრივად წასვლა
დგომი — დგერი, შაქი
დგენა — მჯობნის გარკვევა
ეგემცევ — ეგებ როგორმე
ეგრენა — ეესრ, ამგვარად
ერეა — მხოლოდ, მარტო
ვინძლივ — თუცა ძალ ვედვას
ზანზური — ტანის რხევა
ზაზანი — ზარმაცი, ზოზმაქი
ზველეა — გაბამვა
თოქი — მშიშარა, ტრელი
იათაქი — სიარულისას ფეხის ფეხზე გასმა
იგრობან, აგრობან — იქით, აქეთ
იერიში — სწრაფი შეტევა
იკანკელი — დაკაკკაული, აღმართში ზიგზაგით ასვლა
ისყია — ყირამალა
კალი — გაშლილი ხელები (სვან.)
კვატუნი — კიდურის სწრაფი ქანება სახსარში ღუნვით
კვიმატი — ფათერაკი
კინკილი - ცალ ფეხზე ხლტომა
კისკასი — მოქნილი, მარჯვე
კოკბად — ერთად
კოტაობა — ტყუილი ჭიდაობა
კოტიზი — კუნტრუში
კოტრიალი — თავით წინ გორვა
კნაჭა — გამხდარი
კუნკული — მცირე ბუქნით სვლა
კუნტება — ჩაჯდომა ისე, რომ ხელდომი მიწას არ ეხებოდეს
კუსკუსა — მოუსვენარი
კუსპარა — პატარა და მოძრავი
ლაკვა — ფეხით ტკეპნა
ლანგანი — მუშაითის ლატანი
ლაშხალუშხი — გრძელი ნაბიჯით სიარული
ლმობა — დაზოგვა
მაელედ — მრგვლად მოწყობა
მასტი — მალხაზი
მაქუნა — ცელქი
მაქცი — ეშმაკი, ხერხიანი
მაჩვიერი — ვინც ეჩვევა
მაცაცერა — ანცი
მაჯაგი — გამძლე, ამტანი
მემაორახე — მებრძოლის გამწვრთნელი
მეწყვილე — ამფაზი, ჯუფთი
მიდეგა — თავისის გამტანი
მიელა — მოსიყვარულე ბავშვი
მიკვირია — ყველაფერი რომ უკვირს
მიჭკამალაყი — კისერზე ვადაბრუნება
მიჯრა - მწყობრის შევიწროება
მკისე — გაბედული
მოთაული — მეთაური
მოთელვა — გაზურება
მორკინალი — შერკინების მონაწილე
მორთხმა — ფეხმოკეცით ჯდომა
მრე — მომრევი
მრწემი — უმცროსი
მრჩობლი — წყვილი
მცონარობა - შიში მოქმედებისა
ნაბიჯი — ერთი ფეხი წინ (ბიჯი — მეორეც)
ნაბული — თავდასხმისწინა განაბვა
ნებრუცა — ნებიერა
ოჩოფეხი — საბიჯიანი ჯოხი
ოხა — მიხმარება
პაეერობა — შერკინება, დგენა
პანკი — ბიჭი
პატაკი — მოხსენება უფროსისადმი
პოტიკი - მიდებ-მოდება
პრიანი — წადილი
ყინი — წადილი
ყირავი — ქოსური მოძრაობა
რახელ — როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიხი – გაბედულება, სითამამე
როკვა – ილეთთა რიტმული შესრულება
სარისტა – წესრიგი
სარსარაკა – ყბედი
საცდური – ცრუმოძრაობა
სეფური - ვარჯიში
სოლ! – სიჩუმისაკენ მოწოდება
სრევა – სროლა
სულმაუთი – მოუთმენელი
სუნგალი – გასუსვა
ტაბუეი – ფეხშიშველი სიარული
ტალიკი – მოხდენილი
ტორღვება – იარაღის ტრიალი, ქიჩილორია, კიჩილობია
ტორღიალი - ჩაკიებით ადევნება
ტორიკი - უაზროდ ხეტება
ტუქსვა – საწვრთნელი რისხვა
უგანა – გაუხტა
უგეში – გაუწვრთნელი
უდგრეში – ურჩი
უდები – ზარმაცი
უდიერი – ძალის დატანება
უზური – ყურადღება
უნიშნგეშოდ – უკვალოდ
უსმი – შეუსმენელი
უჯრიკი – მოუხეშავი
ფაიქარი – ძალიან სწრაფი
ფანგაფუნგი – ბაჯბაჯი
ფაცანგი – მოუსვენარი, ფუცხუნა
ფაციცი – მოწადინება
ფაცქიკუკუ – კუკილით ხტომა
ფეხფეხ – კვალში
ფილა – შეცდომა, ფუწი
ფორი – მოედანი
ფოფიალი – მჩატედ სიარული
ფრიად – დია, ძალიან
ფხიტი – ცქვიტი
ქევალა – ტრაბახა
ღიმღამი – უნარი
შავა – ინტერესი
შეღერება – ტანის აყრა
შტრინგი – ყოჩაღი
ჩაჩულია – ჩანჩურა
ჩაჩხი – პარჭყი, შაგატი
ჩერეკი – არეული ნაბიჯი
ჩინდრიკი – ძუნძული
ჩინჩილი – ფეხაკრეფით სიარული
ჩიხარხალა – უწვრთნელი გუნდი
ჩხიმალა – მჭლე
ჩხორი – უწესრიგო ხროვა
ცბოლა – მაცდენლობა, ჩბოლა
ციაცი - თვალის ცეცვა
ციბიკი – ხტუნვეით სიარული
ცივცივ – ფეხდაუკარებლად
ცილობა – ქიშპობა
ცინკილი – ჭლიკზე ხტუნვა
ცირგავი - მასხრობა
ცლაგვა - ერთ სიტყვაზე დაუდგრომლობა
ცლანგი – ცუღლუტი
ცონა – ზარმაცობა
ცორვა – სრიალი
ცოცვა – მუცელბარკლით სვლა
ცქაფი – ხელსწრაფი
ცქეტა – დანაზვის ნდომა
ცხაკუნი - მოკლე, ჩქარი ნაბიჯი
წადიერი – მოსურნე
წალიკი – მწკრივი
წიფება – შეძლება
წკეპა – მცირედ ცემა
ჭდე – საფეხური, ხარისხი
ჭორონა – ასაკისთვის ტანდიდი
ხავზავი – ჯდომელა ბრუნვა
ხამისცემა – დაღლით ცუდად გახდომა
ხარიელა – ტლანქი, ხებრე
ხასი – გაბედული
ხებესტარი – შეუსმენელი
ხელბუკი – ზანტი
ხვინიკი – ცმუკვა
ჯგიმი – გაჯიმვით დგომი
ჯერგა – წრის შეკვრა, ალყა
ჯიგლიგი – ჯიკავი, ჯირგილი
ჯიკვა – ტანმორჩილი და ღონიერი
ჯიმრი – აკვიატებული ჩვევა
ჯლიხაობა – ბუკაობა
ჯონგა – ვაჟკაცი
ჰამრობა – აღრიცხვა

სხეული

ქართული ლექსიკა შესაძლებლობას იძლევა დაწვრილებით აღიწეროს როგორც შემტევის, ასევე თავდამცველის სხეულის შესაბამისი უნები, რაც უაღრესად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტომაგი

1. ანგალა
2. ბეჭისთავი
3. ბოქვენი
4. გობეგი, ჭიპი
5. გულბანდი
6. ზემხარი
7. ზურგი
8. იღლია
9. კიმკიმა, ლავიწი
10. კუდუსუნი
11. კუსუმპო
12. მენჯი
13. მუცელი
14. პურტი
15. საზარდული
16. სიბა
17. ჟდომი, საჯდომი
18.. ტომაგი
19. ფერდი
20. ფერცხალი, ნეკნი
21. ღვინჭიპა
22. შუასაძგიდი
23. წელი
24. ჭანჭალი
25. ჭიღვი
26. ხერხემი, ხერხემალი
27. ხეცრო
28. ხვაპი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი

1. ბაგე:
- პოპორი
- ლაში
2. ბაკანა
3. ბიბილო
4. გოზა, წარბი
5. თვალი
6. თხემი
7. კაკნატელა
8. კეფა
9. კეხი
10. კინწი
11. კოპი
12. კოკორახი
13. კუბუხი
14. ნიჟარა
15. ნიკაპი
16. პინჩი, ნესტო
17. სარქე
18. საულვაშე
19. საფეთქელი
20. სოთი
21. უპე
22. ქედი
23. ქური, ლოყა
24. ღაბაბი
25. ღინწი
26. ყბა
27. ყელი
28. ყვრიმალი
29. ყური
30. ყურისძირი
31. შუბლი
32. ჭაშა
33. ხვანჩი, ხორხი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი

1. ბერა, ჯიგვი, ცერა
2. ბღაჯი
3. ბწკილი, ფრჩხილი,
4. გვერდა, არათითი
5. გოგი
6. გოჯი
7. დაჯი, იდაჯი, ვატაჯი
8. კიწანი
9. კოჟიჟი
10. მაჯა
11. მკლავი, ტიღვი
12. მქანე, სახსარი,
13. მტევანი
14. მხრიკიწი
15. ნები
16. ნეკი, თითნიკა
17. სავარცხელა
18. საზალტე
19. სალოკი
20. შეშუალი, შუათითი
21. წინამხარი
22. წყრთა
23. ხელი
24. ხელისგული









ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი

1. ახმი
2. აშავერი, ბარძაყი
3. ბასმა
4. ბჭალი
5. გაზა
6. გალო
7. გარჯდა
8. დუნდულა
9. ვეგი, კოჭი
10. თეძო
11. თეძოსთავი
12. ისქიო-იღუნიო
13. კანჩალა, წვივი
14. კანჭი, ოჟგალა
15. კაჩა, კართი
16. კორი, კვირისტავი
17. ლაჯი
18. ნაკუთალი
19. პოჭოჭიკი
20. ტაბუხი, მუხლი
21. ტერფი
22. ტლოკი
23. ქუსლი
24. ჩერანი, წვივის გნდე
25. ცანდი
26. ჭვინტი, წკვერტი
27. ჭლიკი, წკიპი
28. ხომი









ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანია ილეთის ჩასაწერად. ქვემოთ წარმოდგენილი სხეულის რუკა ამის ნათელი დასტურია. საყურადღებოა ისიც, რომ დასახელებანი იცვლება მდგომარეობის, სივრცული განლაგებისა და გეზის მიხედვით.

ანგალა – მხარი უბეჭოდ
ახმი – ტერფის ზურგი
აშავერი – ბარძაყი, შახვარი
ბადანი – ტანი (ფერეიდ.)
ბაია – გუგა
ბაკანა – ქალა, კრენჩხა, ხაპერი
ბასმა - ტერფის შიდა მხარე
ბერა – ჯიგვი, ცერა თითი
ბეჭი - წიმორთი (მეგრ.), აფხა
ბეჭისთავი – ბეჭთა შესაყარი
ბოქვენი – სიპი, ჭიპქვეითა მუცელი
ბრატი – მყესი (სვან.)
ბღაჯი – ხელისგული თითებიანად
ბჭალი – ფეხისგული თითებიანად
გაზა – წვივის ძვალი
გალო – კიდურის ძვალი
გარჯღა – ლაჯის ზემო ნაწილი
გვერდა – არათითი
გოგი – თითის სახსარი
გოზა – წარბი
გოჯი – თითის წინა სახსარი
გულბანდი – მკერდი
დაყვი – იდაყვი, ვატაყი
დუდი - თავი (მეგრ.)
ვეგი – კოჭი, კომახი, კორნატი
ზემხარი – მხრის სარტყელი
ზურგი – მკერდის უკანა მხარე, კაპულა (ლაზ.)
თაბლა - ყურის ნიჟარა
თაგუნი - მყესნი
თეძო – პოჭოჭიკს გარეთ
თეძოსთავი – თეძოსზედა ნაწილი
თმა: ვარჯი – შეუკვეცავი; ქოჩორი – შემოკვეცილი; ჯეჯვი – წამოზრდილი თაფნაპარსი; ფაჩენი – მკერდის ბალანი; გრუზი –ხუჭუჭი ხშირი თმა; ბლიკი – ქაჩალი; ბენბერი – უხეში თმა; ბეჯერი – მსხვილი, სწორი თმა; კოკოჭინა – თმის გვირგვინი კეფაზე; ბანჯული - ტანის თმა
ისქიო-იღუნიო – მუხლის მდრეკი მყესნი
იღლია – ჭიღვის სადრეკი
კაკნატელი – ცხვირსა და შუბლს შუა
კანწალა – წვივი
კანწრახი – მაღალი წვივი
კანჭი – კოჭიდან მუხლამდე, ოყგალა
კართი – კუნთი, კარსი
კაჩა – მუხლის სადრეკი, ქაცაცი, ღვირკი
კეფა – კისრის ზემოთ
კვა - შუბლი (ლაზ.)
კვანთი – მუხლის ძვალი, კვიტიტი, კვიშტავი, კვირისტავი, კორი, წირღვი
კვინიხი – კინკრიხო, კორტოხი, კოსრო, თხემი
კითი - თითი (მეგრ.)
კილო – თვალის გარე კიდე
კიმკიმა - ლავიწი
კინწი – კირწი, ქედი, კინჩხი
კიწანი – მტევნის გარე წიბო
კოპი – ჭაშას აქეთ-იქით ბორცვები
კოკორახი – კოხროლია, კოხრი
კოჟიჟი – კოჟრი
კუბუხი – სარქეს უკან კოპი
კუდუსუნი – კუჩაბა, კუკუზნაქი, კუკუხო
კუსუმპო – თეძო-საჯდომი
ლაში – ქვედა ბაგე, ჩარბი
ლაჯი – ბარძაყის შიდა მხარე
მაჯა – მტევნის სახსარი
მენჯი – ქვედა ძვლოვანი სარტყელი, მეჯი
მკერდი – ლავიწიდან მუცლამდე, კიდირი (მეგრ.)
მორფი - სხეული
მოსაქანი – სახსარი, მქანე, სადრეკი, კომი, ნაწევარი
მუცელი - მკერდიდან ბოქვენამდე
მყესი – კუნთის ძვალთან მაკავშირებელი
მხარი - ზუჯი (მეგრ.)
მხარუღელა – ლავიწს და ანგალას შუა
მხრიკიწი – მხრის სახსარი,
ნაკუთალი – კანჭის კუნთი
ნაქი – ყია
ნები – ნეფი, ხელისგულიდან მაჯამდე
ნეკი – თითნიკა, ნიკორა
ნიკაპი – ყბის წვერი, ნიკრისი
ნინუა – ღრძილი, ნონუა
ორანი - ხახა (მეგრ.)
პოპორი – ზედა ტუჩი
პოჭოჭიკი – ბარძაყის ძვლის თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურტი – ფერდსა და ნეკნებს შუა
საგარცხელა - მტევნის ზუერი
საზალტე – მაჯის ზუერი
საზარდული – ბოქვენს აქეთ-იქით
სალოკი – საჩვენებელი თითი
სარქე – ჭაშას უკან აქეთ-იქით
საულვაშე – ცხვირიდან ბაგემდე
საფეთქელი – ყვრიმალს ზემოთ
საწინწკარი – ლავიწი, ავქაში, კინკიბა
სიბა – სარტყლის ადგილი
სოთი – ცხვირი კეხს ქვემოთ
ჟდომი - საჯდომი
ტაბუხი – მუხლისთავი, კვისი, ბურგული (მეგრ.)
ტატყები – მსხვილი ხელფეხი
ტერფი – ფეხი კოჭსქვემოთ
ტიღვი – მკლავი, ბწალი, კალე
ტლოკი – ბარძაყის უკანა მხარე
ტომაგი – სხეული უკიდურეოდ,
უპე – ღაწვიდან თვალამდე
უჯი - ყური (ლაზ.)
ფენთხი – გვერდის უნკენებო ნაწილი
ფერდი – ნეკნიდან თეძომდე
ფერცხალი – ნეკნი, კელავარი
ფრჩხილი – ბწკილი, ჭკილი, ქემერი (მეგრ.), ცხა (სვან.)
ქედი - კისრის ძირი
ქენდერი – ღიპი, ფაშვი
ქერი – ლოყა, ღაწვი
ქუსელი – ტერფის უკანა ნაწილი
ღაბაბი - ნიკაპის ქვემოთ
ღვინჭიპა – ჭიპს ირგვლივა
ღინწი - კისრის ღრმული
ღრაჭა – ხრტილი, ლიხტი, ხიტკინა
ყბა – კრიჭა, ლოყის ქვემოთ
ყელი - ღაბაბიდან ლავიწამდე
ყვრიმალი – ლოყის ზემოთ კოპი, ჭოყვი
ყურისძირი – ყურის ქვემოთ
შეშაძარღვი – საღრეკთა მყესი
შეშუალი – შუათითი
ში - ხელი (სვან.)
შუასაძგიდი – დიაფრაგმა
შუშტუკი – ნესტო, პინჩვი
ჩანი – ქვედაყბა, ლაკი
ჩერანი – წვივის გნდე
წელი – ზურგიდან გავამდე
ცანდი – ქუსლსზემოთ, ნაკუთალამდე
წინამხარი – იდაყვიდან მაჯამდე
წყრთა – იდაყვიდან შუათითის წვერამდე
ჭანჭალი – კვერცხების პარკი
ჭაშა – შუბლს ზემოთ
ჭვინტი – წკვერტი, ფეხის წვერი
ჭიპჭორა – ჭიპი, ჭუპეტი, გობეგი, ჩუპა (მეგრ.)
ჭიღვი – მხრის სახსარი
ჭლიკი – ტერფის წინა ბალიში, წკიპი
ხერხემი – ხირხალი, ხერხემალი
ხეცრო – მენჯის წინა ფრთა
ხვანჩი – ჯოორჯა, ხორხი, ყრონტი, ყანყრატო
ხვაფი – გულის კოვზი
ხომი – ტერფის გარე წიბო
ხორხალი – მხრის ძვლის თავი

სამოსი-აღკაზმულობა

„ყაწიმები გიხდებოდა შავლეგო“
ხალხური

ამ თავში თავმოყრილია ჩაცმულობის ყველა ის სახეობა და დასახელება, რაც კი ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში მოიპოვებოდა. ბევრ მათგანს, ეთნოგრაფიულთან ერთად, სახმარი ღირებულებაც შემორჩენია. მაგალითად, დარბაზში ვარჯიშის დროს საუკეთესო ფეხსამოსია ბაგეი, კაჭანა ან კარაჭინა, ხოლო ისეთი სამოსნი, როგორიცაა ჭონია, ჩაქურა, კვერტო, დურა და მისთანანი, შეუცველიც კი.

მე. წ. II ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული თრიალეთის ვერცხლის თასის ამ ფრაგმენტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალავარი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავსარქმელი

ფამფარა, ბარჯღალა

ბოხოხი

ფაფახი

გერგელა

სვანური

ყაბალახი

თუშური

ფაფანაკი

ფიკფიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხსამოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსახულია სარიტუალო მსვლელობა, რომლის მონაწილეníც ნიღბებში, კუდიან მოსასხამებსა და ჭვინტაარეხილ ფეხსამოსში გამოწყობილან (სვანეთში ჩვენს დრომდე შემორჩა მგლის ტყავის მოსასხამები, რომელთაც კუდი ჰქონდა დატოვებული).

საინტერესო ცნობას გვაწვდის სტრაბონი ერთი საგანგებო აღმზრდელობის შესახებ. მისი თქმით თოვლზე სავალად მთიელები (კავკასიის) ფეხზე იმაგრებენ ლეთონის წვეტებით მოჭედილ ხარის გამოუქნელი ტყავის ფართო ნაჭერს.

ასევე საინტერესო თემებია ბრინჯაოს ხანის ნაირგვარი აბზინდები, ბუნებრივი საღებავებით ღებვის ტექნოლოგია, შურდულად გამოსადები თავსაბური – ფაფანაკი, დამცავი დანიშნულების ნახატები ტანისამოსზე, ზედა წიბოში მავთულგაყრილი თუშური ქუდი (ტრავმის შესასუსტებლად) და სხვა მრავალი.

ალბათ ღირს ყურადღების საგანგებოდ შეჩერება ხევსურულ ტალავარზე. ეს სამოსი (თუ საგანგებო შემკულობაზე უარს ვიტყვით) საოცრად შესაფერია სავარჯიშოდ შედარებით სიიაფის, დამზადების სიმარტივისა და მოსახერხებლობის თვალსაზრისით (იხ. ილუსტრაცია)

აბზინდა – კარშიკი (ხევს.), ყუნი (მეგრ.), საჩზელეტელიანი ბალთა
აგრაფი – მოსასხამის შესაკრავი
ადიმი - მოუქნელი ტყავი
ალაქანი – წინდის ძირზე გამოკერებული ტყავი
ამოსაზიდი – პაჭიჭის სამაგრი რგოლი
ასტარი – სარჩული (ფერეიდ.)
აყოშა – მუქი შინდისფერი ჩოხა
ახალუხი - ახალოხი, ჩოხის პერანგი
ბაბთურა – ალალ ნაქსოვზე შიბებს შორის გამოყვანილი რაიმე სახე
ბაგეი – მატყლის სქელი წინდა, თოვლში სავალი
ბალთა – ილეკარის შესაკრავი სარტყელთა და მისთანათა
ბანდული – ლანჩადაწნული წაღა, ბინდული
ბარჯღალა – ცხვრის ტყავის გრძელბეწვა ქუდი
ბაჭკო – მწყემსის საწვიმარი
ბახტარი – პაიჭის აბზინდიანი თასმა
ბელყაიში – ტყავის სარტყელი
ბილაზუკი - სამაჯური
ბილაონი – საზაფხულო თხელი წამოსასხამი
ბორკი - შარვლის ტოტი (მეგრ.)
ბოხოხი – მოქნილი ცხვრის ტყავის თავსარქმელი
ბეანტი – ქამარი
გამოღვედული – თასმით შეკერილი ქალამანი
გარე-თმა – ტყავის სამოსი ბეწვით გარეთ
გეიშა – მოკლე ტყავის ქურთუკი
გერგელა – აჭარული ფარფლიანი ქუდი
გვაბანაკი – ნაბდის მოსაცმელი
გუგუმა – დიდრონი ღილი, ტაატაბო, უტურა
გულთათა – მასრების ჩასაწყობი ჩოხაზე
დუმარა – თავსაბურიანი სამოსი
დურა – კაცთ საკუზი, ტყაუჩი
ვარმე – იალმაგი, ვარში
ვაკასი – ვარშამანები, სამხრე, მოკლე მაზარა, საბეჭური
ვაშკარანი: - გვალაგი, ტომარა, მახალი, მანდიკი, შულდაკი, ხალთა, ჩახვი, ჩალათა, ბალანტი, ქისა
ზანგალი – უთათო პაიჭი
ზეზი - ოქროქსოვილი
ზორტი – სამოსელთ შესაკინძავი
ზოსტერი – სარტყელი
ზუბუნი – ორჯიბიანი საყელოიანი ახალუხი
თათმანი – ქურო
თალფაქი – ქუდის სახეა
თასმა – ტყავი სამუშაკოდ მზა
თაქნაბადი – კარგი ნაბადი
თელუგა – ღაზლის უყელო წინდა
თეკურა – უხარისხო ნაბადი
თოლა-ბულუხი – უჯრული აბრეშუმის სარტყელი
თოხა – აბზინდა
იაფუნჯა – ნაბადი (ჯავახ.)
იახა – არშია
იკა – პაიჭის თასმის ჩამოსაბამი სარტყელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჩლუგი — უსახელო თბილი სამოსი
კა - ახალუხის შესაკრავი (მეგრ.)
კაზმა — მორთვა
კაკალები — თხილამური, ზანკალი
კალთა - ჩოხის წელსქვემო ნაწილი
კაპჭანა — უყელო წინდა
კარაჭინი — ნაქსოვი წუღა
კარჩიელი — საქალაქნე ტყავი (საქონლის უკანა კანჭისა)
კაწაპი — წუღის ჩასაცმელი სასხლეტი
კენდრი — თოკის უხეში სარტყელი
კვარაჭინა — დაბალი ქუდი
კვართი — პერანგი
კვერტო — მოკლე ჩოხა, კორტუა, კვარტუა
კვეტენა — თასმის ღილი
კიდარი — ქუდი
კობალა — ხეშის, ტილოს სარტყელი
კომიჭი — დუგმა
კოპი — მოუქნელი თასმა, ქალამნის ამოსასხმელიც
კოპური — ნაოჭიანი ქალამანი
კოხუჯი, კოხუნჯი — იმერული ქალამანი
კუკი — ჭუპრა, ნიღაბივით
კუპრიალა — ტყავის დერა ბეწვით შიგნით
კუტაუხა — წინდის სახეა
ლაბარი — ქალამნის შესაკრავი მსხვილი ძაფი (სვან.)
ლეკვერთხი — წვივსაკრავი
მაზარა — წამოსასხმი
მარყუჟი — ადვილგასასხნელი ნასკვი
მაშია — ფეხსაცმლის სახეა
მესტი — მოკლეყელიანი უძირო მეშის ფეხსაცმელი
მოგვი — ჩექმა
მომკაული — სამკაული
მუქასარი — შარვლის ტოტი
ნაბადი — მითელილი მატყლის წამოსასხმი
ნაბდურა — ტყავისძირიანი ნაბდის წინდა
ნათი - სამოსის ზურგი (მეგრ.)
ნამრი — ნეშმით ამოხვეული ნაწიბური
ნატა — მოეწილი ტყავი, თალათინი
ნაწიბური — ქსოვილის ნაპირი
ნაჭრელი - ორნამენტული შემკულობა
ნახჭი — ამოკვეთილი ორნამენტი
ნეონი — ქალამნის საკერი ძაფი (სვან.)
ნესკორ — ლესკორ, წვრილი თოკი (სვან.), სამტოტად დაგრეხილი და ცვილში გაგაზილი საბანდულე ძაფი
ნეჭა — წმინდა ჭილოფი
ოიმა — ჩოხის უკანა კალთა, ბეჭებთან ერთად გამოჭრილი
ორტყაფი - ქამარი
ორჩოფეხა — მაშია წინ და უკან ქუსლიანი
ორხაო — ახალუხი, პერანგი
ოსარე — ჩოხა (სვან.)
პაიჭი — კანჭის სამოსი, პაჭიჭი, პაჭანიკი, საკოჭური
პაპანა - ფაფანაკივით ქუდი
პეპელი - ღილი
პერპერა — ფიდულობა, მორთულობა
რუბი — ღილის კილო, რუფი
საბეჭური — კაცის პერანგის მოქარგული გულისპირი
საბიძალი — შარვლის უბე, ჭაჭი
საგულე — ახალუხი
საკართული — წვივსაკრავი
საკოჭური — პაიჭის ლანჩის თასმა, შარვლისაც
სამყადი — სამფერა სარტყელი
სამხედრო — ტალავარის კალთის ჭრილი, ჩაე
სარმუხა - ფეხსამოსი
სარქმელი — ქუდისნაირნი
საჩიხი — წინაფრა, საჩრდილობელი
საცვეთი — ჩაქურაზე ამოსაცმელი პაიჭი
საწელა - შარვლის ზონარი
საწმართული — შარვალი
სახაწლე - შარვლის ზონარგასაყარი
სახელი - ტალავარის სახელო
სახვიელა - წინდის ყელის შესაკრავი
სიბა — სარტყლის ადგილი
სიკუნი — ნასკვი
სირიფი — წვრილი სარტყელი
ტალავარი — ჩოხის სახეა (ხევს.)
ტალმა — მოსასხმი
ტანთი — ტანსაცმელი, ტანკორტი, ურუბა
ტოლამა — ბეწვიანი ფართო სამოსელი
ტოლაღი — წვივის და მაჯის არტახი
ტყაკაბა — ბეწვიანი სამოსი
ტყაპუჭი — ტყავის ზედა სამოსი
ფამფარა — გრძელბეწვა ცხვრის ტყავის ქუდი
ფანდაკი — მოგვის მაღალი ქუსლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაგი – ფშაური გულსაფარი, ჯიბიანი წელსარტყამიც
ფარგული – თუშური გულსაფარი
ფატან – პერანგი (სვან.)
ფაფუჭი – ჩუსტი
ფაჩარი – ნაბდის ფეხსაცმელი
ფაითმანგი – წვივსაზვევი (ფერეიდ.), ფეთმაგი
ფეხსამოსი: პაჭიჭი, წინდა, კარაჭინი, წუდა, ფეთმაგი
ფეხსაცმელი: მაშია, ბანდული, მოგვი, ხამლი, უძირო, წაღა, ქალამანი, მესტი, ფაფუჭი
ქალაშა – ნაქსოვი ფეხსამოსი (ფერეიდ.)
ქამე არშეიელ – შარვალი (სვან.)
ქანდა – ვარაყი
ქევანი – უბრალო ნაბადი
ქეჩერა – ნაბდის ჩექმა, ბაგვი
ქინქილა – შილიფი
ქუნჩი - ჯუბა (მეგრ.)
ქუქუნაკი – ჯუბა (მენჯამდე)
ღართი – საწვიმარი ნაბადი
ღილმატი – ფარაგის შესაკრავი
ყალამა – ქუდის ფარფლი
ყისინა – უხეში საჩოხე ქსოვილი
ყოში – გადაკეცილი მაჯისპირი
შალვარი: ორკეცი ნიფხავი – როპანაგი; გარედან ამოსაცმელი – საწმართული ან პერიკამი;
ჩაბალაზი – საომარი თავსაბური
ჩათუა – ტყავის ღვედი
ჩაფურასტი – ტალავარის საკინძე
ჩაფულა – ჩაფლა, პაიჭზე მიკერებული წუდა
ჩაქურა – ჩოხის სახეა
ჩაჩი – გრძელი ქუდი
ჩახსაკრავი – ლეკვერთხი, პაიჭის შესაკრავი
ჩიგლამა – მოსათელი ნაბადი
ჩითა – ორპირი ღაზლის წინდა
ჩინლათანი – ხის ქერქის ქალამანი
ჩოხა – მატყლის სამოსი
ძაღარა – ბეწვმონაკერები კიდური
ძიგვა – უხეში შალის შარვალი
ძირახალი – ახმზე გაკერილი ქალამანი
წაღა – ყელიან-ქუსლიანი ფეხსაცმელი
წვივსაცმელი – სარჩულიანი პერიკამი
წინდურა – უყელო წინდა
წიაწიპა – საჩიხიანი ზონარი
ჭაპი – ბანდულთა და წაღათა შესაკრავი
ჭუპანა – წინდაზე ან მანდიკურზე ზონრის გასაყრელი ყური
ჭონია – მოკლე ჩოხა გურიაში
ხამი – მსხვილი სამოსელი
ხამლი – ფეხსამოსი
ხიდები – ქალამნის საკოჭე თასმები
ხრიკა – მაჯის შესაკრავი
ხაფთანი – ჯავშანქვეშა კურტაკი, ივიკე ვეფხის ტყავის ჯავშანი
ხუნრა – წნული ქალამანი, ბანდული
ხუფთანი - ჯავშნზემოდან საცმელი
ჯორაბი – წინდის სახეა
ჯოში – უხეში ნაქსოვი
ჯუბა – მსხვილი პერანგივით, დაბამბული კურტაკიც
ჯუბაჩა – მოკლე ჯუბა
ჯღანი – ძირგამობლანდული ქალამანი

ხელოსნობა

„იბერიელთა სოფელი, მაღალ-მაღალი ცხენები,
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები.“

ლაღო ასათიანი

საქართველოს ტერიტორიაზე მოძიებული არქეოლოგიური მასალის თანახმად ჩვენმა წინაპარმა უკვე ძვ. წ. X ათასწლეულში მოჰკიდა ხელი მიწათმოქმედებას, ანუ მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე დაიწყო გადასვლა. ამის დასტურია რიყის ქვის, კაჟისა და ობსიდიანისაგან დამზადებული სამკალი და თოხისები იარაღი, ხელსაფქვავები და სხვა.

ასევე არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ საქართველოში ხალენძის ცივი ჭედვა იწარმოება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან, ხოლო II ათასწლეულის შუახანებში კი გვაქვს საკმაოდ განვითარებული მელითონეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა არქეოლოგიისა, წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რომ ელინისტურ ხანაში და მის წინა პერიოდშიაც ქართველთა ერთ-ერთი წინაპარნი - ხალიბები - რკინის მადნის ექსპორტს ეწეოდნენ და ეს მადანი იმდენად ხარისხიანი იყო, რომ საგანგებო დანიშნულების იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა.

„რას დაალეს რკინა ჩრდილოეთის რკინასა და სპილენძსო“ - ამბობს იერემია წინასწარმეტყველი (თავი 15/12). ამ დროს ისრაელის ჩრდილოეთით პრაქტიკულად მხოლოდ წინარექართული ტომები სახლობდნენ.

წინარექართული ტომები სახლობდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც, სადაც მათ შეჰქმნეს საოცარი კულტურა, რომლის გავლენაც დიდხანს გამოჰყვა ანტიკურ საბერძნეთს.

ამის თვალსაჩინო მაგალითია თანამედროვე ევროპის პირველსაფუძველი, თავისი ეპოქისათვის შეუფერებლად მშვიდობისმოყვარე და პიროვნების დამფასებელი - მინოსური კულტურა. დღემდე მკრთალი ლეგენდის სახით მოდწეული ცნობა იმის შესახებ, რომ კრეტის მეფე მინოსი კოლხთა მეფის, აიეტის სიძე გახლდათ, შესაძლოა სვანეთში ნაპოვნმა განსაცვიფრებელმა მედალიონმა უტყუარ ფაქტად აქციოს.

აქვე უპრიანია მოვიხსენიოთ მინოსის კარზე მოღვაწე მითიური ხუროთმოძღვარი დედალოსი, საიცარი ცოდნის მფლობელი კაცი, რომელიც თავის განსაცვიფრებელ ქმნილებათა მეოხებით ლეგენდად იქცა. მას აუგია მინოსისათვის განთქმული სასახლე და ლაბირინთი და, როგორც ჩანს, საფრენი აპარატის შექმნაც უცდია. ეს ამბავი არც თუ დაუჯერებელია, რადგან პლანერის გაკეთებას ბევრად ნაკლები ცოდნა სჭირდება, ვიდრე სასახლისას. ამ შემთხვევაში გონების გაბრწყინებაა მთავარი, ანუ გაფრენის იდეის დაბადება და იდეა რომ ჰქონდა, ამას მითიც ადასტურებს.

კრეტაზე რომ თამამი იდეები მწიფს, ამას თალოსის ამბავიც ადასტურებს. გავიხსენოთ, რომ ეს იყო სპილენძისაგან შექმნილი გოლიათი, რომელიც კუნძულს გარს უვლიდა და დაუპატიჟებელ სტუმრებს ლოდებს ესროდა. თალოსს ერთი ძარღვი გასდევდა მთელს სხეულში. ძარღვის ბოლოს, ქუსლში, ლურსმანი იყო დაცობილი. თალოსის შეჩერება მხოლოდ ამ ლურსმნის გამოძირობით იყო შესაძლებელი.

აქვე გავიხსენოთ აიეტის სპილენძისწალიქანი და ნესტორიდან ორთქლს მფრქვეველი ხარები...

აიეტის და, განსაკუთრებული ცოდნის გამო ქალღმერთად მიჩნეული კირკე (ცირცე), წიგნის ამ თავში იმითაა საინტერესო, რომ თურმე ღმერთების სამოსისთვის გაუხუნარ(!) ქსოვილს ქსოვდა.

ასურული წარწერების თანახმად მუშქები ძვ. წ. XI საუკუნეში ძირითადად მევენახეობითა და ლითონდამუშავებით იყვნენ ცნობილნი. კიდევ უფრო დაწინაურებული ჩანს მეტალურგიაში თაბალთა ტომი. სწორედ მათი ვერცხლის მაღაროები დაიპყრო ძვ. წ. 837 წელს სალმანსარ II-მ.

ბიბლიაში მოხსენიებული თუბალ-კაინიც „იყო კვირით ხურო, მჭედელი რვალისა და რკინის საჭურვლისა“. ლამეძისა და ცილას ძე, თუბალ-კაენი, ადამიდან მე-7 თაობა და ამასთან მისი სახელი მეტად მკაფიოდ მიუთითებს, რომ სწორედ თუბალთა მოდგმა დგას ლითონდამუშავების სათავესთან (კაინი სემიტურად მჭედელია). ნიკო მარის აზრით („ბრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) თუბალ კაინის მოდგმის ხალხი იყვნენ ჭან-ლაზ-მეგრელნი და ესენი იყვნენ თავდაპირველი მკვიდრნი ჭოროხის ბასეინისა.

აქ, სხვათა შორის, ისიც კარგად ჩანს, რომ მეტაფორად დამკვიდრებული „რვალური სიმტკიცე“ რკინის ხანაზე უნნესი ცნებაა, რადგან რვალად სპილენძი და ხან კი მისი შენადნობები იწოდებოდა, რომლებიც სიმტკიცით რკინასთან ვერ მოვლენ.

ხსენებული ტომები, ბიბლიის თანახმად, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ვაჭრობდნენ თავიანთი ლითონური ნაწარმით. ფსევდოარისტოტელეს, აღწერს რა ხალიბთა ტექნოლოგიურ პროცესს, ბოლოს იმასაც მიუთითებს - „როგორც ამბობენ, მხოლოდ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინა არ იჭანგებაო". თუ ეს მართალია, თავისთავად საინტერესოა და თუ არა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალიბთა მეტალურგიული ცოდნა იმდენად აღმატებული ყოფილა სხვისაზე, რომ თანამედროვეენიც კი ლეგენდებს თხზავდნენ.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად მიკვლეულია რკინის წარმოების მრავალი კერა. ამათგან გათხრილია 7 სახელოსნო, რომელთაგან 5 წინარეანტიკური პერიოდისაა (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული). ამავე პერიოდს განეკუთვნება აღიდვით გამოყენანილი მავთულის ნიმუშები.

„შეკვეთილის" ტერიტორიაზე მიკვლეულია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლარი. სხვა მასალასთან ერთად ამ ფენაში ნაპოვნია რკინის ზოდებიც, რაც საშუალებას გვაძლევეს ვიფიქროთო, რომ ადგილობრივი მაგნეტიტური ქვიშიდან რკინის გამოყოფა და ზოდად ქცევა აქ მცხოვრებთა ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა იყო.

უადგილო არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ლიათონთა სახელები ზოგ ხალხს დღემდე ქართულ ტომთა დასახელებიდან ნაწარმოები სახით შემორჩა:

- ბერძნები ფოლადს "ხალიუბდიკოს"-ად მოიხსენიებენ, რაც ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ხალიბურსა ნიშნავს. თავად ტომის სახელი ხალიბი ურარტული ღვთაება ხალდიდან მოდის. ეს სახელი საქართველოში ტოპონიმად შემორჩა. ხათები, ანუ ხალხი, ვინც პირველად შეეხო რკინას, მას ხაბალეს ეძახდა.

- თითბერს გერმანულად MESSINE, ანგლო-საქსურად MASTLING, ნორმანულად MESSING, პოლონურად MOSIANDZ ქვია, რაც, ცხადია მოსინიკების სახელიდან არის ნაწარმოები.

- ბრონზე, ბრინჯაოს ევროპული სახელწოდება, ნაწარმოებია სპარსული ბირინჯისგან, რომელიც ქართული ენიდანაა შეთვისებული და სპილენძს, სპირ-ენძს, (მეგრულად „ლინჯ") ანუ სპერის, ისპირის მადანს ნიშნავს.

ჩვენი მეცნიერები, 50-იანი წლების დასაწყისში წარმოებული გამოკვლევების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა საუკუნეებში ქართველთა წინაპრები ლიათონის გაწნეევისთვის ჩარხს იყენებდნენ, ანუ ფურცლოვანი ლიათონის დამუშავებას მბრუნავშპინდელიან საგანგებო დანადგარზე აწარმოებდნენ.

ცნობილი არქეოლოგის ბ. კუფტინის მიერ 1949 წელს წარმოებული გათხრების დროს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ორ მხარეს ნალესი (განსხვავებული გეომეტრიით) ბრინჯაოს საჭრისიც, რომლის სიმაგრე 3-4-ჯერ აღემატება ოქროსა და ვერცხლის სიმაგრეს.

ვანის არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა ცალსახად ადასტურებს, რომ „ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში აქ არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (ქვერგა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს" - (ო. ლორთქიფანიძე)

გარდა ნივთიერი მასალისა, საკმაო ინფორმაციამ მოატანა ჩვენამდე წერილობითი წყაროებით თუ ზეპირსიტყვიერებით, მაგრამ ნაწილი ამ ამბებისა ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ახსნილი. თვალი გავადევნოთ ერთ პატარა ნაკადს – რას უნდა ნიშნავდეს ამირანის მითში აღწერილი მჭედელთა ერთი უცნაური ქცევა:

დღესაც კი, როცა ადამიანის ინტელექტის ნაყოფი მზის სისტემას გასცდა და უსაზრულო სამყაროში მიიკვლევს გზას, ჩვენ მაინც მოწიწებითა და ფეხაკრეფით შევაბიჯებთ ფარღალალა სამჭედლოში, რომელშიაც რამდენიმე ათასი წელია არაფერი შეცვლილა – ისევ ის გრდემლი, კვერი და მარწუხი, ქურა და საბერველი... და კიდევ მჭედელი, რაღაც დიდ საიდუმლოს ნაზიარები კაცთაგანი.

სწორედ მან მოათვინიერა ბუნების ურჩი გამოვლინება - ლიათონი, და თუ რარიგ მოათვინიერა, ამაზე მეტყველებს უსსოვარი დროიდან მოტანებული მისი შემოქმედება -

ვება გრდემლიდან ჯაჭვის პერანგის რგოლის პაწაწინა მოქლონამდე, მრისხანე სატკივრიდან ქალის ნატიფ სამკაულამდე.

უძველესი ეპიკური ძეგლის - ამირანის თქმულების თანახმად, საჭედლობი სრულდება ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოება: გაზაფხულზე, დიდ ხუთშაბათს, მჭედლები კვერს დასცემენ გრდემლზე და ფრთოსანი ძაღლის მიერ ლოკვით გალეული ჯაჭვი კვლავ მსხვილდება, რათა ამირანმა არ აიწყვიტოს.

სწორედ იმ მჭედლთა ნებით რჩება ამირანი სამუდამო ტყვეობაში, რომელთა ქურაშიც მის მიერ მოპოვებული ცეცხლი გიზგიზებს. ამ გამოცანას შესაძლოა ასეთი გასაღები მოეძებნოს: ბრინჯაოს ხანამდე მონადირე იყო ზენა ძალებთან დაახლოებული და საიდუმლო წესთა შემსრულებელი პირი. ხის ჯოხის (ანუ რიტუალური კვერთხის) დაკვრით მას, დროდადრო, მის მიერვე შერყეული ბუნებრივი წონასწორობა უნდა აღედგინა (გაიხსენეთ მცირე ხრამის პეტროგლიფები).

ლითონდამუშავების ხანაში ეს მისტერია თანდათან მჭედელზე ინაცვლებს და კვერის დაკვრაც ამის გამოძახილი უნდა იყოს. ამ ვერსიას შუალედური რგოლიც მოეძებება - სკანდინავიური ღვთაება ტორი გაცოცხლებას ო�sრს დაკვრით ახორციელებს.

კვერის დაკვრა ქართულში თანხმობასაც ნიშნავს, ანუ, მჭედლები ამ დროს საერთო თანხმობის შეგრძნებითაც იმსჭვალებიან, რაც დიდი მისიის აღსრულებისას ურთიერთგამხნევებას უნდა ნიშნავდეს.

რა შეიძლება იყოს დიდი მისია? ცეცხლის დაურვებით ძლიერ დაჩქარდა ტექნოლოგიური პროგრესი და შეიქმნა საზოგადოების კულტურულ და ტექნიკურ განვითარებათა შორის წონასწორობის დარღვევის საშიშროება, რამაც შესაძლოა კატასტროფა გამოიწვიოს. ამიტომ ამირანი, როგორც ტექნოლოგიური რევოლუციის უმართავი წყარო, უმჯობესია მიჯაჭვული დარჩეს.

მაგრამ ამ კატასტროფის რომ ასე გეშინოდეს, იგი გადატანილი უნდა გქონდეს. იქნებ ეს ატლანტიდის, ან რომელიმე, გაუფრთხილებლობით დაღუპული ცივილიზაციის ხსოვნის ანარეკლია. კვლავ გავიხსენოთ ქვის ხანის მონადირე – განა რამდენი ირემი უნდა მოეკლა კაეისპირიანი შუბით, რომ ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას შეეშინებინა?

ჩანს მან წინაპართა მწარე გამოცდილებით იცის, რომ ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა საშიშია და ამიტომ ასრულებს ესოდენ ბეჯითად ერთი შეხედვით პრაქტიკული ღირებულების არმქონე, მაგრამ მკაცრად დადგენილ წესს. თუ რაოდენ მყარია და საიმედო ამ გზით მომავალში ცოდნისა და ქცევის გაგზავნა, ამის დასტურია დღემდე მოტანებული მრავალთასწლოვანი არაერთი წესი, ცეკვა თუ სიმღერა.

ახლა იმის შესახებ, თუ ვის მიერ დაწესებულ წესს ასრულებენ მონადირეები და მჭედლები: თუ კატასტროფას ცივილიზებული საზოგადოების მცირე ნაწილი გადაურჩა, შესაძლოა მან მაღალტექნოლოგიური პროდუქტი ვერ აწარმოოს, მაგრამ ის კი ძალუძს, რომ თავისი მაღალგანვითარებული ენით წარსულის შესახებ მოუთხროს შთამომავლობას და ეს მონათხრობი ორიოდ თაობაში მითად იქცევა.

შედეგად კი მივიღებთ, რომ გარკვეულ პერიოდში, ზოგიერთ ხალხს აქვს უფრო განვითარებული ენა და მითებში განფენილი ცოდნა, ვიდრე მატერიალური კულტურა. თუ ამ მონათხრობმა გონებაში იბერიულ-კავკასიურენოვან ხალხთა უცნაური თავგადასავალი ამოატივტივა, ესეც სავსებით ბუნებრივია...

და არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ევროპელი თეთრ, ანუ საკუთარ რასას კავკასიურს უწოდებს.

ისიც შესაძლებელია, რომ მჭედლები ამ შემთხვევაში ქურუმთა კასტას წარმოადგენდნენ, ანუ სახელმწიფო სტრუქტურის დაწინაურებულ ნაწილს, და მათ მიერ კვერის დაკვრა განსაკუთრებული ცოდნის შენახვას ნიშნავს. ამის დასტურია

ჩრდილოკავკასიური მითები, რომელთა თანახმად მჭედლებს, გარდა საკუთარი ხელობისა, მრავალი იდუმალი ცოდნა მიეწერებათ.

თუ რამდენად დფასებული იყო სამჭედლო საქმის ცოდნა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თვით ზევსის ერთ-ერთი იარაღი ურო გახლდათ. ურო იყო სკანდინავიური ღვთაება ტორის იარაღიც, რომელსაც იგი მრისხანების ჟამს ტყორცნიდა.

ზემოთთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელოსნო საქმის ამგვარი განვითარება მხოლოდ მასში დასაქმებული ხალხის სხვა საქმიანობისგან გამოთავისუფლებით, ანუ შრომის დანაწილების შედეგადაა შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების მაღალ განვითარებაზე მეტყველებს.

ეს კი ნიშნავს, რომ მომთაბარეთაგან განსხვავებით, დამკვიდრებული ხალხი მაღალი ტექნოლოგიური კულტურისა და საგანგებო ცოდნის ფლობით ახერხებს არა მარტო საკვებისა და სხვა აუცილებელი ნივთების მოპოვებას, არამედ თავის ქონებისა და ჯოფის დაცვასაც, რადგან მომთაბარისგან განსხვავებით, მას ადგილსამყოფელის დაცვის მეტი მიზეზი გააჩნია (უძრავი ქონება, გზები, სარწყავი არხები, მოკლედ რომ ვთქვათ - დიდი ნაჯაფარი).

სწორედ ამ ოდითგან მოპოვებული მაღალი ტექნოლოგიური და, შესაბამისად, საზოგადოებრივი კულტურის ნაყოფია ის საარაკო თავდაცვისუნარიანობა, რამაც ჩვენს ერს შეაძლებინა თვითმყოფადობისთვის უენებლად გამოვლო ქარტეხილებით აღსავსე ათასწლეულები.

ადიდა – მავთულის გამოსაყვანი დაზგა
ადმი – წნელით ან ჩალით მოწნული რამ
ავრეზი - ფილტრი
აკაზმები –საქსოვი დაზგა (თუშ.)
არდაგი – წინსაფარი, ფუტა, გულამბარი
არჯასები – მიწალები, შაბიამანი
ასაბზნელი – ბზინვის მიმცემი
ასნაგი – ხელოსანთა ერთობა, ამქარი
აქაქი – იუველირი
აღმახვა – რკინის ალესვა
აშკი – მავთული, სინა
ბავრუკი – ოქროს სადნობი მარილი
ბასრი – ფოლადი, რკინა
ბაჭაჭყი – ტყავის გასაჭიმი ჯღოხი
ბემი – მაღალი ხარისხი, ტკიცე
ბენძილი – უმუშევარი ილეკრო
ბერილი – გამოყვანილი ილეკრო
ბეჭვა – ქსოვისას ძაფის ჩატკეპნა
ბილიკონი – ღრუს ამოსათლელი
ბიჩხი – პატარა ხერხი
ბორიო – დამაგრულა, ცეცხლზე შესაბერი ოქრომჭედლის მილი
ბოვი – ილეკროს პირველსადნობი
ბრანდი – მრუდი, ლინციო, ილუფი
ბრინჯაო – კალანარეკი სპილენძი
ბრპენი – ტყვია (ლითონი)
ბრძმედი – ილეკროს სადნობი
ბუგა - ბლაგვი (მეგრ.)
ბუთა – ოქრომჭედლის სადნობელი
ბუჟუჟი – ცხვრის ხუჭუჭი ტყავი
ბურეჭყი – პატარა ორკაპი
გაგულია - ლუგა, ჩლუნგი (მეგრ.)
გადარდარება – გავარვარება
გაკლიპვა – ტყავის გაჭიმვა რაიმეზე
გამარმალება – გასანსალება, გალესვა
გამარჩხალება – გაწმენდა
გამოზუზული – ზუსტად გაზომილი
გამოკოპიტება – კეთების პირველი სტადია
გამოფიფქვა – ნართის გამოთეორება ცხელ წყალში გამოხარშვით
გამოწკიპვა – გახურებულის დაკვერვა პირის დასათხელებლად
გამოჯდომილი – წიდოვანი
გაპირვა - წრთობით გალესვა
გაკკიალება – გაარიალება
გასხლიპვა - გაწკიპარტება, ტყავის გაჭიმვა გასახმობად
გაფრანგული – გამრუდებული
გაფზაული – გალესილი
გაჭედვა - ილეკროს მუშაკობა
გახასილება – ქლიბით გასუფთავება
გახეშვა - გაჩრა
გახოკრილი – გამაგრებული ტყავი
გბობა - ხარშვა
გელბარანი – მსხვილი მარწუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გესლი — ილეკროთა ჟანგი
გირაგი — ზეინკლის ჭახრაკიანი ხელსაწყო
გლიმი — მჭრელობა
გლო — დამრგვალებული ყუა
გლუ — უმქისო, ეროკო, წყლტუ
გლესა - გოზვა
გორალი — გვარელი
გრდემელი — ილეკროს საჭედი, დგვლემი, ვორსი, ორსი
გრეხილური - ფილიგრანი
გრიჭა — მაგარი თიხა
გულბარანი — ყბაღია მარწუხი
გულმახი — სპილენძის ლურსმანი
დაბენძლა - ილეკროს ქვა და მიწა დაადნო და ბენძლად შექმნა
დაბრყვილება - დარბილება, მოსუსტება
დაგლა - დანაყვა
დადედვა — დატიტვა, შესალების განეიტრალება ფურის დოში, შინდის მჟავეში, თეთრ შაბში
დამანი — ილეკროს შუშა
დანაჩხირი — თიხაზე სამუშაო დანა
დარეკაკი — დარიჯაგი, ილეკროს ჩამოსასხმელი ყალიბი
დაროყვილი — იარაღის დაბეგვილი პირი
დარქმული — დახურული
დარჩილვა - სპილენძის რკინით დაკავშირება
დატტიბება —ბრიწეულის ქერქში დადედვა შავად ან ყვითლად ღებვისას
დაფაფვა — ძაფის გავლება მოდულებულ ურის ფაფაში
დაფერდილი — ქლიბის სახეა
დაფესვა — შესალების დალბობა კაკლის ფესვებიან წყალში
დაფრანგული — მოღუნული
დაღალი — მდარე ხარისხისა
დაყურსვა — ოქრო-ვერცხლის დახალისება, დაწმენდა
დაწერვა — კაკლის წერში ღებვა
დაწკრეხა — დაწმენდა
დახალისება - ხენჯის გაცლა
დგამ-სავარცხელი — საქსოვი დაზგა
დენგი — თოფისწამლის სანაყი
დოლაკანი — ურდული
დუქარდი — მაკრატელი, სარისველი
ეჩვა — ეჩო, ხელეჩო
ვარშავი — მდარე ხარისხის ვერცხლი
ზაბაკი — ნაკლი, კავატი, ზადი
ზაკალი - ბზა (მეგრ.)
ზარადინი — მრგვალწვერა გარი
ზარნიში — ლითონზე ვერცხლით ან ოქროთი ნახატი
ზეზი —ორფერი ნართი
ზენკალი — აბჯრის ოსტატი
ზიდვა — მავთულის ცივი წესით გაჭიმვა
ზინდანი — პატარა გრდემელი, ზინდალი, სპილენძის საკვერი
ზირზა — საკეტი
ზუბანაგირი — პატარა ხერხი
ზუმბური — ლაქი
თაკარა — ჭიქით სადნობელი
თალხი — ქარსი
თანგი — ჭახრაკიანი ხელსაწყო
თახჩა — ნიშის თაროიანი კარადა
თეგი — ზარნიშის ბუდის საჭრისი
თეზაფი — აზოტმჟავა-მარილმჟავას ნარევი, ოქროს გამხსნელი
თილა — ოქრო (ფერეიდ.)
თერგი — რკინის სახვრეტი
თვინი — სამეთუნეო ქურა
თითბერი — თვითბერი, თუთიანარევი სპილენძი
თრაში — წვერი (აჭარ.)
თუნუკი — ფურცლოვანი რკინა
იზბირი — პირთხელი სატეხი
ილეკრო — ლითონი
კაზმი — ნარევი ილეკროთა გამოსადნობად
კაკუტი — მარწუხი
კალაპოტი — ყალიბი, ჭიპლიკი, ყაიდა
კალატოზი - შენების ოსტატი
კაპარი — თრიმლი, თუთუბო, ფოთლით ტყავი გამოჰყავთ, მერქნით ღებავენ
კარაკინი - მოსამრგვალებელია
კბილსაყარი — ხერხის კბილების გასასწორებელი პატარა გაზი
კედერო — განაპირა ნაწილი
კენაწილა — რკინის ნადნობი
კერვა: გვირისტი, ნემსული, ზარქაში, ჩარყაფი, ქარგა, სირმა, ბილისტანი, ჩიგინი
კეში — რბილი რამ გამაგრებული
კვერი — დასაკვერი იარაღი, საცალხელო
კვესი — ცეცხლის მშობელი რკინა
კიდინტი — გიშერივით ქვა, ოქრო-ვერცხლთ გამოსაცდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირინა – პატარა კვერი
კოლბოხი – რკინის საფერავი მიწაქვა
კოლოტი - ტიკი
კოპი – მოუქნელი თასმა
კორკოტინა – ხის კვერი
კოსაჭი – აშკის სახვევი გაზი
კოწიწი – რძის, კირის, ძენძის და ყვითრის ნარევის წებო
კოჭა – ნართის საზომი
კოხი – ცეცხლგამძლე ქვა
კულალო – ცალი ხელის ხერხი
კუმპა – საპონი
ლაგვარდანი – ღრმად ამოსაღები სალაშინი
ლაკარტი – ბაწრის საგრეხი კავი
ლაპოტი – დიდი ციცხვი
ლივი – კალკი, კოპიო
ლილეი – ბადის საქსოვი ჩხირი, ფათხა, ჩხართი
ლინგი – რისამე კუთხე ან ნაპირი
ლინჯი - სპილენძი (მეგრ.)
ლიყლი – წყლით ნაყლენი
ლირსი – ირიბად პირწაჭრილი
ლიფლიფა – ფარანი
ლიში - ნემსი (მეგრ.)
ლოპრი – ნახვრეტის გასაფართოებელი ბურღი
ლუსმარი – ლუსმასნი, მანჭვალი, სამსჭვალი, წირწკიმალი, წკარა, ჯიბუკი, წკლიპა, ყაირი,
მავრავი – საფეიქრო იარაღი
მანგანა – დიდი მარწუხი
მანკანა – მასმორი, ილეკროს საცეცხლური
მარმარა – კრიალა
მარწუხი – გაზივით
მაფრახი – ფერადი ლითონი ოქროს გარდა
მაქო – ბადის საქსოვი საგანგებო ჩხირი ქართლში
მაშა – ტკეცი, ნაკვერჩხლის ასაღები
მაჭვა – ჯილღის ბუდეში ჩარჭობილი მრგვალი ხე, კოტაგამოშვერილი
მაჯაგანი – ტყავის მოსაწნელი
მეიარაღე – იარაღის ოსტატი
მეტეხი – ფიცხი, მყიფე
მეუნაგირე – უნაგირის ოსტატი
მეურეე – ურის მცემელი
მეყაიშე - მათრახის ოსტატი
მეხამლე – ხარაზი, წუღა-მაშიათა მკერავი
მიზდი – შიშლაგი, სარგო
მილი – ქართულად სოლინარია
მკაფარი – გამჭრელი
მკედი – ხოშორი ნართი
მოოჭვა – შემკობა
მოქლონი – ჩასაყარი რკინის ორი ნაჭრის შესაერთებლად
მოწნა - ტყავის დარბილება
მოღღლო – თხიერი, თხელი
მრუდი:
- ელამი – რაოდენი გამართო, მაინც გამრუდდეს;
- დრკუ – ყოვლად განუმართველი;
- ღვლარჭნილი – მიგრეხილ-მოგრეხილი;
- რადი – ცალმხრივ ოდნავ გამრუდებული;
მსხირპანე – გაჭიმული, ნაძაბი
მსხმელი – ილეკროს ჩამომსხმელი
მურა – რკინის რგოლი, ლურსმნის თავის გამოსაყვანი
მურდასაკი – ტყვის ჟანგი
მურვი – გლესული ტყვის ვარაყი
მუშტა – სპილენძის კვერი
მქისი – ხორკლიანი, დამუშვილი
მღვრიე – ილეკრო რიოში, განუწმენდელი
მჭედელი – სამჭედლო საქმის ოსტატი
ნაკალი – გაზურებული რკინის ფერფლი
ნაკლინი – გლინვაგაელილი ლითონი
ნავსე – ნავის მაშენებელი
ნარიგი – კვერის ბრტყელი მხარე
ნარიკი – კვერის წვრილი თავი
ნარუჟი – პირველქმნილი საქმე უცხო და ახალი ხელოვნებით
ობარეში - საბერველი (მეგრ.)
ორხელი – ორხელმოსაკიდი
ოტა - ნაცარი
ოფაზი – ბაკაღლო ოქრო
ოწინარი – ასაზიდი მოწყობილობა
ოჭვა - თვლებით გაწყობა
პეტალი – ფოლეა, კილიტა
პირხვეული – ჩონგურის სათლელი ხვეწი
პიტალო – შეურეველი ილეკრო
რეალი – ბრინჯაო, სპილენძი
რიოში – არაწმინდა, ყალბი
რჩილვა – ლითონთა შეერთების წესი
საბერველი – ქურაში ჰაერის დასაბერი
საგანგიო – სამოხელეო სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართი – გასაპირავი ხელსაწყო
სანგი – დიდი კვერი
სასსალა – კარგად გალესილი
საპოხი – საცხი, ხიზი
სარაჯი – უნაგირ-აღკაზმულობის ოსტატი
სართი – ფიცხი, მსხვრევადი
სასრევი – სალესთა საერთო სახელია:
- აფუარი – მბრუნავი სასრევი;
- გოხი – სალესი ქვა
- გლუსუნი – გლუვი ხელის საგლინავი
- ერბოქვა, მაქური – დანათა სალესი;
- ზუმფარა – სახური მინერალი
- თლაშქარი – წმინდა სალესი
- თრუსო – სალესი ქვა
- ლანგი – წმინდა სალესი;
- მასათი – მაქურასმაგვარი;
- ნაქეთი – სალესია
- ქასური, ლაზნა – სამართებლის;
- ყაიში – პირის ასაწყობი ტყავი
- ჩალაშქარი – სალესია
- ჭავლაკა – სალესი ჩარხის ტარი
- ჭალანგარი – სალესია
- ხარტი – ცულის;
- ხოხი - სალესი ქვა
- ჯილაქვა – სალესი ქვაა
სატე – ტეკადობა
საფხი – ლესვით გადანაცალი პირი
საქაჩი – გაზი
საქლეში – საფზეკი
საცეცხლე – ბერვარი, კერაკნი, სახმილი, ღუმელი, ბრძმედი
საწურავი – რკინის მიღი, ლურსმანს უხვედრებენ მეორე მხრიდან
სახაზავი – შიმშა, მაშტარი, ოჟორა, ზალა
სახელური – კოტა, სატაცი,
სევადა – გოგირდიანი დამწვარი ვერცხლი ან ტყვია მოსახატად
სელი – ძაფის სახეა
სისო ხერხი – ხერხი ოდრიკალზე, სისონი
სიტა - ტვიფრი
ტარაღი – ქვის საკიდი ჩაქუჩი
ტატბა – საცხის წასასმელი ჩოგანი
ტილო – სელთა და კანაფთა ღარი
ტრო – ფანჯრის მინა
ტუტი – საკუმპე ნაცრის წვენი
ტუცი – სადგისის ნემსი
უზადო – უმანკო, შეურეველი
ურატა – მომცრო ურო
ურიბი – ირიბი, ალმაცერი, ქეში
ურო – რკინის დიდი კვერი
უშკო – ბურღი
ფათქა – ბადის საქსოვი საგანგებო ჩხირი იმერეთში
ფარეში – რკინის ჭანჭიკი
ფედერა – მოზარნიშება
ფედრაჩი – ოქრომჭედლის პატარა სატეხი
ფეშტამალი – წინსაფარი, არდაგი
ფითხი – ნაკვერჩხლის ნიჩაბი
ფურჩი – ილეკროს შუა ნაკეცი
ფხა – მახვილის პირის მკვეთელობა
ქალფათინი – მავთულის გამოსაწელი გაზი
ქანდა – ოქროს ვარაყი
ქესი – ოქრომჭედლის მკვნეტარა გაზი
ქეჩხო – ბეწვიანი მოქნილი ცხვრის ტყავი
ქილერი – საკუჭნაო
ქიმარა – წვეტი
ქიშელა – ტყავის წინსაფარი
ქუალბ – მცირე გრდემელი (სვან.)
ქურა – სამჭედლო კერია
ღაზლა – მსხვილი ძაფი
ღულა - მოგრეხილი (მეგრ.)
ყადახა – მსხვილი ლურსმანი
ყაჭი – ძაფის სახეა
ყდები – საქსოვი დაზგის სახე
შითი – წვრილი ძაფი
შიმაქა – ჭიანჭირხი
შეეტი – სწორი, გაუხრელი
შეზიკული – შემკობილი
შეხვლეფა – ჟანგთაგან ამოჭმა
შიბი – ძეწკვი, ჯაჭვი, წიბო
შმუთი – ჭახრაკიანი სალაშინი
შოლტი – ტყავის ფართის საზომი
შოხარი – ცულის წასაპირავი
შუაშრისი – შუაფენა
შელო – ნართის საზომი, კოჭასავით
შუშა – ლითონის ზოდი
ჩათალი – რკინის თენგი, ხანჯლის ტარის ჩასათალი
ჩალთო – მოქნილი თასმა
ჩაქუჩი - მომცრო კვერი
ჩეკი – ცეცხლის საჩხრეკი
ჩექა – გოგირდი, ნუმწუმა
ჩლა - ძენძი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩლუნგი – დალაბარა, ლუნგი, ბოკო, ბლაგვი, ჯლაგვი, უმკვეთლო, ძეკი
ჩუბუტო – ფოსო ილეკრთთა
ჩულუხი – დიდი საჭრეთელი, ჩუნუხი
ჩუქურთმა – მუდახლილი, შაბაკა, ზარნიში
ჩქიფი – მარწუხი, გაზი, სიმეაში
ჩქუთი – საჭრეთელი, ხვეწი
ჩხაში – ბადის საქსოვი ჩხირი (გურ.)
ცანდი – საკიდარი ჯაჭვი
ცვარ-ნამი – საოქრომჭედლო ხერხი
ციბრუტი – შალაფი, მათხაბი, მაჩხიბი, იხრიკი, ტრუპანი, ტურპანტი (მეგრ.)
ციცხვი – ჩაშა, ლაპოტი, სახაპი, კუტალი
ცობოლა – საცობი
ძიმი – ნალის სახვრეტი იარაღი
ძირმილული – რკინის საღუზაი
წალო – ნიშის უკარო კარადა
წამახული – წვერწალესილი
წებო – ქალბანი
წიდა – ილეკროს ნადნობი ხენჯი
წკეპი - წამახვილებული (მეგრ.)
წკოპი - წვერი (მეგრ.)
წნეხვა – ლითონის დამუშავების ხერხი
ჭაქუნი – ეროს ცემა
ჭიპრანი – ნახვრეტის გასაღიდებელი
ჭკორტლი – მჭვარტლი
ჭობოსანი – მსხვილი ქლიბი, ჭერბი ჭიბიშანი, ჭირბოშანი, ჭაპოშარი
ჭონი – ბეწვეულის ოსტატი
ჭრეთა – საჭრეთლით ტკეფრვა
ჭუმი – ხალასი
ხაკა – დაფშვნილი ნახშირი ნაფუხვენის მოსაგროვებლად
ხარატი – ხის მხეწელი
ხარახინი – წვერი, ჭახრაკი, საწნეხი
ხასილი – წმინდა ქლიბი
ხენჯი – წრთობის ჟანგი
ხვედა - ხის ურო, კვეჟუ, კვერკვეშო
ხვერხვეტი – მომცრო ხვედა, კორკოტი, კორკოტანა, რკოტანა
ხვეწი – მოკაკვული სათლელი, ხიწი, ხერცო, ღორეწო
ხვიშტარა – ქუსტარა, დიდი სალაშინი
ხიშტაკი – საყალიბე იარაღი
ხინდრო - ქლიბის სახეა
ხურო – ოსტატი
ხუტკნა – ამოღრუტნვა
ხუჭუჭი – კრავის ტყავი
ჯადვარი – რკინის აჯასპი
ჯალამბარი – გორგოლაჭიანი ბერკეტი
ჯამბარა – ჯაჭვი ან მსხვილი ღვედი
ჯარა – სართავი დაზგა
ჯაჭვის სახეები: შესაბორკი, კარსნი, ცანდი, ძეწკეი, შიბი, ზენჯირი
ჯერბი – ქლიბის სახეა
ჯიგალა – გახურებით ხის სახვრეტი
ჯირი – ორპირმოქნილი ტყავი
ჯოლბორდი – ისრის მთლელი
ჰარილი – მოქნილი ჯირი

მკურნალობა

„პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა, და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა რა. მსგავსო ასპიტისაო, ნაშობო იქედნეთაო, რომელი გამოხველ ხეთა ღრმათაგან, მუხათა ძირთაგან, ძირნი შენნი წამლად დაწუნე და განვაქარნე ქარსა მას თანა ნიაქარისა. სართო განთი აფირო კარკეტე სოსანი აღმართა ივლე“ – ლოცვანი მრავალთა სენთანი.

სიტყვის მნიშვნელობის ხაზგასმა ამ შელოცვის დასაწყისში შემთხვევითი არ უნდა იყოს. შელოცვებს ქართულ სამკურნალო ტრადიციაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა, ხოლო შემლოცველის უმთავრესი იარაღი კი, ცხადია, სიტყვა გახლდათ. აქ განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა გაურკვეველ სიტყვათა ნაკადს, რაც ალბათ მკურნალის ზებუნებრივ ძალებთან კავშირში არწმუნებდა ავადმყოფს და ეს რწმენა ხანდახან საოცარი ფორმით ვლინდებოდა. აღწერილია შემთხვევა, როცა სახალხო მკურნალ მგელიკა ლიქოკელს მიუყვანეს თავის მძიმე ტრავმის გამო წელსქვემოთ დადამბლავებული ახალგაზრდა, რომლის გადარჩენაც ექიმთა აზრით, შეუძლებელი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამლის ბოთლი - წვეთმზომი
გველის გამოსახულებით
(II ათასწლეული ჩვენს ერამდე)

ლეგენდარული დასტაქარი
მგელიკა ლიქოკელი
(სოფელ ქობულოდან)

თბილისის აბანოებში
გავრცელებული მასაჟის
სახეობა - ქისა



დასტაქრის თვითნაკეთი
იარაღები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელიკას მიერ ავადმყოფისადმი ნათქვამი ერთადერთი ფრაზა – იმ სიპი ქვასავით გამაგრდიო – საკმარისი აღმოჩნდა, რათა ყოველგვარი ნარკოზისა და გამაყუჩებლის გარეშე, ჩამსხვრეულ თავის ქალაზე უმძიმესი ოპერაცია წარმატებით წარმართულა.

თვით სიტყვა მედიცინა რომ მედეას უკავშირდება, ამაზე დღეს ალბათ აღარავინ დაობს. ამსათანავე, წყაროებში იკითხება, რომ მედეას დედას საგანგებო სამკურნალოწამალო ბაღიც ჰქონია, ხოლო მის მამიდა ცირცეს (სიცილიის ლეგენდარული მეფის – იტალოსის ბებიას) კი ელინნი მრავალ საოცარ ცოდნას მიაწერდნენ და ქალღმერთად მიიჩნევდნენ.

ბერძნული მითის თანახმად მედეას შვილიშვილს ილოსს შეეძლო ნაირგვარი სასიკვდილო შხამების დამზადება, მაგრამ ოდისევსს იარაღისთვის ასეთი შხამების დამზადებაზე უარი უთხრა ღმერთების რისხვის შიშით (სხვამხრივ მედეას შვილიშვილის არსებობა იმის დასტურია, რომ მის მიერ ყრმა შვილების დახოცვა სრულიად სხვა დატვირთვის მქონე და ბევრად გვიანი გამონაგონია)..

საქართველოში ნაპოვნია ძვ. წ. XVII საუკუნით დათარიღებული ორიარუსიანი კერამიკული ჭურჭელი, რომელიც მეცნიერთა აზრით არის გამოცემებისა და მონახარშების მოსამზადებელი უნიკალური აპარატი. დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება გველის გამოსაზულებიანი (!) ფერადი მინის ბოთლი, რომელსაც ყელი ისე აქვს მოწყობილი, რომ სითხე წვეთ-წვეთად გადმოდინდეს (ანუ დოზატორი).

აქვე უპრიანია გავიხსენოთ, რომ წინააზიური წარმოშობის ღვთაება აპოლონი ლეგენდარული მკურნალის, ასკლეპიოსის მამაა. ასკლეპიოსის წმინდა ცხოველი კი გველი გახლდათ.

გველია თუში გველუკაშვილების საგვარეულო ტოტემი (ამ გვარის წარმომადგენელი - ვიორგი გველუკაშვილი კრივის უებრო მცოდნე გახლდათ. მის საგვარეულო სკოლაში ჩამოქნილ-ჩამოხვეწილმა თუშური კრივის რამდენიმე უნიკალურმა ილეთმა ჩვენს ყულაბამდინაც მოაღწია).

პრიამოსის შთამომავალთა მიერ დაარსებულ მიზიის დედაქალაქ პერგამში (ახლანდელი – ბერგამა), ასკლეპიოსის უძლიერესი საკულტო ცენტრი ყოფილა. იოანე ღვთისმეტყველის თქმით, აქ სატანის ტახტი იდგა, რაშიც სწორედ ასკლეპიოსის ტაძარს უნდა გულისხმობდეს.

ძვ. წ. V საუკუნეში უფლისციხეში თაზრეებიანი აფთიაქი არსებობდა. ასეთივე აფთიაქია ნაპოვნი ვარძიაშიც.

წინაპართა მაღალ ჰიგიენურ კულტურაზე მეტყველებს არმაზჭალაქის თერმული აბანოები (ჰიგია ასკლეპიოსის ქალაშვილი გახლდათ).

სტრაბონის ცნობით მოსინიკებმა პომპეუსის ლაშქარს მათრობელა თაფლი დაულაგეს გზაზე და შემდეგ, გაბრუებულები იოლად დაამარცხეს. ეს ამბავი ალბათ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა.

სტრაბონი ასევე აღწერს სვანების მიერ ისარზე წასაცხებად გამოყენებულ საოცარ შხამს. ასეთი ისრით დაჭრილი მეომარი ისე ყარდა, რომ მოსავლელად ვერ ეკარებოდნენო. ამ შხამს ძალზე წაადგა სვანეთში ერთ-ერთი საგვარეულო ცოდნით დაცული ბიოლოგიური შხამი – მანაგიმში. მეტი ინფორმაცია ამ საკითხზე გასაგებ მიზეზთა გამო არ მოგვეპოვება.

ზარისჭირაშვილთა და აღუაშვილთა გვარები ევროპაზე გაცილებით ადრე ფლობდნენ ყვავილის ვარიოლაციერი აცრის მეთოდს, მაგრამ ნიადაგ შერყეული სახელმწიფოებრიობისა და, აქედან გამომდინარე, მყარი სამეცნიერო და კულტურული კავშირების უქონლობის გამო, ვერც ეს ფასდაუდებელი ცოდნა ვაქციეთ ზოგადსაკაცობრიო საკუთრებად.

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან გიულდენშტედტმა საქართველოში მოგზაურობისას (1771-72 წლებში) აღწერა ყვავილის აცრა.

ინგლისელმა მედიკოსმა ედუარდ ჯენერმა კი მხოლოდ 1796 წელს დაიწყო ექსპერიმენტები ამ მიმართულებით და ვაქცინაციის ფუძემდებლად იქცა. აცრის მეთოდს ჩინეთში, ინდოეთსა და სპარსეთშიაც ძველთაგანვე ფლობდნენ, მაგრამ გიულდენშტედტის მიერ საქართველოდან ევროპაში შეტანილი ინფორმაცია იმდენად ახლოა ჯენერის ცდების დასაწყისთან, რომ ვინძლო ჯენერამდე პირველმა სწორედ ქართულმა ცოდნამ მიაღწია.

უკვე 1805 წელს კი ქართველი მოღვაწე გოდერძი ფირალიშვილი აცნობებს იოანე ბაგრატიონს, რომ ქართულად თარგმნა „აცრა ძროხის ყვავილთა, წინადვე დამცველად ბუნებითისა ყვავილის ვნებისაგან“... - ეს არც პირველი შემთხვევაა და ალბათ არც უკანასკნელი, როცა ჩვენი ინტელექტისა თუ ოფლის ნაყოფი უკან სხვა სახელით გვიბრუნდება.

ჩვენებურმა კარაბადინებმა საკმაოდ დიდი მოცულობის მასალა შემოგვინახეს, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ამ თავს სათანადო ცოდნის მქონე კაცი დაამუშავებს. აქ ძირითადად თავმოყრილი უნდა იყოს ჭრილობის, ნაღრძობ-მოტტეხილობისა და პაექრობასთან დაკავშირებული სხვა დაზიანებების მკურნალობის, განსაკუთრებით კი პირველი დახმარების ხერხები.

საბრძოლო ხელოვნების დიდ ტრადიციას ბუნებრივად ებმის მკურნალობის მაღალი კულტურა. ქართველ მკურნალთა ღრმა განსწავლულობა ალბათ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავიხსენებთ რაოდენ დატვირთული იყო მათი საქმიანობა ჩვენი ისტორიული ბედუკულმართობიდან გამომდინარე.

ჩვენში ნაპოვნია რამდენიმე საუკუნის წინანდელი თავის ქალა, რომელზედაც იკითხება წარმატებული ტრეპანაციის კვალი.

XV საუკუნის ცნობილი ქართველი მკურნალის ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში ერთი ასეთი უცნაური მეთოდია აღწერილი:

„შხამანი ისრით დაჭრილისათვის: რა კაცი შხამანნი ისრითა დაკოდონ, ესე წამალი ქენ გამოცდილია... კაცისა კისერი რომ დაილევის, ორი ძუალია იქი – მაღლა კისერსა და ზურგის ძუალსა შუა... ერთი ნიშანი ესე არის, რომე ორსავე ძუალსა შუა არის ესე ადგილი, ფრჩხილის ოდენი სიგრძე და განი-მოკუეთე. და ერთი ნიშანი ესე არის რომე, დაკოდილსა პირი გააბერვინე და გამოჩნდების ისი ალაგი. რა გაკუეთო, ამოსწოვე რომე მისი სუნი და შხამი იქთ ამოიღოს და ყუთელი წყალი; თუ არა, ტუინშიგა გავა და კაცსა მოკლავს. ვირე ტუინშიგა არ გავა, ვერ მოკლავს, რა ნახო ამოწოვნილი ადგილი რომე გათეთრდეს, სხვა შხამი აღარ ამოდიოდეს, ესე წამალი შექენ, რომე თრითის ქვიან, და დაკოდილზე მოაყარე“.

თვით ზაზა ფანასკერტელი, გარდა სამკურნალო საქმის სანაქებო ცოდნისა, ქვეყნისთვის თავდადებული და განთქმული მეომარი გახლდათ.

უაღრესად საინტერესოა მეოცე საუკუნის დასაწყისში გაკეთებული ჩანაწერები, რომელიც იმ პერიოდში ფშავ-ხევსურეთში მოღვაწე ექიმ გ. თედორაძეს ეკუთვნის. წიგნში „5 წელი ფშავ-ხევსურეთში“ მას აღწერილი აქვს ზემოთმოთხრობილი უნარკოზო ოპერაცია თავის ქალაზე, იმავ მგელიკა ლიქოკელის მიერ გაკეთებული ოპერაცია სახეზე, როცა ნაიარევის კვალიც არ რჩება და მრავალი სხვა.

ა. ყამარაულს კი ლიქოკელის მიერ ნამკურნალებ-გადარჩენილი ხალხიც დაუჯამებია - 413, მათ შორის ორი ქალი გულმკერდის გამჭოლი ჭრილობით.

ასევე სახელგანთქმულნი ყოფილან ხევსურები ურძოკათ წიქა და თალეთ გაგა, არსოტელი ალეკო ოჩიური, შატილელი ჭინჭარაული, მოხევე იობა ავსაჯანიშვილი (გორისციხელი). ა. ყამარაულს აღწერილი აქვს მათი ქირურგიული იარაღი. ესენი ძირითადად ხუთი სახისაა: წიაწკერი, სანახი, ხოწი, ჩუთი (ჩქუთი?) და დანა.

თურმანიძეთა საგვარეულოს მიერ საუკუნეების მანძილზე დახვეწილი მალამოც ხომ ქართული კულტურის ერთ-ერთი სიამაყეა.

შელოცვებით და ავგაროზების დამზადებით ხვისტანების გვარი ყოფილა განთქმული.

გადმოცემით ვიცით და გადამოწმებად უდავოდ ღირს შემდეგი ინფორმაციაც: ხარაგოულში გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე მოაანა ცოდნამ - ქალბატონ სკინტლისგან ზეთისმაგვარი სითხის გამოხდისა. ამ სითხეს უსვამდნენ თვალებზე სამსტოვროდ გაწვრთნილ კაცს, რომელიც ღამით კატასავით მხედველი ხდებოდა, შეიპარებოდა მტრის ბანაკში და უწერმრად ხოცავდა მეთაურებს. უცხო მიწაზე უმეთაუროდ დარჩენილი მომხდური კი იოლი ლუკმა ხდებოდა ჩვენი ლაშქრისთვის. ამის შემდეგ მსტოვარს ორი თუ სამი დღე ბნელში ამყოფებდნენ, სანამ ნორმალური მხედველობა არ აღუდგებოდა. ეს ინფორმაცია იმიტომაც არის საინტერესო, რომ ამ მიდამოებში საკმაოდ გავრცელებულია მცენარე შმაგი, რომლისგანაც „ატროპინი“ მიიღება, ხოლო რაც შეეხება ქალბის სკინტლს, ეს შესაძლოა წამლის გასასიადულოებლად იყოს შეთხზული.

ასევე გამორჩეული ყურადღების ღირსია დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი უკონტაქტო მასაჟი „მატე-მატე“ და თბილისური „ქისა“ - მასაჟის ჩვენებური ნაირსახეობანი.

რაღა თქმა უნდა, ხალხურ მედიცინას დღეს ნაკლები პრაქტიკული ღირებულება შემორჩენია, მაგრამ ქართველმა უდავოდ უნდა იცოდეს, რომ მისი წინაპარი ოდითგან ტოლს არაფერში უდებდა თავის თანამედროვე სამყაროს და ზმირად საგრძნობლად აღემატებოდა კიდეც.

ყოველი შემთხვევისთვის, დამუშავებული წყაროებიდან ამოვკრიბეთ სიტყვის კონა, რამაც შესაძლოა შემდგომი სამუშაო გაადვილოს და სხვა საქმესაც წაადგეს.

აბეკამეი – სამკურნალო ბალახის რახი, იყი
აბეწულა – შეშუპების სამკურნალო ბალახი
აბზინდა – დაკეფილის სამკურნალო, აგრეთვე გამამხნევებელი ბალახი
აბლიმო – წამლის სანაყი
აბრეშუმა – გულის წუხილის სამკურნალო ბალახი
ადამისთავა - მანდრაგორა
ადგილი საკრძალავი – სხეულის არეები, რომლის შეხებაც სიცოცხლისთვის სახიფათოდ ითვლებოდა
აკშანი – მცირე, მოყვითალო ყვავილიანი, მომწარო ბალახი, ნახარში შველის სისხლიან ნახველს და განდევნის ჭიას
აზმაითი – თოვლთაგან თვალის ვნება
აკაკი – ნაყოფი ხველებას წამლობს
აკანთვლა – კანის აბებრება
ალიბუხარი – ზაფრის, სიცხის და უმადობის სამკურნალო
ალისარჩული – პირსაღებინები და სასაქმებელი ბალახი
ალღეი – საშარდე გზის ვერცხლის კათეტერი
ამალი – შიშშილით მიბნედვა
ამოსაკრავი – ფერდისქარის, ანუ ფუშის სარტყელი
ანისული – ბალახი, რომლის თესლიც არის ხველების, კუჭის გასამაგრებელი და მრავალთა სხვათა წამალი
ალვი – საწამლავი
ბანგი – ბეუშტრო, ოპიუმი
ბანდი – უხმარი ძონძი
ბაყლი – მწიკვლი, ჩირქი, გეშსი, ზანდი
ბებერა – აბურცული წყლული
ბმო – დიდი მუწუკი
ბნედა – ცნობის ანაზდად მიხდა
ბრუ – რეტი
ბრძვილი – გამრთელებული ნაკოდარი
ბრჭვალი – ჭვალი
ბურკი – კოპი
ბუსტულა – ბებერასავით
გამაიგნობა – გამიმრთელება
გამდალავი – გამთვალავი
გამდავრება – ჭრილობის გართულება
განრინება – სენისგან თავის დაღწევა
განსათხეველი – გასახსნელი წამალი
გახსნევა – მკლავიდან სისხლის გამოშვება
გერში – მცირე ნაკოდთა სისხლი
გველაფშუტა – სისხლდენის შემაჩერებელი სოკო
გულყრა – შებნედასავით
გუნი – სიყვითლის სენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგაბი – შიგნეულობა
დაკოლტება – დალეკერტება, შედედება
დალიკვება – ტრავმის შედეგად შეშუპება
დანდველა – მწარე
დარმანი - წამალი
დატკოფილი – სენისგან ალაგ-ალაგ შეფერილი კანი
დახავრება – სიცივისგან შეშუპება
დონა – ბამბადონე, ქონში გაჟღენთილი ბამბა (ნაღრძობზე დასადები)
დოს პერანგი – სიცხის გამოსანელებელი, დოში გაჟღენთილი პერანგი
დუგუნი – საწათხე
დუგუნი (II) – რევმატიზმის სამკურნალო (ფენის ნაცარი თაფლის სანთელში, ზემოდან კურკანტელის ფოთლით)
დუდკო – თითის წყლულება
ზამთრფეხა – შეშუპების სამკურნალო ბალახი
ზაპილო – სნეული, უღონო
ზართაბი – თვალის სამკურნალო (თევზის ფხა ქალის რძეში ჩაფხეკილი)
ზმილი – სამკურნალო ნივთნი
ზრობა – ყინულით დაწვა
ზუზია – გესლი სწრაფმაკვდინებელი
თავქაფი - ოფლი, ღვთაქი
თებო – თმის მწიკვლი, ქერტლი
თერიაყი – თრიაქი, სამსალის საწინააღმდეგო (?)
იაღლავაში – წამლიანი ცომის სალბუნი
იახე – მალამოწასმული ტილო
ინსფიფინა – ინის წვენის წამალი
ილაო – ნაწლავის გადაწლართვა
ინთილა – ყაბზობასავით
ინჯლივი – ქუთუთოს ბმი
კაკა, უშანა – განუმარტავი წამლებია (შესაძლოა აშანა)
კატბალაბა – გაცივების სამკურნალო
კელობა – კოჭლობა
კვნეტილა – თითის სახსარზე გამსკდარი კანი
კოლინჯი - ნაწლავები
კოლტი – შედედებული სისხლი
კონიო – სასიკვდინე ბალახია
კოპი – დაკრულის ასივება
კოჟიჟი – კოჟრი
კოტოში – მოზიდვით სისხლის გამოსაღები
კუნელი – პირღებინების საწინააღმდეგო
კურცხლი – სიმწრის ცრემლი
კუტი – მუცელგვრემის წამალი
ლაბა – ტუზტის, კომშის გულის და მისთანათა ნახარში ხველის წამლად
ლბუნი – მალამო
ლები – ცემით დალურჯებული
მანაგიმიში – სვანური შხამია ერთგვარი
მანკი – სენისგან დატოვებული
მატე-მატე – უკონტაქტო მასაჟის სახეობა
მელაგუნდა – ფასმანდუკი (დაჩეჩქვილი ფესვით ჭრილობას მკურნალობენ)
მელისკუდა – ციხისკუდა, თაგვისკუდა, მუღმურილი, თავყვითელა (კუჭნაწლავის და ჭრილობის სამკურნალო ბალახი)
მოსუსხვა – შანთით მოწვა
მუაბა – საკაცე, ბიჯავი.
- ჯალაბერი (მეგრ.)
- თაკკავ (სვან.)
- სახელდახელო – ჩეო;
- მხრით საზიდი – საქუმელი;
- ცხენით საზიდი – ჰორლი,
ნაგაზარი – კლანჭგაკრული
ნაკოდალი – დანაჭრილი
ნაკრაული – ნაკრავი
ნალმობი – ნატკენი
ნაგგენ – საწამლავი (სვან.)
ნაშარში – ნაჩხვლეტი ჭრილობა
ომპოხა – ხის ფეხი, გორზავალი
ოშომა – ნაღრძობისა და მოტეხილობის სამკურნალო მცენარე (ავშანიც)
რანგი – თაფლიანი წყალი
საბრა – აზვა, ალოე
სალბილობელი – სნეულთათვის უწყინარი საჭმელი
სალბუნი – ლბუნის, ბალამოს დასადები, ცანდალი, სპილნე
სალმობა – სატკივარი
საოოკელი – მეაკე სალოკავი
სამბო – ძირმაგარა
სანახავი – თოკის ან ძენძის ნაკუწი, ღორის ქონში ამოვლებული, წყლულში ჩასაყოფი
სანახი – დასტაქრის იარაღი
სასნეულო – საავადმყოფო
სურმა – თვალის მალამო
ტლე – სიცხიანის სადები წამალი
ფაზარი – სამკურნალო ქვა (ცხოველის ნაღვლიდან ან ღვიძლიდან ამირთმეული)
ფალუზა – ხველების წამალი პურის სახამებლით

ფარსმანდუკი – სისხლდენის შესაკავებელი
ფრობა – შეშუპების დაცხრობა
ქაშთაკი – აბი
ქისა – მასაკის სახეობა
ყუვილი – ძვალი ნელიად ტკივილი
შაბტილო – შაბიანი ტილო სიცხიანისთვის
შაკიკი – რიგით თავის ტკივილი
შალალი – წყლულის ნადენი
შამანი – არაჯანსაღი სისხლი
შაშარი – სისხლის გამოსაშვები
შმაგა - (Atropa caucasica) კავკასიური ენდემი, მატატა (სვ.), ლემა (რაჭ.), დევსურა, ცოფისბალახა, გიჟანა და ა.შ.
შტოში - ანთების
შუპილი – მცირედ შესივება
შხამა – სხამა, აბუტარატი, უცუნა, თეთრყვავილა, იხმარებოდა წამლისა და საწამლავის მოსამზადებლად
ჩანჩახურა – ამმა, ავგაროზივით, თვალისცემისგან დამცავი
ჩირქმდენი – ჭეკარი, ბალბა და ჩხამი ერთად ნახარში
ჩლაქი – არყის ქერქი, ხველების წამალი
ჩუთქი - დასტაქრის იარაღი
ჩხვერა – მუცლის გვრემა
ცირცელი – კუჭში გამხსნელი
ცრინტლა – მცირე სურდო
ძარღვის აყრა – ძარღვის შედგომა
ძინთი – წიწვიანთა ფისი
ძირწითელა – სანთელსა და ერბოში გაქნილი მუწუკის მალამოა
წმახი – მეავე
წინწიბური - პინცეტივით
წიპწკერი – დასტაქრის იარაღი
ჭყაანუნა – ჭრილობაში წამლის შესასხმელი
ხაჟუეი – სალოკი წამალი
ხარბუხა – ძლიერი ხველება
ხარკალი – არტაშანი
ხიბლი – საგრძნობო კრული
ხოწი - დასტაქრის იარაღი
ხუთო – ყვითელი ქვა, გესლთა საკურნავი (ლუსავენ და წამლად ხმარობენ)
ჯადვარი – შემკვრელი (მურყანიც)
ჯირჯვი - შეშუპება
ჯორტაფა – ჭრილობისა და დამწვრობის საწამლო მცენარე
ჯულაფი – სასაქმებელი

გარისობა, ნადირობა

„იცა, ირაობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება,
მაშინდელს ნადირობასა სულ წვრილად ვინღა მოჰყვება.“
არჩილ მეფე

მოვარჯიშეთა ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ბუნებრივ პირობებთან შეგუება, ლაშქრობა, სენთი (ორიენტირება), ბანაკად დგომა, საკვებისა და სამკურნალო მცენარეების მოპოვება და ა.შ.

ამ მიმართულებას ვუწოდეთ გარისობა. დამუშავდა შესაბამისი ტერმინოლოგიაც, რომელიც რამდენიმე ჯგუფისგან შედგება და ასევე გამოსადეგია მონადირეთათვის. გარისობის მიმართულებით მუშაობს ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევართა ჯგუფი არჩილ გოგალაძისა და ბექა ოტიაშვილის თაოსნობით.

საერთოდ ნადირობა, გარდა ყოფითი დანიშნულებისა, იმთავითვე ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი იყო და ეს არაერთია დადასტურებული.

თრიალეთის მცირე ხრამის კლდის მხატვრობის ერთი ნაწილი ნადირობის სცენებს ასახავს. ყველა ნახატში ხაზგასმულია, რომ ნადირობაში მთავარია არა დევნა ან მონადირება, ან უშუალოდ სანადირო იარაღი, არამედ წინასანადირო რიტუალი. კომპოზიციის ძირითადი ფიგურაა მონადირე ხელში სახრით, იმდროინდელი სარიტუალო იარაღით, ხოლო მშვილდ-ისარი იქვე გვერდითაა გამოსახული. ნადირობის თვალსაზრისით ასევე ძალზე საინტერესოა ბადით შეპყრობილი ირმისა და ცხენის გამოსახულებანი, რაც ამ ტოტემური ცხოველების მონადირის მიერ ფლობის ნიშანია და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თრიალეთის კლდის მხატვრობა
(მონადირეები 140-120 საუკუნის წინ)



მეზრელი მონადირეები ერთი საუკუნის წინ

გარისობის მკვლევარი არჩილ ბოგალაძე
(მარცხნივ) თავის ჯგუფთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირეში ქურუმის ფუნქციის აღმოცენებაზე მეტყველებს. ამ პეტროგლიფოთაგან ყველაზე უხნესი მეზოლითის ხანისაა (ძ.წ. XII-IX ათასწლეულები).

არქანგელო ლამბერტი („სამეგრელოს აღწერა") მოგვითხრობს, რომ ნადირობა „მეგრელთა უმთავრესი საქმიანობაა და მას ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეგრელი ეტანებიო" და იქვე მოჰყავს მეგრული ანდაზა - „ბედნიერი ის არის, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინოო".

ნადირობაში მონაწილეობა ფეოდალურ საქართველოში ვასალური მოვალეობა იყო. ა. რობაქიძის აზრით „ნადირობის გასამხედროებული ბუნება უდავო ფაქტად გვეხატება". საინტერესოა ისიც, რომ ასეთ ნადირობაზე გამომსვლელნი სადროშოებად იყვნენ დაყოფილნი. ივანე სურგულაძე „დასტურლამალის" კვლევისას ამბობს: - „ნადირობა აქ ისეა აღწერილი, როგორც ლაშქრობა: ჯარის გამოძახება, მისი სადროშოდ დაყოფა, სწორად სიარული ნადირობის წინ და სხვა".

ზერელედ განათლებულ მავანთაგან გვსმენია – ქვეყანა თავს გვექცეოდა და ამ დროს მეფეები ჰოემებსა წერდნენ ნადირობასა და დროსტარებაზეო.

ამ დროს კი ყველა ჩვენგანისთვის მაგალითი უნდა იყოს ვახტანგ VI-ის დამოკიდებულება ხალხის მიერ ერთხელ მიგნებული ხერხისა და წლობით დაგროვილი ცოდნის მიმართ. ამის ნათელი მაგალითია ეს მცირე ჩანაწერი: - „მუხის ფითრი მარიამობის თვეში დაკრიფე, რომელიც ჭაუზე იყოს. დაჭყლიტე, მერე წყალში ჩასდეგ, იმაში კარგად ჭყლიტე, დაიცალე. მერმე გარდასწურე. რაც ძირს დარჩეს, ან 10 – 12 წვეთი ზეთისხილის ზეთი, ან თაფლი დასახი. მერე ალვახაზივით რა ზეთი გაერიოს და კარგად აიზილოს, ერთ ქილაში ჩადეგ. როდესაც გინდოდეს, ჩხირებზედ წაუსვი, ქანდარებად გააწყვე ასეთ ადგილას, ფრინველი შესხდეს. რაც ფრინველი ან შეჯდება, ან ფრთას შეახებს - ვერსად წაუვა, დაიჭერს".

მეფე თეიმურაზ ნადირობას მიმართულებებად ახარისხებს - „აქა ისრით ნადირობის თქმა", „აქა ქორისა და მიმინოს ნადირობის ამბავი", „აქა თევზის ნადირობის ამბავი" და სხვანი.

არჩილ მეფემ კი, ნადირობის აღწერით, არა მარტო უდიდესი ცოდნა შემოუნახა შთამომავლობას, არამედ კიდევ ერთხელ წამოსწია ომებსშუა განუწყვეტელი ვარჯიშის მნიშვნელობა და ყმაწვილთა აღზრდის საგანგებო ზნედ დასახა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით („საქართველოს ეკონომიური ისტორია") სანადირო ბეგარა დაკავშირებული იყო სამხედრო ბეგარასთან: - „ნადირობას მარტო კერძო გასართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო და ბეგარასავით სამხედრო ვალდებულებას წარმოადგენდა".

„იმერეთის მეფემ ალექსანდრე II-მ დაიმორჩილნა დადიან-გურიელნი და მთავარნი სხვანი ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა ხმობითა მსახურებათათა"- აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

ვახტანგ VI-ს გარეკის ნათლისმცემლის უდაბნოსათვის შეუწირავს 3 სოფელი, ოღონდ - „ლაშქარსა და ნადირობასა გვეახლებოდნენ"-ო, ანუ სრული თარხნობა იმიტომ არ მივეცით, რომ „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა – ლაშქრობის მასწავლებელი".

იმერეთშიც ასევეა: ბაგრატ მეფემ გელათს შესწირა სოფელი ნავენახევი „ხელშეუვალად და განთავისუფლებით, თვინიერ ნადირობასა კიდე და ნადირის ჯერგად ნუ დაგვაკლდებიანო".

ნადირობის სამხედრო ბუნებაზე ნათლად მეტყველებს ფარსადან ვორგოჯანისძის ეს ფრაზაც: „მას ჟამსა, ოღეს მეფემა როსტომ რომ სანადიროდ გაილაშქრა"...

ნ. ურბნელის თქმით „ძველ დროში ახალწელიწადს ვაუკაცობის იერი ედო და მაღალი წოდებაც ამ დღესასწაულს ისე მიეგებებოდა ზოლმე, თითქოს საომარი დღეაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი ვარჯიშობაო... საახალწლო დღეობის სულსა და გულს ნადირობა შეადგენდა“. ასეთი სულისკვეთება სულ რაღაც საუკუნენახევრის წინ მეფობდა ჩვენში.

„ კავკასიის სადარი, ვგონებ, არ არსებობს სხვა მხარე, სადაც ნადირობა ესოდენ იყოს განვითარებული და სადაც ამდენი საოცარი ნაირსახეობით იყოს წარმოდგენილი, დაწყებული ყველაზე მარტივითა და უაღრესად სრულყოფილი ხერხებით დამთავრებული“ - განცვიფრებით აღნიშნავს 1900 წელს დასტამბული „კავკასიური ნადირობანი“-ს ავტორი ა. კალინოვსკი წიგნის შესავალში. ეს თემაც ცალკე და განსაკუთრებული შესწავლის საგანია. ამავე დროს, რაკიღა ნადირობის კულტურაში რაიმე საგანგებო წყვეტას ადგილი არ ჰქონია, სავარაუდოა, რომ არაერთი საინტერესო მასალის მოძიებაა კიდევ შესაძლებელი. საჭაშნიკოდ მოვიტანოთ რამდენიმე მათგანი:

ნადირობის მოყვარულის გივი ბადაშვილის გადმოცემით ნანადირევის შესანახად გამოიყენება შემდეგი ხერხი: ნანადირევი უნდა შეიტანო თოვლის ჩამონაზვავში მდინარის ან ნაკადულის მიერ გაჭრილ ვგირაბში იმ სიღრმეზე, რომ მზის სხივი ვერ მისწვდეს. ინახება დიდხანს და, რაც მთავარია, არ ეკარება მწერი და ნადირი.

ასევე საინტერესოა გადმოცემა იმის შესახებ, რომ სახლიდან შორს გასული მთიელები გათოშვისგან თავდასაცავად სამოსსშუა ნამჯას იფენდნენ.

გასული საუკუნის დასაწყისში ჩაწერილი ფერეიდნული სანადიროდ გასვლა: „საღმის სადაცღა რო მაგარ ტნეებრი დალადდეს თნები, იმ ღამით ადგებიან და შაატყობინებენ ერთმანეთს. დაქუჩდებიან ერთგანა ჩუმ ჩუმადა, რო ხმა არ აკიდეს თაჩი. ნამაი ქეჩის ქულაჯდს ჩაიცმენ და ფაიიმანგვებს დაიხოვენ ფეხებზე, ჯალის ქალმნებს ჩაიცმენ (ტუმარა – ქეჩა რაქთენი პირი და ემისი ქალამანია), ნამა დაიკოლთებიან და ფაიმამზე წავლენ თასაო“.

ნაწყვეტი გიორგი ბოჭორიძის წიგნიდან „თუშეთი“: „ძუის მახე – კვერნის დასაჭერი მახეა. აკეთებენ ადგილობრივ: დაგრეხავენ ძუას, გაკეთებენ ხის გირკალს (კირკალი, ანუ მოხრილი ხე), დაბამენ ქვაზე. ძუას იმ გირკალში შეაზე გაუკეთებენ შატით (ყულფით). მერმე ხეს გადასდებენ წყალზე. გირკალს, ქვასა და ძუას ერთად შეაერთებენ, დასდებენ ამათ გადებულ ხეზე. კვერნა წყალზე რომ გადავიდეს, უეჭველად იმ გირკალში უნდა გაძვრეს. კაძრომასას თავს ძუაში გაჰყოფს და თან გაიტანს. ქვა დატოკდება, წყალში გადავარდება და კვერნას თან გადაიყოლებს. პატრონი დამხრჩვალ კვერნას ამოიღებს.“

აბლი – ფერფლი, ნავლი, ფარველი
აგარანია – გობრიალა, კადინა, კოცონი
აერმონი – მოწყვეტა მზეცთა
ავარი – იავარი, ნადავლი
ამრეზი – მონადირე ფრინველთა ახურება
არჩივი – საკბილო
ბავლი – ქორის გასამართად
პირველშესაყრობი ფრინველი
ბაზიერი – მონადირე ფრინველის
გამწვრთნელი
ბალარჯი – უფუარი პური, ხმიადი
ბალყი – ყლარტი
ბაღვი – ხის უმსხვილესი ტოტი
ბოინი – მდოვრე ცურვა ჰაერში
ბღოტება – კლდეზე ცოცვა
ბუკაკი – ქინქლა
ბუნაური – კაცის ბუნაგი
ბუნჩი – ხმელი კუნძი
ბურდანა – გამდგარი კვამლი
ბუზუჩალა - ხშირბეწვა
ბუხება – ზრომა
ბღეზი – ავი ძალი
გაგება – ანკესთა ასხმულა
გადაკარება – წვიმის გადაღება
გამანძილება – საკმაო მანძილის გავლა
გამარაგისება – სალაშქროდ აღჭურვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგზე — გზის მცოდნე
გამლამი — თავის შენახვის უნარიანი
გამოტყვროშა — უცბად გამოხტომა
გარევა — წყალში ფეხით გავლა
გარელე — მოშორებით
გარისობა — გარეულად ყოფნა
გასაავა — განაბვა, გაჩქურება
გაქარავნება — განავარდება
გაქეჩვა — გეზის მიცემა
გეზელი — მამალი ქორ-მიმინო
გეში — ალღო
გვიფი — ჰაერში გამდგარი კვამლი
გვრიჭილა — სანადირო სატყორცნი იარაღი
გოლეული — ფიჭიანი თაფლი
გორილა — პატარა მრგვალი პური
გოსიო — მკვახე
გუზანი — მძიმე ტვირთი
გულისხმა — გუმანი, მიხვედრა
დალახვა — გადავლა
დამსხიტურება — ჩასაფრება
დამუხლება — ჩაჯდომით დასვენება
დანდალი — ალიკაპი, პირის მახე
დარანი — სამალავი
დარილი — ზვერვა, თვალთვალი
დარწყმა - მახის დგება
დაწალიკება — მწკრივად სვლა
დაშამუშება — დაშვრომა, დაქანცვა
ეტერი — ნედლი ნაყოფი
ველობა — ლაშქრობა, სტოლა
ზინთა — სანადირო ჩანთა
თაია — გროვა, კონა
თანობა — გუება, ატანა
თებიერი — მინავლული ცეცხლი
თელება — ფრინველის დაღირება დასაჯდომად
თულა — სანადირო ძაღლი
თული — მიმინოს დასასმელი ოდრიკალი
ილი — საზაფხულო კარავი (ფერეიდ.)
ირაო - ლიგლივი, მდოვრე ფრენა
იჯრა — ულუფა, ერთი კერძი
კაკდები — თხილამურები
კარშიკ-მარწუხი — კარვის შესაკრავი
რგოლი და კავი
კაწი — ნადირის სავალი ბილიკი
კეკება — ხეტიალი, თვალიერება
კვანძი — ხლართი, ნასკვი, ძაგრი, ხვანჯი, სიკუნი
კვეეო — საბედე ხის სოკო
კვესი — კაჟზე ჩამოსაკრავი ფოლადი
კიაპი — არწივის, ორბის, ხმანობა
კიბალი — სამიჯოხა, ქვაბის შესაკიდი
კივი — ჯოგი
კიზილი — პუუუნა, პატარა ცეცხლი
კიპორჭი — ძელი ხიდად გადებული
კირკილი — წყაროს რაკრაკი
კოკკა — ტაატით სიარული
კოლიბა — ქოხი, კარავი
კოჭიმელი — მზის ორბიტა
კუდაწარა — გრძელი მწკრივი
ლაჭანი — წნელის საწოლი
ლიგლივი — ნადირთ ხლტომა
ლიკინა — თონის გრძელი მჭადი
ლოპრი — ცხოველთა დუჟი, ლეზი
მადე — ველური ფუტკრის მოსაშინაურებელი ჭურჭელი
მაზრა — სახელდახელო კარავი
მათარა — ნატის ჭურჭელი
მაინდი — მარაგი
მასანაო — მომცრო კვერი, ყველის ან ხავიწისგულიანი
მედუმლე - მიპარვით მკბენელი ძაღლი
მეკუდური — წალიკის ჩამკეტი
მემახური — მახის დამგები
მემთე — მთაში მავალი (ფერეიდ.)
მეძირე — ძირში დამრჩომი
მეწვერე — მთის წვერზე ამსვლელი
მეხეური — ველური ფუტკრის მომშინაურებელი
მიფაქვა — მიფიცხება
მიშერი — გოლეული, კარგი თაფლი
მუში — ცაცხვის ქერქის ლაფანი, სათოკე
მჭირავი — მონადირე ფრინველი, ბაზი
ნაბი - ნაბული (მეგრ.)
ნაგარი — მსუბუქი კვალი
ნარდი — ახალნაჩვევი კაპოტი
ნაყრი — ცოტა (ფერეიდ.)
ნუზლი — საგზალი
ოკი — წაწვეტილი, ეკალი
ოშმანდი — რგოლზე ასხმული ჩხირები (სატყორცნი)
ოჭი — ფიჭვის კვი
რანგი — თაფლის ღვინო
რეწვა — ნადირობა, მოპოვება
რთობა — გზის დაბნევა
როგო — კაკლის წენგო
რული — მსუბუქი ძილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუწუნა – ტყის ხანძარი
სათევი – ღამის ბანაკი
სალოკი – მარილიანი ადგილი
სამგოჯა – სამწყერაო ხელსაწყო
სამფარჩხი – სამწყერე ჯოხი
საფარი – ბუსუნი, ხანდაგი, სახუნდარი, საყუნი, სამზირი, სადარნო, ფარიზი
სახიბი – ძაღლის დასაბმელი
სენთი – გაგნება, ორიენტირება
სვერო – სორო
ტავარჯული - ტყავის ზურგჩანთა (ლაზ.)
ტები - ტყავი (ლაზ.)
ტეზი – ნედლი შუშა
ფათილი – თხელი ლავაში, შაფართხელა
ფირსა - ხის ფისი (მეგრ.)
ფრაშფრაში – ფრენა
ფურკი - კვამლი (მეგრ.)
ქადა – მომცრო კვერი, ხავიწისგულიანი
ქამანდი – მარყუჟიანი სპელი
ქარდი – მსხვილი ეკალი
ქოჩობა - ?
შაგამი – თევზის სახოცი, პარჯივით
შატი – მარყუჟი
შეკმაკება – აბლოტება
შელოპვა – სწრაფად აცოცება
შერში - ცეცხლის გასაჩაღებელი გოგირდოვანი ფითილი (მეგრ.)
შვები - ხის ტყავი (მეგრ.)
შლიგინი – შამბში სვლის ხმა
შხუილა – მწყერზე სასროლი
ჩანგალი – ძაღლის საყელო, ჯინჯილი
ჩახვი - ტყავის პატარა ჩანთა
ჩუილი – ხრჩოლვა, ფუჭვა
ძარი – ქორთ საჯდომი გოდორი
ძაღლი – მეძებარი, ბერძული, ნაგაზი, ქოფაკი, თართი, მწევარი
ძრო – ფსკერი
წალიკი – მწკრივი
წალი – კენტი ხე
ჭანვი – კლანჭი, ბრჭყალი
ჭვირთი - სათევზაო მუჯირა (მეგრ.)
ჭიკუ – ჯაჭვის რგოლი
ჭინო – ანკესივით მოწყობილობა. მისი ნაწილებია თუდენი, შპამი და წკეპელი
ჭკარი – ბურანი, ძილფხიზელი
ჭოგრი – სამზერი მილი
ჭოპინი – სხვის ქვეშ შედგომა
ჭრინვა – ჩიტთა ხმიანობა
ხაბაკი – რისამე ძებნა
ხალვა – რისამე დაბერტყვა
ხანთალ – კლდის პალო (სვან.)
ხარგა – მაზრა, სადგომი, ნაბდის კარავი
ხელაობა – ხელით თევზაობა
ხელსამფრე - სამიმინოე თათმანი
ხიზი – მდინარეზე გაბმული თოკი
ხოლი – ერთი კაცის ტვირთი
ხოხინი – სვენება
ხუმურო – მცირე ხვრელი
ხურდა – მიმინოს ფეხის სენი
ჯაბი – ნაკვალევი (სვან.)
ჯაბრაალ – ძირგამოქსოვილი სანადირო ქალამანი (სვან.)
ჯინი - ნადირობა (მეგრ.)
ჯერგა – სანადირო ადგილის ალყა

ანკესი, ბადე

სულხან-საბას განმარტებით ბადე ჰქვია - „ყოველთა მკედთა, თვალედად ნასკულთა“.

ანკესი – სათევზაო მოწყობილობა
ასმანაკი – ნადირთა ბადე
გოდორყური – ყელჩადგმული სათევზაო გოდორი
დიდბადე – გრძლადნაქსოვი, საღონიანი, მომძიგული
ზელმა -
იანღვარი -
კალბადე – ბადე ორტოტა ჯოხზე
კანკელი – მავთულის ბადე
კონი – ფაცერის სახეა
კოში – კონუსური კალათა;
კოკოჩინა – ძირწვეტა გოდორი, კოკოზა, კუდმოზვერა, პირშექცეული
ლიბი – წყალში ბადის დასაბმელი
მასე – ცალწვერა, ქვეკენჭებმობმული
მოსასმელი -
მოლოზნა – გასახლართი სათევზაო ბადე
ნემსკავი – ანკესის ნაწილია
ორგარგანა -
ორჭილი – ბადეში გასაყარი თოკი
ოსარო – ოჩხი, ფაცერივით,
პარაპატი – დიდი სათევზაო ბადე
პეტაკი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოხეველი — სასროლი ბადე
სალიკი -
საშრობი — გრძელი, უსაღონო, ქვეშმიეოსანი, ზე ფელოსიანი
საძირავი — სიმძიმე ანკესის ძაფზე
სახოპავი -
ტივტივა — ლიფლიფა, ქერქეფელა
ფარონი — თვალაყრილი ბადე
ფაცერი — სათევზაო ლასტი
ფრინველთა ბადეები - აშრიალი, ოჯიეკი, სასირე, ჩიტბადე, ზოლონი, ოკიდოშა
ქისაბადე -
ღრიპონი -
ღურკო — ანკესის გრძელი ჯოხი
ძროკუნჭულო — სათევზაო გოდრის სახე
ჩიჩქინური — საშრობზე მოკლე და ფართო
ხესკერი, ხესკელი -
ჩოგანბადე -
ხალბადე —
ხახალი - ლასტი
ხოკი — ბლის ქერქისაგან მოწნული თევზსაჭერი
ხოლიხი — წვრილთვალი, ბოლოკუნჭულოსანი

მახე, რაგვი:

ზალვანა -
რაგვი - სასხლეტიანი, ხაფანგი
საბრხე — ნადირის
მერული — მგლის
ირენჭკა - რენჭკა, ისხერტი, სასხიპურა
სარეგვავი — თავში დასაცემი
საფეხიო — ფეხის შესაჰყრობი
საშვეტელი -
ილინჭა — გალიისმაგვარი,
აკანათი — ძუთთა და ჩხირით, კაკანათი
ბალო — ძუანი მახე
საზეკი — კვერნის მახე
საზიდარაი — ჩიტის მახე
სახვეწაეი — თხის მახე
პოტიკო — მოზრდილ ფრინველთა
ქვასხლიპი — ჩიტის მახე
ქოსხლიტა — ჩიტის მახე
გაწარი — გრძლად ნაგები, მწყერთათვის
ფაცერკოდი — გრკალით
ხეეტა — ძუის მარყუჟი ორკაპზე
ჯიდა-მშვილდი — მახე-მშვილდი
გარა — მახის ნაწილი, მოღუნული ჯოხი

საბელი:

ავანგი —
ავრიტი — ხის ქერქის თოკი
ბაგირი - ყოველთა უსხო
ბაწარი - ხეზის უსხო
გვარლი -
გორალი - თივის თოკი
ევანი -
თოკი — ბაწრის უსხო, თაკვ (სვან.)
ლარო — ხეზისმაგვარი
მუკუდი — ცხენის ყელზე მოსაბმელი
საბანდი —
სავალდე —
სავალდაბე -
საკიჭავი -
სახივი — შესაბორკი თოკი
ტოილო — ცხენის ფეხზე მოსაბმელი
შიშთვილი -
წალები —
წალია -
ჭაპანი — საკოჭავის უსხო
ხეზი — მკედის უსხო
ხიზი — ბადის თოკი

დრო:

ადრევა — უწინ
აეწ — აი ახლა
ავრუ — ახლორე, ხვალ
ალია — დროის მცირე მონაკვეთი
ალო — შესაფერისი დრო რისამე
ამგაის — მომავალ წელს
ამლეთ - ამაღამ (სვან.)
ბუნიობა - დღეღამსწორობა
განთიადი — თენ-უთენი, გაბინდება, დილბინდი, შეცისკრება, ცისკარი, რიბირაბო (რიჟრაჟამდე), გარიჟრაჟი, რიჟრაჟი, ნარიჟრაჟევი, აისი, ალიონი

(იალომი), მამლის ყივილი, დაფიონი, ამონათება, თენება, სისხამი, დილა
ბარგეფისი – გაისის მომდევნო
დაფიონა – ცათ ფერადად ელვარება
დილეული – დილით ადრე
დღე – შუადღე, მზე შუბის ტარზე, ნაშუადღევი, სამხარი
ეარი – გაზაფხული
ეხლეფჩი – ახლახანს (ფერეიდ.)
ლადი - დღეს (სვან.)
მიმდემი – ყოველდღიური, მუდმივი
მსგეფსი – დღეის სწორამდე
ნაბუნიობა – დღისა და ღამის პიკი
პაალალა – პარასკევი
პწკალი – მზის პირველი სხივი
სადაგი – არაუქმე დღე
საღამო – მწუხრი (წუხრა), დაწვერვა, მოსაღამოვება (ხართაშვება), შელამება, დაისი, ბილბანდი (ბინდბუნდი), ხშირბინდი, მზერაი, შეთვალინკიდება
უქმე – არასამუშაო დღე
ფეხგასული – თოვლის დადნობის შემდეგ
ღამე – მწუხრიდან გათენებამდე: შერიყვება (მცირედ შეღამება), მწუხრი (დასვლა მზისა), ბინდი (სადა ძველ ხრნდეს რაიმე), წყვდიადი (ფრიად ბნელი და სვლაშეუძლებელი), უკუნი (წყვდიადის უბნელესი), კაკაში (მთვარიანი ღამე), წკვარამი (უკუნეთი, კუკუნეთი, კუნაპეტი, კუკუნახი, კურკუმელა, ბენეი, ბერბეცი)
ცისმარე – ყოველდღე, დღებედღე
ცულის ტარზე - მზის დაშორება კინტროდან
წიქი - ბინდივით

სანათები:

ამზა –
ამპარია – ლამპარივით
ბაზმა –
ბიკონი –
ბეუტია – ნავთის სანათი
ბრიალა –
ბუკვანი – ფიჭვის კვარი
გარნაი – სათევზო ჭრაქი
კელაპტარი – დიდი სანთელი, კილანტარი
კეროვანი – ცვილის სანთელი
კვარი –
ლამპარი -
ლიფლიფა –
მაშუქი –
მაშხალა –
ნოთე - დიდი ჩირაღდანი (მეგრ.)
პუეია – ჭრაქივით
ჟინეულილი –
სანათი –
სანთელი -
ტალ-კვესი –
შუშხუნა –
ჩინჩხვარი – ხმელი ფიჩხი
ჩირაღი, ჩირაღდანი -
ჭრაქი –
ჭრიტინა –

მანძილი:

ადლი – 2 წყრთა, 4 ჩარექი (მეტრამდე)
ალაბი - გაშლილ მკლავთა სიგანე (მეგრ.)
არშინი -
ბიჯი - ორთავ ფეხის წადგმა
გაბაჯანი – სალოკიდან შუათითამდე
გოჯეული – ორი გოჯი
გოჯი – ცერას წინა სახსრის სიგრძე
ეჯი – სამ, ხანაც ხუთ ათას ნაბიჯამდე
თითი – 18 მმ.
მტკაველი – ცერსა და ნეკს შუა
მხარი – ოთხი წყრთა
ნაბიჯი - ერთი ფეხის წადგმა
სათურგნო – თოფის სასროლი მანძილი
ტერფი – ბიჯის მეხუთედი
უტევანი – ასორმოცდასამი ნაბიჯი
ჩარექი – 4 გრე
ციდა – სალოკიდან ცერამდე
წყრთა – იდაყვიდან შუა თითის წვერამდე

გზა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიკი – ვიწრო გზა
გზა – ზომიერი კაცთა სავალი
თავალა – გზის აღმართი
თანთანა – გზის გამდევი ბილიკი
თელილი – ვიწრო ბილიკი
ისარა – ტყის ბილიკი
კაპიშუკა – ვიწრო ბილიკი
მებობირი – გზაჯვარედინი, გზათშესაყარი
მერდევანი – ოღრო-ჩოღრო,
მოსარები – შემოსავლელი
ნოქვი – ძველსავალი
საცალფეხო – ვიწრო ბილიკი
ქაშანი – შამბნართა და თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი
წავარნა – ნადირის ბილიკი
შარა – ფართო გზა
შუკა – ორღობე
ხოლი – აღმართი გზა

ამინდი:

ალხი – დიდი სიცხე, ბუღი, ლუული
ბაკმი – ბაკე, შუქის რკალი მთვარეზე
გამოკარება – გამოდარება
გაბვიფვა - მცირად შეყივნება
გერანი - ძალიან ცივი (მეგრ.)
გიეე - ნელთბილი (მეგრ.)
გუგუბო – გრილსა და თბილს შუა
დათანთარება – დაცხუნება
ერკელია – ამინდის ცვალებადობა
ვარანგი – ზამთრის თბილი ღამე
ზამათი – არეული ამინდი
იაკამი – ნათელი მთვარე
იალკიალი – აკა იქ ღრუბელი
კაპოეტი – შემაწუხებელი სიცივე
ლაგაზი – წებოვანი ტალახი
ლალა – ლაფი, ლესთექი
ლელეჩი - მოთბო
ლუნგი – მზიანი, უქარო ამინდი
მარაგი – ცა ღრუბლით თხლად შემოსილი
მესვიფი - ზღვიდან მორიგეობით ამოდიან შავით მოსილი კაცები (ავდარი) და გრძელკაბიანი ქალები (დარი). (მეგრ.)
მოკარკაცება – ნაავდრალზე ცის მოწმენდა
მოქურუხება – ცის მოქუფრვა
პულა - ღრუბელი (მეგრ.)
ორო – დაბუთული ჰაერი
პაპანება – უზომო სიცხე, ჭრტიალი, ხვატი, ქარათო, ბოტორო, ბუღი, ალმური, ქელთა, ღვართი, დუგუნა, თაკარა, ალხი, ლუული, პაპანება
პირტუქსი – სუსხიანი ამინდი
რაკი – მდინარის შეყინული ნაპირი
საზეველა – თოვლის დნობის დასაწყისი
ტარონი - ამინდი (ლაზ.)
ფიტი - ელვა (მეგრ.)
შიმე - ნესტიანი (მეგრ.)
ცისიერი – ელვა, წვიმა, თოვლი, ტატანი, ქუხილი, ვარსკვლავკუდედი, მეხი,
ციცაგი – თხლად მოღრუბლული
ცრიატი – ღრუბელაშლილი დღე
ცხუნება – მზის დაჭერა
ჭიატი – მცირე ხნით გამოდარება
ხანდარა - არეული ამინდი
ხიოდი – მზის გამოსვლა
ხლარცი – დიდი ტალახი
ხმელარობა – მშრალი ამინდები

თოვლი:

არხლი – ბზარქნილი ფიფქი
ბარდანი – ხვავრიელი თოვლი
ბზარი – შემბალ-შეყინული
ბრილეკა – მსხვილფანტელად თოვა
ბურხლი – წვრილი თოვა
ბუქი – ქარიანი თოვლი
ზეავი – მთიდან დაქანებული თოვლი
თოვლი – კოჭამდე მონათოვი
თოვნა -
თრთვილი – შეყინული ცვარი, რთვილი, კრინჩხი, მარაბული
ლანქერი – თოვლის ნადნობი
ლეკი - დნობა
ლეღმა – მზით შემთბარი ბზარი
ლილო – თოვლჭრელი
ნაბუქი – ქარით მიხვეტილი
ნამბული – წყალგამჯდარი
ნანქერი - ნამქერი, ჩუმქარი
პაპეი – ახალი თხელი თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟატყი – წყლიანი თოვლი, ყოპყო
ფანტელი – ფიფქის სახეა
ფარტენა – ფიფქის სახეა
ფირნი – ყინულად შემარცვლული
ფირფლი – წვრილიო ფიფქი
ფიფქი – ტერფამდე მონათოვი
ფშატალა – თოვლნარევი წყალი
ქურხლი – ხეზე დადებული, ხურხლი
ყაპი – პირველდათოვა
შავი – მთიდან მომზღვლეული
ჩაგულვა – მკვრივად დადება თოვლისა
ცუფქარა – მშრალი თოვლი
წირხლი – უფრო წვრილი თოვა
ძენძეხი -
ჭატყი – მდნარი თოვლი
ჭირხლი – ხეზე შეყინული
ჭოდი – სასიარულოდ გამაგრებული
ხიაწი – ქარით ახვეტილი
ხორტი – მთის ნაოჭში ჩარჩენილი
ხოშორა – წყლიანი და შეყინული
ხრილი - მშრალი ქურხლი
ხუშხუშა – ხშირი თოვლი
ჯიშთი – ხევში ჩარჩენილი

ნისლი:

არმური – სქელი ნისლი
ბორი – ნოტიო ნისლი
ბორიაყი – ხმელი ნისლი
ბური – თოვლიანი ნისლი
ბურუსი -
ბუერი -
ბუერი – მონათოვი ნისლი
ბურსა – თოვლიანი ნისლი
კვიმი – ნისლი, გვიბი
ლემადე – ქარბუქიანი ნისლი
ნისლი – წვიმასა და მანანას შუა
ფოში -
ფოშფოში – თხელი ნისლი
ღვაპი – ბურუსიანი ამინდი
წიწამური -
ჯანღი – ქუფრი ნისლი

ყინვა:

ალთო – პირშეუკრავი ყინული
ენთელი – ფსკერიდან ამოტივტივებული თოში
თოში – შლორი, მდინარის მიერ დაძრული ყინული
ინი - ყინი, ყინვა (ლაზ.)
კარჩხი – ჭირხლი ხეზე
კოპიჭი – მოყინული ნავალი
ლიპი – ნადნობი და მოყინული თოვლი
ლიჭყი – მიწა პირგაყინული, ძირმომლხვალი
ლოლო – ლოლუა, ჩონჩხარა
ლხვალი – ოდნავ შემდნარი
მყინვარი – უდნობი ყინული მთაზე
ნაოხი – სქელი ყინული, ხორგი
ნეფხვა – ხმელი სიცივე
სუსხი – დამწველი და დამაჭკნობელი
ტეხვრა – თოვლში სიცივე
ყინტორი – წყაროს ყინული
შოლარი –
ძგიფი – მცირედ შეყინებული
ხორხალი – ყინულის დიდი ნატეხები

ქარი:

არავი – სამხრეთის ქარი
ბობოქარი – ძლიერი ქარი
ბუქი – ძლიერი ქარი
გამჭოლი -
გრიგალი -
ზეკარა – ზეკარის მხრიდან ქარი ქარლში
ზენაკარი -
ზეფირონი – დასავლეთის თბილი ნიავი
ზურგქარი –
ზღვაური -
თელხი – სიოს სახეა
თერხვი – ზეფირონს და ჭალიკონს შუა
კენხრონი – ძლიერი ცხელი ქარი
კორიანტელი – თოვლიანი ქარი
ლიფსი – სამხრეთ-დასავლეთის ქარი
მერენი - ქარაშოტი (მეგრ.)
ნიავი, ნიავქარი -
ორპირი – გამჭოლი, გამკრავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირქარი – ზურგის ქარის საპირისპირო
რასა – ჩრდილოეთის ქარი
საბარული -
სიო -
ფიონი – ცეცხლაქარი, აღმოსავლეთის ქარი დასავლეთ საქართველოში
ქარი –
ქარიშხალი -
ქარაშოტი -
ქარბორბალა –
ქარბორიაა -
ქარბუქი -
ქარტეხილი – ძლიერი ქარი
ქარტლი – ქარბორბალა, სიფონი
ქარშეთი – უეცრად ამოვარდნილი ქარ
ქარშოშინი – ცხელი, მშრალი
ქვენაქარი -
ქიზი – მსუბუქი, ცივი ნიავი
ქსინი – ზამთრის ცივი ქარი
შურშული – გამკრავი ქარი
შხივი – ხეობის ქარი
წინწილა – მეტად ცივი ქარი
ჭალიკონი – სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი გურია-სამეგრელოში, წილიკონი
ხაბარული -
ხორშაკი – ქარი შემწველი, ხორშა

წვიმა:

არაზანი – თავსხმა
გერილი – მალე გადამლები
დელგმა – კოკისპირული
ზესხმა -
ზოველა – დიდი წვიმა
ზღველა - თავსხმა
თქეში – მსხვილი წვიმა
თქორი – წვრილი წვიმა
ისხარი – ჩქარი წვიმა
კოხშინშხალი – სეტყვა ქარიშხლიანი
ლეზღმა – დიდი წვიმა
ლელეხი – გადაუღებელი წვიმა
ლეშტერი – სეტყვის ღვარი, ლესტერი
ლეშხი – ჟვავი, ფოთოლთაგან დადენილი
ლიჟიი -
ლოშქრი – ნისლსა და წვიმას შუა
მანანა - რბილი წვიმა
მერეხი – თავსხმა
მსთვადი-მცხეედი – დილა-საღამოს მარგებელი წვიმა
ნავერღვენა - თავსხმა
ნამვა -
ნიჟი – ცვართ უმცირესი
ჟანტი – მცირე სისველე
ჟგეთა - ძლიერი თავსხმა
ჟინჟელი – წვრილი წვიმა
ჟიჟმატი – ძალიან წვრილი
ჟუჟუნა – ნელი, ხანგრძლივი
ჟღმურტლი – წვრილი, ნისლიანი წვიმა
რეში – დიდი წვიმა
საფურცლო – გაზაფხულის წვიმა
სეტყვა – გაყინული წვიმა
სკარხალი – სეტყვა (სვან.)
ფრუტი – ნისლოვანი თქორი
ფუნთხი – თქორიანი
ქაშანი - ქარიანი თქეში
ქირსლა - წვრილთოვლნარევი
ღანლი – მცირე ხნით გადაღება
ღვართქაფი – წყალუხვი წვიმა
ღვარნაში -
ღვაფი – ცვართ უმსხვილესი
ღლოფო – დიდი წვიმა
ყელობა - წვიმაზშირობა
შხაპი - ჩქარი წვიმა, შხეპა
შხაპუნა – უხვი წვიმა
შხუმფლეა – წვრილი წვიმა
ჩულუმი – ქარწვიმა
ჩქაფი - თავსხმა
ცაიერადი - თავსხმა
ცვარი – მცირე წვიმა
ცრა – თქორზე წვრილი
ძანძახი – ხანგრძლივი, უსიამო
წინწკლვა – წვრილი წვიმა
ჭოროფა – გაბმული ავდარი
ჭყაპი – თოვლნარევი წვიმა
ჭყიყორი – წვიმიანი ამინდი
ხორხოშა – მსხვილი სეტყვა, კორკოტა
ხოშკაკალა – წვრილი სეტყვა

ტყე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახო – სავარგულად გაკაფული
აჯამეთი - ულრანი ტყე (მეგრ.)
ბარწნალი – ბარდხშირი
ბაღარა – მცირე ტყე
ბოჯოლა – დაბალი ტყე
გვიზობი – ეკლიანი ბუჩქნარი
დასო - პატარა ტყე
დენგარი – ჯაგი-მაგი, დენგრი
ელეი – ეკალ-ბარდი
კორომი – ხეთა ჯგუფი
ლატნარი – 15-20 წლის ტყე
მაღნარი – მთათა შინა მცენარეული
მოხისი – შამბიანი, მთაზე მოდებული
ოლე – მოგრძო ტყე ველთა შუა
სასარე – საჯალჯე, საკაფი
სხრტე - ხშირნაყარი
ტები - ტყე (მეგრ.)
ტევრი – დიდი და ხშირი
ტყენარგი -
უდაბური – გაუჩეხავი
უსიერი – ბურვილი, ულრანი, ეზუანი, ურმანი, ურეკი, უჯანგარი, ქურცხი, ღურღუთი, ღურღური, ჯეგი
ფარჩხატი - შეთხელებული
ფშიარი – პატარა ტყე
ქანჩახი – კლდოვანი ბუჩქნარი
შიმალი – ნორჩი
შურო – ტყეში ქედებშუა ჩაღრმავება
ჩხარი – შეთხელებული
ჩქოლა - ახლადამონაზარდი
ჩქონი – ჯაგნარი, ჩინჩხილი, ჯაგ-მაგი, ბუწკნარი
წარაფი – წვრილი მოგრძო ტყე
წვრილიანი – წვრილი ტყე
ჭალა – წყლის პირას
ჯალონა - ნათელტყიანი ადგილი (მეგრ.)

არე-მარე:

აგარა – საზაფხულო სადგომი
ავგაკანი – თვალუწვდენი სივრცე
აზმახი - გუბე, ტბორი (მეგრ.)
აკრა – ზღვის პირი კლდოვანი, მყის ღრმა დაწყებასვე თანა
ამრეცი – აღმართი
აპანთა – კლდოვანი ადგილი
ბაბანი – ძალიან ვაკე ადგილი
ბანაკი – მანალი
ბერეთი – ბუნაგი, ხვრელი
ბეჩო – ჯილე, ბოლათი, ყობი
ბეჩოლა - გამოქვაბული, ღრმული
ბინული – ნაკადულისთავი
ბინური - წყაროს წყალი (მეგრ.)
ბიცი – აღდაჭი, უნაყოფო მიწა
ბოკერა – მინდორი ტყეში
ბოლცომი – მომაღლო ადგილი
ბონდორი - მოშლამული ადგილი
ბორო – მიყრუებული ადგილი მთაში
ბოტორო – შამბიანი ცხელი ადგილი
ბოშია – ქვიშნარი
ბრეგი – ბრეკი, გორაკივით
ბრილი – უმზეო ადგილი
ბუსნარი – მაღალბალახა კორდი, ბუსნო
ბღვარი – სამხრეთი, სამზევე
გაბარა - მაღლობი, სერი (მეგრ.)
გაგაჩი - ხერგილი (მეგრ.)
გარამი - უფსკრული (მეგრ.)
გაღმართ – ხევის მეორე მხარეს
გეზი – გასავალი წყლის კიდე
გვერდა – ციცაბო ფერდობი, ჩხოკო
გვერძნელი – უფსკრული, ღარდა
გიზი – ჩვილი ბალახი
გლუ – მიუვალი
გოლი - შენაგული წყალი (ფერეიდ.)
გორა – მცირე ბორცვი
გორაკი – მცირე გორა
გოჩგოჩანა – ქვაზე გადამდინარე ზვირთი
გულგული - შუაგული
გურაბი – მორევი
დალაუგა – პატარა ვაკე მთაში
დალდე – კლდეში შეჩნექილი
დალი - დასავლეთი (მეგრ.), ლაქვა (სვან.)
დოკე - დაღმა (მეგრ.)
დაღმართი:
- წამრეცი – მცირე
- დამრეცი – მეტი
- ჩაღმართი – უმეტესი
- დაღმართი – ჩაღმართის უმეტეს
- ციცაბი – სრულიად ძნელი
- ირმიცი – დაქანებული
- ჯიქა – კმედო, ძლიერ დაქანებული
დვიბე – ხეობიანი უქარო ფერდი
დიკალი - ჩასასვლელი (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორანი – ფოთქი, ბეჩო, ჩიბე (მეგრ.), თევზთა შესაყარი
დუბე – დაბალი ადგილი, ღელდო, ხვანტი
დუზი – სწორი მინდორი
დღოწი – ლაფანი წყალი
ეხი – კლდე ქვაბიანი
ვაკე – ქვეყანა ბრტყელი
ვანი – სადგომი, სავანე
ველობი – მინდვრიანი ტყეში
ველტოფი – მეჩხერი ბუჩქნარი სათიბში
ვეძა – მუჯა, მლაშე წყარო
ზაგარი – მთა (სვან.)
ზეგანი – ვაკე მაღლობზე
ზეკარი – უდელტეხილი
ზენაკე – ზემოთკენ
ზენი - ველი (მეგრ.)
ზო – სამხრეთის ფერდი
თანითანაზე – წყლის გაყოლებით
თარა – კლდის გამოქვაბული
თასფეხი – მთის ძირი (ფერეიდ.)
თაღარა - გაშლილი ველი
კადა - ფერდობი (მეგრ.)
კანკასი – ანკარა წყალი, კანკარახი, წიმარო
კაპანი – კლდის ფერდის ფხა
კარკალი – ლოდ-არძანნი
კარჩხალი – კლდოვანი
კარწახი – დიდი აღმართი, კუსუპი, ფოფხი, კაწაპანი
კატარი – კეწწერო რისამე
კაცხი – წვერი (სვან.)
კაწარა – პატარა რუ
კეტამი – კლდის ქმი
კვარიხი – ნაპრალი
კვაჭალია – პატარა მინდორი ტყეში
კიამპო – ძნელი აღმართი
კიდე - წყალთა ნაპირი
კიკაბო – ციცაბო
კინტრო – ტატანი, ციბოლო, ცისკიდური
კინჭუხი – კლდის წვერი, წოპი, კოდმე, წინწიბური, წვეროკინა, კეტამი
კიპირჭი – ბუნებრივი კიბესავით კლდეზე, პარახელი
კირჩხალი – კლდოვანი ტიტველი მთა
კლდე – ქვის მთა, კოჯ (სვან.)
კლდეკარი – ვიწრო გასასვლელი კლდეებში
კმედო – კბოდე, კოდმე
კოდი – უტყეო, ბალახიანი მთა
კოდმე – გორის ფერდი
კოთორა – პატარა კლდოვანი მაღლობი
კონცხი – მაგარი და ძნელოვანი ცხვირი კლდეთა
კოპიჭი – მოყინული მიწა
კოჟი – მაღალი, ხვინჭკიანი ადგილი
კორდი – ბალახიანი ნაკვეთი
კორთი - ციცაბო აღმართი
კორკორა – სოკოსავით გორაკი
კორტოხი – გორაკი, ბეკი, კუნტრუკა, ბეკური, თაფა, ბურცობი
კოსორი – კლდის შვეული ფერდი
კოტორი – მწვერვალი, კურკუტო
კრანჩხი – ღრანტე
კრია – მიწა ხშირად ქვიანი
კრიამპო – კლდის პირი უფსკრულთან
კრიახი – კლდოვანი ადგილი
კრუტიელი – მორევი
კუნძული – ხერთვისი, ჭალაკი
კურბელი - ბორცვის წვერი
ლაკაში – მწეპარე ტალახი, თიხნარი
ლაფი – თხელი ტალახი
ლაქვა - დასავლეთით (სვან.)
ლაყვა, ლაკვა – წვიმის გუბე
ლენჭყი – ლენჭყო, ჭაობიანი ადგილი
ლეჟა - აღმოსავლეთით (სვან.)
ლეტა - ტალახი (მეგრ.)
ლია – ტალახიანი საფლობი, ნოყა
ლიაღვი – ლენქერი, მოდიდებული ნაკადი
ლიპი – მოყინული
ლიტაო – სალი
ლიხი – მაღალი შამბი
ლოდიანი – დიდრონქვებიანი ადგილი
ლოთომი – საფლობი ტალახი
ლორგო – მლაშე წყაროს წყალი
ლუხუმი – მდინარე, რომელიც წვიმის დროს ძალიან მატულობს
მარჩხობი – არაღრმა წყალი
მატალა – სტალაგმიტი
მაქანარი – ხევის პირი ფლატოიანი
მდელო – მწვანე მინდორი
მესხლეტი – ფეხის მოსაცურებელი
მზვარე – უჩრდილო ადგილი
მთხრებლი – ორმო, მღვიმე, ხარო, ჭა, ხნარცვი, ლაკვა, ჯურღმული, ქვაბული, პარეხი, ბელღოღი, დალდე, ქანქანა, ქარიზი, ღრუდო, ქერეთი, ეხი, ქვახვრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირამორა — ახლომახლო
მისადევარი — ახლო-მახლო ადგილები
მონიო — წყნარი დინება
მრავალანი — პატარა დათვის ხომლი
მრუდი — გვლარძნილია ვაკოვანთა შორის ელელოვან-სეროვანი
მუშამი — მეტად ცხელი ადგილი
მღვიმე — მთხრეველი კლდისა, პარეხი
მყაყე — უძრაობით აშმორებული
მჭიდრე — ადგილი რამ იწრო
ნაგრილი — ჩრდილი
ნადგური — ნადგომი, ნასადგურალი
ნაზღობი — ქვიშა-მიწის ზვავი
ნაკა - ვრცელი (მეგრ.)
ნაპრალი — ნაღი, ვიწროდ გახეთქილი
ნარვალი — ოღრო-ჩოღრო, ოკრო-ბოკრო
ნაური — მცირე ხეობა, ღრანჩო
ნაშე — რიყე ფიჩხოვანი
ნაშლიანი — კლდის ნაშალი
ნოღა — მდინარის ნაყოფიერი პირი
ომანო — ომახო, ომანე, სორო, სვერო
ორო - ჩრდილი (მეგრ.)
ოროკო — ბაქან-ბაქან ვაკე
ორწოხი — ძნელმისადგომი
ორხევი — ორი ხევის შესაყარი
ოფო — მცირე საგუბარი
ოღრო — კრატერი
ოღრო-ჩოღრო - უსწორმასწორო
ყვეპო — პეჟო, პერი, ქაფი
რეხი — მთის კლდოვანი კალთა
რზენი - ვაკე (მეგრ.)
რობუ - ხევი (მეგრ.)
რუვი - რუ
რუწკუმი — კარსტული ძაბრი
საბადური — ბადით სათევზაო ადგილი, სასალიკო
სალოკი — მლაშე წყარო
სანიავო — ნიავიანი ადგილი
სარაგ - წყარო (სვან.)
სახინძავი — სამლავი
სერი — მოგრძო გორა
სერტყიანი — ტყიანი მთა, ძნელსავალი
სკნელი — კიდესავით
სრუტი — სადა ზღვა დავიწროვდება
სტაგი — რუს სათავე
ტაფობი — ჩავარდნილი ადგილი
ტაშირი — ვაკე მოებშუა
ტიალი — ყოვლით საჩინო,
ტიბა - ტობა, ტბა (ლაზ.)
ტინი — პიტალო კლდე, ლიტაო, საფეხ
ტომონი — ჭაობი, შანტალა, უყე, საფლობი
ტრამალი — დიდი უშენი მინდორი
ტრიამელი — ტრიალი მინდორი
ტუბი — ხევი (სვან.)
უზვერული — კარგად შენიღბული
უნაგირა — მთებშუა ჩაღრმავება
უფუური — მიუდგომელი
ულაღი — ძნელსავალი, ღრატო
ულრაღი — უგზო, უკაცრიელი
უყეში — საფლობი
უშენი — უკაცრიელი, უდაბური
უჯმაჯური — ღრუბელმა ან კვამლმა მხეცის სახე მიიღოს
ფაფხი — მიუვალი კლდე
ფერცხალა — დაღარული გორა
ფიჩორი — მდინარის შესართავი
ფლატე — ფოტორი, ჯილე, ხმორდლო, ღრე, ჩამონახეთქი
ფოსო — მცირე დაღრმავება
ფრიალო — მეტად ციცაბო
ფშა — წყარო, მდინარის ახლო
ფხაკო — ხრიოკი ფერდი
ფხაწალი — მიუდგომელი ადგილი
ფხნეკი — ღრიანტელი — წყლის მიერ ჩამოქცეული ადგილი
ქანვარე — სადაც მდინარე მიექანება
ქანჩახი — კლდოვანი ბუჩქნარი
ქარაგოზი — კლდის ხავსი
ქარაფი — დიდი ფრიალო კლდე
ქარქარაკი — გამონარიყი შეშა
ქაქარი - აღმართი
ქედი — გორთა გადასაჭვრეტელი
ქიმი — წვეტიანი შვერილი
ქორში — ცივი და უხეში წყარო
ქოფთა — გამოქვაბული
ქორი — ბუჩქი
ქუდური — მოვაკული გორა, პლატო
ღადო — ოკრო-ბოკრო, ჩორახი (ტალღაც)
ღარისთვალი — მდინარის კალაპოტის ვიწრო ადგილი
ღარტაფი — ჩაღრმავებული ადგილი, ღმურჭუნა
ღელე — მცირე ხევი
ღირღილა — ხმაურიანი რუ
ღრამპი — მცირე ორმო
ღრანტე — ღრმა, ვიწრო ხევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრე – დაფლატული ადგილი
ღრმული – ფოსო, ფოსვი, მცირე ჩაღრმავება
ღრუჭუმი – ბუნებრივი ორმო
ღურღული – დიდი მორევი, ღურღუნცი
ღურჭუმელა – ამოთხრილი ორმო
ყაფარი – დაქანებული კლდე
ყეფი – ძალიან ცივი წყალი
ყვაპე – ჩავარდნილი ადგილი
ყრჩუ – ადგილი ვიწრო და ცხელი
ყურე – ხმელში შეჭრილი წყალი
შაზი - ტალახი
შანდაკი – მოსწორებული ადგილი
შანტალა – უყე, ჭაობი
შენი – კაცრიელი მხარე
შეალი – ღარი ტყიან ფერდობზე
შიბი – კლდის წიბო
შტოქედი – ქედის განშტოება
ჩაბალი – დაბალი მინდორი
ჩაბარუხი – ჩანჩქერი, ჩახრიალა, ჩქერალი, ჩხატი, ჩაქუხა
ჩავო – უმზეო, ჩრდილიანი
ჩანჩხი – კლდიანი კალაპოტი
ჩახვაფული – ჩაზნექილი ადგილი
ჩოფი – ცხელი ადგილი
ჩქერი – სწრაფი დინება, ღვართქი, შხიერი
ჩხატი – ჩანჩქერის კლდე
ჩხმეტი – ქვიანი, კეჭინარა, ქვარნალი
ციგლიგი – ნაკადულის დინება
ცისკრეთი - აღმოსავლეთი
ძიძგაბი – ეკლნარი
წარბა – ოროკოს კიდე
წყალმარჩხი – თავთხელი ადგილი
წყარო – ფშა, ფშანი, ბინული
ჭალა – მდინარის ნაყოფიერი ნაპირი
ჭეელი – მდინარის ჩაციმციმება
ჭენჭეხი – გაუვალი ტალახი
ჭეო – ფიქალი, შრიანი კლდექანი
ჭერეხი – ქვახვინჭკიანი ადგილი
ჭიუხი – ჭაუხი, წვეტიანი კლდე, შხერი
ჭოროხი – მდინარისაგან შეყრილი ქვიშა
ჭოჭი – წყლიანი ადგილი
ჭურობი – კლდეთაშუა ვაკე
ჭურულა – რუს განშტოება
ჭყანტი – ჭანჭრობზე დიდი, ჭყანტობი
ხაბო – კბოდე (მეგრ.)
ხარო – ღრმა ორმო
ხაშმი – ავჰაეროვანი
ხახი – მდინარის დაკბილული ნაპირი
ხევანი – ხეიანი
ხვანტი – მთებშუა დაცემული ვაკე
ხმორდლო – ჩაფლატოებული
ხოფი - ჩაღრმავებული
ხრაო – ხრამი
ხრიატი – კლდიანი ფერდობი
ხურგი – საზღვარი
ხურხევა – ვიწრო გასასვლელი
ჯაგი – ეკლიანი ჩირგვი
ჯორგო – ღელე კლდეში
ჯურღმული – ძალზედ ღრმა ორმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI

დამხმარე მასალა

ფერი და ანდაზი, ხმა და ჰანგი, საკრავნი, ეტლი და საზიდარი, ნაგებობანი, ხასიათი, ვინაობა-სამსახური, ქმედება, ნაირობა, დამატება

ფერი და ანდაზი

„შინდორთა მამშვენებელო, ვარდო გაშლილო ველადა,
სად მოიცალა იმ ღმერთმა შენი თვალ-წარბის წერადა,
ვინ მისცა საწერ-კალამი, მოგხატა ათასფერადა.“
ხალხური

„შედარებით მცირე ტერიტორიაზე, ქვეყანაში, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ხასიათი აქვს, - ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ მოწმე ფოლკლორის განვითარების სულ სხვადასხვა საფეხურებისა და პროცესებისა...

ქართული მასალის თავისებურება ისაა, რომ მას არა მარტო შემოუნახავს სხვადასხვა მცირე ტომების მსგავსად შემოქმედების არქაული ფორმები, არამედ იგი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ეს არქაიკა მაღალი განვითარების ფორმებს ისევ ქართულ მასალებში, საქართველოს ტერიტორიაზე“ („რჩეული ქართული ზღაპრები“ ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1949 წ.)

ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ დავინახოთ მეტად თვისებური და ნატიფი ვემოვნება ჩვენი წინაპრისა. მხატვრობასა თუ ყოფითი დანიშნულების საგნებში (ტანისამოსი, ფარდაგი, მანდიკური და სხვა) ყურადღებას იქცევს ფერთა შეხამების საკმაოდ მკაცრი კანონზომიერება და უაღრესად დახვეწილი ანდაზი (ორნამენტი).

უხსოვარი დროიდან, როგორც მატერიალური კულტურის ნიმუშებში, ასევე ზეპირსიტყვიერებაში, სჭარბობს შავი, წითელი და თეთრი ფერები, რომელთაც, გამომსახველობითის გარდა, გარკვეული საკრალური დატვირთვაც აკისრიათ.

წითელი ფერი უფრო მრავალმნიშვნელოვანია, რაც ალბათ შუასკნელის ბუნებრივი სიჭრელეით არის განპირობებული.

მეგრული „ჩე“-დან (თეთრი) უარყოფითი Ш ნაწილაკის დამატებით იწარმოება „უჩა“ (შავი). ეს, ბუნებრივია, ნიშნავს, რომ შავი თეთრის საპირისპირო მხარედ აღიქმებოდა. ხალხურ შელოცვებში შავი მხედრები ქვესკნელიდან (სულეთიდან) ამოდიან და კაცის სამკვნებლოდ იღვწიან: „გამევიდა მაკილაპი შავი ხვლიკი ქვესკნელიდანა, ამეიყვანა შავი ცხენი, შავი შეკაზმულობითა, შავ ტანზედა შავი ჯაჭვი ჩაეცო, შავ თავზედა შავი ზუჩი დაეზურა, შავ წელზედა შავი ხმალი შემოეკრა...“

საინტერესოა ისიც, რომ ფერთა გავლენიანობა შავიდან თეთრისკენ დაღმავალია. აქ შეიძლება გავიხსენოთ სიერცის განფენილობის გააზრება ხალხურ წარმოსახვაში. თეთრი, ანუ ბოროტ ძალთა დამთრგუნველი, შედარებით ახლო მყოფი ძალაა, ხოლო შავი უკანა სკნელს, ანუ უკუნს წარმოადგენს. ეს უკუნი, რომელიც მიუწვდომლისა და მარადიულის (იხ. „უკუნითი უკუნისამდე“) აღქმაა, ყველაზე ძლიერ ძალად მოიაზრება. „ამირანიანში“ ამირანის მიერ ძმების განაწილება გველეშაპებთან შესაბრძოლებლად აღმავლობის ნიშნით (თეთრს ბაღრი უნდა შეებრძოლოს, წითელს - უსუპი, შავს თავად ამირანი) ამისავე დასტურია. საინტერესოა ძმების ნაწილიანობაც - ბაღრი მთვარის ნიშნითაა აღბეჭდილი (თეთრი), უსუპი - მზისა (წითელი).

კვლავ გავიხსენოთ ლექსი თორღვაზე - „მარჯვნივ მზე წერეტელიყვა, მარცხნიკე მთვარის ნალიო.“ თუ თორღვა ორივე ერთად ჰქონდა, მაგრამ ჩოთამ ერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდაზი

Digitized by Google

გაჭვარტლული ისრით შეძლო მისი მოკვლა, ეს, შესაძლოა, შემდეგს ნიშნავდეს: ან ამ პერიოდისთვის სიმბოლოებს ძველი აზრი დაკარგული აქვთ და მხოლოდ ინერციითაა მოიხსენიებენ, ან კიდევ შავი გამჭვარტლული ისარი (შავი, ანუ „ბუნი", ანუ მარადისობა, ანუ უსასრულო სივრცული შორეთი) იმდენად აღმატებული ძალის სიმბოლოა, რომ თეთრსა და წითელს (აქ მზესა და მთვარეს) ერთად სჯაბნის.

სიმბოლოებში სხვა ფუნქციათა შორის იკვეთება დამცავი დანიშნულებაც. გავიხსენოთ ჩვეულებანი, როცა წესის აღმსრულებელი, შემლოცველი, მესმინანე თუ სხვა, ავსულთაგან დასაცავად, წრეს ივლებს ირგვლივ. დამცავი სიმბოლო უშუალოდ დამცავი იარაღის აუცილებელი ატრიბუტი უნდა იყოს. ასეც არის - ხევსურული ფარის დამცავი სიმბოლოა კონსტრუქციულ ელემენტად ქცეული „ბუმბათის ხატი".

ამავე დროს საგნებზე ამა თუ იმ სიმბოლოს ხშირი გამეორება გვაფიქრებინებს, რომ ეს არა ოდენ ოსტატის გემოვნების ნაყოფია, არამედ ნივთის მომზმარებელთა შორის გაბატონებული იდეოლოგიური სტანდარტის სავალდებულო ასახვა. დასტურად გამოდგება გასული საუკუნეც, როცა ბელადიან სახელმწიფოებში ან ხუთქიმიანი ვარსკვლავი უნდა მიხატულიყო ყველაფერზე, ან - სვასტიკა.

უძველეს დეკორში ასევე ყურადღებას იქცევს ადამიანის შეუპოვარი მცდელობა გამოსახულების გამიძრავებისა. გავიხსენოთ ცნობილი გამოქვაბულის ნახატი, მსრბოლავი ირმის გამოსახულებით. მოძრაობის გადმოსაცემად მას ნახტომის სხვადასხვა მდგომარეობის ამსახველი ფეხები ერთადა აქვს მიხატული. არსებობს ნახატი, რომელშიაც გასროლილი ისრის მიერ განვლილი გზა წყვეტილი მრუდითაა გამოხატული. ეფექტურ მიგნებას წარმოადგენს აგრეთვე სცენები, გამოსახული წრიული ფორმის ნივთებზე (მაგ. თიხის ან ლითონის ჭურჭელზე). მათ დასათვალიერებლად გვიწევს ნივთის ბრუნება, რაც მოძრაობის იმიტირებაა. ნახატი ამ ხანაში ძირითადად სარიტუალო დანიშნულებისა იყო და ამიტომ დევნის პროცესის ასახვა უფრო



მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული, ვიდრე ნადირობის ფინალისა.

ჩვენებური ბორკილალაც ხომ „ცარგალზე" მგორავი მზის ასახვაა. ეს სპილენძის გულსაკიდი 35 საუკუნისაა. ეს სახე ერთ-ერთი უხნესია ქართულ ორნამენტში და შესაძლოა მისი ასეთი დღეგრძელობის მიზეზში, გარდა აღწერილისა, მისი სხვა თვისებაც იყოს კოდირებული. ყოველ შემთხვევაში წინაპარი მოძრაობას ცალსახად უკავშირებს სიცოცხლეს, ხოლო მზის დადგომა სიკვდილთან არის გაიგივებული („ზოგის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, დგებოდა"). ჰიპოდინამიის საუკუნეში ალბათ შეუძლებელია სრულად ჩაწვდე, თუ რას ნიშნავდა წინაპრისთვის მოძრავი, ჯანსაღი სხეული.

ფერი და შეფერილობა

იისფერი – ჟალი, იასამნისფერი, სოსანი (მოწითალო იისფერი), ყვიფილი (მოლურჯო);
ლურჯი – ლედნა, ლუში, სიავი, ლილისფერი, მავი (ბაცი), ლაინი (მუქი), მერცხლისკუდისფერი, ლიგვირი, ცისფერი, მტრედისფერი, ფირუზი, ლაჟვარდი, გრემანი (ზღვისფერი), ამიგოგი, საფირონი, ბაყამი (ხუნი), ბიშინი (მოლურჯო ლეგა);
მწვანე – ბალაბისფერი, წენგოსფერი, ზუმუხტოვანი, მოლისფერი, ჭაობისფერი, ჟანგარო (სპილენძის ჟანგისა), აფეი;
ყავისფერი – მიხაკისფერი, მრეში, გრემა, მურა, ინგუშა, ბურაული (შავწოთელი), წაბლონი, ვეფანა, რახსი, ზანგელა, თაფლისფერი, ჯოლლაო, ბერწელი, მოსისო, ჟანგი, ხაკისფერი, ხორბლისფერი;
ყვითელი – ჩალისფერი, ქარცი, ქარვისფერი, ზერდაგი, ოქროსფერი, ბობრი, ქერა, ბუსლა, გოყო, კოვსაკი (ხუნი), სარი (ლაზ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარინჯისფერი – მარჯნისფერი, ჟრალი, ჟღალი, დურცხი (მეტად მწითური), ჟაღი, კაპარაში (ყვითელმოწითალო);

წითელი – ჯუარა, ჭურანა, ალათი (ალისფერი), შვინდისფერი, სარია, მურაშა, ალერმეზი, ღაჟღაჟა, მწიფური, წიქარა, ცეცხლისფერი, ჯიგრისფერი, სირიკა (ალისფერი), მეწამული, ჭარხლისფერი, ჭიაფერი, ჭითა (მეგრ.), ყინჟღალა, ყინჟღი, ბრაწი, ძოწი, მარწყვისფერი, ლალისფერი, ვარდისფერი, ჟოლოსფერი, ღვინისფერი, ბისონი (ნაკვერცხლისფერი), არღავანი (მუქი წითელი);

ნაცრისფერი – რუხი, ლეგა, ყომრალი, სისვი, ჟრუნი (მონაცრისფერო ჭრელი), თალხი, ნისლა, ჭარმაგი, გოში, ლეგონი, ლემანი, ლიბერი (მკრთალი), ქისონი (თაგვისფერი), ფერონი, კვამლისფერი;

შავი – შავრა, კუნაპეტი, კუმეტი, ყურჭი, გიშერა, სათი, კუკუნახი, გიგლა, გურგუზანი, გეგენაზი, ლუსკუმი, შუშხი, ბენცი, ბერბეცი, კერატანა, უნა, ყურყუმი, ტილა, წკვარამი;

თეთრი – ბიბა, სპეტაკი, სპეტი, ქარქარა, ფყიე, თინთიკი, რჩილა, ცია.

აკიკი – წითელი ძვირფასი ქვა
ალისარწული – ძოწისფრად მღები ბალახი
ანაბზნინი – ანარეკლი შუქი
ანგელოზისფერი -
არილი – მზის ანაბზნინი
არჯასპი - შავად მღები
ბეზეკი – ელვარე
ბობოწვერა – ფიჭვის ხავსი, ყვითლად მღები. ყვითლადვე ღებავს ვაშლის ქერქი ან ქერქგაცლილი თრიმლი
ბრკიალი – ელვარება, ბზინვა
ბრწყინვალე – თეთრსაჩინო
ბრჭყვინვა – მცირედ ელვარება
ბუღლუნდი – წითლად მღები ჭია
გადოილი – ჭრელჭყეტელა
გრემანი - მქრქალი
გუნდა – საღებავი მუხის კაკრა
დადედვა – შეღებილის განმტკიცება
დავე ლაქანა – მწვანედ მღები (სვან.)
დეკა – წენგოსფერიდან ყვითლამდე მღები
დიმი – წითელი სახატავი
ეკი - წითელი საღებავი თიხა
ენდრო – წითლად მღები მცენარე
ვარაგი – ქანდა
ვასვასი – ელვარება, გელა
ზაბაკი – სადაფოვანი
ზუმბური – ლაქი
თავშავა – ძაღასთან ერთად შავად ღებავს
თითოფერი – ნაირ-ნაირი
თინათინი – ათინათი, მზის ანარეკლი
თრიმლი – ლაფნისა და კაკლის ქერქთან ერთად და ძაღათი შავად ღებავს, უძაღოდ – წენგოსფრად. დიდოური თრიმლით კაპრაშად იღებებოდა
კაბო - ჭრელი (მეგრ.)
კარაკანი - ნათელი (მეგრ.)
კიანთი – ძლიერი ნათება
კინაწილა – საღებავი შავი ტალახი
ლაპლაპი - გამდნარი ილეკროს ელვარება, გელობა
ლები – მიწალები, შავად მღები
ლიბრი – ჩალურჯებული
ლილა – ლურჯი საღებავი
ლოთერი – ხის ქერქის საღებავი
მანანა – წითელი საღებავი
მარღი – თვალთეთრი, მაჩხი, აღრიელი
მიწანელა – საღებავი მიწა
მორთა - ფერის ცვლა, გახუნება (მეგრ.)
მური – ქართულად ფარილი
მღებარი – საღებავთმცოდნე
მწკერი – მზით აპრიალებული, ლაპი
ნარინჯი – ყვითლად მღები, თრიმლი
ნახჭი – ამოკვეთილი ნახატი
ოლლუნი – იალლუნი, ჟღალად მღები
ოქრა – ჟანგმიწისაგან ნამზადი საღებავი, მოყვითალო, მომწვანო, მოწითალო
ფივშავი – საშუალოდ აღრიელი
ფიკეკი – ბრწყინვა
საია – სადა, ქარაი, უსახო
სვილა – ღია, მკრთალი, ბაცი
სინგური – წითლად საწერ-საღებავი
ტიტიბი – ბროწეულის ქერქი (წენგოთი დადედვილს წაბლისფრად ღებავს, შაბით დადედვილს - შავად)
ქუში – მუქი, დაბინდული, ქუფრი

ყარტალა – უამურად ჭრელი
შეგალება – ფერის გაღიავება
ჩაღი – ნათელი, ჩხუ (ლაზ.)
ჩიჩხი – ღია ჭრელი
ციატი – ცრიაგი, მჭრქალი, არქატი
ძაღა – ფერის გასამაგრებელი
წართხალი – ლილაგავლებულს მწვანედ ღებავს, ასევე ღებავს მყრალა ბალახი, ვერხვისა და არყის ფოთოლი
წერი – შავი საღებავი
ჭარგა – მრავალფეროვანი
ჭერთხელა – ყვითლად მღები მცენარე
ჭვირი – გამჭოლი სხივი
ჭიაფერა – წითლად მღები მცენარე
ჭიავილი – მკვეთრი ფერის განცდა
ჭიჭრიკონა – ხიდოშა, შეუხამებელი
ჭყეტელა – ბრეთელა, მკვეთრი
ხაუო – ჭრელი, ტარტულია (მეგრ.)
ხაქოლი – წართხალი, ყვითლად მღები ხუნი - ფერდაკარგული
ჯანგარო – სიპის თეთრნარევი ხავსი,

ღებვა: გადმოღებულია გიორგი ბოჭორიძის წიგნიდან „თუშეთი“: - „აგებულ ქვაბში“ ან „სამავეშო“ ან „საკიდში“ ჩაასხამენ წყალს და ჩაყრიან მასალას იმისდა მიხედვით, რომელი ფერიც უნდათ. როცა წამოდუღდება, მაშინ შიგ ჩასდებენ მატყლს ან ბაწარს და მასთან ერთად ხარშავენ. დუღილისას ათასში ერთხელ შეშით ურევენ რომ ძირზე არ მიიწვას და როცა ნახავენ, რომ შეიღება, ამოიღებენ და ლასტზე დასდებენ, რომ დაიწურონს; ზევიდან თბილ ნაბადს (ან სხვა რამე) გადაფარებენ, რომ დაიორთქლოს და ფერი კარგად გაუჯდეს და ნაღებს ჩაკვდეს.“

ხმა და ჰანგი

„რა ესმოდათ მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“
შოთა რუსთაველი

„მრავალხმანობა ქართულ მუსიკას წარმართობის ხანაშივე უნდა ჰქონოდა და იმ დროითგანვე უნდა ჰქონდეს საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული“ - აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი. ქართული ხმნისა არ იყოს, დასავლეთ საქართველოში ოთხხმიანი შრომის სიმღერებიც კია დადასტურებული.

მკვლევართა აზრით საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ჰანგი ჩვენი წინაპრების ყოფასთან დაკავშირებული რიტუალებიდან იღებს სათავეს. მაგალითად „იავნანას“ ძირი ნაყოფიერების ღვთაება ნანასთან არის დაკავშირებული, ხოლო ეს ღვთაება, არქეოლოგიური მონაცემებით, ნეოლით-ენეოლითის ხანაშია ჩასახული, ანუ დაახლოებით 12 ათასი წლის წინ.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და ფოლკლორისტი დიმიტრი არაყიშვილი კი ერთ ასეთ მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას: „ საკვირველი არ არის განა ის გარემოება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვხვედრია ისეთი სიმღერა, რომლის თემა საშობლოს უბედურება იყოს, მისი თავგადასავალი? ეს მაშინ, როცა საქართველოს ისტორია არის ერის ტანჯვის ისტორია... ესოდენ მდიდარ ქართულ ფოლკლორში არ არსებობს საერო სიმღერა, დამარცხებულის ტკივილსა და ტანჯვას რომ ასახავდეს.“

გარდა სულიერი სიმხნევისა, ეს ალბათ იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენს წინაპარს გულის მოსაოხებლად სხვა წესი ჰქონდა დათქმული.

როგორც ცნობილია, ნადური სიმღერები ორგანულ კავშირშია მიმდინარე ფიზიკურ მოქმედებასთან და მნიშვნელოვნად ზრდის მუშაობის ნაყოფიერებასა და მუშაკის მხნეობას. ამ შედეგს, გარდა ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა, განაპირობებს ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის სიხშირის გათვლილი მონაცვლეობა და ალბათ სხვა ფაქტორებიც, რომელთა ანალიზიც საგანგებო ცოდნას მოითხოვს. ამ მხრივ ჯერ კიდევ შესასწავლია ქართული საბრძოლო ჰანგები და რიტმები. მაგალითად ხორუმის რიტმი კმარა, რომლის გრძნეული ზემოქმედების ძალაც ყოველ ჩვენთაგანს საკუთარ თავზე გამოუცდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სიმღერა გურიაში ღმერთის მოსამადლიერებელ რიტუალად ითვლება და გაწყვეტინებას ჩხუბი მოსდევს.

ზოგიერთი ჩვენებური საბრძოლო ვარჯიში შესაბამის გამმულ ან მოკლე შესახილებთან ერთად სრულდება და ამ ბგერით თანხლებას უდავოდ თავისი საგანგებო დანიშნულება უნდა ჰქონდეს. მაგალითად, ცნობილია, რომ სხვადასხვა ბგერითი მოდულაცია იწვევს სასის ამა თუ იმ ხარისხის ვიბრაციას, რაც ადაგზნებს ჰიპოფიზს, რაც, თავის მხრივ, ხსნის დამატებით ფიზიკურ რესურსს და ა.შ.

ადრაზაგი – ზავთი, ბაქი
ავაჯი – მაღალი, სხვადასხვარიგი ხმიანობა
აზრაზეგა – ხმის ამოღება
ალალეო - მისამღერი (სვან.)
ამყოლი – ბანის მთქმელი დალაიში
ასაყარი – ლაშქრის ასაწყლელი ჰანგი
აურზაური – ოდიგარი
ალება – საწყისი ჰანგი
აშტი – სიმშვიდე
ახა – ცუდი ხმა
ახაია – ჰანგის სახე, სამუსიკო ნიშანთაგანი
ბაგაბუგი – რბილზე ცემის ხმა
ბამბი – ბამი, ალყის ბოხი ხმა
ბანი – ხმის შეწყობა
ბგერება – სიარულის ხმა
ბილა – სასიმღერო ხმის აცდენა
ბოხი – მსხვილი ხმა, დუმბო
ბრდვინვა – მოშლილ საკრავთა ხმიანობა
ბუბენი – ყურთ გამოხმიანობა
ბუვილი – ფუტკართა ხმა
ბუხუნი – რისხვის ხმა
ბღავილი – ცხვართა ხმიანობა
ბღუილი – ხართა ხმიანობა
გაგანგალება – წვრილად გაგრძელება
გადასაშობი – მუხლი სიმღერაში, რის მერეც მელოდია იცვლება
გამკივანი – მაღალი ხმა ოთხხმიან ნადურში
გვერდნი – რვახმიანის მეორე ოთხეული
გვრინი – სიმღერის სახეა
გრგვინვა – მიწისძვრისა და მისთანათა საზარელი ხმა
გრიალი – წისქვილის ხმა
გრუტუნი – მტრეფის ხმიანობა
გუგუნი – ცეცხლის ხმა
გურგური –
დაბალ-მაღალი ბანები – სასიმღერო ხმები
დალაი – თუშური საწესო სიმღერა (ზარი)
დგერა – ფეხის ხმა
დგრიალი – მრავალთ ფეხის ხმა
დვრინი – მეორე, დაბალი ბანი
დიდი წილთქმა – სასიმღერო გასაღები
დუმბი, დუმბო – სიმღერების ხმებია
ზათქი – ერთგვარი დიდი ხმა
ზახილი – მაღალი ხმიანობა
ზილი – შუა ხმა სამხმიან სიმღერაში
ზირზილი – აურზაური
ზმუილი - ხართა დაბალი ხმიანობა
ზორმა – აყალ-მაყალი
ზრიალი – საზარელი მრავალხმიანობა
ზრინვა – ჯვართ დათქრიალება
ზრუნი – გოდების ბანი
ზუზუნი – ჩუმი გოდება
ზუილი – ნასროლის ხმა
თვითხმოვანი – ჭრელის კილოთაგანი
თქმელი – სასიმღერო ხმა (გურ.)
თქრიალი – ჯოგის სრბოლის ხმა
ისამანი – ძველი ღიღინი (გურ.)
კაპაკუპი – კბილთცემინების ხმა
კილო – ხმის მიმოქცევის მუხლი
კიკკიპი – ქორთ ხმიანობა
კიჟინა – მაღალი ხმა სილაღისა
კრიმანჭული – კირკანტელი, მანჭული კრინი, I ხმა გურულ სიმღერაში
კრინი – სასიმღერო ხმა
ლაშქრული – სალაშქრო სიმღერა
მაჟოლი – მეორე ხმა (სვან.)
მთიბლური – სიმღერის სახეა
მთქმელი - დამწყები, II ხმა
მიმყოლი – დამწყების შემდეგ შემსვლელი ხმა
მოდალაკე – მთქმელი დალაიში
მომმახილებელი – მოძახილის მთქმელი
მომმახხელი – კრიმანჭულს და ბანს შუა
მოძახილი – მეორე ხმა სიმღერაში
მღნავი – დაბალი ხმა
ნოინი – სასიმღერო გასაღები
ოდია – ჭრელის კილოთაგანი
ოინი – ჭრელის კილოთაგანი
ოლოლო – ნიშნისგების შეძახილი
პარი – პირველ ხმასავით ითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟრიალი — ეფვანთა ხმა, ყლრიალი
როყიი — მაღალი, უშნო ხმა
რუზრუზი — ხმაური სახეა
საბრუნავი — ჭრელის კილოთაგანი
სადგი — ჭრელ-სადგი, სამუსიკო სახეა
სამწყობრო — მუსიკათა გაწყობა
სისონდი - ჩამიჩუნი (მეგრ.)
სიცილი:
- სიცილი — მცირეხმიანი;
- ღიმილი — უხმო, მშვიდი;
- კაშკაში — მაღალი, მოხდომილი;
- კასკასი — მაღალი, წვრილი;
- რახრახი — მაღალი, უშვერი;
- თქართქარი — მრავალთაგან შეხმობილი;
- ღინცილი — მიწყივ უწესო;
- ფრუსტუნი — მალიად ჩაცინება
სნეკვა — კვნესა
სტვენა — ბაგით წივილი
სუსხუნი — გატყორცნის ხმა
ტაში — ნებთა ცემის ხმა, ტკაცნი
ტყაპნი — რბილად დაცემის ხმა
უსული — ხმის დიდად დაწევა
ფშტვირი — სიმღერის ხმა ერთგვარი
ფხაკანი — ხმის სახეა
ღაღადება:
- კივილი — მაღალი, უკაფიო ხმა;
- ყივილი — სიტყვიანი კივილი;
- ყაყანი — ერთუსმინართა ლაპარაკი;
- კიჟინა — ომთა შიგან ღაღადი;
- ზრინვა — სასიხარულო ხმაყოფა;
- ღუღუნი — წარზიდული ამო ხმა;
- ზრიალი — შეწუხებულთა ღაღადი;
- ყლავილი — შეშინებულთა ღაღადი;
- ყვირილი — უგვანი ღაღადი;
- ჰაი-ჰაი! — გაკვირვების შეძახილი;
ღუღუნი — სიმღერის სახეცაა
შემხმობარი — მაღალი ბანი ოთხხმიან
გურულ სიმღერაში
შეყრილი — სასიმღერო გასაღები
შუშუნი — გატყორცნის ხმა
შხუილი — სახრის დაქნევის ხმა
შხივილი — მხუვრალის წყალში
ჩაგდების ხმა
ჩამორომეცა — ფერხულის სიმღერის
შესრულება გუნდთა მონაცვლეობით
ჩურჩნა — მცირე ჩურჩული
ჩქამი — მცირე ხმაური
ჩქეფა — თხიერის სხმის ხმა
ძაბრალი - მისამღერი (მეგრ.)
ძახილი — ხმამაღალი მოხმობა
ძგრიალი — მაგართ შეხლის ხმა
წილთქმა — სასიმღერო გასაღები
წკაპნი — წვეთის ხმა
წკარნი — იღეკროთა წკრიალი
წკლაპუნი — პირის ტკბარუნების ხმა
ჭექა — აბჯართა ცემის ხმა
ჭრელები — სამუსიკო ნიშნები
ჭრიალი — კართა და ურემთა ხმიანობა
ჭრიხინი — შეშინებულ შაშვთა და
მისთანათა ხმიანობა
ჭრხიალი — ხოხბის ხმიანობა
ჭყავილი — ტურათა ხმიანობა
ხავილი — მელათა ხმიანობა
ხაფი — ბოხი, საშინელი ხმა
ხმანი — რვახმიანის პირველი ოთხეული
ხმის გამომრთმეელი — მთქმელის
შემნაცვლებელი ხმა
ხნამა-ხნუნი — ომში ხვნეშა
ხრიალი — ჩამოცვივნის ხმა
ხრიხინი — ბოხი ხმით ლაპარაკი
ხუზუნი — გატყორცნის ხმა
ჯაბა-ჯუნი —
ჯლაყუნი — ცხენის ლაჯის ხმა
ჯლარა — ყლრიალი
ჰანგი — საქცევი, კილო

საკრავნი

„„იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბოკთა ტკრციალი“
შოთა რუსთაველი

სამთავროს ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი უძველესი სასულე საკრავი — სალამური ძვ.წ. XV-XIV საუკუნით არის დათარიღებული. მასზე ბევრად უფრო ძველია ძალიანი (სიმიანი) საკრავები, რომლებიც ყაზბეგსა და უფლისციხეშია მიკვლეული და ძვ. წ. IV-III

ათასწლეულებით თარიღდება. ეს არფისებური საკრავები, ისევე როგორც სვანური ჩანგი, შუმერული არფის ნათესავად მიიჩნევა. საინტერესოა, რომ შუმერულ არფას თავდაპირველად ერქვა „ბან“ (მშვილდი), რაც ლარის დასხლეტის ხმას უნდა ანასავდეს და ძველი ქართული საკრავის - „ებანის“ დასახელებაც, მეცნიერთა ვარაუდით, აქედანვე უნდა მოდიოდეს. საბრძოლო ხელოვნების თვალსაზრისით სულხან-საბას ლექსიკონში ჩამოთვლილ საკრავთა შორის სწორად „ებანის“ განმარტება იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, ოღონდ აქ იგი დასარტყამი საკრავის სინონიმად არის მიჩნეული – „დაფი, ტინბანი, საკრავი განმარისხებელი გულთა კაცთა“. თუ გავიხსენებთ, რომ საკრავი ტიმპანი ჯერ კიდევ „არგონავტიკაში“ მოიხსენიება, ცხადი ხდება რა ხნის ისტორია აქვს ჩვენში საკრავით გულთა გარისხებას. ამგვარი მუსიკალური „დოპინგის“ არსებობა თავისთავად მრავლისმეტყველია. ასეთსავე ემოციას იწვევს საჭიდაოს უეშმაკო მელოდია, ხოლო „ხორუმი“ ამ მხრივ ალბათ მწვერვალია და არა მარტო ჩვენი ხელოვნებისა. მშვენივრად გადმოცემს ამ შეგრძნებას სტრიქონები ლადო ასათიანის „სალაღობოდან“: დაუკართ, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, გაისარჯოს და ბრძოლებში გაიხარჯოს“...

ქვოსელი
მესალამური
2800-2200 ჩ.ა.უ.



სტრაბონს მოხსენიებული აქვს თრაკიელთა მიერ ხმარებული არბერნული (სავარაუდოდ ფრიგიული) საკრავი „ნაბლასი“ (შეადარე საბას ლექსიკონში: – ნავალა – ქნარივით) და „სამბიკა“ (შეადარე საბას ლექსიკონში: – სამბიკი – მცირე ნაღარა). სტრაბონისვე ვარაუდით მთელი თრაკიული მუსიკა წინააზიურია.

მეჩანგის ეს თიხის ფიგურა უფლისცხენშია ნაპოვნი და ძვ. წ. VII-VI საუკუნეებს განეკუთვნება. მომდევნო, კომპოზიციურად მისი მსგავსი მეჩანგის ფიგურა კი ათენის მუზეუმშია დაცული და ძვ. წ. V ათასწლეულს განეკუთვნება.

ათმალი - სიმებიანი საკრავი
ალყა – სიმი, ძალი, ლარი, ჯალი, ჯა
ასოსრა – ვერცხლის წყრთეული საყვირი
ბარბითი – სიმებიანი საკრავი
ბობღნი – დაფდაფისნაირი
ბუკი – დიდი საყვირი
ბუშტი – ჩონგურის მუცელი
გადატანილი – მეჭიფაში (მეგრ.),
  სოინარის/ლარჭემის მეოთხე ლულა
გალი – ჯორაკის ჭკდე,
გამაჭყაფური – ლარჭემის მესამე მილი
გურაგი – დოლივით
დალაბანდი – დარაბანდი, დამბურა
დამწყები – გუდასტვირის დედანი, ჩომგურის
  სიმი, ლარჭემის/სოინარის მეზუთე ლულა
დაული – დაცლი, დავილი, დოლივით
დაფი: – ცალ მხარეს ტყავიანი - დაირა,
- ორ მხარეს - დაფდაფი
დედნები – გუდასტვირის ორი სტვირი
დრაში – ტაბლაკის საცემელი
დუდგული – სასტვირე ხე
დუმბული – მცირე ნაღარა, სამბიკი
ებანი – დაფი, ტინბანი, საკრავი
  განმარისხებელი გულთა კაცთა
ეყვანი – საჟღერი
ვაბი – საკრავის სახეა
ზაბილური – დაფდაფისმაგვარი საკრავია
ზანზალაკი – მცირე ზარი, კუდუნი
ზარაზინი – დიდი ეყვანი
ზარი – რვალის დიდ სარეკელი
ზიკიპინტი – ზიკიპინტრე, მცირე ჯორა
ზილი – მსხირპანე ძალი
ზროხაკუდი – მომცრო საყვირი, ნაფირი
ზურნა – ქართულად სტვირი
თაბური – საკრავის სახეა
თეზენა – „----------“
თეკარა – ჩაღანა, ჩონგურის დასაკრავი
  ბლის ქერქი
კითარი – ათმალი, ჭიანურივით
კინკირა – წინწილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორა – სიმიანი საკრავის ნაწილი, კოპიჭი, საკუდარი
ლარჭემი - სოინარის მაგვარი
ლინი – რვალის საჩხარუნებელი
მაღიკი – სოლი ფანდურის ყელში
მებანე – დიდი ბანი, ლარჭემის პირველი ლულის სახელია
მეექვსე ხმა – კრიმანჭული, ლარჭემის მეექვსე ლულა
მომმახილებელი – ჩონგურის მეორე სიმი
მძნობარი – მომღერალი საკრავით
ნავალა – ქნარივით
ნართი – ძალნი საკრავთა
ნაფირი - სიმებიანი საკრავი
ნაღარა – სამპიკი
ნესტვი – ხის, ძვლის ან რქის ჩასაბერი საკრავი: აჭარაპანი, ნა, პილილი (ლაზ.), სტვირი, ჭიმონი, ავილი, გუდასტვირი, ტურულა, სალამური, ზურნაიკი, შუშულა, საზანდარი, ტუტულაკი, თულუმი
ნოაგი – სამწყობრო საკრავია
ნობა – დაფი ლითონისა
ოკე - საყვირი (მეგრ.)
პირხვეული – ჩონგურის სათლელი
ფირი – ძალი მსხირპანესა და ბოხს შუა
საგულე – სიმებიანი საკრავის გულის ფიცრის ნახვრეტები
საკრავი – ყოველი სამწყობრო ძალთა და ნესტვთაგანი
სამუსი – სიმებიანი საკრავი
სანაური – სიმებიანი საკრავი
საზი – სიმებიანი საკრავი
საორძალე -
საპიტინა – სასტვენი
სასტვინელი – უენო ჩასაბერი საკრავი
საყვირი: ბუკი, ქანარა, იობელისნი, ყვიროსტვირი, ზრორხაკუდი და სხვანი
საჩხირე - სიმის თავის დამჭერის ბუდე
სოინარი – სტვირნი შეწყობით შეწყებებულნი
სპერიმური – სპილენძჭური, სპერჭური, ნაღარასავით, ქოსი
ტაბლაკი – მცირე ნაღარა
ტაბლი – საქორე ნაღარა
ტიკზარი – გუდასტვირივით
ფანდური - სიმებიანი საკრავი, ფანტური
ფერდი – ჩონგურის მეოთხე სიმი
ქამანი – ჭიანურის ხემი, ქამანჩა
ქანარა – სამზედროთა საკრავია
ქარა – დოლის ხის რკალი
ქარახსი – ჭიბონის რეზონატორი
ქოსნაღარა -
ღოროტოტო – საყვირისმაგვარია
ყელი – სიმიანი საკრავის ნაწილი (კოდიდან თავამდე), ჩასაბერის ნაწილი (ტუჩიდან ხვრელამდე)
შვილდაკი – ძუაგაყრილი ხემი
ჩალიკი – ნაღარის საცემი ჯოხი
ჩანა – კოდი, სიმიანი საკრავის მუცელი
ჩანგი - ალყიანი საკრავი, ქნარი
ჩასტა – ექვსსიმიანი საკრავი
ჩაღანა – სამსიმიანი საკრავი
ჩახანა – სპილენძის საჩხაკუნო
ჩაჩრუნა -
ჩონგური - სიმებიანი საკრავი
ჩუგური – ოთხსიმიანი საკრავი
ცანგალა - სიმებიანი საკრავი
ძნობა - დაკვრა
წინწილი – სპილენძის საცემი საკრავი
ჭიბონი – გუდასტვირი, თულუმი
ჭიანური – ხემიანი საკრავი
ჭუნირი -
ხუთძალი -
ჯორა – სიმთა ქვესადგამი, ჭალი

ეტლი და საჯიდარი

ეს საოცრად სრულყოფილი ეტლი და სათამაშო ურემი დაახლოებით 5 ათასი წლისანი არიან. როგორც ხედავთ, მათ უკვე იმ დროისათვის მიუღწევიათ პრაქტიკულად დასრულებული ფორმისთვის, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ამ მიწაზე უხსოვარ დროში მოიშინაურეს საჭაპანო პირუტყვი. არგონავტიკაში აღწერილი სპილენძისჩლიქიანი ხარებიც უდავოდ იმის მიმანიშნებელია, რომ კოლხებს სელექციის განსაკუთრებული ცოდნა და კულტურა გაჩნდათ.

ცხენოსნობისადმი მიძღვნილ თავში უკვე მოგითხრეთ წარმოშობით მატიენი კიკულის შესახებ, რომელსაც ეკუთვნის უძველესი (3400 წლის) სახელმძღვანელო ცხენის ეტლში შესაბმელად გაწვრთნისა. ცხენი ეტლს ერთ თვის განმავლობაში იწვრთნებოდა, რაც ნიშნავს, რომ საბრძოლო ეტლს საკმაოდ რთული ამოცანები ეკისრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდოდ ჩვენს წინაპრებს მიეწერება შექმნა საბრძოლო ეტლისა, რომელიც გადატრიალება იყო საბრძოლო ხელოვნებაში. ეტლის ეს ბრინჯაოს მოდელი კოლხეთშია ნაპოვნი და სამ ათას წელს მოითვლის.

აპეური – სამალდი, ტაბიკის თოკი
არაბა - ურმის სახეა (მეგრ.)
არიში – ურმის გვერდები
აჩაჩ – ურმის სახეა
ბარის ურემი - მაღალი ურემი
ბეწვა – ჭინჭილაკი, ჭანჭალაქი, ღერძის ჩასაყარი
ბოლოთრია – ურმის სახეა, გოგრაჭა
გა - ურმის ორი დიდი ძელი
გარეწანა – მარხილის ნაწილი
გაშდუდი - ურმის დიდოს თავი
გელმა – ციგა
გოგორა – მცირე ბორბალი
დოთა – მარხილის ნაწილია
ეტლი – ცხენის შესაბმელი
ზესადგარი – ურემი თვლების გარეშე
ზეწრები –
თავკავი – მარხილის სახეა
თათები –
თვალი – ბორბალი
თვალის რკინა –
თურში – თუში, მარხილის სახეა
კამპო – ურმის წინა ნაწილია
კანდაულა – ურმის კვერნა
კაპეხი – ურმის ნაწილია
კონკელა –
კოპე – სპოხის კვახის ჭურჭელი,
კორაქი – კორაკი, ტაბიკშუა წნელი
კოტა – უდლის რიკი
კოფო – დანდალი, გარა, დასაკდომი
ლართხი – ურმის ძირზე დასაგები, ლასტი
ლაფათინი – იატაკის საყრდენი განივი ქილიშები, ფალმანდი, უწყვეტი
ლეკვი – დუმა, თვლის ხელნასთან არმიმშვები
ლეკმარხილი – მცირე მარხილი
ლეკჩი, – მარხილის გრძივი თოკი (სვან.)
ლუტფი – მარხილის განივი თოკი (სვან.)
მაზიდა – ურმის სახეა
მანა – მომცრო მარგილი
მანჯიკი – მომცრო მარხილი
მარტუღელი – ერთი ხარის შესაბმელი
მარხილი – უგოგო ურემი, საუ (სვან.)
მარხილე – დაბალი, ანუ ფარდის ურემი
მორგვის ზალტა –
ნალო – ეტლივით მარხილი
ოლოლა – პატარა ურემი
ორბა – ურმის თვლის კუნძი
პეშვა – აჩაჩა ურმის ღერძის ამოსადები
საბარო – მცირე ურემი
საგორავი – მუხრუჭივით
სავი – მარხილის სახეა
საკირცხავი - მარხილის ნაწილია
სალმანა – ურმის ხელნა
სალტე – თვლის ლითონის რკალი
სამცობა – ურმის ნაწილია
სარეკავი –
სართაულა – მარხილის სახეა
სარმანა – ურმის ჭალი
საცურავი – მარხილის, ციგის ნაწილი
საყევარი – მარხილის ხელნა
საყევრის უღელი –
საწაფი – უღლის დასამძიმებელი
სელი – ორთვლიანი მარხილი
სოლი –
სფორა - მარხილის ნაწილია
ტაბიკი – უღლის ნაწილი (შუა, ნაპირა)
ტყლაპა – ხელნის საცვეთი
ურემი – ხარების შესაბმელი ორთვალა
ურიკა – ცალული მომცრო ორთვალა
უღელი – ქედზე დასადები
ფამფალაკი – მცირე ბორბლის ღერძი
ფერსო – ურმის თვლის გარეშემო
ფინა – ურმის ნაწილია
ფორანი – ოთხთვალა
ფრჩხილა – ურმის სახეა
ღირღიტა – მცირე ბორბალი
ღო – მარხილის ფეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუ – მარხილის ჩელტი (სვან.)
ჩოჩიალა – ურმის სახეა
ცალუღი – ერთი ცხენის შესაბმელი
ციგა – პატარა მარხილი, დომბურა
ძარა – მოწნული სათავსი ურემზე
ძიგლიგა – პატარა ურემი
ჭაპანი – სქელი ღვედი
ხელნა – ფორანის დამაკავშირებელი უღელთან, ბიჭაკი (მეგრ.)
ხელნის თავი –ხელნის ზალტა –
ხიზეკი – მარხილის სახეა
ხინდიკა – ჯაჯგუნა ურემი
ხორკიკა – ურმის სახეა
ხოხა – ურმის სახეა
ჯაგვი – ფორანივით
ჯალავარი – ქვის საზიდი ლასტი
ჯინი – გოდორ-მარხილი

ნაგებობანი

„ვინა თქვა თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი.“
სიმონ ჩიქოვანი

თიხით ნაგები ეს ნამოსახლარი ძ.წ. VI-V ათასწლეულით თარიღდება. საცხოვრებელთა მჭიდრო განლაგება თავდასაცავად უფრო საიმედოა.

ბერიკლდეებში ნაპოვნი ამ ტაძრის ასაკი კი დაახლოებით ექვსი ათასი წელია. მას გარს ერტყა 2 მ. სიგანისა და 4 მ. სიმაღლის გალავანი, რომელსაც გარე ღრმა თხრილი გასდევდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს ერთ-ერთ უძველეს ციხე-სიმაგრესთან.

ხართავა სვეტისთავი ციხისგორიდან ძ.წ. III ათასწლეულს მიეკუთვნება. დაახლოებით ორი ათასწლეულის შემდგომ (510 წ.ძ.წ.) იგივე ელემენტით დარიუსის სასახლეა შემკული, რაც წინამორბედი დიდი ცივილიზაციის გავლენით უნდა აიხსნას. სვეტისთავს ჩვენში დღესაც ბუღაურს ეძახიან.

სვეტისთავი ციხისგორიდან (ძ.წ. III ათასწლეული)

სვეტისთავი დარიუსის სასახლიდან (ძ.წ. VI საუკუნე)

გაუგონარ ჟამთა სიავეს მრავალი ნაგებობა შეეწირა, ხოლო რაც გადურჩა, ამგვის ნიჭიერებით დღესაც აოცებს მნახველს. 1876 წელს, ხალდეზე შეტევისას, რუსის ჯარმა ქვემეხები უშინა 11 სვანურ კოშკს, მაგრამ ვერა დააკლო რა. ერთ მათგანს ძირი გამოუთხარეს, აუფეთქეს და წაალეიეს, მაგრამ არც ის გატყდა. სვანური კოშკი თავისი დროის საინჟინრო და საშხედრო აზროვნების შედეგია არა მარტო როგორც საოცარი სიმტკიცის ნაგებობაა, არამედ როგორც დახვეწილი თავდაცვითი სისტემა. იგი გათვალისწინებულია ხანგრძლივი ალყისთვის, აქვს საგანგებო სათავსოები საკვებისა და წყლის დიდი მარაგებისათვის და ავტონომიური რესურსები საბრძოლო მასალის, კერძოდ - „შავი დენთის“ წარმოებისთვის.

სვანური რიტუალი „ადრეკილაი“ ლამის იმ უხსოვარი დროიდან მოდის, როცა გაზაფხულზე ბუნების გაღვიძების დღესასწაულები ჩაისახა. ამ რიტუალში ნარჩენი თოვლისგან აგებული მურყვამი შერკინების დროს რომელი სოფლის მიმართულებითაც წაიქცეოდა, იმ სოფელს

ნაყოფიერი მოსავალი ექნებოდა. ამდენად, მურყვამი განუზომლად უფრო ძველი ნაგებობა უნდა იყოს, ვიდრე ვარაუდობენ.

საბედნიეროდ ჩვენი ციხე-კოშკები ზედმიწევნით არის შესწავლილი. ლიტერატურაც უამრავი მოგვეპოვება. მათი მოვლა-პატრონობის საქმე კი, სამწუხაროდ, ბევრად უარესად არის. მომავალში, იმედი გვაქვს, ყველა რაიონში შეიქმნება ქართული საბრძოლო ხელოვნების მოყვარულთა კლუბები, რომელთაც თითო ასეთი ნაგებობის მოვლა რომ დაისახონ მიზნად, ციხესაც ეშველება და ამ საქმეში ჩაბმული მოზარდებიც იმოგაითვე სახელოვანი წინაპრის ღირსეულ მემკვიდრედ იგრძნობენ თავს.

არდაბაგი — კანკელი, ფანჯარა, ლანძვი
ბოჭიტა — სათოფური
ბურღო — კოშკის სახეა
ბუდაური — სვეტისთავი
ბჭე — დიდი კარი
გამერი - სახლის თავზე (მეგრ.)
გოდილი — ქვის მაღალი კოშკი
დათვა-ბოყვა — კლიტის სახეა
დარანი — მიწისქვეშა სამალავი
დარბაზი — საცხოვრებლის სახეა
დურო — ქვიტკირის ბინა-კოშკი
ზეთასთვალი — კოშკის მეოთხე, საომარი სართული (ხევს.)
ზღუდე:
- გალავანი — გრძლადნაგები კედელი;
- გისონი — სამი წყრთა სიმაღლისა;
- დრუსო — ქვის კოშკებიანი ზღუდე;
- ყერო — სხვილ ძელთა აღმა დასობით;
- ხირხალი — სხვილი ძელით სიგრძეზე სამ-ოთხ რიგად შემოვლებული;

თავზე — სახურავის გასამართი მთავარი კოჭი, კეზი (ხევს.)
კამარა - თაღი
კოშკი — წვრილი, მაღალი ციხე
ლაკურა — ფანჯარა (სვან.)
ლარტყა — ბრტყელი ლატანი
ლარძაყინი - სახურავის ელემენტი
ლატანი — წვრილი და გრძელი ძელი
ლიბო — სამირკელი
მაჩუბ, მაკიბ — სვანური საცხოვრებლის I და II სართულები
მოსინი — მოსინიკოა ხის კოშკი
მურყვამი — სვანური კოშკი
ნაგი — ანაგები, ნაგებობა
ნივნივი — სართულის გარდანაჭდობი
ოდა — საცხოვრებლის სახეა
ორკე - სარკმელი, ჭუჭრუტანა
ოსხირი — სამირკელი (მეგრ.)
საგდოლი — კარში გასაყარი
საგვერდული — ბანის კიდური კოჭები
საგუშაგო — გუშაგის სადგომი
სათოფე — სათოფური, მცირე სარკმელი სიმაგრეში, დურო
საკიდური — კუთხის ლოდი
სამზერი — სათვალთვალო
სამცხვირ — კოშკის სათოფური (სვან.)
სანგარი — საფარი, ჰატნეზი, ხანდაკი, შდულ (სვან.)
სამალნი — კარის კლიტე-ურდულნი, საკვალთი, საგდოლი, დათვა-ბოყვა, ბარამშია, რაზა;
სიმაგრე — თავდასაცავი ნაგებობა
ფაცხა — საცხოვრებლის სახეა
ფლისკინა — თხრილი სიმაგრის ირგვლივ
ქავი — ციხის გალავანი
ქარაია — კარის მაღლითა კოჭი
ქორა — ზედა სართული
ქორეთის მკერდი — დარბაზის გამყოფი ხის დიდი ძელი
ქორკაპი — სამკუთხა მინაშენი ციხეზე, ბრძოლაში მეციხოვნეთა საფარად
ქონგური — გალავნის დაკბილული თავი
ყავარი — სახურავი მასალა
ყორე — ლიტონი ქვით ნაგები კედელი
შიდაციხე — ქალაქშიგნითა ციხე,
შუათვალი — სართულის სახელი
შუკუში - ერდო
ჩარდახი — ციხის ნაწილი
ჩარხილი — საცხოვრებლის სახეა
ჩუქურთმა — შაბაქა, გრეხილ-ხვეული, მუდახილი, კოზმიდი
ციხე — თავდასაცავი ნაგებობა, ჯიხა (მეგრ.)
ძირისთვალი — სართულის სახელი
წინამო — ფასადი
წერთხლი — კარის ამყოლი

ხულა – საცხოვრებლის სახეა
ჯარგვალი – საცხოვრებლის სახეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათი

აბუქარი - მკვეხარა
ალაჯუნა – დიდნაბიჯა
ანგალი – ხუმარა
აპიკო – კოხტა
არამგამა – ცუღლუტი
არხიმი – მაჩუბარი
არჯალი – გამძლე
ატლა – მოუქნელი
ახმახი – უშნოდ მაღალი
ახოვანი – ბრგე
ბაბამი - მძლავრი
ბაბაყული – დაუნდობელი
ბაბრი – დიდი, ზორბა
ბალანგარი – კაცი მოუსმენარი
ბალახტარა – უხეიროდ მკეთებელი
ბანჯგვლიანი – მატყვიერი, ბანგურა
ბარჯხალი – მარჯვე, ყოჩაღი
ბასკი – გვაჯა, ბურუსკუნა
ბაციკა – პატარა
ბებეტი – ჩერჩეტი, ბუანდე, დუტარი
ბელეზანი – უზარმაზარი
ბილანი – გაუწვრთნელი, უჩვევი
ბირხლა – ვაჟკაცი, ბოღრა, დოდბანი
ბლუკი – დონდღლო, დაბდური
ბოთარი – მოუხეშავი
ბრგე – მხარბეჭიანი
ბუდრუგუნა – მოძრავი, მოუსვენარი
ბუტუსურა – უფხო
გაბმნილი – გამზნილი, დაბრძენებული
გაგამა – ძალიან ღონიერი
გაგვირა – დაბალი, მხარბეჭიანი
გაიბანებული – გამზეცებული
გამაცადი – მოხერხებული
გამეხებული – განძვინებული
გამოჯეკილი – გამობრძმედილი
გამღიავარი – მასხარა
განკარი – მიუკარებელი
გაურჯელი – ზარმაცი, მცონარა, რაბანა
გაქერი – ჯიუტი, გლუჯი, ჯინაგარი
გარისა – გარეული
გვესი – მზაკვარი და დიდად გლისპი
გაჩვეული – გაწაფული
გებენი - ძლიერი, მეწინავე (მეგრ.)

ჯეგირი – ლამქართ საფარი

გერგეზი - გმირი (მეგრ.)
გერგილიანი – შნოიანი
გოროზი – მედიდური, მრისხანე
გულმარიხი – გულადი
დოსმასი – ცრუ
დრახი – თხილვანა, მოუხეშავი
დოღრი – ზორბა, მოსული
ვასვასა – კაცის მაცდუნებელი
ზანდარა – ზორბა
ზორზოხი – ტანად მოდიდო
თოდრაკელი – ურიდად მავნე
თოლმაჯი – თვალმარჯვე
თუში – მარდი
ილაკუზა – უკუდო ამპარტავანი
იმლიკი – მოხერხებული
კაკაროტი – ხმელი, ძარღვიანი, ხეხელა, კამპარა, კერკეში
კაკანდეკი – ვეება
კაფანდარა – თხელი, ტანწვრილი
კაცი – ცხოელი სიტყვიერი და ადამრთებით მავალი:
- ჩვილი – 5 წლამდე;
- უსუარი – 10 წლამდე;
- ნინველი – 15 წლამდე;
- ყრმა – 20 წლამდე;
- ჭაბუკი – 30 წლამდე;
- სრული კაცი – 50 წლამდე;
- მოხუცი – 50-ის შემდეგ;
- შემდეგ ბერი, ჭარმაგი, მხცოვან;
კაჭა – მრუდეფეხებიანი
კებეხი – მაგარი, მიუდგომელი
კენარი – მოხდენილი
კვარჩხი - უკუღმართი (მეგრ.)
კვიზა - თავმომწონე (მეგრ.)
კვიმატი – ფათერაკიანი, ენამოსწრებულიც
კვირსა - ქედმაღალი (მეგრ.)
კირჩხელი – ჭარმაგი ბერიკაცი
კისკასი – ცქვიტი, სწრაფად გამქცევი
კნაჭა – ძალიან გამხდარი
კნისი – სიტყვით და საქმით მაწყინარი
კურკუზი – ტანმორჩილი
კურუმა – უკარება
კუსპარა – პატარა მოძრავი ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალუკი – ცბიერი
ლერდანი – ზანტი, ლოხი, ხევრია
ლოჩო – წყნარი, მომთმენი
ლუზუმი - ველური, შეუსმენელი
მაკვარანცხი – ეშმაკი, ცელქი, მანცქვი
მაკვილაკი – ავენა
მაოცი – საოცის მქნელი
მარხე – ღონიერი, მარჯვე კაცი
მაუზნი – ძლიერი
მაღია – თვალთმაქცი
მაჯანი – ძაბუნი
მესხლეტი – მოუხელთებელი
მიგრი – მრისხანე
მიკვირია – ყველაფერი რომ უკვირს
მკრჩხალი – ჭანგმაზვილი
მკსინვარე – მძვინვარე
მლეველი – გამქლეტი
მლივი – გალეული
მოდგინე – მომჭირნე
მორჭმული – ძლევამოსილი, სახელოვანი
მოსავი – იმედნეული
მოყვასი – ამხანაგი
მოცილე – ცილების მოქმედი
მოჯაბრე – მოქიშპე, მოშურე
მრე – მომრევი
მრქენელი – რქით მაწყინარი
მრჩოლელი – მიმტევი
მრწემი – უმცროსი
მტერფავი – დამთრგუნველი
მუზმუზელა – ქვეშქვეშა
მუზთალი – დაუნდობელი მოღალატე
მფსონი – ამფსონი, ამხანაგი
მცლაგავი – სიტყვაზე დაუდგრომელი
მძლე – მომრევი
მწე – მეოხი
მწვისე – კაცი გასრულებული ტანითა
მწყაზარი – მარდი, ფხიანი
მხნე – შემძლებელი
ნავარი - ბოროტი (მეგრ.)
ნიშატი - ხასიათი
ობროდი – გაუგებარი
ოგეჩა – ტლანქი, ოროკი
ომახიანი – რიხიანი, ვაჟკაცური
ორღვავი – ეშმაკი, დაუნდობელი
ორჭოფი – მერყევი
ოტროველა – ხეპრე, რეგვენი
ოცობოდა – მბოდავი, ფანტაზიორი
ოცორკუდა – გაიძვერა
ოხუნჯი – ხუმარა
პარეხი - დიდი, მძლავრი (მეგრ.)
ჟირჟიკი – მჭლე
ყლართი – მაღალი, ბრგე
რეში – ფიცხი
როყიო - უხეში, უშნო
რუგბაი – ველური შესახედაობისა
სალთი – მარტოხელა, კენტი
სარიდალი – მოსარიდებელი
სასალი – სუსტი, უღონო
სასტიკი – დიდად ძლიერი
სუსუნატი – ავმუცელა
ტალიკი – მხარბეჯნიანი
ტრაყვი – დიდი რამ უშნო, ტროკო
უბადღო – უტოლო, უებრო
უბირი – უმეცარი
უგბილი – ჯიუტი, უდგრეში
უგლავი – დიდი და ავი
უგლიმი – გულქვა, ურჯუკი
უდები – თავხედი
უდიერი – მოურიდებელი
უდრეკი – შეუდრეკელი
უზავი – უწესო, უპირობო, პირგამტეხი
უზაური – ვეებერთელა
უმძრახი – დამდურებული
უნაური – მაცდური, ჩმაგი
უნდილი – მოუმწიფებელი
უსმი – შეუსმენელი
უსნო – ჯანსაღი
უსტი – ჯიუტი
უშიარი – უძილი, ფხიზელი
უცადი – გამოუცდელი
უჯიათი -
ფლიდი – ურცხვად მატყუარა
ფოცი - მშიშარა (მეგრ.)
ფხიკიანი – ფხუკიანი, მალემწყენი
ფუთლუხი – დონდღლო
ფუცხუნა – მოუსვენარი
ქანჩიანი – ხერხიანი, ცბიერი, ქასანიკი
ქვებუდანი – ჩუმი ვერაგი
ქილიკი – მოხუმარი
ქიოქა – მსუბუქი საქციელისა
ქლინმი – ეშმაკი კაცი
ქუდოსანი – ვაჟკაცი
ქურუხა – პირქუში
ქუცა – ეშმაკი
ღადარი – კაცი დაუნდობელი
ღურკანი – ბეჭებში წახრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინჩი — მოხდენილი
ყურჭიტი — ყურპატარა
შაიკი — ტანადი
შანარი — ჭკვიანურად მოქმედი
შატბატუტა — უთავბოლო
შერი — რჩეული
შიბზიკა - მჯგიმავი
შტრიგი — მარჯვე, შუშტრი
შტრინგი — ყოჩაღი
შუში — ნახევრად გიჟი
შუშუბრიქა - ზარმაცი
ჩაგვერა — ჩასკვნილი
ჩაინი — თავმომწონე
ჩასპანდი — ჩასხმული, კარგი აგებულების
ჩაუქი — ცქვიტი და შემძლე
ჩაწულია — ჩანწურა
ჩიატი — მხატე, ჩრია, ფრიაქი, ქანქლე
ჩოლბოტი — ბონდრიკი, ზანტი
ჩხიმალა — მჭლე
ცანცარაკი — გაუსინჯავად ჩქარი
ციმფია — წუწკი
ცუცურაგი — მხცოვანი ცელქი
ცუხი - ეშმაკი, ფლიდი (მეგრ.)
ცქაფი — ხელსწრაფი
ძველკობური — ძველის მიმდევარი
წიპუკა — ძალიან პატარა
წლოკი — მაღალი და წვრილი
ხამსი — ღირსეული
ხასი — თამამი, გაბედული
ხელბუკი — ზანტი
ხისტი — ფიცხელი
ხოხონიკა — ფხუკიანი
ხულგო — ასაკმოკლე ვაჟი
ჯაბანი — მხდალი, ლაჩარი
ჯაბუგა — ღონიერი, ამტანი
ჯერილი — ახალგაზრდა
ჯინაგარი — ჯიქური, ჟინიანი,
ჯიჯგვი — ჩასკვნილი, ჯბუში, ჯეჯგვი, კვიდომი
ჯმუხი — დაბალი და მხნე კაცი
ჯონგა — ვაჟკაცი, მძლავრი
ჯორჯი — ტლანქი, უხეში, მსხვილი
ჯრილად — მჭიდროდ
ჯურხა — ზორბა

ვინაობა-სამსახური

აეშაგი — მსტოვარი, ჯაშუში, ამხილარი, ვეშაგი, დამზვერი
აზნაურნი თანამყოლნი - დიდებულის მცველი ამალა
ამილახორი — ცხენსაჭურვლის გამგე
ასასი — ღამის გუშაგი
ბადრაგი — მოგზაურთა მცველი
ბაეტარი — პეიტარი, ცხენის მკურნალი
ბაზიერთუხუცესი —
ბაზიერი — ქორ-შევარდნის გამწვრთნელი
ბაირახტარი - მედროშე
ბებლი — გრძნებით მოქმედი, მაჩხიბი
ბოქა - ფალავანი
ბოქაული — მანდატური
ბრჭე — ბჭე, მსაჯი, ცილების გამსინჯავი
ბუმბერაზი — გმირთ უმცირესი
გამრიგე — გამგებელი
გამღალავი — გამთვალავი
გმირი — დიდი ტანისა, საქმით მეტი და ძალითაც გარდარეული
გოთაული — საერო საქმიდან განმდგარი, იარაღით მებრძოლი
გრძნეული — ეშმაკობის მოქმედი, კუდური
დამქაქავი — დამშლელი, გამშვებელი
დაცემელი — საკრავზე დამკვრელი
დარაჯა განიყოფება ხუთად:
- გუშაგი — დარაჯა ციხეთა;
- ებგური — მაღლით ადგილით მოდარაჯე;
- ტალა — მგზავრთა ღამით მოდარაჯე;
- ხუმილი — მეპატრონის ან მისი ხვასტაგის მცველი;
- დეტი — შორიდან უმზერდეს და დარაჯობდეს;

დრონგალი — შემცოდეთა შემპყრობი
ეტიკი — კოლაუზი, მეგზური
ვაშტი — მოლაშქრე
ზარდახნისუხუცესი - იარაღსაცავთა გამგებელი
ზინდარი — მეეკინიბე
თავდგური — მეთვალყურე, ზედამხედველი
თანამცურვალი — მცველი, საჭურველთმპყრობელი
თარეში — ქართულად მარბიელია
თული — ყაჩაღი, მეკობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იადგარი — ცხენისან-მშვილდოსნობისა და ბურთაობის ოსტატი
კაეტი — დასისთავი
კელარი - მეკუჭნავე
კერკეტონი — ღამის მცველნი, ბოროტად მავალთა შემპყრობნი
კიკეა — მეთოფე, მეომარი
კომიტი — ცის მზომლობით ნავთ მყვანებელი
კოჰნაპანი — ლაშქართ თავნი, ათისთავი, ერგასისთავი, ასისთავი
კურძალთუზუცესი —
კურძალი — ძაღლის გამწვრთნელი
ლაშქრის სახეობანი:
- ნიჯადი — დაკირავებული მთიელნი
- მეციხოვნენი — ციხის რაზმი
- მკვირცხლნი — ქვეითთა ლაშქარი
- მონაპირენი — სასაზღვრო ლაშქარი
- მონასპა — დავითის გვარდია
- მონაცვლე — თეიმურაზ II-ის მორიგე ჯარი
- მოსაკარგავე — მსახურეული აზნაურნი
- პალატბანაკი — სასახლის მხედართა მძიმედ შეიარაღებული რაზმი სპასპეტის მეთაურობით.
- როქის სპა —
- საქვეყნო — თემთა, ლაშქრის სახეა
- ტაძრეულნი — სასახლის გვარდია
- უკანაკერძი — უკან მავალი ლაშქარი
მაზმანი — მესაბლე
მალემსრბოლი — სწრაფმავალი
მანდატური — წესრიგის მცველი
მარეკი — ნადირის მომრეკი
მარზიკი — მებრძოლი, გინა მაოხარი
მატეკარი — მორკინალი, მაჭედარი,
მაღური — მაცდური, მომნუსხველი
მაცნე — ამბის მომტანი
მახსოვარი — ძველთ საქმეთ მცოდნე
მდევარი — დადევნებული
მებარჯე — ბარჯის მსროლი
მბუკე — ბუკის დამკვრელი
მედროშე — მეალმე
მებაჯრეთუზუცესი - იარაღის მცველთა ზედამდგომი
მეზარბაზნე — ზარბაზნის მცოდნე
მეისარი — მოისარი, ისრის მსროლი
მეკავშირე — ამბის მიმტან-მომტანი
მეკვლე — ზნის გამკვალავი რაზმი
მეკლდეური — კლდეზე ცოცვის მცოდნე
მეკოპარი — ეკობრე, მეკობარი, წინაჯარი
მემათრახე — მეომრის მწვრთნელი
მემარქაფე — სამარქაფო ცხენის მატარებელი
მემიზნე — მიზნის გამთვლელი
მენავე — ყოველნი ნავთა მუშაკნი:
- ნავსე — ნავის მაშენებელი;
- ნაკვოსალარი — მენავეთმოძღვარი;
- მეპრორე — ნავთუზუცესი;
- ნავტური — კატარღის მნე;
- ნავტე — მომცრო ნავის მენავე;
- მხერეული — მესაჭე, ტმიონის მპყრობელი;
- მეაფქიოე — აფრათ გამგებელი;
მენაღმე — აფეთქების ოსტატი
მეოხი - დამხმარე
მესვეური — მოთავე
მერეული — ადათების მცოდნე
მეუნჯე — უნჯის მცველი
მექამანდე — ქამანდის მსროლელი
მეცარი — ბებლის მცნობელი, გულთმისანი
მეციხოვნე — ციხის მცველი
მეხამლე - მეწალე
მზირი — ჯაშუში, მსტოვარი
მისრატული — მეფის ცხენის შემკაზმავი
მკადრე — ხატობის მედროშე
მნე — მეურნეობის განმკარგავი
მოაბადი — მებადური
მოასპარეზე — ასპარეზში წვრთილი
მობურთალი — ბურთის მოთამაშე
მოგვი — გრძნეული
მოდინე — მოჯამაგირე
მოენე — ამბის მომტანი
მოთაული - მეთაური
მოიერიშე — შეტევის დამწყები რაზმი
მოლაშქრე — ლაშქართაგანი
მონადირეთუზუცესი —
მორბედი — სრბოლით მავალი
მოსაგრე — მოგარევე მეომრად მიმყოლი
მოსარჩლე — ქომაგი
მოურავი — საქმეთა გამგებელი
მოცავრე — მცველი გუნდურ რკინებაში
მოწაფე — საწვრთნელი
მსაზვრალი — გრძნებით მძვინვარე მხეცნი მოამშვიდიან
სადიასპანო - ცხენისანი მალემსრბოლი
მსაჯული — მოსამართლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსრბოლი – მორბედი
მსრეველი – მსროლელი
მსტოვარი – მომხილავი მტერთა ლაშქართა, ქვეყანათა
მტევებარი – დამსხმელი მოლაშქრე
მუბერაზი – ბუმბერაზი
მულიდი – მიპარვით მკვლელი
მუშაითი – საბელზედ მოთამაშე
მზხიბავი – გრძნებით შემკრავი
მწაფელი – მეეტლე
მცურვალი – შიქრიკი
მხედარი – ცხენოსანი მოლაშქრე
მხედრიონი –მხედართა გუნდი
ნიჟორგალი – კაპარჭოსანი, ისართა მნე
ნიჯადი – მაშველი ლაშქარი
რაზმისთავი – მეთაური რაზმისა
რაინდი – კეთილშობილი გმირი
რაინდი – ცხენის გამწვრთნელი
როკაპი – კუდიან ქალთა უფროსი
სადუნი – სხვადასხვა ენათა მცოდნე
სარანგი – წესრიგის მცველთა უფროსი
სარაჯი - მეუნაგირე
სარდალი – ჯართა უფროსი
სეფე მეპაბჯრე – ამირსპასალარის მოხელე
სპა – მხედრობა
სპარაზენი – ყოვლითა შეჭურვილი
სპასპეტი – მხედართმთავარი
ტრალი – საკვირველი მპარავი
ფათერი – გრძნეული
ფაიკი – შიქრიკთაგანი
ფარდი – ტოლი, ამფა, შესაფერი
ფუსტელნი – საეკლესიო მხედრობა (?)
ქეგხა – ქედხუდა, მამასახლისი
ქეშიკი – პირადი მცველი
ქვეითი – ფეხოსანი
ქველი – რაინდი
ქოთლოსანი – მარქაფა ცხენის მფლობელი
ქოქონაკი – დურდოს გამომთხრელი და წყლის გამომყვანი
შიქრიკი – იფრინდა, სწრაფმავალი
შპეტი – სპეტი, ზედამდეგი
შულტა – შურტა, გვარდიელივით
ჩახთაული – ლაშქრის უკან მიმლალველი
ჩუბინი – დაუცადი მსროლელი
ჩუხჩი - მცველი
ციხისთავი – უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი შუა სკ. იმერეთში
წინამბრძოლი – პირველშემბმელი
ჭკად – მჭედელი (მეგრ.)
ჭურვილი – ჯავშნით შეკაზმული
ჯაბადარი – იარაღის მნე
ჯადეგი – გრძნების მოქმედი
ჯარა – დასტაქარი
ჯე – ომში ნაშოვრის მოზიარე

ქმედება

აზაკები – გაანჩხლება
აზარვა – აღელვება
ათვალვა – აღრიცხვა
ათურმა – თავზე გადახტომა
აკაპიწება - დაკოტაკება სახელოსი
ალაია-ბერა – გადაჯვარედინებულ ხმლებში გატარება
ალფობა – ნადავლის ტაცება
ამაგება – ხმლის ამოღება
ამოტუზვა – მოფარებით დგომა
ამოშუნება – იარაღის სწრაფად ამოღება
აოტა – გააქცია, დაიფრინა
აღმახვა – მახვილთა ლესვა
აცორდა – შელმა შეგლინდა
აცრა – დასერვა
აძალდა – ძალი მიეცა
აჭრა – მახვილით აკაფვა
აჯაბი - თვალთმაქცობა
ბარსალი – კრულვა
ბასრობა – გადამეტებული კიცხვა
ბირაფი – მღერა-თამაშობა
ბირება – უცნობი კაცი გაითავისოს
ბრძოლა – დიდი შუღლი
ბურინი - ჩქარი სიარული
ბუსუნი – თვალთვალი
ბღნეჯა – პირის ავად დაღრენა
გაასრება – განრისხება
გაბუცება – გაშტერება, განლიგება
გაგლისპება – გაანჩხლება
გაგუა - ბლაგვით ჭრა (მეგრ.)
გადასხმა – თოფზე დაყრდნობა სასროლად
გაზაკვა – გათვალვა
გათითნება – ბრაზით გახელება
გაკმედა – განაბვა, ჩაუნვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამელუშნება — ნაბვით გაპარვა
გამთება — გაკიდება
გამოწალვა — გამოშიგნვა
განარება — გაცეცხლება
განგვრეშა — განგმირვა, განწონება, მახვილის გაჩრა
განიჟება — დაჟინება, აჩემება
განკრთომა — ანაზდი მცირე შიში
განრისხება — დიდი წყრომა
განძვინება — მხეცური განრისხება
განხმა — გაღება, გახსნა
გარდაცმა - შვილდზე საბელის ჩაგდება
გატრუკება - გასინტრიკება, საშუალოდ გასუქება
გაფოთება - გაშმაგება
გაფრანგება - განრისხება
გაფრეწა - ჯაჭვთა გაღება
გახარიტება - გაქოფიტება, გაზეპირება
გახეჩა - მახვილით ბოლომდე გაპობა
გება - მოცდა
გელარვილა - იქით-აქეთ რბენა (მეგრ.)
გელიქაში - მალვით შორიახლო მიდგენება
გეტება - დატოვება (მეგრ.)
გზება - ცეცხლის დანთება
გინორანა - მხრის მიცემა (მეგრ.)
გლასუნი - ზერელედ გასმა
გლინვა - გველივით გლუნვა, გლიანი
გმირვა - ლაზვრის კვრა
გრინება - ეშმაკით მოქმედება
გულისობა - მწყრალობა
დაბალთვა - მცირედ დაკოდვა
დაბრკოლება - კეთილი საქმიდან მოცდენა
დაბრჩვილება - უმკვეთლობა მახვილისა
დაზავება - დაქანცვა
დაზვერვა - განმსტრობა
დაკუდნა - შარვლის ტოტის დაკარწახება
დალტობა - დასველება
დამახვა - წვერის წამწვეტება
დამაჯნება - დაძაბუნება
დანთქმა - წყალში დაღუპვა
დაოკება - ჯარის საზრდელით განძღომა
დაორხელება - ორი ხელით იარაღის ხმარება
დაჟეერვა - ჟეერით ცემა
დარეგვა - სარეგვავით დაჭეჭვა
დატიშვა - სწრაფად გაქცევა
დატუკვა - ტუკით ცემა
დაქარდვა - მსხვილად დაკაწრვა
დაყმუნება - ყოყმანივით
დაყურსვა - დატვირთვა
დაყუყება — ჩაკუზვა, დაკუკვა
დაშვლება - სახრით ცემა
დაჩითმათება - დაჭრელება
დაჩხვეპა - მახვილით დაჩხვლეტა
დაცრეხა - გამრუდება
დაცქნაფა - დიდად განაბვა
დაჭკიმვა - დაჩხვლეტა
ეთელება - თავს დასტრიალებს
ზეზვა - უმკვეთლოთი ცემა
ზენარობა - ფიცის დდება
ზმა - ქმნა
ზნევა - ზარალის მიყენება,
ზრზენა - ბოროტად აღძვრა
ზველვა - გაბაძვა
თავდავალა - გზის მოჭრა
ინადი — ქიშპი, ჯაბრი
იტურნა - დაიყურა
იშნი - მტრისაგან ბავთზე გახარება
იხადა - მახვილი მოიწვადა
კარიობა - რისხვა შესაძრწუნებელი
კენწვა — ცივი იარაღით შებრძოლება
კეჭნაობა - ფარიკაობის სახეა
კვრეცა - შუაზე გახეჩვა
კიპი - ისრის დაზიდვით დაჭერა
კურცხლვა - სწრაფი ლტოლვა
ლალვა - შუღლი
ლაღლაღი - წყალში ქანება
ლიზი - წასვლა (სვან.)
მოდრეკა - მშვილდის მოზიდვა, მორთხმა
მომართვა - მშვილდის მომზადება
მორუსხვა - მოსუსხვა
მოსანთება - მომარჯვება
მოსპოლვა - მოსრეგა
მოსხეპა - ერთი დაკვრით მოჭრა
მოშვლეპა - იარის პირის მოძარცვა
მოწყლვა - დაკოდა
მოზიბლვა — მოწამლვა (ქიზიყ.)
მურმალი - მოუსვენარი მუშაკობა
ნადარი - თვალის მოკვრა, დალანდვა
ნაპირობა — მოსაზღვრე ქვეყნის დალაშქვრა
უუფვა - მუსრის გავლება
რაცრაცი - ტორტმანი
რება - სვლა
რევნა - ჯოხნა
საგნობა — მიზანში სროლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტური - სასინჯავი, სამსტოვრო
სახიობა - წარმოდგენა
სიარული - მრავალგვარია:
- სვლა - ნებიერი სიარული კაცთა და ნავთა;
- მოთხვა - სეირნობა;
- გვალე - ჩქარი სვლა;
- ლტოლვა - შეშინებულის სვლა;
- ხლდომა - კისკასად რეცა შეფრენა;
- ტანტალი - უბადო და უსაქმო სიარული;
- გოგმანი - სანდომი სვლა;
- ღინღიღილ - უსუსური სვლა;
- ბაკბაკი - ფეხგადგმით სვლა;
- ცოცვა - მუცელბარკლით;
- ცორვა - ნადირთა მისაპარად სვლა;
- რება - მოგზაურთაგან სიარული;
სისრა — ისრის სროლა
სრინვა - ქშენასავით
სუნგალი - გატრუნვასავით
სუსური - იარაღის მოღერება
სხეპა - გარდაკაფვა
სხლეტა - უნებლიედ გავარდნა, გინა სასხლეტით გაშვება
ტერება - პატრონობა
ტორღალი - წატოლებასავით
ულა - წასვლა (მეგრ.)
ფაციცი - დიდი მოწადინება
ფაცური - მცირედ გაძვრა
ფახფუხი - ცუდი ბაქი
ფახი - მოჩვენებითი გამბედაობა
ფეთი - შეშინება
ფუსფუსი - ჩიჩმაგურა
ქადილი - სიტყვითა თავისსა სიკეთეს იტყოდეს: - მუღრარობა - რისხვით
ქადილი; - დამდამივა - მუღრაობასავით და წადილი მისი;
ქამანდება — ქამანდის გდება
ქეზება - სიტყვით აღაზვაონ ბოროტის საქნელად
ქლეშა - ძლიერი ხეხვა
ქოქოლა - დაკრულვა
ღალვა - თვალვა
ღმუთუნი - ღრენასავით
ყირა - ცხოველთა თავზე შემართვა, ალა - უსულოს შემართვა
ყურყური — თვალყურის დევნება
ყუყვა - კუნცხვა, ცუცქვა
შავა - ნდომა ხალისიანი უცხო სანაზავთა
შავარნა - აჯავერა
შეგუვილი - შეჩვევა
შემოგირგილება - ხმლის შემოქნევა
შეპინტრიკება - უცბად გაჯავრება
შეჭეხნა - შეყვირება
შეხვლეფა - ჟანგისგან ამოჭმა
შხუნება - ცხუნება, საზეპელის დაკვრა
ჩაგება - ქარქაშში ჩაბრუნება
ჩაკალი - ბარბაცი (მეგრ.)
ჩამოფეტვა - ერთი დაკვრით ჩამოჭრა
ჩზუნვა - გართხმა, გაცქნაფვა, გაკმედ
ჩოთიარი - თაკილი
ჩხიბვა - გრძნებით შეკვრა
ჩხუპვა - მცირე წყალში სვლა
ცანკალი - კოჭლობა
ძრწოლა:
- თრთოლა - სენისგან;
- კანკალი - შიშისგან;
- ძაგძაგი - სიცივისგან;
- კრკოლა - მოგონებული ძრწოლა;
ძვინვა - ჯავრი მხეცური
წიფება - შეძლება
წოდინი - ზმორება
ხადილი — დაძახება
ხმაწვა - თოკის წაჭირება
ხმილვა - ღამის თევა
ხოხი - ცოცვით ასვლა
ჯგვერება - წვეტიანის ტაკება
ჯგუტვა - ჩხვლეტა
ჯოჯმანი - ბანცალი
ჯუგამი — მუნათი

ნაირობა

აბედი — მეტად მაგარი
ასანდი — ადვილი (ფერეიდ.)
აწისა - ახლანდელი
ბაიტა — პატარა (ფერეიდ.)
ბედენა — განსხვავებული
ბოხო - მსხვილი (მეგრ.)
გაგანია — ძლიერ მომეტებული
გამჭოლი — ორჭოლი, გამჭვრეთი
განუმტევი — უკვენი, შეუღწეველი
გორდა — მოხრილი, მოკაკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპატრული – დამსკდარი, დახეთქილი
ებრი – მსგავსი
ეგთა – მაგნაირი
ზიკზიკა – მორთულ-მოკაზმული
ილუმელი – არცა სიკეთე ეტყობოდეს, არცა სიავე, გინა გემო
კაპეტი - ძლიერი (ლაზ.)
კნინი - მცირე
კოჟანდარი – ბოლო, უკანასკნელი
ლეზგი – ურიგო, უხეირო
ლიტონი – ცარიელი, მარტო
მაწეიერი – ყუთიანი
მაჯაგი – მაგარი, კესელო, გამომდგარი
მელო – შიშველი
მკვართე – მოკლე
მომრე – სქელი, ხშირი
მონკა - მძიმე (მეგრ.)
მსთვადი – ანაზღი
მყირტე – უგემური
მწალტე – მწარე მომჟაო
ნამა – კარგი, ლამაზი (ფერეიდ.)
ნასი – ვერკეთილი
ორმაგური – გადაკრული, ნართაული
საარაკო – არნახული, საოცარი
სადავი - მარტივი
საზუზარი – ფაქიზად სახმარი
სათანიო – თანწასაღები
სათნი - მოსაწონი
საინციო – საკვირველი
სამუქაფო – სანაცვლო
საშუალი:
- საქმე – მადლსა და ცოდვას შუა;
- სადაგი – ადვილსა და ძნელს შუა;
- საყოფი – ნამეტნაობა-ნაკლებობას შუა;
- მდოვრე – სიჩქარესა და სიწყნარეს შუა;
- მიღმა – შორსა და ახლოს შუა;
- ორტაბაზი – მზურვალ-გრილს შუა;
- ფანდალი – მძიმესა და მსუბუქს შუა;
- ფარსაგი – კეთილსა და ავს შუა;
- ხოშორი – წვრილსა და სხვილს შუა;
- შანარი – დენთსა და დუნეს შუა;
- შანდაკი – ვრცელსა და ვიწროს შუა;
- სიმჭიდროე –გასაძლის-გაუსაძლისს შუა;
- შეხმუხი – ჭკვიანსა და უჭკუოს შუა;
- ფეროი – შავსა და თეთრს შუა;
- ჯინჯიხი – თბილსა და ცხელს შუა;
- ძუნძული – სირბილსა და სვლას შუა;
- ხრტილი – ძვალსა და რბილს შუა;
- გრემა – ფერკეთილ-უფერულს შუა;
სუბუქი – ითქმის ღრუბელზე, ქარზე; მჩატე – ქვაზე, მისთანაზე; ქიეტი – ნოტიიზე (სითხეზე)
ტოზო - მსხვილი (მეგრ.)
ურასტი – უამრავი
უსხო – უფრო მსხვილი
უფერი – ცუდი
ფარჩხატი – მეჩხერი
ფიორი – უმცირესი, მინუნა
ქირმაში – ირიბი
შხუ - მსხვილი (მეგრ.)
ჩორჩი - მსუბუქი (ლაზ.)
ცახე – ფიორის უმცირესი
ხათე - უეცარი (მეგრ.)
ხაფი – შემზარავი
ჯერმა – თბილი
ჯურა-ჯურა – ნაირ-ნაირი

დამატება

ამ თავში შევიდა სიტყვები, რომლებიც თემასთან კავშირშია და შემდგომ გადანაწილებას მოითხოვს.

ავაზი – სანაცვლო (ფერეიდ.)
აზარი – ასის მოკლა
ალა – მთვარის ლაქები
ანამ – ნეტავი
ანდეზობა – თავშეყრა
ანდრეზი – ძველი ამბავი, გადმოცემა
აღი – ხატება, ხილული გამოვლინება
ბაგრაკი – ხატის დროშა
ბადრი – საცსე მთვარე
ბეჩა – გაკვირვების შორისდებული
ბნე – თვალისჩინი
გვერ – მგელი (მეგრულ-ლაზურად)
გიმგა – დინგა, სალაყბო
გნასი – ძალა
გოგუთი - ?
გორგასლიანური – სახელმწიფო დროშა
გრია – დიდი კრება, ლიანგი
დია – ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეჟო – ეაჟო, ოჯო
ზოგრიგა – ზოგიერთი
ზოზი – შუშხი, რიდი
თიკუნი – მეტსახელი
თული – ავაზაკი, მეკობრე
იაკამი – ნათელი მთვარე
კიდელი – ჭაღი
მალიათი – ბარაქა
მანგი - მთვარე
მეშაბათე – ნათესავი მეშვიდე თაობამდე
მისადევარი – ნაგრამი, შთამომავლობა
მისხი – გარე ნათესავი
მიჯნა – საზღვარი, ხურგი, სამანი
მოარული – მსვლელი
მცხრალი – მილეული მთვარე
მუღამი – საიდუმლო
ნაგაბარი – ნამუსრევი, ნათოსი
ნართაული – გადაკვრით ნათქვამი
ნართევი – ჯარი მომატებული
ნაცილი – ტყუილი ან ფთიერაკი
ოგური – ახლო ნათესავი
ოლქი, ოლქაობა – ჯანყი, (აჭარ. გურ.)
პეპერა – პაპის პაპა
პწკალა – მისადმელი კიბე
საკარცხული – ოჯახის თავის
სავარძელი
სამამფიცრო – ცრუ ფიცის საზღაური
სამდგომი – სამთა რაზმთა საბრძოლო
წყობა;
სამდგომი (II) - სამკაცა ეტლი (მეეტლე
და ორი მებრძოლი;
სამდგომი (III)- ძველი კაცნი ბრძოლანა
ორთა ანუ სამთა ცხენთა ზედ
მიმოვლდებოდიან
სამზეო – სააქაო
სამხარი – სადილ-ვახშამს შუა
სახივი – ქედის ბორკილი
სვე – ბედი
სისტიქონი – გინება
ტომბახი – მაღარიჩი
უნჯი – განძი
უცუმი – უეცარი შეგრძნება ცუდისა
ფასკუნჯი – გმირთა დამხმარე ფრინველი
ყუყური – სიწყნარე
შილიფად – მსუბუქად, თხლად
შნო – უნარი, პეწი
ჩარა – გამოსავალი, ღონე
ჩინი – მხედველობა
ჩხიბი - ჯადო
ჭირანო – მთვარის ორბიტა
ხამს - შეჰფერის
ხვითო – ზღაპრული ნატვრისთვალი
ხუნდი – ფეხის ბორკილი, ზალვანა
ჯანჯუხი – ჩურჩხელა (მთლიანი ნიგვზით –
გორგომიჭელა)
ჯაო – ჯაგარი, ჯანიც
ჯეკმა – უამრავი
ჯელგა – ხროვა
ჯიმრი – აკვიატებული ჩვევა
ჯუმფალი – ტყუპი
ჰავი - ბოროტობა
ჰაიჰარად – სახელდახელოდ

ბოლოთქმა

„...დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში ძვერჩინეთ, არავის წაგაღებინეთ, არავის დაგანებეთ, არავის შეგაგინებინეთ, ცოდვა არ არის ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შეჭამოს, თაგვმა დაჭრას!...“

ილია

ქართული ყოფიერების ქვაკუთხედს, მისი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოადგენდა სამხედრო მზადყოფნა, ჯარის წვრთნა და საბრძოლო ხელოვნების სრულყოფა.

ცხადია - ქართული საბრძოლო ხელოვნება კარჩაკეტილად განვითარებულ ცოდნად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ადამიანები ყველაზე მეტად აგებულებით გვანან სხვა ეროვნების ადამიანებს და მათ მიერ შექმნილი ორთაბრძოლებიც საკმაოდ მსგავსია. ამასთან, საბრძოლო ხელოვნება ცოდნის იმ დარგს განეკუთვნება, რომელმაც მცოდნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის დაცვა-გადარჩენა უნდა უზრუნველყოს (პიროვნება იქნება ეს, ოჯახი თუ ქვეყანა) და ამდენად, იგი სხვა დარგებზე თამამად ისისხლხორცებს „მიწინავე" გამოცდილებას, ყველაფერ საუკეთესოს, რაც ამ დარგშია მიღწეული. გარდა ქცევისა, აქ იგულისხმება საბრძოლო ალაფის სახით მოპოვებული იარაღი და საჭურველიც და წინაპარიც, ცხადია, უარს არ ამბობდა მის გამოყენებაზე არაქართული წარმოშობის გამო (ცნობილია, რომ ღარიბი კუთხის მოსახლეობა საბრძოლო იარაღის ძვირფასიანობის გამო სამეურნეო იარაღის საბრძოლო მოხმარებაში იყო გაწაფული).

ჩვენთვის „ქართული" მუდმივგანაწილებადი ცნებაა. ყოველმა თაობამ თავისი სიტყვით უნდა გაამდიდროს ესა თუ ის დარგი (სხვა საქმეა, რომ არ შერყვნის და ამისი საზომიც უნდა არსებობდეს). ჩვენს თაობასაც სრული უფლება აქვს იმისა, რომ არსებული მასალის დალაგებაში სიახლეებსაც არ მოერიდოს, შექმნას მიმართულებები, მოაწესრიგოს ტერმინოლოგია და ა.შ. ხოლო ის მიდგომა, რომლის თანახმადაც ჩვენ ჩვენივე დაკონსერვებული კულტურით მოამაყენი უნდა ვიყოთ და არა მისი ცოცხალი შემოქმედნი, ვფიქრობთ არაკეთილმსურნის მიერ თავსმოხვეული იდეოლოგიაა.

მასალები ძირითადად ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მეშვეობით მოვიძიეთ. პარალელურად წარმოებდა ინფორმაციის მოკვლევა ბიბლიოთეკებში, არქივებში, ფონდებსა თუ მუზეუმებში.

ამ წიგნის მეშვეობით თქვენს წინაშე წარმოდგენილია მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ცოდნისა, რაც, ჩვენი ვარაუდით, ჯერ კიდევ შემორჩენილი უნდა იყოს ხალხის მეხსიერებაში. ჯერ კიდევ შესაძლებელია ათეულობით ფანდის, ვარჯიშობის, ნაამბობისა თუ სხვა ცოდნის მისწრება და გადარჩენა. ასე მაგალითად: გადმოცემით გვსმენია, რომ რაჭაში არის ოჯახი, რომელიც ქვის (შეუიარაღებელი ხელით) სროლის ტრადიციას ინახავს, ასევე გვსმენია ოჯახზე, რომელმაც ჯორის სატლინკავად გაწვრთნა იცის, თუშ მეცხვარე პაპაზე, რომელიც საარაკოდ კომბლაობს, მონადირეზე, რომელიც დღესაც რქის შშვილდით დადის ჯიხვზე სანადიროდ, ფერეიდნელებზე, რომელთაც შემორჩათ ორი ხმლით მუშაობის ცოდნა, ხევსურებზე, რომლებმაც რუსეთ-იაპონიის ომში ფარიკაობაში სამურაები დაჩაგრეს...

ცოდნა და კულტურა არ შეიძლება წარმოადგენდეს რამდენიმე კერძო პირის საკუთრებას. იგი მთელს ერს ეკუთვნის და, ამდენად საერთო ეროვნული ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული მასალა, აგრეთვე თქვენი შენიშვნები, რაც უცილობლივ აისახება შემდგომ გამოცემაში. ასეთი შეიძლება იყოს თქმულება, ლეგენდა, ხალხური თამაშობა, წეს-ჩვეულება, დასახელება, ფანდი, ვარჯიში, იარაღის აღწერა, საზეიმო ცოდნა, ჩაცმულობა-აღკაზმულობა, მკურნალობა და სხვანი. შემოსული მასალა თავს მოიყრის სათანადო არქივში და კვლევის შემდგომ ეტაპზე იქნება გამოყენებული. მასალის მოწოდებისას გთხოვთ მიუთითოთ ავტორისა და მთქმელის ვინაობა, პროფესია, ასაკი და მისამართი (ტელეფონი).

მასალის მოსაწოდებლად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართებზე:

კობა ჭუმბურიძე – ტელ: 98-37-54; ელ. ფოსტა: tibareni@gol.ge
კახაბერ ზარნაძე – ტელ: 33-71-71;
ლევან კიკალიშვილი – ტელ: 32-38-94

ჯერ კიდევ 1940 წელს, სტატიაში - „ქართული ნაციონალური სპორტის შესწავლის შესახებ", ივანე ჯავახიშვილი წერდა: „დიდი ხნის და მდიდარი ისტორია აქვს ქართულ სპორტს. შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების მიერ მრავალი ასეული წლის მანძილზე შემუშავებული ეროვნული სპორტის ცალკეული სახეები. ეს უსათუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასარგებლო და ღირსების საქმეა. იგი შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად განვითარებას, შეუმუშავებს მას ძმეტეს ნებისყოფას, გახდის ამტანიანსა და გამბედავს".

თუ რამდენად აქტუალურია დიდი მამულიშვილის ეს მოწოდება დღეს და რამდენად შეეძლოთ წიგნის ავტორებმა ამ საქმის დაძვრა, ამის განსჯა შენთვის მოგვიწევია ძვირფასო მკითხველო და, რაკიღა ამ სტრიქონებამდე ჩამოგიკითხავს - თანამოაზრეკ.

გამოყენებული წყაროები:

1. აპოლონ როდოსელი -„არგონავტიკა";
2. ბ. აბაშიძე - „მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში", თბილისი, 1984;
3. ზ. ავალიშვილი - „ჯვაროსანთა დროიდან", თბილისი, 1989;
4. ი. ანთელავა - „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში", „მეცნიერება", თბილისი, 1984;
5. ვ. ალანასიევი, მ. ლუკონინი, ნ. პომერანცევა - „ძველი ალმოსავლეთის ხელოვნება", „ნაკადული", თბილისი, 1986;
6. ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე - „ქართული მითების სამყარო", „ლოგოს პრესი", 2001;
7. ვ. ბარდაველიძე – „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან", საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941 წ.;
8. გ. ბარგაძე - „ლელობურთის ქრონიკები", თბილისი, 1991;
9. Н. А. Бендукидзе – Хеттский миф о Телепину и его сванские параллели, ВДИ, Тб., 1973, გვ. 100
10. ვ. ბერიძე „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა", „მეცნიერება", 1986;
11. თ. ბერიძე, „ძველი თბილისის სურათები", ნაკადული, 1980;
12. ბიბლია
13. გ. ბოჭორიძე - „თუშეთი";
14. მ. გაბუნია, ა. ვეკუა - „პატარა ხრამის პეტროგლიფები";
15. ი. გაგულაშვილი - „ქართული მაგიური პოეზია", თსუ 1986;
16. ჟაკ ფრანსუა გამბა - „მოგზაურობა ამერკაკასიაში 1820-24 წლებში", თბილისი, 1987;
17. ზ. გამსახურდია – „წერილები, ესსეები", 1991;
18. ნ. გაფრინდაშვილი - „მითოლოგიური ლექსიკონი", „განათლება", 1972;
19. GEORGIEN – Schätze aus dem land des goldenen vlies, Katalog des Ausstellung des Deutschen Berghau-Museums Bochum
20. ლ. გეგრაძაძე - „ქართული საცეკვაო ფოლკლორი";
21. ა. გიორგობიანი – სტატია „ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები", გაზეთი „რაკი" თებერვალი, 1997;
22. გ. გიორგაძე - „ათასი ღვთაების ქვეყანა", „მეცნიერება", 1988;
23. ე. გიორგაძე - „აერიი და მოკრივენი", თბილისი, 1979;
24. მ. გორგაძე - „ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან", თბილისი, 1959;
25. რ. გორდეზიანი - „ბერძნული ცივილიზაცია", „მერანი", 1988;
26. ნ. დავითაშვილი - „ქართული ორნამენტი", თბილისი, 1991;
27. ვ. ელაშვილი –„მთიელ ხალხთა ფიზიკური აღზრდის სისტემა";
28. ვ. ელაშვილი – „ფარიკაობა";
29. ვ. ელაშვილი – „შშვილდოსნობა";
30. გ. ელიავა - „მეგრულ-ქართული ლექსიკონი";
31. ვაჟა-ფშაველა – თხზულებათა ათტომეული
32. ვახტანგ VI - „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის", თბილისი, 1981;
33. ვახუშტი ბატონიშვილი - „აღწერა სამეფოსა საქართველოსა";
34. „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონი;
35. ფ. თავაძე, შ. მესხია, ვ. ბარკაია, - „ლითონის დამუშავება ძველ საქართველოში", თბ. 1954;
36. ე. თაყაიშვილი – „ემიგრანტული ნაშრომები", „მეცნიერება", 1991;
37. გ. თედორაძე – „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", 1941;
38. მ. თოდუა - „ქართულ-სპარსული ეტიუდები II", თბილისი, 1975;
39. ი. თომაშვილი - „ქართული ჭიდაობა";

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. ინტერნეტის წყაროები:
http://www.asor.org/HITTITE/HittiteHP.html, http://www.wsu.edu/~dee/WORLD.HTM
http://www.encyclopedia.com, http://indoeuro.bizland.com/archive/article9.html
http://www.wsu.edu:8080/~dee/MINOA/HISTORY.HTM
http://www.telusplanet.net/public/dgarneau/euro-c.htm
http://mythology.sgu.ru/mythology/ant/
http://www.geocities.com/~ephesus/rulers.html#Hittites
http://www.crystalinks.com/ancient.html და სხვანი;
41. ც. ინწკირველი - „ივსო ქრისტეს დიდშვენიერი დიდება", თბილისი, 2000;
42. იოანე ბატონიშვილი - „კალმასობა"
43. კ. კერამი - „ხეთების საიდუმლოება";
44. ზ. კიკნაძე - „ქართულ მითოლოგიურ კვადრაცემთა სისტემა".
45. ს. კრამერი - „ისტორია იწყება შუმერიდან", „ნაკადული", თბ. 1988;
46. ლაზური ზღაპრები, თბ. 1982;
47. ო. ლორთქიფანიძე - „ვანი - ოქრომრავალი კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი";
48. მ. ლორთქიფანიძე - „ქართული V საუკუნის მეორე ნახევარში";
49. ლუკრეციუსი - „საგანთა ბუნებისათვის", „საბჭოთა საქართველო", 1958;
50. ს. მაკალათია — „თუშეთი", „ფშავი", „ხევსურეთი", „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია";
51. შ. მესხია - „ლუარსაპა I და სიმონ I", თბ. 1991; „ძველი საკვირველი", „მეცნიერება", 1972; „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში";
52. მ. მიქელაძე - „ტოტები და ძველი საფყარო", თბილისი, 2000;
53. ნ. მილოდინი - „ლებვის ხალხური წესები გურიაში", თბ. 1980;
54. ი. მჭედლიშვილი - „ოიანა-ბუიანა";
55. კ. ნაჭყებია — „ქართული ხალხური საცხენონო თამაშობანი";
56. გ. ნიშნიანიძე - „პაემანი ვერაზე", თბილისი, 1991;
57. Охоты на Кавказе, составитель штабс-капитан 16-го Гренадерскаго Мингрельскаго полка А. Калиновсий, 1900 г.;
58. თ. ოჩიაური - „ხევსურეთი და ხევსურები", თბილისი, 1977;
59. პლუტარქე - „რჩეული ბიოგრაფიები", თბ. 1975;
60. რ. პატარიძე - „ქართული ასომთავრული", „ნაკადული", 1980;
61. Прозрителев Г. — Кавказское оружие;
62. ვ. რაზიკაშვილი - „მამაჩემი - ვაჟა ფშაველა";
63. ა. რობაქიძე — „სპორტის ეროვნული სახეობანი" (ლექციები);
64. ჯ. რუხაძე - „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში", მეცნიერება, 1999წ.;
65. ჯ. რუხაძე - „ეთნოგრაფიული გულანი", მეცნიერება, 2002წ.;
66. რჩეული ქართული ზღაპრები, თბ., 1949;
67. ს. სალუქვაძე - „ქართული მკურნალობის სათავეებთან";
68. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I ტომი, „საბჭოთა საქართველო", 1970;
69. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — საისტორიო ალმანახი „ალეი", თბ. 2001;
70. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — „გურია, მზარის კვლევა-ძიების შედეგები", I, თბ. 1996;
71. «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», Тифлис, 1902;
72. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია: „ქართული ეროვნული სპორტი და სამბრძოლო ხელოვნება" - სამეცნიერო კონფერენციის მასალები;
73. „სვანეთი, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის", II, 1977;
74. ვ. სიდამონიძე - „ქართულ ანარეზობათა ქრონიკები", თბილისი, 1978;
75. სტრაბონი - „გეოგრაფია";
76. სულხან-საბა - „ლექსიკონი ქართული";
77. ირაკლი სურგულაძე - „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში", თბილისი, 2003წ;
78. ი. სურგულაძე - „ქართული ორნამენტის სიმბოლეკა";
79. ი. ტაბაღუა - „საქართველო ევროპის აქვიკებსა და წეიფსაცავებში", „მეცნიერება", თბ. 1984;
80. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე VII", ტფილისი, 1927;
81. ზაზა ფანასკერტელი-ციცმშვილი - „სამკურნალო წიგნი კარაბადინი";
82. „ქართლის ცხოვრება" - ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955;
83. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი;
84. „ქართული მწერლობა", „ნაკადული" თბილისი;
85. „ქართული პროზა", „საბჭოთა საქართველო" თბილისი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

86. ქართულ კუთხურ კილო-თქმათა ლექსიკონი;
87. ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ ექსპედიციებში მოპოვებული მასალა;
88. ქართული საგმირო პოეზია;
89. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი;
90. ივ. ქეშოკაშვილი - „ღმერთები, მითები, რიტუალები", თბილისი, 1990;
91. ლ. ქუთათელაძე - „იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი", „მეცნიერება", 1975;
92. ა. ღლონტი - „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა", „განათლება", 1974;
93. ა. ყამარაული - „ხევსურეთი";
94. ი. შათმელაშვილი - „შაჰერი, ბასიანი"
95. ა. შანიძე, ვ. თოფურია - „სვანური პროზაული ტექსტები", მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1939;
96. ზ. შარაშენიძე - „ფერეიდნელი გურჯები", თბილისი, 1979;
97. ჯ. შარაშენიძე - „შუმერები და მათი კულტურა", თბილისი, 1983;
98. Чахкиев Д. – Оружие Вайнахов;
99. მ. ჩიქოვანი – „ბერძული და ქართული მითოლოგიის საკითხები", თსუ-ს გამოცემა, 1971;
100. კ. ჩოლოყაშვილი - „ქართული საჭურველი და ომების ნაკადევი ჩვენს ყოფაში";
101. ქ. ჩხაძარიაშვილი – „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში", გამომცემლობა „მეცნიერება", 1979;
102. გ. ჩხეიძე - „საკურსო ნაშრომები „მშვიღლოსნობა", „ქართული წარმართული პანთეონი და ხატობებთან დაკავშირებული ასპარეზობანი", უნივერსიტეტი, 2001;
103. ა. ციბაძე - „მხედრობასა შინა კადნიერი" თბილისი, 1980;
104. ა. ციბაძე - „ქართული ორჭიდი" როგორც ქართველ მხედართა სამხედრო-ფიზიკური მომზადების ქვაკუთხედი";
105. ზ. ცინდელიანი – „მითი და სინამდვილე";
106. „ძველი შუამდინარული პოეზია", თბილისი, 1987;
107. შ. ძიძიგური - „საენთომეცნიერო საუბრები";
108. კ. ხარაძე - „ქართველი მოგზაურები";
109. Т. Хейердал – «Древний человек и океан», москва, 1982;
110. მ. ხიდაშელი – „კოლხეთის სამეფოში დადასტურებული ერთი რიტუალის შესახებ", „ონხარი", თბილისი, 2002 წ.;
111. ნ. ხიზანიშვილი - „ეთნოგრაფიული ჩანაწერები", თბილისი, 1940;
112. ი. ჯავახიშვილი – ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002;
113. ი. ჯავახიშვილი - „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", 1962;
114. ი. ჯავახიშვილი - „ქართველი ერის ისტორია";
115. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი - „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი", თბილისი, 2002;
116. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი - „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია", თბილისი;
117. ჰეროდოტე – „ისტორია";

გასაცნობი წყაროები:

1. ი. გე-ვა-ლი (ივანე ვედეკანიშვილი) - „სამხედრო ხელოვნება საქართველოში", (1915);
2. ი. გრიშაშელი - „ქალაქური ლექსიკონი" 1998;
3. „ტურანთველი ყაჩაღები სოფლად (დათიკო შავარდნაძე)", თბ, 1912;
4. თ. დადეშკელიანი - „საქართველოს მხედრობა" (სტატია) XIX ს. 80-იანი წ;
5. ზ. თანდილავა - „ქართველ ტომთა თვვზაობა-ნაოსნობის წარსულიდან", „ლიტერატურული აჭარა" №5 გვ. 89-91 1963;
6. თანდილავა, ვანილიში - „ლაზეთი";
7. ა. იაშვილი - „ხალხური მედიცინა კავკასიის მხარეში" (რუსულად, საუკუნის დასაწყისში);
8. გ. ინანიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე - „ზოგიერთი სახეობის რკინის იარაღის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგები", „საისტორიო კრებული" ტ.4 გვ. 446-453, 1973;
9. კალიმაქე – პოემა „მიზეზები" (AETIA);
10. ზ. კუტალეიშვილი - „ნაოსნობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში", თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია ტ, 184 გვ. 312-332, 1977;

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. გ. ლომთათიძე – „წინაპართა ნაკვალევი“, თბილისი, 1952;
12. Лосев – «Очерк Античного символизма в мифологии»;
13. ს. მაკალათია - „დამლები“;
14. ს. მაკალათია - „ზევი“;
15. ა. მიქავა - „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“, წიგნის სამყარო №24, 1981;
16. ნ. ნაჭყებია - „საქართველოს ნავსადგურები (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)“ თბილისის უნივერსიტეტის შრომები ტ. III, 1965;
17. შ. ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. I, თბილისი, 1956;
18. „პარტიზანის სამახსოვრო“ 1941;
19. ა. რობაქიძე - „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“, 1941;
20. ა. სარჯველაძე - „საქართველოს ზღვაოსნობის ისტორიიდან“, „წიგნის სამყარო“ №1, 1973;
21. ჯ. სტეფნაძე, თ. ბერაძე - „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“, (რეცენზია) მაცნე №1 გვ. 190-191, თბ. 1979;
22. მ. ტულუში - „კატაპულტის კერამიკული ყუმბარები ურეკის მიდამოებიდან“, „ლენინის დროშა“, 1960წ, 11 ნოემბერი (მახარაძის რაიონის გაზეთი?);
23. ე. ურუშაძე - „ფირალები (ამბავი გურიის ცხოვრებიდან)“, ოზურგეთი, 1912;
24. ი. ფალიანი – „სვანური ხალხური თამაშობანი“, (ხელნაწერი), 1946;
25. ლ. ფანცხავა(?) - „კოლხური კულტურის მხატვრული ხელსნობის ძეგლები“, თბ. 1988;
26. დ. ქორიძე - „კოლხური კულტურის ისტორიისთვის“, თბ. 1965;
27. ზ. შერაზადიშვილი – „ფიზიკური აღზრდა მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების საქართველოს სკოლებში“, 1957;
28. ზ. ჭიჭინაძე - „ისტორია ქართული მკურნალობისა უძველესი დროიდან“, თბ. 1917; - „ქართული მკურნალობის ისტორიიდან და ქართულ მკურნალობაში განსწავლულნი“ თბ. 1923;
29. ჰესიოდე - „თეოგონია“;

ი2/522

ეროვნული
ბიბლიოთეკა